



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ლევანი ზაკალაშვილი

**სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი საკუთრების
წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამიჯვნა კორუფციული
დანაშაულებისაგან**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი დვალიძე

თბილისი

2024

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

ეკონომიკურმა გლობალიზაციამ უფრო მწვავედ დააყენა თანამედროვე მსოფლიოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს ყველა იმ სახელმწიფოს ხელისუფლება, რომელებიც დაინტერესებულნი არიან თავისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით, რადგან ცნობილია, რომ კორუფციის აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია აღნიშნული ამოცანის გადაჭრა და საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევა. აქედან გამომდინარე, კორუფციასთან ბრძოლა, გლობალურ და ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნებისთვის.

წინამდებარე დისერტაცია ეძღვნება კორუფციული დანაშაულების კვლევას და მათ სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, კერძოდ, დისერტაციაში განხილულია ამ დანაშაულებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ნაშრომში წარმოდგენილია, ერთი მხრივ, სსკ-ის 182-ე, 180-ე მუხლებით, ხოლო, მეორე მხრივ, სსკ-ის 332-ე, 220-ე, 333-ე, 338-ე, 221-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ფუნდამენტალური კვლევა და აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ ნორმათა კონკურენცია.

წინამდებარე კვლევაში დეტალურადაა განხილული ზემოაღნიშნული დანაშაულების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. თემის აქტუალურობა მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ კორუფცია და შესაბამისად, კორუფციული დანაშაულები სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, არამედ იმაშიც, რომ ხშირია ამ დანაშაულების ერთმანეთში აღრევა, როგორც პრაქტიკაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში. შესაბამისად, ადგილი აქვს ქმედების არასწორ კვალიფიკაციას, რაც წარმოუდგენელ ზიანს აყენებს როგორც დამნაშავის, ისე მართლმსაჯულების განხორციელების კანონიერ ინტერესს. გარდა იმისა, რომ კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, კვალიფიკაციისას უნდა მოხდეს ქმედების ზუსტი შესაბამისობა ნორმასთან, დამატებით, გასათვალისწინებელია ის, რომ არასწორი კვალიფიკაციის გამო, პირს შეიძლება მიესაჯოს იმაზე გაცილებით მძიმე სასჯელი, ვიდრე რეალურად ეს მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის არის გათვალისწინებული, რადგან ძალიან დიდი განსხვავებაა, მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელსა და 332-ე და 220-ე მუხლებით გათვალისწინებულ სასჯელებს შორის. აქედან გამომდინარე, ამ დანაშაულების საერთო და

განმასხვავებელი ნიშნების დეტალური კვლევა მნიშვნელოვანია მათი ერთმანეთისგან სწორად გამიჯვნისთვის.

დისერტაციაში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა კორუფციული დანაშაულების ამსრულებელ პირთა წრეს, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ხშირად პრობლემური ხდება მოხელის, უფრო მეტად კი, მასთან გათანაბრებული პირის, სწორად განმარტება. ზოგჯერ პრობლემურია, ასევე კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულების ამსრულებელი სუბიექტების ზუსტად განსზღვრა, რადგან ამისათვის, გარდა სისხლის სამართლის კოდექსისა, საჭიროა დამატებით სხვა არაერთი საკანონმდებლო აქტის გამოყენება.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად არის განხილული, კორუფციასთან დაკავშირებით, როგორც საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, ისე, ამ საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციები და სხვა საერთაშორისო რეგულაციები. ნაშრომში, ისტორიულ, ფორმალურ-ლოგიკურ და დოგმატურ მეთოდებთან ერთად, ასევე გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი და განხილულია უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში, როგორია ამ კორუფციული დანაშაულების ურთიერთმიმართება.

დისერტაციაში წარმოჩენილი იქნება, როგორც საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში, ამ საკითხების განხილვასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ხარვეზები. დისერტაციის უმთავრესი მიზანია, კორუფციული ქმედების ჩადენისას, ერთმანეთისგან სწორად გაიმიჯნოს კონკურენციაში მყოფი ნორმები და ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია ცალკეული რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება ქმედების სწორად კვალიფიკაციას.

A b s t r a c t

Economic globalization has more acutely raised the issue of the fight against corruption in the modern world. The authorities of all those states, which are interested in the economic development of their country, are trying to solve this problem, because it is known that without the elimination of corruption, it is impossible to solve the mentioned task and achieve the well-being of the society. Therefore, the fighting against corruption is a global and one of the most pressing problems for countries.

The present dissertation is dedicated to the research of corruption crimes and their criminal aspects, in particular, it discusses the features of these crimes. The paper presents, a fundamental research of crimes stipulated, on the one hand, by articles 182, 180 of the Criminal Code, and on the other hand, by articles 332, 220, 333, 338, 221 of the Criminal Code and the competition of the norms provided for by the mentioned articles.

The present research discusses in detail the common and distinguishing features of the above-mentioned offences. The actuality of the topic is not only that corruption and accordingly, such crimes are a significant problem for states, but also that these crimes are often confused, both in practice and in legal literature. Consequently, the wrong qualification of the action takes place, which causes incredible damage to the legal interest of both the offender and the state in the implementation of justice. In addition to the fact, that following from the principle of legality, the qualification implies the exact compliance of the action with the norm, additionally, it should be taken into account, that due to the wrong qualification, a person may be sentenced to a much heavier punishment than what is actually provided for the act committed by him, because there is a very big difference, for example, between the punishment provided by Article 182 of the Criminal Code of Georgia and the punishment provided by Articles 332 and 220. Therefore, a detailed research of the common and distinguishing features of these crimes is important to properly distinguish them from each other.

In the dissertation, also a great attention is paid to the circle of persons who commit corruption crimes (the subject of crime), since the correct definition of an official and even more a person

equal to him, is often problematic arising from the current legislation. However, it is also sometimes problematic to accurately delimit the subjects that commit corruption crimes in the private sector, because for this, in addition to the Criminal Code, it is necessary to use a number of other legal acts.

This paper will discuss in detail both the legislative and normative acts of Georgia, as well as important international conventions and other international regulations related to corruption. Also in the paper, along with historical, formal-logical and dogmatic methods, the method of comparative-legal analysis is used and the interrelationship of these corruption crimes is discussed in the legislation of foreign countries.

In the dissertation, important gaps in the discussion of these issues will be presented, both in the decisions of the Georgian court and in the legal literature. The main goal of the thesis is to correctly distinguish competing norms when committing a corrupt act, and in this regard, separate recommendations are offered, which serve to correctly qualify the act.

შინაარსი

გამოყენებული შემოკლებანიX

შესავალი 1

I თავი. კორუფციის განმარტება და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები 8

1. კორუფციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები8

2. კორუფციის განმარტება..... 10

II თავი. კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები 11

1. „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“ (ევროპის საბჭო) 11

2. „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია“ (ევროპის საბჭო)..... 14

3. „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია 14

4. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია..... 15

III თავი. კორუფციული დანაშაულები და მასთან მეზრძოლი სამართალდამცავი ორგანოები 17

1. კორუფციული დანაშაულები 17

2. კორუფციულ დანაშაულებებთან მეზრძოლი სამართალდამცავი ორგანოები.. 20

IV თავი. კორუფციული დანაშაულების ამსრულებელი სუბიექტი 23

1. საჯარო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი 23

1.1. მოხელე..... 24

1.2. მოხელესთან გათანაბრებული პირი..... 35

1.2.1. სსკ-ის 332-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) შენიშვნაში პირდაპირი მითითებული მოხელესთან გათანაბრებული პირები 35

1.2.2. ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას 40

2. გერმანულ სისხლის სამართალში მოხელე და „მასთან გათანაბრებული პირი“ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ქართულ სისხლის სამართალთან)..... 51

3. კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი სუბიექტი	59
3.1. სხვა ორგანიზაცია	60
3.2. სამეწარმეო იურიდიული პირი	64
3.3. ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი	65
3.4. საწარმო	68
3.5. „ინდემწარმე“, როგორც კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი	69
3.5.1. „ინდემწარმე“ წარმოდგენს თუ არა საწარმოს?	69
3.5.2. „ინდემწარმე“ წარმოდგენს თუ არა სსკ-ის 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლით და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით (კომერციული მოსყიდვა) გათვალისწინებული დანაშაულების სუბიექტს?	74
3.6. სსკ-ის 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლით და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით (კომერციული მოსყიდვა) გათვალისწინებული დანაშაულების ამსრულებელი სუბიექტები	78
4. შეჯამება	81

V თავი. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამიჯვნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება/გაფლანგვისგან

83

1. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება/გაფლანგვის და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის ცალკეული ნიშნები და მათი განმარტება ქართულ იურიდიული ლიტერატურაში	84
1.1. სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება ან გაფლანგვა)	84
1.2. სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობა)	91
1.3. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი) და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 220-ე მუხლი)	94
1.4. მითვისების, გაფლანგვის (სსკ-ის 182-ე მუხლი) და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ-ის 332-ე მუხლი) სუბიექტური შემადგენლობანი	101
1.5. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების/გაფლანგვის (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) და	

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ-ის 332-ე მუხლი) მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები	110
2. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.....	118
2.1. მცირე ისტორიული ექსკურსი	118
2.2. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანულ სისხლის სამართალთან მიმართებაში.....	125
2.3. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი თანამედროვე, სხვა უცხო ქვეყნების კანონმდებლობასთან მიმართებაში	130
4. ქმედების მითვისებად ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად კვალიფიკაციის პრობლემები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.....	136
5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	140
5.1. სასამართლოს გადაწყვეტილებები სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულთან ურთიერთმიმართებაზე	142
5.2. სასამართლოს გადაწყვეტილებები სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ურთიერთმიმართებაზე	151
5.3. სასამართლოს გადაწყვეტილებები სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებით გათვალისწინებულ ნორმათა კონკურენციისას	156
6. შეჯამება	170
VI თავი. ქრთამის აღების გამიჯვნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისაგან.....	173
1. ქრთამის აღების ცნება ძველ ქართულ და მსოფლიო სამართლის ისტორიაში... ..	173
2. ქრთამის აღების საკანონმდებლო რეგულაცია და მისი მახასიათებელი ცალკეული ნიშნები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით	176
3. ქრთამის აღების გამიჯვნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების, გაფლავებისა და თაღლითობისგან.....	180
4. ქმედების კვალიფიკაციის პრაქტიკული პრობლემები ქრთამის აღების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ნორმათა კონკურენციისა.....	182
5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	187
6. შეჯამება	192
დასკვნა	195

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.....	202
ქართულენოვანი ნორმატიული მასალა.....	202
ქართულენოვანი ლიტერატურა.....	206
ქართულენოვანი სასამართლოს გადაწყვეტილებები	210
უცხოენოვანი ნორმატიული მასალა.....	212
უცხოენოვანი ლიტერატურა.....	212
ელექტრონული ბმულები	214
უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები.....	215

გამოყენებული შემოკლებანი

1. ა(ა)იპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი
2. ა.შ.	ასე შემდეგ
3. გამომც.	გამომცემლობა
4. გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცი
5. გვ.	გვერდი
6. დასახ.	დასახელებული
7. ე.ი.	ესე იგი
8. ე.წ.	ეგრეთ წოდებული
9. თბ.	თბილისი
10. თსუ	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
11. იხ.	იხილეთ
12. კს	კომანდიტური საზოგადოება
13. კოოპ	კოოპერატივი
14. მაგ.	მაგალითად
15. ნაშრ.	ნაშრომი
16. რედ.	რედაქტორი
17. რსფსრ რესპუბლიკა	რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა
18. საქ.	საქართველო
19. სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
20. სსსკ	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
21. სზაკ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
22. სსრ	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
23. სს	სააქციო საზოგადოება
24. სპს	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
25. სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
26. ტ.	ტომი
27. შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

28. §.	წელი
29. Abs.	Absatz
30. Aufl.	Auflage
31. Buchst.	Buchstabe
32. ECHR	European Court Of Human Rights
33. f.	Fortfolgende
34. Gmbh	Gesellschaft mit beschränkter Haftung
35. Nr.	Nummer
36. NJW	Neue Juristische Wochenschrift
37. OLG	Oberlandesgericht
38. M.	Münich
39. Rn.	Randnummer
40. StV	Strafverteidiger
41. StGB	Strafgesetzbuch
42. BGHSt	Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsache
43. Vol.	Volume
44. U.S.	United States
45. S.	Seite
46. P.	Page
47. Л.	Ленинград
48. М.	Москва
49. С.	Страница

შესავალი

კორუფცია ლათინური სიტყვაა (*corrumpere*) და გაფუჭებას, მოსყიდვას, დაზიანებას და ფალსიფიცირებას ნიშნავს.¹ კორუფცია აფერხებს ქვეყნების განვითარებას და აზარალებს ხალხების კეთილდღეობას. შესაბამისად, კორუფცია მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია. 1999 წლის 27 იანვრის, ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის“ პრეამბულის თანახმად, „კორუფცია წარმოადგენს საფრთხეს სამართლის უზენაესობისათვის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის, საფუძველს უთხრის მმართველობას, სამართლიანობას და სოციალურ თანასწორობას, ხელს უშლის კონკურენციას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს“². სახელმწიფოებისთვის კორუფციის დამანგრეველ ეფექტზე ასევე მიუთითებს „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის წინასიტყვაობაში მაშინდელი გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის სიტყვები, რომელიც კორუფციას ადარებს მზაკვრულ ჭირს (*insidious plague*).³ მართებულად უთითებენ, რომ „სიტყვა კორუფციას მრავალი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება სამართალს და მთავრობას, დაწყებული მარტივი მექრთამეობით და დასრულებული ისეთი შეთანხმებებით/მოლაპარაკებებით, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართალზეც კი“⁴. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, კორუფცია, არა მარტო შიდასახელმწიფოებრივ, არამედ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას წარმოადგენს.⁵ შესაბამისად კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამასთან, მართებულია მოსაზრება, რომ კორუფციამ შეიძლება დააბრკოლოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მექრთამეობა ყველაზე

¹ იხ. *ალექსიძე ლ., გაგუა ი., დანელია მ., კობახიძე ე., რუხაძე ნ.*, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, რედ.: გაგუა ი., გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2015, გვ. 111.

² Preamble of Criminal Law Convention on Corruption (Council Of Europe; Strasbourg, 1999).

³ იხ. Foreword of United Nations Convention Against Corruption (New York, 2004).

<https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026_E.pdf > [15.03.2023].

⁴ *Schroth P. W.*, Corruption and Accountability of the Civil Service in the United States. The American Journal of Comparative Law, vol. 54, 2006, 553–579.

⁵ ამ საკითხზე ასევე იხ. *Tanzi V.*, Corruption Around the World, International Monetary Fund Staff Paper, – Vol. 45, No. 4, 1998, p. 559–591.

მეტად ხდება იმ დიდ ურბანულ ქალაქებში, სადაც არის დიდი კომპანიები და ეკონომიკური დოვლათი (სიმდიდრე), ნაკლები სამართლებრივი კონტროლის პირობებში.⁶

კვლევის აქტუალობა. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა კორუფციული დანაშაულები და მათი თავისებურებები, რომლებიც ქვეყანის განვითარებაზე ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას. შესაბამისად, აუცილებელია ასეთი ქმედებების დანაშაულად სწორად დაკვალიფიცირება. თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც საქართველოს სასამართლოს განაჩენებში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი კორუფციული დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნისას. მაგალითად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლები) გამიჯვნის საკითხებზე. შესაბამისად, ხშირად არასწორად ხორციელდება ქმედების კვალიფიკაცია სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, მაშინ როდესაც რეალურად სახეზეა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება/გაფლანგვა. ამასთან, ზოგჯერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების აღრევა ხდება, არამართო მითვისებასთან, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ თაღლითობასთანაც (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). პრაქტიკაში ასევე თავს იჩენს ხოლმე მართლმსაჯულების ხარვეზები საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული ქრთამის აღების, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულებისგან გამიჯვნისას, როგორებიცაა მითვისება და თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში ყველაზე ხშირი და მნიშვნელოვანი გამოწვევაა მითვისების და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ერთმანეთისგან სწორად გამიჯვნა და

⁶ იხ. *Menes R.*, Corruption in Cities: Graft and Politics in American Cities at the Turn of the Twentieth Century – The National Bureau of Economic Research, Working Paper No. 9990. Cambridge, 2003, p. 1-3. დიდ ქალაქებში უფრო მეტი დანაშაულის არსებობის შესახებ ასევე იხ. *Glaeser E. L. / Sacerdote B.*, Why is There More Crime in Cities? – Journal of Political Economy, Vol. 107, No. S6, 1999. P. 225-258.

შესაბამისად, დისერტაციაში უფრო დიდი ადგილი დაეთმოა ამ საკითხზე მსჯელობას.

ასევე უადრესად მნიშვნელოვანი და ამავედროულად აქტუალურია კორუფციული დანაშაულების ამსრულებელ პირთა წრის სწორედ განსაზღვრა და განმარტება. ამ დანაშაულების (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში) ამსრულებლები სპეციალური სუბიექტები არიან და შესაბამისად ქმედების სწორად კვალიფიკაციისთვის, საჭიროა საკანონმდებლო აქტები იძლეოდნენ მკაფიო და არაორაზროვან განმარტებებს მათთან მიმართებაში. ბოლო ათწლეულში, სხვა ნორმატიულ აქტებში განხორციელებულმა ცვლილებებმა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, სისხლის სამართლის მიზნებისთვის მოხელედ ითვლება თუ არა, მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები, როგორებიცაა მოსამართლე, პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური მსჯელობაა დისერტაციაში და შემოთავაზებულია კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში.

სამართლებრივი თვალსაზრისით, თემის აქტუალობა დიდია არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული ღირებულების კუთხითაც, რადგან ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ამ დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ნაშრომები დიდი რაოდენობით არ მოიპოვება, ხოლო არსებულ კვლევებში არაა დეტალურად განხილული ის განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშნები და ფაქტობრივი ნიუანსები, რომლებიც პრაქტიკოსმა მუშაკებმა უნდა გაითვალისწინონ მართლმსაჯულების განხორციელებისას ქმედების სწორად კვალიფიკაციისთვის. ამასთან, ზოგიერთ ნიუანსთან დაკავშირებით, განვითარებულია არამართებული მსჯელობა, რაც თავისთავად, ხშირად ხელს უშლის პრაქტიკოს იურისტებს ამ დანაშაულების არსის და ბუნების სრულად და ზუსტად გაანალიზებაში და საბოლოოდ, ეს აისახება სასამართლო პრაქტიკაში ნორმების არასწორად გამოყენებაში, ანუ ქმედების დანაშაულად არასწორად კვალიფიკაციაში.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში მოხდეს ქმედების სწორად კვალიფიკაცია. გარდა იმისა, რომ ხსენებული მუხლების შესაბამისი სასჯელები განსხვავებულია, ზოგადად „კვალიფიკაცია გულისხმობს ნორმის ზუსტ

შესაბამისობას ქმედებასთან⁷, ანუ კონკრეტული ქმედება კონკრეტულ დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს.⁸ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს პირის ქმედება არის „მითვისება/გაფლანგვა“ თუ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, „ქრთამის აღება“ ან „კომერციული მოსყიდვა“, თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული რომელიმე სხვა დანაშაული. ამასთან, გარდა სასჯელებისა, ამ მუხლებისთვის განსხვავებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადები, რადგან სამოხელეო დანაშაულების შემთხვევაში ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადაა 15 წელი, ხოლო სხვა ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის დანაშაულების შემთხვევაში (მათ შორის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების) – შესაბამისად – 6 და 10 წელი. ასევე, სისხლის სამართლის ერთ-ერთი პრინციპის *in dubio pro reo* - დან გამომდინარე (არ შეიძლება სასამართლომ პირი ცნოს დამნაშავედ, თუ მის ბრალეულობაში ეჭვის შეტანა არის შესაძლებელი⁹), ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და პირი არ უნდა იქნას ცნობილი დამნაშავედ მძიმე დანაშაულში, თუ ზემოაღნიშნული მომიჯნავე დელიქტების კონკურენციისას, სადავოა გარემოებები, რომლებიც აფუძნებს უფრო მძიმე დანაშაულის ბრალდებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია, რომ მომიჯნავე დელიქტების არსებობისას, შერჩეულ იქნას შესაბამისი ნორმა და მოხდეს ქმედების დანაშაულად სწორად კვალიფიკაცია. ამისათვის კი, საჭიროა როგორც მეცნიერებაში (თეორიაში), ასევე პრაქტიკაში, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კორუფციული დანაშაულებისაგან გამიჯვნასთან

⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის განაჩენი საქმეზე №57აპ.-19.

⁸ იხ. *ნაჭყებია გ.*, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, გამომცემლობა ინოვაცია, თბ., 2010, გვ. 11-14.

⁹ ამ საკითხზე იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები (ECHR): *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, [1988] ECHR, (application no. 10590/83) § 77; *Lavents v. Latvia*, [2002] ECHR, (application no. 58442/00), § 125; *Melich and Beck v. Czech Republic*, [2008] ECHR, (application no. 35450/04,) §49.

დაკავშირებით არსებული პრობლემების წარმოჩინება და შემდგომ კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, რათა მართებულად მოხდეს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა. კვლევისას, შედარებით დიდი ნაწილი აქვს დათმობილი იმ ამოცანის გადაჭრას, რომელიც შეეხება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლი) ერთმანეთისგან გამიჯვნის პრობლემატურ საკითხებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლების შედარებისას, განხილვის საგანი არის *უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მხოლოდ ისეთი შემთხვევები, რომლებიც თავისთვის ან სხვისთვის ქონებრივი სარგებლის მიღებასთანაა დაკავშირებული სახელმწიფო უწყების ან კერძო ორგანიზაციის ხარჯზე, რამაც გამოიწვია მესაკუთრის ქონებრივი ზიანი.*

ასეთი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და მითვისების ერთმანეთში აღრევა, ყველაზე ხშირად ხდება, მაშინ როდესაც სახელმწიფო უწყების თანამდებობის (ან კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელი) პირი თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევით (საჯარო/ორგანიზაციის ინტერესის საწინააღმდეგოდ), გარკვეული საქონლის/მომსახურების შესყიდვაზე აფორმებს ისეთ ხელშეკრულებას მესამე პირთან, რითაც საბოლოო ჯამში ადგება ქონებრივი ზიანი სახელმწიფოს ან კერძო ორგანიზაციას. როგორც წესი, სამართალდამცავ ორგანოებს არა ცხელ კვალზე, არამედ, ასეთი ფაქტის მოგვიანებით გამოვლენის შემდეგ, უწევთ ქმედებაზე რეაგირება და გადასაწყვეტი ხდება ეს ქმედება შეიცავს მითვისების, თუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნიშნებს. სამწუხაროდ, ხშირად არც პრაქტიკაში და არც იურიდიულ ლიტერატურაში, ასეთ შემთხვევებში, ყურადღება არ არის ხოლმე გამახვილებული ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაზე, მაშინ როდესაც, ამ დანაშაულების ერთმანეთისგან სწორად გამიჯვნის ქვაკუთხედი არის ის, თუ დამნაშავე პირს რა **განზრახვა** აქვს (დამოკიდებულება) დამდგარი შედეგის მიმართ.

უფრო კონკრეტულად კი, კვლევის მიზნის მისაღწევად, უნდა გაეცეს პასუხები შემდეგ ამოცანებს:

- რა ნიშნებით განსხვავდება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისგან?
- სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლებში მოცემული ნორმები არის სპეციალური სსკ-ის 182-ე მუხლში მოცემულ ნორმასთან მიმართებაში, თუ პირიქით?
- მითვისების მსგავსად, იდენტური სუბიექტური შემადგენლობაა სახეზე სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც ქმედება იწვევს ქონებრივ ზიანს (მესაკუთრისგან ქონების გასვლას), თუ განსხვავებული დამოკიდებულებაა (განზრახვა) შედეგის მიმართ?
- ასევე, კვლევის ამოცანაა გაირკვეს რა პრაქტიკული ფაქტობრივი გარემოებები განასხვავებს ქრთამის აღებას/კომერციულ მოსყიდვას მითვისებასა და თაღლითობისაგან.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება გამახვილდება მითვისების და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სუბიექტურ შემადგენლობაზე, კერძოდ, **შედეგის მიმართ განზრახვაზე**, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა ქვაკუთხედიან ამ დანაშაულების გასამიჯნად. გარდა ზემოაღნიშნულისა, სადისერტაციო კვლევის მიზანისთვის, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს და განიმარტოს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულების ამსრულებელ პირთა წრე. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან თუ სპეციალური ამსრულებელი სუბიექტი არ არის სახეზე, საერთოდ შეუძლებელია კონკრეტულ კორუფციულ დანაშაულებზე საუბარი და ქმედების ამ დანაშაულებად კვალიფიკაცია. ამასთან, კვლევის მიზნის მისაღწევად, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, პრობლემატურ საკითხებზე კონკრეტული გადაჭრის გზების და რეკომენდაციების შემოთავაზება, მათ შორის დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების და საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. დასმული პრობლემის კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი ანალიზისა და კვლევის სხვა მეთოდები.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება გამოყენებული შემოკლებების, შესავლის, ექვსი თავის და შესაბამისი ქვეთავების, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

I თავი. კორუფციის განმარტება და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები

1. კორუფციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები

მსოფლიოს ცივილიზირებული ქვეყნები შეთანხმდნენ კორუფციის დამანგრეველ ეფექტებზე და დაიწყეს კორუფციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა. საქართველომაც, 1991 წელს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, განახორციელა შიდა საკანონმდებლო ჩარჩოების შექმნა და საერთაშორისო კანონმდებლობის იმპლემენტაცია. სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლების იმპლემენტაციის გარდა, 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“, რომელსაც 2022 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით ეწოდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი,¹⁰ სადაც განმარტებული არის თუ რა ითვლება კორუფციად. ასევე 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“¹¹, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 27/10/2015 წელს, ახალი - საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“¹² მიღების შემდეგ. ეს კანონი განსაზღვრავს თუ ვინ არის მოხელე და განმარტავს მათი ქცევის ზოგად წესებს და პრინციპებს. ამავდროულად, 2005 წლიდან დღემდე, პერიოდულობით მტკიცდებოდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმები, რომლის მიზანი არის კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება.¹³ ბოლო ათწლეულების მანძილზე გატარებულმა შესაბამისმა რეფორმებმა, საქართველო დააახლოვა ევროკავშირში ინტეგრაციას, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ ვალდებულებებს წარმოშობს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობის კუთხით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების

¹⁰ საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17/10/1997.

¹¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, (დოკუმენტის ნომერი 1022), 31/10/1997, (ძალადაკარგულია - 27/10/2015, N4346).

¹² საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, (დოკუმენტის ნომერი 4346), 27/10/2015.

¹³ მაგ. იხ. საქართველოს პრეზიდენტის N550 ბრძანებულება „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, 24/06/2005, (ძალადაკარგულია - 04/06/2010)

ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს დაეკისრა ვალდებულება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, დანერგოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.¹⁴

სიტყვა კორუფცია, საზოგადოებაში აღიქმება, როგორც მექრთამეობა, თუმცა, სამართლებრივად კორუფციის განმარტება ფართოა და მასში არ იგულისხმება მხოლოდ მექრთამეობა, უფრო მეტიც, კორუფციული ქმედება შეიძლება საერთოდ არ იყოს დანაშაული. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: *„კორუფციული სამართალდარღვევა“ არის ქმედება, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა*“. ვიდრე კორუფციის ნიშნები იქნება განხილული, მანამდე მიზანშეწონილია აღნიშნულ იქნას საჯარო მოხელის ქცევის ზოგადი წესები და პრინციპები, რადგან, როგორც ცნობილია, საჯარო მოსამსახურეს მეტი პასუხისმგებლობა აქვს, ვიდრე კერძო სექტორში დასაქმებულ პირს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლში ხაზგასმულია მიუკერძოებლობის პრინციპზე და აღნიშნულია: *„საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიუკერძოებელი უნდა იყოს და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა*“. ამ კანონში სხვა პრინციპებთან ერთად ასევე, მე-10 მუხლში მითითებულია ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპზე, რომლის მიხედვითაც: *„საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად*“.

¹⁴ იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 17 (ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. 30.08.2014)

2. კორუფციის განმარტება

რაც შეეხება უშუალოდ კორუფციის განმარტებას, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, *„კორუფცია საჯარო სამსახურში არის საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა“*. შეიძლება ითქვას, რომ იგივე არის კორუფციის განმარტება კერძო სექტორშიც, თუ ამ ქმედებას განახორციელებს კერძო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ასევე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საჯარო მოხელეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აქვს, ვიდრე კერძო პირს, ამიტომაც არის, რომ ამავე კანონით საჯარო მოსამსახურეს და მის ოჯახის წევრებს ეკრძალებათ გარკვეული ოდენობაზე მეტი ღირებულების საჩუქრის მიღებაც და ასევე საჯარო მოსამსახურეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება¹⁵ ამასთან „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13² მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, *„საჯარო მოსამსახურემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. საჯარო მოსამსახურემ ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი რესურსებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი.“*

როგორც აღინიშნა, კორუფციული ქმედება ყოველთვის არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისთვის კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კორუფციული ქმედებისთვის, პირს, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ეს ქმედება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

¹⁵ იხ. მუხლი 5 და მუხლი 13, საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17/10/1997.

II თავი. კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

კორუფციაზე მსჯელობისას, შეუძლებელია არ იქნას განხილული კორუფციასთან ბრძოლის ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, როგორებიცაა: 1999 წლის 27 იანვრის ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“, 1999 წლის 04 ნოემბრის ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია“, 2003 წლის 31 ოქტომბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“ და 2000 წლის 15 ნოემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“.¹⁶ გარდა იმისა, რომ ეს დოკუმენტები საერთაშორისო აქტებია, ისინი ხელმოწერილი და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და შესაბამისად, წარმოადგენენ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას“, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის მე-4 პუნქტის თანახმად, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას.

1. „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“ (ევროპის საბჭო)

1999 წლის 27 იანვრის ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“ (შემდგომში ევროპული კონვენცია) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2006 წლის 14 დეკემბერს. შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ, მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში. საქართველო არის ევროპის საბჭოს წევრი და ამ კონვენციის რატიფიკაციით, ქვეყანამ, შიდა

¹⁶ იხ. ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“, სტრასბურგი, 27/01/1997; ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია“, სტრასბურგი, 04/11/1999; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“, ნიუ იორკი, 31/10/2003; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, ნიუ იორკი, 15/11/2000.

კანონმდებლობის მასთან თანხვედრაში მოყვანის ვალდებულება იკისრა. აღნიშნული ევროპული კონვენცია, კორუფციის საკითხებთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია არამარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად ევროპის კონტინენტისთვის (ევრო საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის).

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მის პრეამბულაში საუბარია იმაზე, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს წარმოადგენს კორუფცია სამართლის უზენაესობისთვის, დემოკრატიისთვის, ადამიანის უფლებებისთვის, კარგი მმართველობისთვის, სამართლიანობისთვის, სოციალური თანასწორობისთვის და როგორ აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. იქვე მითითებულია, რომ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა საჭიროებს ფართო, სწრაფ და კარგად ფუნქციონირებად საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლებრივ საკითხებში.

აღნიშნული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები ხელშემკვერელ ყველა მხარეს (ქვეყანას) ავალდებულებს მიიღოს საკანონმდებლო და სხვა ზომები, ქვეყნის შიდა სამართალში აქტიური და პასიური მექრთამეობის სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად. აქტიურ მექრთამეობაში გულისხმობს, სახელმწიფო მოხელისთვის გაუმართლებელი უპირატესობის მიცემას ან ამ უპირატესობის დაპირებასა თუ შეთავაზებას, ხოლო პასიურში - მოხელის მიერ მის მოთხოვნასა და მიღებას, ან ასეთ დაპირებასა თუ შეთავაზებაზე თანხმობას. ამავე კონვენციის მე-5, მე-6, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლი კი, ქვეყნებს ავალდებულებს, რომ ასეთი დანაშაულები ასევე გაავრცელონ უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელეებზე, უცხო ქვეყნისა და საერთაშორისო ასამბლეათა წევრებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეებზე, საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეებზე და მოხელეებზე. სწორედ ამ ვალდებულებების შესასრულებლად განხორციელდა, საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში, სამოხელეო დანაშაულების ამსრულებლად უცხო ქვეყნის მოხელეების დამატებით.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, ხსენებული ევროპული კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლი, სახელმწიფოებს პირდაპირ ავალდებულებს ქვეყნის შიდა სამართლებრივი სისტემის იმგვარად მოწყობას, რომ დასჯადი იყოს მექრთამეობა კერძო სექტორშიც. ამასთან, მისი მე-18 მუხლი, სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ

იურიდიულ პირებსაც დააკისრონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აქტიური მექრთამეობისთვის. სწორედ ამ უკანასკნელი დანაწესის იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 25 ივლისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სსკ-ის 221-ე, 339-ე და 339¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. კონვენციის დანარჩენი დებულებები ეხება კორუფციის საკითხებზე სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობას, მათ შორის, ექსტრადაციას.

2003 წლის 15 მაისს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციაში“ განხორციელდა ცვლილებები და მიღებულ იქნა დამატებითი ოქმი.¹⁷ აღნიშნული კონვენციის დამატებითი ოქმით, თითოეულ მხარეს, ანუ ევროპის საბჭოს თითოეულ წევრს, ევალებათ ისე გაატარონ შიდა საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომ პასიური და აქტიური მექრთამეობისთვის, დასჯადი იყოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ქვეყნის არბიტრების და ასევე ნაფიცი მსაჯულების ქმედება. იქვე განმარტებულია თუ ვინ იგულისხმება არბიტრში: *„არბიტრად“ ითვლება პირი, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე მოწოდებულია გამოიტანოს იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილება დავაზე, რომელიც მას გადასცეს შეთანხმების მხარეებმა.* საქართველოში, ხსენებული „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმის“ რატიფიკაცია მოხდა მოგვიანებით, 2013 წლის 27 ივლისს (ძალაში შევიდა 2014 წლის 01 მაისს). აღნიშნული დამატებითი ოქმის საფუძველზე ასევე განხორციელდა ცვლილებები და სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: *„ამ კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები ასევე არიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის არბიტრაჟების წევრები, ხოლო ამ კოდექსის 338-ე–339-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები – ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას“.*

¹⁷ Additional Protocol to the Criminal Law Convention on Corruption, Strasbourg, 15/05/2003.

2. „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია“ (ევროპის საბჭო)

1999 წლის 04 ნოემბრის ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია“, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2003 წლის 24 აპრილს. შეიძლება ითქვას, რომ ეს კონვენცია ეხება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს. მის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ კორუფციას აქვს უარყოფით ფინანსური გავლენა და შედეგები ასევე პიროვნებებზე და კომპანიებზე. აღნიშნული კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს შიდა საკანონმდებლო და სხვა ბაზების შექმნას, რათა სამართლიანად მოხდეს იმ პირებისთვის ზიანის ანაზღაურება, რომლებიც დაზარალდნენ კორუფციული აქტების შედეგად. კერძოდ კი, კომპენსაციამ უნდა დაფაროს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ზიანი და ასევე დაკარგული მოგება.

3. „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია

ასევე უმნიშვნელოვანესია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2003 წლის 31 ოქტომბრის N58/4 რეზოლუციით მიღებული კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის საქართველოში. ეს კონვენცია 140 ხელმომწერ სახელმწიფოს აერთიანებს, საქართველოში კი მისი რატიფიკაცია განხორციელდა 2008 წელს. აღნიშნული კონვენცია საინტერესოა იმიტაც, რომ შეიმუშავეს კორუფციის პრევენციის ღონისძიებებს და ზომებს. კონვენციის მიზანია გააძლიეროს კორუფციის პრევენციის და წინააღმდეგ ბრძოლის ზომები, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს საერთაშორისო თანამშრომლობას. ამასთან, საინტერესოა საჯარო მოხელის მისეული განმარტება. კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით სხვა პირებთან ერთად, საჯარო მოხელე, გარდა ოფიციალური საჯარო მოსამსახურისა, შეიძლება იყოს *ნებისმიერ პირი, რომელიც ასრულებს საჯარო ფუნქციას (public function) ან უზრუნველყოფს საჯარო სამსახურს/სერვისს (provides a public service)*, როგორც ეს განსაზღვრულია მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით. როგორც ჩანს, ასეთი პირები მიიჩნია საქართველოს სსკ-ის 332-ე

მუხლის შენიშვნამ მოხელესთან გათანაბრებულ პირებად. აღნიშნული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლი ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს, რომ შეიმუშავონ ეფექტური, კოორდინირებული ანტიკორუფციული პოლიტიკა და ჰყავდეთ ამ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის განმახორციელებელი სპეციალური სამართალდამცავი ორგანო ან ორგანოები. კონვენციაში ასევე საუბარია თანამდებობის პირთა ქცევის წესებზე, სახელმწიფო შესყიდვებსა და სახელმწიფო ფინანსების სამართლიან მართვაზე და გამჭვირვალებაზე.

გარდა იმისა, რომ ეს კონვენციაც ავალდებულებს სახელმწიფოებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას კერძო სექტორში, იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ქონების მითვისება/გაფლანგვას კორუფციულ დანაშაულად მიიჩნევს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში (Embezzlement of property in the private sector) და მოუწოდებს სახელმწიფოებს შექმნან ამისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოები.

4. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ კონვენცია გაეროს მიერ მიღებულია 2000 წლის 15 ნოემბერს. ეს კონვენცია მნიშვნელოვანია იმით, რომ ხაზს უსვამს კონკრეტული დანაშაულების ტრანსნაციონალურ ბუნებას. ასეთ ერთ-ერთ ტრანსნაციონალურ დანაშაულად მიჩნეულია, ისეთ კორუფციულ დანაშაულებს, როგორებიცაა ქრთამის აღება და მიცემა. ამ კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლები თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს საკანონმდებლო თუ სხვა ადმინისტრაციული ეფექტური ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ასეთი კორუფციული დანაშაულების გამოვლენას, მის თავიდან აცილებას და დასჯას.

ხსენებული კონვენცია უფრო ადრეა მიღებული (2000 წელს), ვიდრე „კორუფციის წინააღმდეგ“ ზემოაღნიშნული კონვენცია. გაერომ კორუფციულ დანაშაულებს დიდი ყურადღება დაუთმო და მიუხედავად იმისა, რომ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ კონვენციით სახელმწიფოებს უკვე ევალებოდათ კორუფციის წინააღმდეგ ზომების გატარება, როგორც ჩანს, არ ჩათვალა

საკმარისად და 2003 წელს, დამატებით მიიღო „კორუფციის წინააღმდეგ“ ზემოთ ხსენებული კონვენცია. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტმა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა 2006 წელს.

III თავი. კორუფციული დანაშაულები და მასთან მებრძოლი სამართალდამცავი ორგანოები

1. კორუფციული დანაშაულები

როგორც აღინიშნა, კორუფციული ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულად, თუ ეს ქმედება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. საქართველოს სსკ-ის პირველი მუხლის, პირველი ნაწილის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას“. შესაბამისად, სწორედ ეს კოდექსი განსაზღვრავს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კორუფციული ქმედება არის თუ არა დანაშაულებრივი. კორუფციული დანაშაულები, რომელიც გულისხმობს თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენებას კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მოძიებულ უნდა იქნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამოხელეო დანაშაულების თავში გათვალისწინებული ყველა დანაშაული არაა კორუფციული დანაშაული. მაგალითად, კორუფციული დანაშაული არ არის და ვერც იქნება სსკ-ის 335-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებას, რადგან ეს ქმედება არ ისახავს მიზნად კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღებას თავისთვის ან სხვა პირისთვის. კორუფციული დანაშაულებზე საუბრისას, ალბათ ყველას, პირველ რიგში, მართებულად ახსენდება სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ქრთამის აღება, რადგანაც მის დისპოზიციაში პირდაპირაა მითითებული, რომ მოხელე თავის თანამდებობას იყენებს, მათ შორის, ფულის მიღების მიზნით. ასევე კორუფციულ დანაშაულად მიიჩნევა სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), რომელიც გულისხმობს საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ ქმედებას თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც გამოიწვია ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან

სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა. როგორც აღინიშნა, დისერტაციაში განხილული იქნება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ამ ქმედებამ გამოიწვია ქონებრივი ზიანი, ანუ როდესაც ამ ქმედების შედეგად ორგანიზაციის ქონებრივი სახსრებიდან უკანონოდ გადავიდა ქონება სხვა მესამე პირის ქონებრივ ფონდში, ანდა გაიხარჯა სხვა პირის სასარგებლოდ.

როგორც გაირკვა, კორუფცია, მათ შორის, მექრთამეობა, შეიძლება ასევე იყოს კერძო სექტორშიც. კერძო სექტორში ქრთამის აღებას ეწოდება კომერციული მოსყიდვა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილში. თავისი აგებულებით ეს მუხლი ფაქტიურად იდენტურია 338-ე მუხლის და მათში ძირითადი განსხვავება არის ის, რომ სსკ-ის 221-ე მუხლის ამსრულებელია არა მოხელე და მასთან გათანაბრებული პირი, არამედ პირი, რომელიც *„საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში“*.¹⁸ როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო მოხელეს ზოგადად უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ვიდრე კერძო პირს. აქედან გამომდინარე, საჯარო მოხელისთვის სსკ-ის 338-ე მუხლით ბევრად მაღალი სასჯელია გათვალისწინებული, ვიდრე სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამასთან, საჯარო მოხელის მიერ ქრთამის აღება თუ ისჯება კანონიერი ქმედებისთვისაც, საწარმოს ხელმძღვანელი, კანონიერი ქმედების სანაცვლოდ თანხის აღების შემთხვევაში არ ისჯება, რადგან მუხლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ მან ეს ქმედება უნდა განახორციელოს *„თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით“*.

ქრთამის აღება საჯარო სექტორში ისჯება საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით, ხოლო კერძო სექტორში - 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით. შეიძლება ითქვას, რომ იგივენაირად, სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) შესატყვისი მუხლი კერძო სექტორში არის

¹⁸ ხელმძღვანელობის, წარმომადგენლობისა და სხვა სპეციალური უფლებამოსილების არსზე იხ. **დვალაძე ი., მახარობლიშვილი გ.**, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2016, გვ. 120-121.

სსკ-ის 220-ე მუხლი. შესაბამისად, ეს მუხლიც კორუფციულ დანაშაულად მიიჩნევა და საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების - დისპოზიცია, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ფაქტიურად იგივენიერადაა აგებული როგორც საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლი. განსხვავება, აქაც, ძირითადად ამსრულებელსა და დაცულ სამართლებრივ სიკეთეშია.

გარდა ზემოაღნიშნული მუხლებისა, სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავებშიცაა გათვალისწინებული ისეთი კორუფციული დანაშაულები, რომლებიც გულისხმობენ *თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენებას კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით*. ასეთ დანაშაულში, პირველ რიგში იგულისხმება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს ან კერძო პირის ქონების მითვისებას ან გაფლანგვას. საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული „მითვისება ან გაფლანგვა“ კორუფციულ დანაშაულად მიიჩნევა საერთაშორისო დოკუმენტებშიც და ზემოხსენებულ გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ“ კონვენციის მე-17 და 22-ე მუხლები აკისრებს ვალდებულებას მხარეებს სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოაცხადონ “Embezzlement” (მითვისება) როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. შესაბამისად, კორუფციული დანაშაული შეიძლება განხორციელდეს, როგორც თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას საჯარო მოხელის მიერ ქრთამის აღებით (რომელიც გათვალისწინებული სსკ-ის 338-ე მუხლით, კერძო სექტორში - სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით) და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით (სსკ-ის 332-ე მუხლი), ასევე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს ან კერძო პირის ქონების მითვისება ან გაფლანგვის ჩადენის გზით (გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით). „კორუფცია, ზოგადი განმარტების მიხედვით, არის თანამდებობის გამოყენება პირადი სარგებლისთვის. ეს მოიცავს მექრთამეობას და გამოძალვას, რომელიც აუცილებლად საჭიროებს მინიმუმ ორ მხარეს, ხოლო სხვა ტიპის თანამდებობრივი დანაშაულები საჯარო მოხელემ შეიძლება ერთპიროვნულად

განახორციელოს, მათ შორის თაღლითობა და მითვისება“¹⁹. როგორც აღინიშნა, მექრთამეობას საჯარო მოხელის გარდა, სჭირდება მეორე მხარეც, ხოლო ისეთი კორუფციული დანაშაული, როგორიცაა მითვისება/გაფლანგვა ან თაღლითობა, მეორე მხარის გარეშე საჯარო მოხელეს შეუძლია განახორციელოს ერთპიროვნულად. კორუფციული დანაშაულის ჩადენა, ასევე შესაძლებელია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს ან კერძო პირის ქონების თაღლითურად დაუფლების გზითაც, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

2. კორუფციულ დანაშაულებებთან მეზრძოლი სამართალდამცავი ორგანოები

სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ბერკეტები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მისი პრევენციისთვის. ამ ბერკეტებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის სახელმწიფო ორგანოები თუ დანაყოფები, რომლებიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებენ. ყველა სამინისტროში, თუ სხვა საჯარო დაწესებულებაში, არსებოს შესაბამისი მაკონტროლებელი დანაყოფი, რომლებსაც ევალებათ ისეთ კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ამ ქმედებებისთვის გათვალისწინებულია დისციპლინარული პასუხისმგებლობა. ასეთი დანაყოფები შეიძლება იყოს, მაგალითად, გენერალური ინსპექცია, შიდა აუდიტი ან უსაფრთხოების სამსახური. რაც შეეხება ისეთი კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც დანაშაულად განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ამას ახორციელებენ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები.

სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობა განსაზღვრულია საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის ბრძანებაში²⁰, რომლის მიხედვითაც, პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას სხვა

¹⁹ *Gray C.W./Kaufmann D.*, Article Corruption and Development, Finance & Development, March 1998, 7. <<https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1998/03/pdf/gray.pdf>> [16/03/2023].

²⁰ იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის N3 ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 23/08/2019.

მუხლებთან ერთად, განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 220-ე, 221-ე, 332-ე-334-ე, 337-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. როგორც ჩანს, მთლიანად სამოხელეო (გარდა 335-ე მუხლისა) და კორუფციული სამეწარმეო (220-ე და 221-ე მუხლი) დანაშაულები პროკურატურის გამომძიებლის ქვემდებარება, თუმცა ამავე ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სსკ-ის 332-ე-334-ე, 337-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები იმ შემთხვევაში, განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამომძიებო ქვემდებარეობას, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია თავად მის მიერ. იგივე დათქმა აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურს და აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საგამომძიებო დანაშაულები გამოვლენილი იქნება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 220-ე და 221-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ.

როგორც ჩანს, კორუფციული დანაშაულების (მათ შორის 182-ე, 332-ე, 220-ე, 338-ე და 221-ე მუხლები) წინააღმდეგ ბრძოლას (გამომძიებას) ახორციელებს მინიმუმ სამი სამართალდამცავი უწყება. პირველი და ძირითად შემთხვევაში არის საქართველოს პროკურატურა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ცალკე დამოუკიდებელ სამმართველოდ არის შექმნილი კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო. ეს სამმართველო სპეციალიზირებულია კორუფციულ დანაშაულებზე, თუმცა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ნაწილიც იძიებს კორუფციულ დანაშაულებს.

როგორც გაირკვა, მეორე უწყება არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კერძოდ, ამ სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო (დეპარტამენტი), რომლის ამოცანებში მითითებულია „სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება“²¹. ხოლო მესამე

²¹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის N8 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“, 01/08/2015.

უწყება, არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის²² მე-7 მუხლის შესაბამისად, ამ სამსახურის ერთ-ერთ მიზანს და ამოცანას წარმოადგენს „საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულისა და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა“. როგორც აღინიშნა, კორუფციულ დანაშაულებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მხოლოდ მაშინ იძიებს, თუ ეს დანაშაული მათ მიერ არის გამოვლენილი ოპერატიული საქმიანობის შედეგად, ხოლო სხვა შემთხვევაში (ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების, ინფორმაციის განმცხადებლის მიერ მოწოდების) ეს მუხლები განეკუთვნება საქართველოს პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას.

ამასთან, როგორც ზემოთ ითქვა, კორუფციული დანაშაულის ჩადენა, ასევე შესაძლებელია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ქონების თაღლითურად დაუფლების გზითაც, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. სსკ-ის 180-ე მუხლი კი განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის, ანუ პოლიციის საგამოძიებო ქვემდებარეობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად ყველა საგამოძიებო ორგანო (გარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და სამხედრო პოლიციისა) ჩართული არის კორუფციული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ევროინტეგრაციის გზაზე, 2023 წელს, ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოში შეიქმნა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - ანტიკორუფციული ბიურო, რომლის „ამოცანაა, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში, ხელი შეუწყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას“²³, თუმცა ამ უწყებას საგამოძიებო უფლებამოსილება არ აქვს მინიჭებული.

²² იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 03/11/2009.

²³ იხ. სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის N1 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“, 08/03/2023.

IV თავი. კორუფციული დანაშაულების ამსრულებელი სუბიექტი

როგორც უკვე აღინიშნა, კორუფციული დანაშაულები გათვალისწინებულია არა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავში (მაგ.: 332-ე, 333-ე, 338-ე მუხლი), არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში (მაგ.: 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და ასევე, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში (220-ე და 221-ე მუხლი). ყველა სახის კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია, თუმცა საჯარო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულების ამსრულებელი განსხვავებულია კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულების ამსრულებლისგან.

1. საჯარო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი

როგორც გაირკვა, საჯარო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია, უფრო კონკრეტულად კი, იგი შეიძლება იყოს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს სსკ-ის სამოხელეო დანაშაულების თავში, სადაც ყველა კორუფციულ სამოხელეო დანაშაულის (332-ე, 333-ე, 338-ე მუხლი) დისპოზიციაში პირდაპირაა მითითება, რომ მათი ჩადენა ხდება, მხოლოდ, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.

წინამორბედი საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, დღევანდელი მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით, ამ დანაშაულების ამსრულებელ სპეციალურ სუბიექტად მიიჩნევდა არა მოხელეს და მასთან გათანაბრებული პირს, არამედ **თანამდებობის პირს** და მისი ცნება განმარტებული ჰქონდა ცალკე, 185-ე მუხლში. ამ ნორმის თანახმად, „*თანამდებობის პირებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშვნით ან არჩევით და აგრეთვე ცალკეული დავალებების ძალით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში ასრულებენ მოვალეობებს, დაკავშირებულს სახელმწიფო ხელისუფლების აქტების, ან*

განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებასთან“. დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს ასეთი ზოგადი ტერმინის, თანამდებობის პირის ცნებას, თუმცა, კონკრეტულად სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ამ დანაშაულების ჩადენას მიიჩნევს დამამძიმებელ გარემოებად. ამასთან, მოქმედ კოდექსში, არაა განმარტებული არც მოხელის და არც მასთან გათანაბრებული პირის ცნება. ვინაიდან, აუცილებელია განისაზღვროს არის თუ არა პირი სამოხელეო დანაშაულების ამსრულებელი, უნდა გაირკვეს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ცნება. ამისათვის კი საჭიროა სხვა სამართლებრივი აქტების გამოყენება.

1.1. მოხელე

2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი²⁴ განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუს და კანონის მიზნებიდან გამომდინარე ახდენს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა კლასიფიკაციას. ამ კანონის, მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის „*პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი*“. როგორც ირკვევა, საჯარო მოსამსახურე თავის თავში მოიცავს მოხელესაც და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებსაც. სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის, ქმედების სამოხელეო დანაშაულად სწორად კვალიფიკაციისთვის საჭიროა კონკრეტულად მოხელის ცნების სწორად განსაზღვრა. ხსენებული კანონის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად „*პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე (შემდგომ – მოხელე)* – პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ **საჯარო სამსახურის** სამტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და

²⁴ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, (დოკუმენტის ნომერი 4346), 27/10/2015.

სამართლებრივი დაცვის გარანტიებს“. კანონის ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, როგორც *ი. დვალაძე* მართებულად უთითებს, მოხელეს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ინიშნება უვადოდ;
- ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე;
- ინიშნება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ;
- ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას;
- ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.²⁵

ამ ჩამონათვალიდან ერთ-ერთი ნიშანი მაინც თუ გამოაკლდება, სახეზე არ იქნება მოხელე და შესაბამისად, ასეთი პირი ვერ იქნება სსკ-ის სამოხელეო დანაშაულების შესაბამისი ამსრულებელი. ამასთან, ხსენებული ავტორი იქვე მართებულად უთითებს, რომ მოხელე საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს (საქართველოს სახელმწიფოს) სახელით, ანუ ამ განმარტებაში იგულისხმება, მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს მოხელეები და არა უცხო ქვეყნის მოხელეები და თანამდებობის პირები. მათზე სამოხელეო დანაშაულების გავრცელების მიზნით, კანონმდებელმა სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში სპეციალური დათქმა შეიტანა.²⁶ კერძოდ, სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის თანახმად,

„ამ თავის მიზნებისათვის, მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), ნებისმიერ პირს, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა

²⁵ იხ. *დვალაძე ი.*, მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ცნება ქართულ სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი, კონფერენციის მასალები: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, რედ.: ბაჩანა ჯიშყარიანი, მარტინ ჰაულ ვასმერი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვერდი: 69-70.

²⁶ იხ. იქვე, გვ. 70.

სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, აგრეთვე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, უცხო ქვეყნის ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს“.

ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავის ზოგიერთ მუხლში (სსკ-ის 332-ე, 333-ე, და 338-ე) დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია ამ დანაშაულების ჩადენა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, საჭიროა ტერმინის „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის“ დაზუსტება. მოხელის ცნებისგან განსხვავებით, აღნიშნულის დადგენა შედარებით მარტივია, რადგან ასეთ თანამდებობის პირებს ერთმნიშვნელოვნად, სრულად და ზუსტად ჩამოთვლის საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, კერძოდ, მისი მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, ესენი არიან, „საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები“. ამავე მუხლის „ი“ პუნქტით განსაზღვრულია პოლიტიკური თანამდებობის პირები, თუმცა ამ პირების ჩამონათვალი სისხლის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე არარელევანტურია, რადგან საქართველოს სსკ-ის არც ერთ მუხლს არ აქვს დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ითვალისწინებს მის ჩადენას პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ. შესაბამისად, თუ ასეთმა პოლიტიკურმა თანამდებობის პირმა (სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე) ჩაიდინა სამოხელეო დანაშაული, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

დაეკისრება, როგორც მოხელეს და არა როგორც პოლიტიკურ თანამდებობის პირს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის²⁷ მე-2 მუხლის პირველი ნაწილში სახელდებით ჩამოთვლილია თანამდებობის პირები, რომლებიც ამომწურავი არ არის. ამ მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირების განმარტება (სახელდებით ჩამოთვლა) ასევე არარელევანტურია სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის. ხსენებულ მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ სწორედ ამ კანონის („კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“) მიზნებისთვისაა დაკონკრეტებული ეს თანამდებობის პირები. ეს კანონი კი, მისი პირველი მუხლის მიხედვით, სხვა მიზნების და ამოცანების განხორციელებასთან ერთად, არეგულირებს *„თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის, წარდგენილი დეკლარაციების მონიტორინგის პირობებსა და მექანიზმებს“*.²⁸ შესაბამისად, სწორედ ამის გამო, საჭირო გახდა შეძლებისდაგვარად ამომწურავად ჩამოეთვალა ყველა თანამდებობის პირი, ვისაც ავალდებულებს ეს კანონი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირებას.

მოხელესთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ სწორადაა მითითებული ლიტერატურაში, რომ მოხელეებად არ ჩაითვლებიან მედიცინის მუშაკები, პედაგოგები (თუნდაც საჯარო დაწესებულებაში მსახურობდნენ), ადვოკატები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას, რადგან ხსენებული პროფესიის წარმომადგენლები, პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებისას ემყარებიან მეცნიერების იმ დარგის მიღწევას, რომლის წარმომადგენლებიც თავად არიან.²⁹ თუმცა იქვე, ასევე მართებულად მითითებულია, რომ ზოგჯერ შეიძლება ეს პირები ჩაითვალოს მოხელესთან გათანაბრებულ პირებად, როდესაც ასრულებენ თავის ადმინისტრაციულ ფუნქციებს.³⁰

²⁷ საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17/10/1997(ამ კანონს, 2022 წლის 30 ნოემბრამდე, ეწოდებოდა - საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონი“).

²⁸ იხ. დასახ. კანონი, პირველი მუხლი.

²⁹ იხ. *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020, გვ. 359-361.

³⁰ იხ. იქვე, გვ. 359.

ახლა უნდა გაირკვეს, მოხელედ ითვლება თუ არა, მაგალითად, მოსამართლე, პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის წინამორბედი ვერსიით³¹, რომელიც მოქმედებდა 2015 წლის ოქტომბრის კანონის მიღებამდე, საჯარო სამსახურად მიიჩნეოდა საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამ უკანასკნელი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურის სახე არის **სახელმწიფო სამსახური** და შესაბამისად, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *საჯარო მოსამსახურე* (შემდგომში წოდებული – მოსამსახურედ) *ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში*. იქვე მე-5 მუხლში მითითებული იყო, რომ საჯარო სამსახურს ეწევა როგორც მოხელე, ისე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, დამხმარე მოსამსახურე და შტატგარეშე მოსამსახურე. ამასთან, მე-6 მუხლში იყო მოხელის ცნება განმარტებული, რომლის მიხედვითაც, „*მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე*“. ძველი კანონიდან გამოდინარე, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- **საჯარო მოსამსახურის ცნება** აერთიანებდა სახელმწიფო მოსამსახურეს და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს და გულისხმობდა ნებისმიერ პირს, რომელიც დასაქმებული იყო სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში და იღებდა ანაზღაურებას (მათ შორის შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეს).
- **მოხელე**, წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურის ერთ-ერთ სახეს და იყო ყველა პირი, რომელიც ინიშნებოდა ან აირჩეოდა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე.

შესაბამისად, ძველი კანონით, მოსამართლეებიც და პროკურორებიც, რომლებიც არიან სახელმწიფო მოსამსახურეები, უდავოდ წარმოადგენდნენ საჯარო მოსამსახურეებს,

³¹ იხ. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, (დოკუმენტის ნომერი 1022), 31/10/1997, (ძალადაკარგულია - 27/10/2015).

კერძოდ, მათ ერთ-ერთ სახეს, მოხელეს, რადგან ისინი ინიშნებიან საშტატო თანამდებობაზე.

ახლა უნდა გაირკვეს, რა შეიცვალა ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა კანონმა შემოიღო ტერმინი „პროფესიული საჯარო მოხელე“ და სწორედ ამ ტერმინს იყენებს მოხელის ნაცვლად. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლშივე (კანონის რეგულირების სფერო) აღნიშნული, რომ ეს კანონი სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს.

უმთავრესი ცვლილება, რაც განხორციელდა, არის ის, რომ ახალი კანონი **მოსამართლეებს, პროკურორებს, პროკურატურის გამომძიებლებს** და კიდევ მისი მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სხვა პირებს, **აღარ მიიჩნევს საჯარო მოსამსახურეებად**. კერძოდ, მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურის განმარტებაში მითითებულია, რომ *საჯარო სამსახური არის მათ შორის სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა, გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა*. შესაბამისად, თუ ამ პირთა საქმიანობა არ არის საჯარო სამსახური, მაშინ ისინი, ბუნებრივია, ვერ იქნებიან საჯარო მოსამსახურეები. ვინაიდან, ახალი კანონი ამ პირებს არ თვლის საჯარო მოსამსახურეებად, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მათ ვერც მოხელეებად მიიჩნევს, რადგან პროფესიული საჯარო მოხელის განმარტებისას, ეს კანონი, მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტში უთითებს, რომ ასეთი მოხელეები ინიშნებიან **საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე**. თუ მათი საქმიანობა საჯარო სამსახური არაა, ისინი არ ინიშნებიან საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე და შესაბამისად, ისინი არც მოხელეებს წარმოადგენენ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მოსამართლეზე, პროკურორზე, პროკურატურის გამომძიებელზე და კიდევ სხვა პირებზე. ერთი შეხედვით, ეს ჩანაწერი შეიძლება აღქმულ იქნას ისე, რომ თითქოს მოსამართლე ან პროკურორი და პროკურატურის გამომძიებლები მოხელეები არ არიან.

თუმცა, უნდა გაირკვეს რამდენად მართებულია ის, რომ მოხელეებად არ მიიჩნეოდნენ მოსამართლეები და პროკურატურის თანამშრომლები. აღნიშნული პირები, რომ სისხლის სამართლის მიზნებისთვისაც, მოხელეებად არ იქნას მიჩნეული, მაშინ მოსამართლის ან პროკურატურის თანამშრომლის მიერ ქრთამის აღების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარეს მოუწევს მტკიცება, რომ, მართალია, ამ ქმედების ჩამდენი პირი მოხელე არ არის, მაგრამ წარმოადგენს **მოხელესთან გათანაბრებულ პირს**.

სამოხელეო დანაშაულების ამსრულებელი უმთავრესად არის მოხელე, ხოლო თუ მოხელის განმარტება ვერ მოიცავს კონკრეტული დანაშაულის ამსრულებელს, ბრალდების მხარე, სისხლის სამართლის საქმეზე ცდილობს იგი მოაქციოს მოხელესთან გათანაბრებული პირის დეფინიციაში მაინც და უწევს იმის მტკიცება, რომ პირი ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და მისი მიერ ქრთამის აღების შემთხვევაშიც ილახება დაცული სიკეთე - სახელმწიფო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება, სახელმწიფოს პრესტიჟი და ავტორიტეტი. თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარეც, „მოხელესთან გათანაბრებული პირი“ გულისხმობს, რომ, მართალია, ასეთი პირები პირდაპირ არ არიან სამოხელეო დანაშაულების ამსრულებლები, თუმცა კანონმდებელმა ჩათვალა, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ისინიც უნდა დასჯილიყვნენ ამ ქმედებების ჩადენისთვის. მოხელესთან გათანაბრებული პირებად, პირველ რიგში, მიიჩნეოდნენ შტატგარეშე/დამხმარე მოსამსახურეები და კერძო პირები, რომლებიც ახორციელებდნენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, ცოტა პარადოქსულია, ასეთი დამხმარე მოსამსახურე მიჩნეულ იქნას მოხელედ, ხოლო მოსამართლე და პროკურორი არა. მაგალითად, სამინისტროს რიგითმა სპეციალისტმა თუ აიღო ქრთამი, ის ცალსახად სამოხელეო დანაშაულების ამსრულებლად ითვლება, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი მას პირდაპირ მოხელეს უწოდებს, ხოლო თუ ქრთამი პროკურორმა ან მოსამართლემ აიღო, აქ სამტკიცებელია, არის თუ არა ის სამოხელეო დანაშაულების ამსრულებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არამართებულია, რომ სისხლის სამართლის მიზნებისთვის, მოხელედ არ იქნენ მიჩნეულნი ეს პირები,

მიუხედავად იმისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი მათ მოხელეებს უწოდებს თუ სახელმწიფო მოსამსახურეებს. მაშინ ისმის კითხვა, რაზე დაყრდნობით უნდა მივიჩნიოთ ისინი მოხელეებად სისხლის სამართლის მიზნებისთვის? როგორც აღინიშნა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს, პროკურორებს და სხვა პირებს არ თვლის საჯარო მოსამსახურეებად და აქედან გამომდინარე, ვერ ხვდება მოხელის განმარტებაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომლის მე-2¹ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ ამ კანონის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურეები აგრეთვე არიან ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები. ხოლო მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებულია მოსამართლეები და პროკურორები. აქედან გამომდინარე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისგან განსხვავებით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მოსამართლეებსაც და პროკურორებსაც მიიჩნევს საჯარო მოსამსახურეებად. შესაბამისად, თუ ეს პირები საჯარო მოსამსახურეები არიან, მაშინ მათი მოხელედ განმარტების პრობლემაც აღარ იქნება.

სისხლის სამართლის მიზნებისთვის, გამოყენებულ უნდა იქნას „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის განმარტება, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისგან განსხვავებით, ამ კანონის რეგულირების სფერო და მიზნები უფრო ახლოს არის სისხლის სამართლის მიზნებთან და ამოცანებთან. კერძოდ, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის, პირველი მუხლის თანახმად, „ეს კანონი ადგენს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლებსა და მექანიზმებს“. სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავის ამოცანაც, სწორედ კორუფციული დანაშაულების პრევენცია და ჩადენილი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაა.

თუ მოსამართლე და პროკურორი მაინც მოხელეა სისხლის სამართლის მიზნებისთვის, მაშინ ერთი შეხედვით, შეიძლება გაუგებარი ჩანდეს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერი, იმის შესახებ, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მათზე. თუმცა, ყველაფერი ცხადი რომ გახდეს, ამისათვის საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ამ კანონის მიზანზე და მისი რეგულირების სფეროზე. ყველა კანონის აქვს თავისი მიზნები და ამოცანები. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზანი, მისივე პირველი მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არის „დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“.

ახლა უნდა გაირკვეს რა არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი და რეგულირების სფერო. მისი პირველი მუხლის თანახმად, „ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა“. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის (კანონის რეგულირების სფერო) თანახმად, „ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს, აწესრიგებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“. მოკლედ რომ ითქვას, როგორც ამ მუხლებიდან ირკვევა, კანონის მიზანია შესაბამისი ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, ხოლო რეგულირების სფერო არის:

1. განსაზღვროს საჯარო მოსამსახურის სტატუსი;
2. განსაზღვროს მოხელის დასაქმების და სამსახურის გავლის პირობები;
3. განსაზღვროს საჯარო სამსახურის მართვის საკითხები;

4. მოაწესრიგოს საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობები.

აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით იქმნება საჯარო სამსახურის ბიურო, რომლის მთელი რიგი ფუნქციები გაწერილია ამავე კანონის 21-ე მუხლში, სადაც ასევე მითითებულია, რომ ბიურო შეისწავლის და აანალიზებს საჯარო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას; მონიტორინგს უწევს საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შესრულებას, შეისწავლის და განაზოგადებს მოხელეთა სამსახურში მიღების, შეფასების, კარიერული განვითარების, კარიერის მართვის, პროფესიული განვითარების, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ეთიკის ნორმების დაცვის, აგრეთვე სამსახურიდან გათავისუფლების არსებულ პრაქტიკას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. ამავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შეიმუშავების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საჯარო სამსახურის საბჭო, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო, რომელიც ამავე მუხლი მე-5 პუნქტის თანახმად, განიხილავს წინადადებებს საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფისათვის, ისმენს საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიშს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და სხვა.

როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო, ბიუროს მეშვეობით, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად ზედამხედველობს და მონიტორინგს უწევს საჯარო სამსახურის სფეროში საქმიანობას. სწორედ ამიტომაც, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსამართლეები და პროკურორები არ მიიჩნევიან საჯარო მოსამსახურეებად და ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მათზე, რადგან საქართველოს პროკურატურა და სასამართლო არიან დამოუკიდებელი, კონსტიტუციური ორგანოები და მათი საქმიანობა დარეგულირებულია სხვა სპეციალური კანონმდებლობით. ამასთან ხსენებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია სტაჟირების, მოხელეთა სამსახურში მიღების/გათავისუფლების წესი, მათი წახალისებისა და გადაცდომისათვის

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი. ეს, ბუნებრივია, არ უნდა გავრცელდეს, მაგალითად, პროკურატურის თანამშრომლებზე, რადგან ცალკე არსებოს საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“³², რომლის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი „განსაზღვრავს საქართველოს პროკურატურის სტატუსს და დამოუკიდებლობის გარანტიებს“. სწორედ ამ სპეციალური ორგანული კანონითაა დარეგულირებული პროკურატურის ამოცანები, პროკურატურის თანამშრომლის მიერ სტაჟირების გავლის, თანამდებობის დაკავების წესი და კრიტერიუმები, მათ დაწინაურება, რანგირება, სოციალური დაცვის გარანტიები, დათხოვნა და მათთვის დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. იგივენაირად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, არ ვრცელდება მოსამართლეებზე, რადგან მათი საქმიანობა და ხსენებული საკითხები, ამ შემთხვევაშიც, რეგულირდება სხვა სპეციალური კანონმდებლობით.³³

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის მიზნებისთვის, გამოყენებულ უნდა იყოს **საჯარო მოსამსახურის** არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისმიერი განმარტება, არამედ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტება და მოსამართლეები და პროკურორები მაინც უნდა იქნან მიჩნეულნი მოხელეებად. თუმცა, ვინაიდან ახალმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმა შემოიღო საჯარო მოსამსახურის და მოხელის ახლებური განმარტება, რომლებმაც კითხვები გააჩინა კონკრეტულ პირთა მოხელის სტატუსთან დაკავშირებით, საჭიროა კანონმდებლობაში უფრო მეტი სიცხადის შეტანა, რათა ბრალდების მხარეს არ მოუწიოს სასამართლოში ამდენი მტკიცება, რომ მოსამართლე და პროკურორი სისხლის სამართლის მიზნებისთვის მოხელედ ითვლება. ამისათვის საჭიროა კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით მოხსნის კითხვის ნიშნებს. შედარებისთვის, გერმანიის სსკ-ის მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე ნაწილის ა) პუნქტში მითითებულია, რომ საჯარო მოხელე („Amtsträger“, ინგლისურად - „Public official“) გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც გერმანიის კანონმდებლობის საფუძველზე, არის **საჯარო მოსამსახურე ან**

³² საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 13/12/2018.

³³ იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 04/12/2009.

მოსამართლე. როგორც ჩანს გერმანიის კანონმდებლობაც, მოსამართლეს საჯარო მოსამსახურედ არ მიიჩნევს და ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობის პირდაპირი მითითება, რომ მოსამართლეც არის საჯარო მოხელე.

აღნიშნულიდან გამოდინარე, სადისერტაციო ნაშრომით შემოთავაზებულია წინადადება სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში საკანონმდებლო ცვლილების შესახებ, იმ თვალსაზრისით, რომ მოხელედ მიეთითოს კონკრეტულად ის პირები, რომლებისთვისაც ეს სტატუსი სადავო გახდა ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით. კერძოდ, საქართველოს 332-ე მუხლის შენიშვნას დაემატოს კიდეც ერთი ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ამ თავის მიზნებისათვის, მოხელე ასევე გულისხმობს მოსამართლეს, პროკურორს, პროკურატურის გამომძიებელს და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სხვა პირებს.“

1.2. მოხელესთან გათანაბრებული პირი

1.2.1. სსკ-ის 332-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) შენიშვნაში პირდაპირი მითითებული მოხელესთან გათანაბრებული პირები

იქიდან გამომდინარე, რომ მოხელისგან განსხვავებით, „მოხელესთან გათანაბრებული პირი“, არსად საკანონმდებლო აქტებში არაა ზუსტად განმარტებული, ამიტომ წარმოადგენს ქმედების შემაღვენლობის შეფასებით ნიშანს და აუცილებელია განისაზღვროს ვინ იგულისხმებიან მასში. ერთადერთი შემთხვევა, სადაც კანონმდებელი პირდაპირ უთითებს ვინ არიან მოხელესთან გათანაბრებული პირები, მოცემულია საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ „*მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს*“ და შემდეგ ჩამოთვლის უცხო ქვეყნის კონკრეტული თანამდებობის, თუ თანამდებობის არმქონე პირებს. ამ მუხლის შენიშვნის სხვა ნაწილებში არაა ასეთი პირდაპირი მითითება მოხელესთან გათანაბრებულ პირზე და უბრალოდ აღნიშნულია, რომ ამ თავით გათვალისწინებული (მათ შორის კონკრეტული დანაშაულების) დანაშაულების ამსრულებლები ასევე არიან ესა თუ ის პირები. მიუხედავად ამისა,

როგორც ი. დვალიძე მართებულად უთითებს, აღნიშნული პირები, მოხელესთან გათანაბრებული პირის დეფინიციაში უნდა მოექცეს.³⁴

ახლა კი უნდა გაირკვეს, თუ ვინ არიან სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში მითითებული მოხელესთან გათანაბრებული პირები. წლების განმავლობაში, მრავალი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შედეგად მიიღო არსებული სახე დღევანდელი რედაქციით არსებულმა სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნამ. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებიდან (22/07/1999 წლიდან) 2003 წლის 14 აგვისტომდე, სსკ-ის 332-ე მუხლს საერთოდ არ ჰქონდა შენიშვნა, შესაბამისად კოდექსი არანაირ მინიშნებას და მითითებას არ იძლეოდა იმის შესახებ, თუ ვინ ითვლებოდა მოხელესთან გათანაბრებულ პირად. 2003 წლის აგვისტოში, სსკ-ის 332-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის შენიშვნა³⁵: *„შენიშვნა: ამ თავის 332-ე, 333-ე, 334-ე, 335-ე, 336-ე, 338-ე, 339-ე, 341-ე და 342-ე მუხლებით დადგენილი სამოხელეო დანაშაული ასევე გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ დანაშაულსაც“*. შემდეგ 2005 წლის დეკემბერში განხორციელდა ცვლილებები³⁶ და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელთა გარდა, ამ მუხლების ამსრულებელ სუბიექტად, კანონმდებელმა მიუთითა ასევე ადმინისტრაციული აქტის გამომცემი თანამდებობის პირი. შესაბამისად, შენიშვნა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: *„შენიშვნა: ამ თავის 332-ე, 333-ე, 334-ე, 335-ე, 336-ე, 338-ე, 339-ე, 341-ე და 342-ე მუხლებით დადგენილი სამოხელეო დანაშაული ასევე გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელთა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციული აქტის გამომცემი თანამდებობის პირის (მათ შორის, შესაბამისი კოლეგიალური ორგანოს წევრების) მიერ ჩადენილ*

³⁴ იხ. *დვალიძე ი.*, მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ცნება ქართულ სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი, კონფერენციის მასალები: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, რედ.: ზაჩანა ჯიშყარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვერდი: 67.

³⁵ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 14/08/2003.

³⁶ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 16/12/2005.

დანაშაულსაც“. 2006 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილების შედეგად³⁷, სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში პირველად ჩნდება ტერმინი - „საჯარო უფლებამოსილება“ და ეს შენიშვნა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „*შენიშვნა: ამ თავით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაული ასევე გულისხმობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელთა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას.*“ ხოლო 2008 წლის ოქტომბერში განხორციელებული ცვლილებებით³⁸, შენიშვნაში გაჩნდა ჩანაწერი - „*აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.*“

როგორც ჩანს, კანონმდებელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სრულად ვერ ჩამოთვლიდა მოხელესთან გათანაბრებულ პირებს, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების გარდა, ასეთ უფლებამოსილებას შეიძლება სხვა ნებისმიერი პირიც ახორციელებდეს. გარდაუვალია საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილების დელეგირება სახელმწიფოს მხრიდან კერძო პირზე, რადგან კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფოც აქტიურად იღებს მონაწილეობას. 2008 წლის ოქტომბრის შემდეგ, კიდევ არაერთი ცვლილება განხორციელდა³⁹ სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში და დღევანდელი რედაქციით ამ შენიშვნას სამი ნაწილი აქვს. იგი მდგომარეობს შემდეგში:

³⁷ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 25/07/2006.

³⁸ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 23/10/2008.

³⁹ იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 19/12/2008; საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 24/09/2010; საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 28/10/2011; საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 18/03/2015; საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 01/07/2020.

1. „ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები არიან აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები, საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის), კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.

2. ამ თავის მიზნებისათვის, მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), ნებისმიერ პირს, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, აგრეთვე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, უცხო ქვეყნის ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს.

3. ამ კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები ასევე არიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის არბიტრაჟების წევრები, ხოლო ამ კოდექსის 338-ე–339-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები – ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას“.

პირველ რიგში უნდა გამოიყოს მოხელესთან გათანაბრებული ის პირები, რომლებსაც სსკ-332-ე მუხლის შენიშვნა პირდაპირ ასახელებს. ესენია შემდეგი პირები:

- საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები;
- საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის);
- კერძო აღმასრულებლები;
- საქართველოს და უცხო ქვეყნის არბიტრაჟის წევრები (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის);
- ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები) (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე-339¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის);
- უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირი (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრი)
- ნებისმიერ პირი, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის;
- საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირი ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელი, აგრეთვე ნებისმიერი მივლინებული ან არამივლინებული პირი, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს;
- უცხო ქვეყნის ნაფიცი მსაჯულები;
- საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრი;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელი;
- საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლე და თანამდებობის პირი.

ესენი არიან მოხელესთან გათანაბრებული ის პირები (როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის), რომლებსაც სახელდებით ჩამოთვლის სსკ-ის 332-ე მუხლი. თუმცა, შენიშვნის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი არის ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.

1.2.2. ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნა იძლევა მოხელესთან გათანაბრებულ პირთა კონკრეტულ ჩამონათვალსაც და დამატებით შემოაქვს ისეთი შეფასებითი ცნება, როგორიცაა **საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება**. კონკრეტულად კი, უთითებს, რომ სამოხელეო დანაშაულების ამსრულებელი შეიძლება იყოს **ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას**. აქ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ასეთი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი. სხვა ნებისმიერ პირში, ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა პირი, რომელიც არაა მოხელე და არც სახელდობრ არაა მითითებული სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნა, თუმცა ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. როდესაც აქცენტი გაკეთებულია ნებისმიერ პირზე, შეიძლება ითქვას, რომ შენიშვნის პირველ ნაწილში სამოხელეო დანაშაულების სუბიექტად, დამატებითი შემდეგი მითითება - *„საჯარო სამართლის იურიდიული პირების ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას“* - აღარაა საჭირო, რადგან ნებისმიერ პირში, იგულისხმება არამარტო საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლები, არამედ კერძო იურიდიული პირების თანამშრომლებიც და უფრო მეტიც, ფიზიკური პირებიც, თუ რა თქმა უნდა, ეს პირები ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. ანუ შენიშვნის ბოლო წინადადება - *„ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას“*, ბერვად უფრო ფართოა და თავის თავში მოიცავს სსიპ-ის იმ თანამშრომლებსაც, რომლებიც ამგვარ უფლებამოსილებას ახორციელებენ, ამიტომ, როგორც ითქვა, შენიშვნაში სსიპ-ის თანამშრომლებზე ცალკე მითითება ზედმეტია, თუ კანონმდებელი არ დააკონკრეტებს სსიპ-ის ამ თანამშრომლებს.

რა იგულისხმება საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში? ვინ ითვლებიან ასეთი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებად?

ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად საჭიროა ისეთი სამართლის დარგების მოხმობა, როგორიცაა კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი. საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებამდე, ჯერ უნდა გაირკვეს, რა იგულისხმება საჯარო მმართველობაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. აღმასრულებელი ხელისუფლება (რომლის უმაღლესი ორგანოა მთავრობა) არის **საჯარო მმართველობის** განმახორციელებელი ხელისუფლების შტო.⁴⁰ საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც შედის სახელმწიფოს მმართველობის, განსაკუთრებული გამგებლობის სფეროში. მაგალითად, კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა **განსაკუთრებულ გამგებლობას** მიეკუთვნება, რკინიგზა, საავტომობილო გზები, კავშირგაბმულობა, მათ შორის თევზჭერა ზღვაში და სხვა კიდევ უამრავი საკითხი. იქვე მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით. ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“⁴¹ მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შედის წყალმომარაგების უზრუნველყოფა, მუნიციპალური ნარჩენების მართვა, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება და სხვა მრავალი, რომლებსაც ახორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები. ამასთან საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში, ასევე პირდაპირ გაწერილია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გარკვეულ საკითხებზე. მაგალითად, მისი მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, *„სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე“*, ხოლო მე-6 პუნქტის მიხედვით, *„სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე“*. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები და სხვა კიდევ მრავალი,

⁴⁰ იხ. **ტურავა პ.**, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, გვ. 14.

⁴¹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 19/02/2014.

წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველობის და გამგებლობის სფეროს. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **საჯარო მმართველობის ეფექტიანობას** და სხვა საკითხებს, ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ადმინისტრაციული სამართლის ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, „საჯარო მმართველობა გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მიერ განხორციელებულ მართვას. „სახელმწიფო აპარატი“ ფართო გაგებით გულისხმობს ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს“⁴². ორგანიზაციული და მატერიალური გაგებით კი, „*საჯარო მმართველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე, საჯარო მმართველობის, როგორც ფუნქციის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, წინასწარ განსაზღვრული მიზნების და სამართლებრივი ბოჭვის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, რომელიც არ არის კანონშემოქმედება, მართლმსაჯულება და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები*“⁴³. მართებულადაა მითითებული, რომ მაგალითად კანონშემოქმედება და მართლმსაჯულება არ შედის საჯარო მმართველობაში, რადგან ამას ახორციელებს არა აღმასრულებელი, არამედ ხელისუფლების სხვა შტოები, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. შესაბამისად, მათი საქმიანობის შემოწმების უფლება არ აქვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

როგორც ერთ-ერთი გერმანელი ავტორი უთითებს, სახელმწიფო სულ უფრო აფართოებდა პასუხისმგებლობის სფეროს და მოიცავს საქმიანობებს, რომლებიც გასცდა კლასიკური, ვიწრო, სუვერენული ამოცანების შესრულებას და გულისხმობს ასევე გაფართოებულ საჯარო სერვისების მომსახურების ადმინისტრირების სფეროს. ფუნქციის ეს ცვლილება ნიშნავდა, რომ ბევრ ადამიანს დაევალა საჯარო მმართველობის ამოცანების შესრულება ისე, რომ არ იყოს დასაქმებული საჯარო სამსახურში და არ გადაეცეს საჯარო თანამდებობა.⁴⁴ შესაბამისად, დღესდღეობით

⁴² *ტურავა პ., წვეპლაძე ნ.*, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე (გადამუშავებული გამოცემა), გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, გვ. 13.

⁴³ *ტურავა პ.*, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, გვ. 17.

⁴⁴ იხ. *Heinrich B.*, Der Amtsträgerbegriff im Strafrecht, Duncker & Humblot, Berlin, 2001, S. 85.

სახელმწიფოები თავის მოვალეობებს ყოველთვის მხოლოდ პირდაპირ საკუთარი ორგანოების მეშვეობით არ ასრულებენ. სახელმწიფო საჯარო ამოცანების შესრულებას ასევე ახორციელებს კერძო-სამართლებრივი ფორმით. თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის კვალდაკვალ სულ უფრო იზრდება მოქალაქეების დამოკიდებულება სახელმწიფოზე. სახელმწიფოს მოსახელობისადმი დახმარება გამოიხატება, მათი წყლით, ელექტრო ენერგიით, ბუნებრივი აირით მომარაგების და საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფაში. ასევე ისეთი სერვისებით უზრუნველყოფაში, როგორებიცაა დასუფთავება, სასაფლაოების მოწყობა, ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების სამსახური და სხვა.⁴⁵ აღნიშნული სერვისები, სახელმწიფოს მხრიდან, როგორც წესი, ხორციელდება კერძო სამართლის ფორმების გამოყენებით, თუმცა ეს წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელებას, მიუხედავად იმისა, ასეთი კერძო სამართლის ფორმით შექმნილ საწარმოში (ან სხვა ორგანიზაციაში), სახელმწიფო წილებს სრულად ფლობს, ნაწილობრივ, თუ საერთოდ არ ფლობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის⁴⁶ 27-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება არის: „ადმინისტრაციული ორგანო, *სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში*“. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ორგანოს, ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, **ადმინისტრაციული ორგანო** არის „ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. როგორც ჩანს, პირი რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, მოხელესთან გათანაბრებულ პირთან ერთად (სსკ-ის მიზნებისთვის), ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისთვის, ასევე

⁴⁵ იხ. *ტურავა პ., წვეპლაძე ნ.*, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე (გადამუშავებული გამოცემა), გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, გვ. 19-22.

⁴⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 25/06/1999.

წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს (რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).⁴⁷

იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის მითითებული, რომ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება გულისხმობს მმართველობის განხორციელებას და ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება აერთიანებს იმ **ფიზიკურ და იურიდიულ პირებს**, რომლებიც მართალია არ არიან სახელმწიფო ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.⁴⁸ სხვა პირებში იგულისხმება, ის კერძო პირები, რომელთა საქმიანობა კანონით განსაზღვრულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოების ტოლფას მოქმედებად მიიჩნევა.⁴⁹ ფიზიკურ პირზე, მაგალითისთვის შეიძლება ითქვას კერძო აღმასრულებელზე, რომელიც პირდაპირაა მითითებული სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“⁵⁰ საქართველოს კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ ის ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. კერძოდ, ამ კანონის 14⁶ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“. მისი უფლება-მოვალეობები დეტალურადაა გაწერილი ამ კანონში და შეიძლება ითქვას, რომ მასზე, კანონით და შესაბამისი ლიცენზიით არის სახელმწიფოსგან დელეგირებული საჯარო

⁴⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აწესრიგებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

⁴⁸ იხ. **ტურავა პ., წიკლაძე ნ.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

⁴⁹ იხ. იქვე, გვ. 33.

⁵⁰ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 16/04/1999.

უფლებამოსილების (ამ შემთხვევაში სააღსრულებო საქმიანობის) განხორციელება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო აღმასრულებელი სსკ-ის მიზნებისთვის არის მოხელესთან გათანაბრებულ პირი, ხოლო, ადმინისტრაციული სამართლის მიზნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფიზიკური პირია, მაინც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და საქმიანობის განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად „კერძო საგადასახადო ინსპექტორზე“, რომელიც მოქმედებდა 2011-2015 წლებში და ის ხელფასს გამომუშავებული ჰონორარის სახით იღებდნენ გამოვლენილი სამართალდარღვევების ხარჯზე. მას შეეძლო სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და გადასახადის გადამხდელის დაჯარიმება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის N994 ბრძანებაში⁵¹ 2011 წლის ივნისში შევიდა ცვლილება და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საკონტროლო შესყიდვის განმახორციელებელ პირად დაემატა - კერძო საგადასახადო ინსპექტორი. ამ ბრძანების იმდროინდელი მე-15¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *„კერძო საგადასახადო ინსპექტორი ამ თავის მიზნებისთვის წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვას“*, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის⁵² 49-ე მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული იყო შემდეგი: *„საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით საქართველოს საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საგადასახადო კონტროლის ცალკეული სახეები შესაძლებელია განხორციელოს სხვა პირმა. საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევასა და საგადასახადო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“* კერძო აღმასრულებლისგან განსხვავებით, მართალია, კერძო საგადასახადო ინსპექტორზე პირდაპირ არა იყო მითითებული, რომ ის ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, თუმცა ცალსახად

⁵¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N994 ბრძანება, „მომდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, 31/12/2010.

⁵² საქართველოს საგადასახადო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 17/09/2010.

უნდა ითქვას, რომ როდესაც პირი საგადასახადო კონტროლის ცალკეულ სახეს ახორციელებს, ადგენს სამართალდარღვევათა ოქმს და აჯარიმებს გადამხდელს, რა თქმა უნდა, ის ახორციელებს სახელმწიფოსგან გადაცემულ/დელეგირებულ საჯარო მმართველობას. ამ შემთხვევაში, როგორც ფინანსთა მინისტრის ბრძანების ჩანაწერიდან ირკვევა, ასეთი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, კერძო საგადასახადო ინსპექტორზე **დელეგირებულია** შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. 2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით, გაუქმდა კერძო საგადასახადო ინსპექტორის ინსტიტუტი და ხსენებულ ფინანსთა მინისტრის ბრძანებაშიც და საქართველოს საგადასახადო კოდექსშიც მიეთითა, რომ გადასახადის გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო. მოყვანილ მაგალითებში (კერძო აღმასრულებლის და კერძო საგადასახადო ინსპექტორის სახით), ნათლად წარმოჩინდა, თუ როგორ შეიძლება ახორციელებდეს კერძო ფიზიკური პირი საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, ისე რომ არცერთ ორგანიზაციაში არ იყოს დასაქმებული. შესაძლებელია ასეთი საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილება განახორციელოს მაგალითად, თბილისი მერიის შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კონტროლიორმა ავტობუსში უბილეთო მგზავრის დაჯარიმებისას, თუმცა ის მოქმედებს არა როგორც ფიზიკური პირი, არამედ, როგორც საწარმოს - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომელი, რომელსაც თბილისის მერიის მხრიდან დელეგირებული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება. რა თქმა უნდა, აღნიშნული კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივი ფორმითაა შექმნილი, იქნება ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ეს კონტროლიორი, იქნება მოხელესთან გათანაბრებული პირი სსკ-ის მიზნებისთვის.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოსგან, საჯარო მმართველობის დელეგირება, შეიძლება მოხდეს როგორც პირდაპირ კანონის საფუძველზე, ისე ხელშეკრულების გაფორმების გზით. ახლა უნდა გაირკვეს რა სახის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ასეთ დროს. იგი არსებობს ორი ფორმის: ადმინისტრაციული ხელშეკრულება და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. ეს უკანასკნელი გასაგებია, რადგან მისი ფორმები დეტალურადაა დარეგულირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მითითებულია რა დროს რა შინაარსის (მაგ.: ნასყიდობის, სესხის, ქირავნობის,

იჯარის თუ სხვა) ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში სზაკ) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, იგი არის „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება“. როგორც ჩანს, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება და ამ უკანასკნელისგან განსხვავდება მხოლოდ მიზნით. ლიტერატურაში სწორად არის მითითებული, რომ ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი და არ არის არსებითი ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივი სტატუსი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ თუნდაც ორივე მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არაა საკმარისი მისი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისთვის, რადგან შესაძლებელია ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორისაც დაიდოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.⁵³ თუმცა, ასეთი ზოგადი ჩანაწერის გარდა, სზაკ-ი არ აკეთებს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელთა მოსაწესრიგებლადაც შეიძლება ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამოყენება. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ასეთი ხელშეკრულების საშუალებით განსახორციელებელი მოქმედებები დამოკიდებულია კონკრეტულ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებზე, რომელიც იყენებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, როგორც საქმიანობის ფორმას. მთლიანობაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ ხელშეკრულების გამოყენება შესაძლოა უფრო გამართლებული იყოს.⁵⁴

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

საქართველოს კონსტიტუციით და სხვა კანონმდებლობით, სახელმწიფოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების (გარდა საკანონმდებლო და

⁵³იხ. **ტურავა პ.**, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებების და დამატებების მოკლე მიმოხილვა, გამომცემლობა GTZ (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება), თბილისი, 2005, გვ. 26.

⁵⁴იხ. **კიკილაშვილი გ.**, ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2016, გვ. 38-40.

მართლმსაჯულების საკითხებისა) მართვას ეწოდება საჯარო მმართველობა, ხოლო ის პირი, რომელზეც სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელდა ასეთი საჯარო მმართველობის უფლებამოსილების დელეგირება, ითვლება საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირად.

ამრიგად, ასეთი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ნებისმიერი პირი, ეს იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, კერძო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, თუ სხვა დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, გვევლინება საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებლად. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 332-ე მუხლის შესაბამისად, ეს პირები ჩაითვლებიან სამოხელეო დანაშაულების ამსრულებლად, როგორც მოხელესთან გათანაბრებული პირები, რადგან შეუძლებელია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის დაცული სამართლებრივი სიკეთე არ იყოს სახელმწიფოს ინტერესები.

საინტერესოა, ითვლება თუ არა თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი პირი, მაგალითად ადვოკატი, საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ და შესაბამისად მოხელესთან გათანაბრებულ პირად. იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ასეთი პროფესიის მქონე პირები (მათ შორის ადვოკატები), არ ითვლებიან არც მოხელეებად (თუნდაც საჯარო დაწესებულებაში მსახურობდნენ) და არც მოხელესთან გათანაბრებულ პირებად, თუ ისინი საჯარო დაწესებულებაში არ ასრულებენ ადმინისტრაციულ ფუნქციას.⁵⁵ მოხელედ წამდვილად არ ითვლება ადვოკატი, რადგან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის⁵⁶, პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“. გასარკვევია რამდენად მართებულია ის, რომ ყველა შემთხვევაში ადვოკატი არ იქნას მიჩნეული მოხელესთან გათანაბრებულ პირად მაინც. მართალია

⁵⁵ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020, გვ. 359.

⁵⁶ საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 20/06/2001.

კერძო ადვოკატი, ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება ვერც მოხელე და ვერც მასთან გათანაბრებული პირი, რადგან იგი სრულად თავისუფალია თავის პროფესიაში. შეუძლია აიღოს ნებისმიერი სამართლებრივი საქმე, შეუძლია ნებისმიერი მიზეზით უარი თქვას პირისთვის იურიდიულ დახმარებაზე და ასევე შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი რაოდენობის ჰონორარი გაწეული იურიდიული საქმიანობისთვის. თუმცა, განსხვავებული სიტუაციაა საზოგადოებრივი (ე.წ. „სახაზინო“) ადვოკატის შემთხვევაში, რომელიც სახელმწიფო ორგანიზაცია - იურიდიული დახმარების სამსახურშია - დასაქმებული. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის⁵⁷ მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური (შემდგომ - სამსახური) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, სამსახურის დაფინანსების წყაროდ, მითითებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, შესაბამისად, მათ ადვოკატებს ეკრძალებათ იურიდიული დახმარების მიმღები პირებისაგან ჰონორარის მიღება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირაა გათვალისწინებული რომელ ბრალდებულებს ენიშნებათ სავალდებულო დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე⁵⁸, რომელებსაც სწორედ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ე.წ. „სახაზინო“ ადვოკატები ახორციელებენ. შესაბამისად, რადგან სახელმწიფომ სსსკ-ით მიიჩნია, რომ მოწყვლადი ბრალდებულების (არასრულწლოვანებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეებს, გადახდისუუნაროებს და სხვა) უფლებების დასაცავად აუცილებელია სახელმწიფოს ხარჯზე ჰყავდეთ ადვოკატი და ამისათვის ბიუჯეტიდან გამოყო თანხები სამსახურის დასაფინანსებლად, ბუნებრივია, ამ სამსახურის, ადვოკატები, უნდა ჩაითვალოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებად და შესაბამისად სამოხელეო დანაშაულების ამსრულებლად. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ადვოკატები აღარ არიან მთლად თავისუფალი პროფესიის მქონე პირები, რადგან ისინი გარკვეული სამართლებრივი

⁵⁷ საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 19/06/2007.

⁵⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე და 46-ე მუხლები.

ბოჭვის ქვეშ მოექცნენ და კერძო ადვოკატებისგან განსხვავებით, მათი გადასაწყვეტი აღარ არის აიღებენ თუ არა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს და არც თავისი შეხედულების მიხედვით ჰონორარის აღების უფლება აქვთ. ასეთი სახაზინო ადვოკატი, თავისი სტატუსით, დიდად არაფრით განსხვავდება პროკურორისგან, რადგან ორივე მხარეა სასამართლოში საქმის განხილვისას (აწარმოებენ პროფესიულ საქმიანობას) და ორივე სახელმწიფო უწყებაშია დასაქმებული. შესაბამისად, თუ ბრალდებულის სახაზინო ადვოკატმა, დაზარალებულისგან აიღო ფულადი თანხა იმის სანაცვლოდ, რომ არ განხორციელებინა დაცვის უფლებას სათანადოდ, მაშინ ისიც, პროკურორის მსგავსად, ასეთ შემთხვევებში უნდა გასამართლდეს სამოხელეო დანაშაულით. აქედან გამომდინარე, მთლად მართებულად არ უნდა ჩაითვალოს ის მოსაზრება, რომ ასეთი პროფესიის მქონე პირები არ შეიძლება იყვნენ მოხელესთან გათანაბრებული პირები, თუ ისინი ადმინისტრაციულ ფუნქციებს არ ასრულებენ.

რაც შეეხება, ადვოკატთა ასოციაციას, შეიძლება ითქვას, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ცალსახად მოხელესთან გათანაბრებულ პირად უნდა იქნას მიჩნეული, რადგან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და მისი თავმჯდომარე ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს. მართალია ასოციაციის შემოსავლების წყარო არ არის სახელმწიფო ბიუჯეტი, თუმცა, მას აქვს ისეთი ფუნქციები/მიზნები და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელშიც აშკარად არის გამოკვეთილი სახელმწიფოს ინტერესები და საჯარო მმართველობის ნიშნები. მაგალითად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების⁵⁹ მე-5 მუხლის მიხედვით, მისი მიზნები და ფუნქციებია: საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების და კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშეწყობა, იურიდიული პროფესიის განვითარება, იურიდიული განათლების ხელშეწყობა და სხვა. შესაბამისად, შეუძლებელია ამ მიზნებში და ფუნქციებში არ იყოს საჯარო ინტერესები, რადგან მართლმსაჯულების განხორციელება და კანონის უზენაესობის განმტკიცება, პირველ რიგში სახელმწიფოს ვალდებულებაა და აღნიშნული ასოციაციის შექმნით, სახელმწიფომ ნაწილობრივ

⁵⁹<<https://gba.ge/pdf/6192593da83f1.pdf/%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90,%2014.11.2021.pdf>> [27.03.2024]

მოახდინა ამ ფუნქციის დელეგირება მასზე. ამასთან, წესდების მე-6 მუხლის თანახმად, ასოციაცია ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას. მაშინ როდესაც ამ გამოცდის ჩაბარების შედეგად, პირი შეიძლება ასევე დანიშნოს პროკურორად, რადგან ამ გამოცდის ჩაბარება ათავისუფლებს პირს დამატებით პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან. შესაბამისად, ამ გამოცდის ჩაბარების შემდეგ, პირს შეუძლია ჩაერთოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის ფორმით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, მიჩნეულ უნდა იქნას მოხელესთან გათანაბრებულ პირად, ისევე როგორც რომელიმე უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც გასცემს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომს.

2. გერმანულ სისხლის სამართალში მოხელე და „მასთან გათანაბრებული პირი“ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ქართულ სისხლის სამართალთან)

გერმანულ სისხლის სამართალში, მოხელის და „მასთან გათანაბრებული პირის“ განმარტება მოცემულია არა სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავში, არამედ ზოგად ნაწილში ტერმინთა განმარტებებისას. ქართული ტერმინი მოხელის შესატყვისად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი იყენებს ტერმინს - **“Amtsträger”** (ინგლისურად - “Public official”). “Amtsträger“-ის პირდაპირი ქართული თარგმანი გულისხმობს „საჯარო თანამდებობის პირს“, „საჯარო მოხელეს“. იურიდიული თარგმნისას, უფრო სწორი იქნება მის შესატყვისად ტერმინი „საჯარო მოხელის“ გამოყენება.

გერმანიის სსკ-ის მე-11 პარაგრაფში მოცემულია ტერმინთა განმარტება და მისი პირველი აზვაციის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ საჯარო მოხელე გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც გერმანიის კანონმდებლობის საფუძველზე: a) არის საჯარო მოსამსახურე ან მოსამართლე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ჩანაწერით ირკვევა, რომ გერმანიის ადმინისტრაციული კანონმდებლობაც (უკვე ქართული კანონმდებლობის მსგავსად), მოსამართლეს საჯარო მოსამსახურედ არ მიიჩნევს და ამიტომ სისხლის

სამართლის მიზნებისთვის, საჭირო გახდა კოდექსში გაკეთებულიყო პირდაპირი მითითება, რომ მოსამართლეს საჯარო მოხელე და შესაბამისად სამოხელეო დანაშაულების ამსრულებელია. საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიაში პროკურატურა არ არის უწყებრივად დამოუკიდებელი ორგანო, იგი შედის იუსტიციის სამინისტროში და შესაბამისად გერმანიის პროკურატურის თანამშრომლები ითვლებიან საჯარო მოსამსახურეებად. აქედან გამომდინარე, პროკურორებზე, დამატებით, შესაბამისი მითითება არ გახდა საჭირო გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში.

მართალია გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ არ იცნობს ტერმინს - „მოხელესთან გათანაბრებული პირი“, თუმცა, მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე ნაწილის შემდეგ პუნქტებში (*§11 Abs. 1, Nr. 2, Buchst. b,c*) გათვალისწინებული პირები, თავისი შინაარსით, შეესაბამება ქართულ ტერმინს - მოხელესთან გათანაბრებულ პირებს. კერძოდ, საჯარო მოსამსახურისა და მოსამართლის გარდა, საჯარო მოხელეში ასევე იგულისხმება:

b) პირი, რომელიც სხვა საჯაროსამართლებრივ ოფიციალურ ურთიერთობაში იმყოფება ან

c) სხვაგვარად დაინიშნა საჯარო მმართველობის (ადმინისტრირების) ამოცანების შესასრულებლად ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა დაწესებულებაში, ან მათი სახელით, ასრულებს ასეთ დავალებას არჩეული ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად.

ხსენებულ **b)** პუნქტში მითითებული პირი, რომელიც საჯაროსამართლებრივ ოფიციალურ ურთიერთობაში იმყოფება, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად ნოტარიუსი. „ნოტარიატის შესახებ“⁶⁰ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში, პირდაპირაა მითითებული, რომ ნოტარიუსი არ არის საჯარო მოხელე. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „*საქართველოს ნოტარიუსთა პალატა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი*“. თუმცა, ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ

⁶⁰ საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 04/12/2009.

„ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „ნოტარიატის სახელმწიფო რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (შემდგომში – იუსტიციის სამინისტრო).“ აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სწორედ იუსტიციის სამინისტრო. ხსენებული კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში კი, პირდაპირაა მითითებული, რომ **ნოტარიუსი ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას** („ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე“). აქედან გამომდინარე, მართალია ნოტარიუსი საჯარო მოხელე არ არის, თუმცა ვინაიდან მასზე სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებულია გარკვეული უფლებამოსილება და თან ამ სახელმწიფოებრივ საქმიანობას ასრულებს სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ნოტარიუსი ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და შესაბამისად ის წარმოადგენს მოხელესთან გათანაბრებულ პირს.

რაც შეეხება გერმანიის სსკ-ის §11-ის პირველი აბზაცის მეორე ნაწილის **ე)** პუნქტში მითითებულ პირებს, აქ იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, მიუხედავად მოწყობილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ანუ, ასეთი პირი შეიძლება იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი და მისი თანამშრომელი. ასეთ კერძო საწარმოებს, რომლებითაც სახელმწიფო ახორციელებს საჯარო მმართველობას, გერმანიაში ეწოდება **ე.წ. „სახელმწიფოს დაგრძელებული მკლავი“**. ამ კუთხით საინტერესოა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, გერმანიის იუსტიციის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ კიდევ 1997 წელს იქნა მიღებული.⁶¹ აღნიშნულ საქმეზე, ქრთამის აღებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში

⁶¹ იხ. BGHSt 43, 370.

მიცემულნი იყვნენ გერმანული საწარმო - (GmbH- ქართულად შპს) GTZ-ის (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება) თანამშრომლები. ერთ-ერთ პირი იყო საწარმოს მმართველი დირექტორი, ხოლო მეორე - ხელმოწერაზე უფლებამოსილი. GTZ დაფუძნებული იყო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ, რომელიც ფლობდა კომპანიის ყველა აქციას. საწარმოს მიზანია მხარი დაუჭიროს ფედერალურ მთავრობას „განვითარების პოლიტიკის მიზნების მიღწევაში“. იგი შეიქმნა 1974/1975 წლებში, როგორც განვითარებადი ქვეყნების ხელშეწყობი გერმანიის სააგენტო. ამ მიზნის ხელშეწყობისთვის, ორგანიზაციამ უნდა გაატაროს ზომები ფედერალური მთავრობის სახელით სახელმწიფო ტექნიკური განვითარების თანამშრომლობის სფეროში. ბრალდებული პირები კონტრაქტორი სხვა საწარმოს თანამშრომლებისგან, პირადად იღებდნენ გარიგების მიღმა დამატებით მოთხოვნილ თანხებს, მათთვის შეღავათების და უპირატესობის მინიჭების მიზნით.

ბრალდებულები ქალაქ Frankfurt/Main-ის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი არ იყვნენ ქრთამის აღების სუბიექტები, რადგან ხსენებული საწარმო იყო კერძო სამართლის იურიდიული პირი.

ხსენებულ საქმეზე გერმანიის იუსტიციის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულთა საჩივრები უსაფუძვლოა და ისინი მართებულად იყვნენ გასამართლებულები ქრთამის აღების ფაქტზე. სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულები იყვნენ საჯარო მოხელეები სწორედ გერმანიის სსკ-ის §11-ის პირველი აბზაცის მეორე ნაწილის c) პუნქტში მითითებული შინაარსიდან გამომდინარე. სასამართლომ მიუთითა, რომ GTZ ახორციელებს „საჯარო მმართველობის ამოცანებს“ და ცხადია, რომ სწორედ ასეთი ამოცანაა სახელმწიფოს „განვითარების თანამშრომლობა“ სხვა განვითარებად ქვეყნებთან. ამ ამოცანის შესრულებაზე კი GTZ იყო პასუხისმგებელი. სასამართლო იქვე უთითებს, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კერძო სამართლის ორგანიზაციის ფორმის არჩევით, თავად ამოცანა არ კარგავს თავის ხასიათს, როგორც ადმინისტრაციული ამოცანა. კერძო სამართლის ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ ადმინისტრაციულ ამოცანებს, ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლს და წარმოადგენენ სახელმწიფოს „დაგრძელებულ მკლავს“ (**„verlängerter Arm“**). ეს არ

გამომდინარეობს მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა არის GTZ-ის ყველა წილის (აქციის) მფლობელი და შესაბამისად, გააჩნია საზედამხედველო უფლებამოსილებები. აქ გადამწყვეტია ის, რომ GTZ საქმიანობდა გერმანიის ფედერალური მთავრობის სახელით, მასთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე და იღებდა საჭირო თანხებს. შესაბამისად ეს საწარმო ახორციელებდა „საჯარო მმართველობის ამოცანებს“ („Aufgaben der öffentlichen Verwaltung“) და ამ ორგანიზაციაში ბრალდებულები დანიშნულები იყვნენ სწორედ ამ საჯარო მმართველობის ამოცანების შესასრულებლად.⁶²

ერთ-ერთი ავტორი მართებულად უთითებს, რომ გერმანიის სსკ-ის მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 ნაწილის „c“ პუნქტში მითითებული პირების საქმიანობა უთანაბრდება სახელმწიფო თანამდებობის პირის საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა ემსახურება „საჯარო მმართველობის ამოცანების“ შესრულებას. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას არ აქვს მნიშვნელობა და გადამწყვეტია ფუნქციონალური ასპექტი, კერძოდ კი, მთავარია დადგინდეს სრულდება თუ არა საჯარო მმართველობის ამოცანები. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება ე.წ. „ჩამრევ მმართველობას“.⁶³

ზემოაღნიშნულიდან როგორც გამოჩნდა, გერმანიაც ამ საკითხის განხილვისას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, პირი ასრულებს თუ არა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. როგორც აღინიშნა, მართალია, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს ტერმინს - „მოხელესთან გათანაბრებული პირი“, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თავისი შინაარსით, ქართული კანონმდებლობის გაგებით, სწორედაც, რომ მოხელესთან გათანაბრებულ პირებს წარმოადგენენ გერმანიის სსკ-ის მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე ნაწილის „b“ და „c“ პუნქტში მითითებული პირები.

⁶² იხ. დასახელებული BGHSt 43, 370. ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე იხილეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: BGHSt 50, 299; BGHSt 45, 16; BGHSt 38, 199.

⁶³ იხ. *კასისკე პ.*, სახელმწიფო მოხელის ცნება გერმანულ ეკონომიკურ სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი, კონფერენციის მასალები: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, რედ.: ბაჩანა ჯიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.59.

გერმანიაშიც და საქართველოშიც კანონმდებლებმა სამოხელეო დანაშაულები გაავრცელეს იმ ორგანოების თანამშრომლებზეც, რომლებიც, მართალია, სახელმწიფო ორგანოებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობის ამოცანებს. ბოლოს უნდა ითქვას, რომ მართებულია პირთა წრის ასეთი გაფართოება, რადგან სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე, თუნდაც კერძო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლის მიერ კორუფციული დანაშაულის ჩადენამ, შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს მმართველობის ფუნქციონირებისადმი საზოგადოებაში არსებული ნდობის შერყევა, რაც სწორედაც, რომ წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, ქართული ლიტერატურისგან განსხვავებით, ასევე მოხელედ არის მიჩნეული **ექიმი**, რომელიც საჯარო სექტორის საავადმყოფოში მუშაობს.⁶⁴ ავტორი უთითებს, რომ ფარმაცევტული ფირმების მიერ ექიმების და კლინიკების მზარდი დაფინანსება (მათ შორის გრანტებით: კვლევებზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, მედიკოსთა კონგრესებში და კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფაზე - ფრენის და სასტუმროს ხარჯებზე), წარმოქმნის იმის საშიშროებას, რომ ისინი მედიკოსებზე ზემოქმედებას მოახდენენ და მათ მხოლოდ თავიანთი მედიკამენტების გამოყენებისკენ წააქეზებენ. შესაბამისად, ასეთი დაფინანსება შეიძლება, რიგ შემთხვევებში, ქრთამის აღების (გერმანიის სსკ-ის 331-ე პარაგრაფი) შემადგენლობას შეესაბამებოდეს.⁶⁵ მიიჩნევენ, რომ არა მხოლოდ რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმები (Chefarzt), რომლებიც არ არიან დაკავებული პაციენტების სამკურნალო საქმიანობით, არამედ საუნივერსიტეტო (სახელმწიფო) საავადმყოფოში/კლინიკებში მომუშავე ექიმებიც არიან ქრთამის აღების (§331) ამსრულებელი სუბიექტები გერმანიის მე-11 პარაგრაფის, 1-ლი აბზაცის მეორე ნაწილის „c“ პუნქტიდან გამომდინარე, რადგან ისინი საჯარო ადმინისტრირების ამოცანებს ასრულებენ.⁶⁶ უფრო მეტიც, სამოხელეო დანაშაულების ამსრულებლად

⁶⁴ იხ. *ჰილგენდროფ ე.*, შესავალი მედიცინის სამართალში, მე-2 გამოცემა, თარგმანი გერმანულიდან *მჭედლიშვილი-ჰედრიხ ქ.*, ბუქის გამომცემლობა, მიუნხენი, 2019, გვ.148-153.

⁶⁵ იხ. იქვე, გვ. 148.

⁶⁶ იხ. *Hilgendorf E.*, Strafgesetzbuch Leipziger Kommentar, 13 neu bearbeitete Auflage, Walter de Gruyter GmbH, Leipzig, 2020, § 11, Rn. 53. ასევე იხ. იქვე მითითებული: OLG Karlsruhe NJW 1983, 352, 353; HansOLG Hamburg StV 2001, 277, 278.

ითვლება ასევე კერძო ექიმიც, რომელიც პოლიციის დავალების საფუძველზე იღებს სისხლის ანალიზებს და ამ დავალების ფარგლებში ექიმის საქმიანობა, განიხილება საჯარო ამოცანის შესრულებად⁶⁷. აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ გერმანიაში, ასეთ საჯარო ამოცანების განმახორციელებელ პირებად ითვლებიან ასევე კერძო საინჟინრო და არქიტექტურის (დაგეგმვის) ოფისების თანამშრომლები, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ანდობენ და უკვეთავენ სახელმწიფო სამშენებლო პროექტების ორგანიზებას.⁶⁸ ბოლოს უნდა ითქვას, რომ სხვა კერძო ექიმებს (სადაზღვეო ასოციაციებთან/კომპანიებთან ხელშეკრულების მქონე ექიმებს), გერმანიის ფედერალური სასამართლო არ ცნობს თანამდებობის პირებად, რადგან ამ ექიმებსა და პაციენტებს შორის არსებული პირადი ურთიერთობა იმდენად წინა პლანზე დგას, რომ საჯარო ამოცანების შესრულება უკან იხევს.⁶⁹ ასეთი ხელშეკრულების მქონე ექიმების კორუფციული ქმედება დაუსჯელი რომ არ დარჩენილიყო, ამ მიზნით შეიქმნა ჯანდაცვის სისტემაში მექრთამეობის მუხლები. კერძოდ კი, გერმანიის სსკ-ის 299a პარაგრაფის მიხედვით, დაისჯება ნებისმიერი სამედიცინო პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც აიღებს ქრთამს (1) მედიკამენტების, სამკურნალო, დამხმარე საშუალებების ან/და სამედიცინო პროდუქციის გამოწერის სანაცვლოდ, (2) მათი შესყიდვის სანაცვლოდ და (3) პაციენტების გადაგზავნისას ან გამოსაკვლევი მასალის (ნიმუშების) მიწოდებისას, სხვისთვის უპირატესობის უსამართლოდ მინიჭების სანაცვლოდ.⁷⁰

როგორც გამოჩნდა, გერმანიის სისხლის სამართალი, არამარტო საჯარო საავადმყოფოებში დასაქმებულ ექიმებს, არამედ, ზოგჯერ, კერძო ექიმებსაც მიიჩნევს საჯარო მოხელეებად, როდესაც ისინი ახორციელებენ საჯარო ამოცანებს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში კი, როგორც აღინიშნა, მითითებულია, რომ ექიმები, სხვა თავისუფალი პროფესიის მქონე ადამიანებთან ერთად, მოხელესთან გათანაბრებულ პირებსაც კი არ წარმოადგენენ, თუნდაც საჯარო დაწესებულებაში იყვნენ დასაქმებულები და თუნდაც ახორციელებდნენ საჯაროსამართლებრივ

⁶⁷ იხ. OLG München NJW 1979, 608 f.

⁶⁸ იხ. OLG Frankfurt NJW 1994, 2242.

⁶⁹ იხ. *ჰილგენდორფ ე.*, შესავალი მედიცინის სამართალში, მე-2 გამოცემა, თარგმანი გერმანულიდან *მკედლიშვილი-ჰედრიხ ქ.*, ბუქის გამომცემლობა, მიუნხენი, 2019, გვ.149, იქვე წყაროდ მითითებულია BGH NJW 2012, 2530 (2532).

⁷⁰ იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 156.

უფლებამოსილებას, გარდა ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე პირებისა.⁷¹ ერთადერთი არგუმენტი, მათი სამოხელეო დანაშაულების სუბიექტებიდან ამოსარიცხად, სახელდება ის, რომ ეს ადამიანები საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილების განხორციელებისას ემყარებიან არა კანონს, არამედ **მეცნიერების** იმ დარგის მიღწევას, რომლის წარმომადგენლებიც არიან. ექიმის შეთხვევაში, მედიცინის მეცნიერებაზე არის საუბარი.⁷²

მართალია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, სსიპ-ში **სამეცნიერო** საქმიანობა, კულტურულ, საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა საქმიანობებთან ერთად, არ ითვლება საჯარო სამსახურად (და შესაბამისად ასეთი პირები მოხელეებად), მაგრამ საკითხავია რატომ არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო საავადმყოფოში დასაქმებული ექიმი მოხელესთან გათანაბრებულ პირად. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში არსებული საჯარო საავადმყოფოები (რომლის წილებსაც ფლობს სახელმწიფო) ძირითადად კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმის სახით არსებობენ (შპს, სს და სხვა), მართებული იქნება, თუ იქ დასაქმებული ექიმები მიჩნეულ იქნებიან მოხელესთან გათანაბრებულ პირებად. გარდა იმისა, რომ ისინი ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, ასეთი კლინიკები და იქ დასაქმებული სამედიცინო პერსონალი, მოქალაქეებისთვის ასოცირდება სახელმწიფოსთან და მათ მიერ განხორციელებული ესა თუ ის ქმედება, გარკვეულწილად, გავლენას ახდენს მოსახლეობის სახელმწიფოსადმი ნდობაზე და მის პრესტიჟსა და ავტორიტეტზე. როდესაც, მაგალითად, სახელმწიფო კლინიკაში დასაქმებული ქირურგი, თანხის სანაცვლოდ პაციენტს ოპერაციას ჩაუტარებს ურიგოდ, მასზე წინ მყოფი ან ჩაწერილ პაციენტზე უფრო ადრე და ამის გამო ამ უკანასკნელ პაციენტის ჯანმრთელობას მიადგა გამოუსწორებელი ზიანი, რა თქმა უნდა, იგი უნდა დაისაჯოს ქრთამის აღებისთვის და არა კომერციული მოსყიდვისთვის. ის არგუმენტი, რომ ექიმი და ადვოკატი საქმიანობისას ეყრდნობა სამეცნიერო მიღწევას, ირელევანტურია როდესაც ისინი სახელმწიფო ორგანიზაციაში არიან დასაქმებულები. ამ დროს ისინი სამართლებრივი

⁷¹ იხ. *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020, გვ. 359.

⁷² იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 361.

ბოჭვის ფარგლებში მოქმედებენ და შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს წარმოადგენენ საჯარო ამოცანების შესრულებისას. მხოლოდ იმის გამო, მათი ამორიცხვა მოხელესთან გათანაბრებული პირებიდან, რომ მეცნიერულ მიღწევას ეფუძნება ექიმი და ადვოკატი თავიანთი პროფესიული საქმიანობისას, არამართებულია, რადგან ასეთი ლოგიკით, პროკურორიც და გამომძიებელიც, თავის პროფესიულ საქმიანობას აფუძნებს მეცნიერულ მიღწევებს (იურისპრუდენცია: კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, ბრალდების ხელოვნება) და ისინიც არ უნდა ჩაითვალოს სამოხელეო დანაშაულების ამსრულებლებად.

3. კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი სუბიექტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორუფციული დანაშაულები გათვალისწინებულია ასევე სსკ-ის სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში. კორუფცია თავისი არსით გულისხმობს განზრახ ქმედების ჩადენას, რადგან ამ დროს პირი თავის თანამდებობრივ მდგომარეობას მიზანმიმართულად იყენებს რაიმე უკანონო ქონებრივი სარგებლის ან სხვა არამართლზომიერი უპირატესობის მიღების მიზნით. აქედან გამომდინარე, სსკ-ის ხსენებულ თავში მოთავსებულ სულ სამი მუხლიდან, არ იქნება განხილული 220¹ მუხლი (გულგრილობა), რადგან ის გაუფრთხილებლობით დანაშაულს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“. ხოლო, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ „მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია.“ აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე მე-2 ნაწილი, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს განუსაზღვრავს ფართო მოქმედების არეალს და ანიჭებს მათ უფლებამოსილებას განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია ჯანსაღი, კონკურენციაზე დაფუძნებული ბიზნესგარემოს შექმნა, თუმცა ასევე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რეგულაციების (მათ შორის

სისხლისსამართლებრივი) შემოღება ჩრდილოვანი ეკონომიკის თავიდან აცილების მიზნით. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის მითითებული, რომ „თანამედროვე მსოფლიოს თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე დიდად არის დამოკიდებული სამეწარმეო საქმიანობის გამართულ ფუნქციონირებაზე. იმის მიუხედავად, რომ სამეწარმეო საქმიანობაში პრიორიტეტულია კერძო პირთა ინტერესები, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროშიც არ იკვეთება საზოგადოების საჯარო ინტერესები. მოწესრიგებული სამეწარმეო საქმიანობა გავლენას ახდენს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ სიძლიერეზე, ისე მის თავდაცვისუნარიანობასა და სუვერენიტეტზე. შესაბამისად, სახელმწიფოს არ შეუძლია რეაგირების გარეშე დატოვოს ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორიცაა კორუფცია კერძო სექტორში“⁷³. შესაბამისად, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავით დაცული სამართლებრივი სიკეთე არის, როგორც საწარმოს ან სხვა ორგანიზაციის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები, ასევე სახელმწიფო ინტერესები, ჯანსაღი და სამართლიანი სამეწარმეო კონკურენციის საფუძველზე, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ზრდასთან დაკავშირებით.

ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულების ამსრულებელი სუბიექტები არიან საწარმოს ან სხვა ორგანიზაციის შესაბამისი თანამშრომლები. საწარმოს განმარტებამდე პირველ რიგში უნდა გაირკვეს რა იგულისხმება ორგანიზაციაში და სამეწარმეო საქმიანობაში.

3.1. სხვა ორგანიზაცია

სიტყვა „ორგანიზაცია“ არათუ განმარტებული, საერთოდ გამოყენებულაც კი არაა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში. ეს ტერმინი არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსშია განმარტებული. ორგანიზაციის განმარტება მოცემულია

⁷³ *დვალაძე ი., მახარობლიშვილი გ.*, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2016, გვ. 140.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლში და მისი პირველი ნაწილის თანახმად, ორგანიზაციად ითვლება შემდეგი წარმონაქმნები:

„ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები), დაწესებულებები, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან შექმნილი არიან და მოქმედებენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით), ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კორპორაციები, დაწესებულებები;

ბ) საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები“.

უნდა გაირკვეს რამდენად ვარგისია საგადასახადო კოდექსის ხსენებული მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციის განმარტება სსკ-ის 220-ე და 221-ე მუხლის მიზნებისთვის. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ მუხლის განმარტებაზე დაყრდნობა არ შეიძლება, რადგან ეს კოდექსი ორგანიზაციას განმარტავს თავისი მიზნებისთვის, რათა მოხდეს მათი შესაბამისი დაბეგვრა და გადასახადების ადმინისტრირება. ამასთან, მუხლში მითითებულია ასევე უცხო ქვეყნის ორგანიზაციები, მათ შორის საერთაშორისო დიპლომატიური ორგანიზაციები, რომლის წარმომადგენლებიც შეუძლებელია იყვნენ ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულების ამსრულებლები. მართალია, დისპოზიციაში (სსკ-ის 220-ე და 221-ე მუხლის) პირდაპირ არაა მითითებულ, რომ ეს საწარმო და ორგანიზაცია უნდა იყოს ქართული, მაგრამ იგულისხმება, რომ ამ მუხლებით დაცულია, სწორედ, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და საქართველოში მოქმედი საწარმოების და ორგანიზაციების კანონიერი ინტერესები.

ვინაიდან ორგანიზაციის ზუსტ განმარტებას არ იძლევა არცერთი სამართლებრივი აქტი, ის უნდა განიმარტოს მათ შორის სამოქალაქო ლექსიკონის გაგებით. ორგანიზაცია ფრანგული წარმოშობის (organisation) სიტყვაა და იგი გულისხმობს სისტემაში მოყვანას, მოწესრიგებას, მოწყობას (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ორგანიზება). ასევე, საზოგადოებრივი გაერთიანებას ან სახელმწიფო დაწესებულებას.⁷⁴ ამასთან ინგლისურენოვან ლიტერატურაში მითითებულია, რომ ორგანიზაცია არის ნებისმიერი ორგანიზებული კავშირი, რომელსაც აქვს ქონება, მიზანი და რომელსაც ახასიათებს ფუნქციონირების ორგანიზებული სისტემა.⁷⁵ ლ. ბრეგვაძე აღნიშნავს, რომ ორგანიზაციას ახასიათებს ხუთი ნიშანი: სტაბილურობა, ფორმალური სტრუქტურა, წევრთა საქმიანობა, მიზანი და წევრები.⁷⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია არის სისტემაში მოყვანილი, ნებისმიერი ორგანიზებული წარმონაქმნი, გაერთიანება, რომელსაც აქვს თავისი მიზანი და გარკვეული სტრუქტურა. ასეთი ორგანიზებული წარმონაქმნი კი, პირველ რიგში, არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრული იურიდიული პირი. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“. ხოლო მის მე-2 ნაწილში კი მითითებულია, რომ „იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას“. იქვე მე-5 და მე-6 ნაწილებში მითითებულია, რომ თუ იურიდიული პირის მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა, ის უნდა შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო სხვა შემთხვევაში (არასამეწარმეო) ამ კოდექსით დადგენილი

⁷⁴ იხ. *ჭაბაშვილი მ.*, უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონი, მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.

⁷⁵ იხ. *Hansmann H., Kraakman R.*, The Essential Role of Organization Law, Yale Law Journal, 2000, 4.

⁷⁶ იხ. *ბრეგვაძე ლ.*, ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რედ. ელიზბარაშვილი ნ., მერიდიანი, თბილისი, 2009, გვ. 17.

წესით. განსახილველი დანაშაულების მიზნებიდან გამომდინარე, განხილული იქნება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთაც აქვთ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების უფლება. პირველ რიგში კი, განხილული იქნება ისეთი კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც არ ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას. ასეთებს, სამოქალაქო კოდექსი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს უწოდებს და 25-ე მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნულია, რომ ასეთ იურიდიულ პირს უფლება აქვს მხოლოდ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდეს, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირის აბრევიატურად გამოიყენება - ა(ა)იპ. ასეთი ა(ა)იპ შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. მაგალითად, არასამათავრობო ორგანიზაციები, პროფესიული ორგანიზაციები და სხვა, რომელსაც არ აქვს მოგების მიზანი. შეიძლება ითქვას, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირები იყოფა ა(ა)იპ-ებად და სამეწარმეო იურიდიულ პირებად. ა(ა)იპ-ის რეგისტრაციის წესს და პირობებს, მათ ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს და სხვა საკითხებს არეგულირებს ხსენებული კოდექსი. ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. სანამ სამეწარმეო იურიდიულ პირების განხილვა მოხდება, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის გარდამავალ და დასკვნით დებულებების 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნება: 1) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; 2) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 3) კომანდიტური საზოგადოება; 4) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 5) სააქციო საზოგადოება და 6) კოოპერატივი. ბოლო ხუთი არის სამეწარმეო იურიდიული პირი.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ რა თქმა უნდა, ორგანიზაციას ასევე წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), თუმცა ამ ქვეთავში მოცემულ დანაშაულებზე მსჯელობისას, ირელევანტურია სსიპ-ის განხილვა, რადგან 220-ე და 221-ე მუხლების ამსრულებლებად არ მოიაზრება ასეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები.

3.2. სამეწარმეო იურიდიული პირი

სამეწარმეო იურიდიული პირი, არის იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა. როგორც აღინიშნა, ასეთი იურიდიული პირები და ფილიალები იქმნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და სწორედ ეს კანონი აწესრიგებს მათ საქმიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული კანონი, მათ მოიხსენიებს როგორც **სამეწარმეო საზოგადოებად**. ეს პირდაპირაა მითითებული, კერძოდ კი, მისი მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „**სამეწარმეო საზოგადოება არის იურიდიული პირი**“. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო საზოგადოება და სამეწარმეო იურიდიული პირი, არის სინონიმები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამეწარმეო საზოგადოებები, ანუ იურიდიული პირები არიან:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- სააქციო საზოგადოება (სს);
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- კომანდიტური საზოგადოება (კს);
- კოოპერატივი (კოოპ).

ამ ყველა სამეწარმეო საზოგადოებას ჰყავს დამფუძნებელი პარტნიორები და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები (როგორც წესი დირექტორები), რომლებიც რეგისტრირდებიან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. აქვე უნდა ითქვას ფილიალის შესახებაც. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფილიალი არ არის იურიდიული პირი და ის შეუძლია დაარსოს, როგორც წესი, მხოლოდ საზღვარგარეთ რეგისტრირებულმა მეწარმემ. ხსენებული სამეწარმეო საზოგადოებები (იურიდიული პირები) ნაშრომში დეტალურად არ იქნება განხილული, თუმცა, უნდა აღინიშნოს რა არის **სამეწარმეო საქმიანობა**. ამავე კანონის მეორე მუხლის მეორე წინადადების თანახმად, „სამეწარმეო

საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა“.

როგორც ჩანს სამეწარმეო საქმიანობისას, გარდა მოგების მიზნისა, საქმიანობა უნდა იყოს:

- მართლზომიერი;
- არაერთჯერადი;
- დამოუკიდებელი და
- ორგანიზებული.

ერთ-ერთი ნიშანიც რომ აკლდეს არ იქნება სახეზე კანონიერი სამეწარმეო საქმიანობა. მაგალითად, პირს აქვს თავისი სალონი, სადაც, დამოუკიდებლად, ყოველდღიურად დაკავებულია მოქალაქეებისთვის თმის შეჭრის საქმიანობით, რაშიც იღებს შესაბამის გასამრჯელოს. იქნება თუ არა ეს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება? სახეზე არის, მოგების მიღების მიზნით, მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი საქმიანობა. მაგრამ ეს არაა საკმარისი, მისი მეწარმედ „შერაცხვისთვის“, რადგან ეს საქმიანობა არ არის ორგანიზებული, კერძოდ, არ ჰყავს დასაქმებული და საგადასახადო კანონმდებლობით არ ევალება სალარო აპარატის ქონა, ბუღალტრული აღრიცხვა და შესაბამისად შემოსავლების დაფიქსირება. ასეთ პირს, საგადასახადო კოდექსიც კი, არ უწოდებს მეწარმეს და მისი 84-ე მუხლის პირველ ნაწილი, მას მოიხსენიებს როგორც **მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს**, თუ ის არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, გარკვეული შემოსავლის ლიმიტის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლად სალონური საქმიანობა, არ უნდა ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად.

3.3. ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი

სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლის და 221-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების ამსრულებელია პირი, რომელიც საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას.

შესაბამისად, ამ დანაშაულების სუბიექტების დადგენის მიზნით, უნდა გაირკვეს თუ ვინ არიან ასეთი პირები.

პირველ რიგში, უნდა დაზუსტდეს ვინ იგულისხმება ასეთი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირად. ლიტერატურაში სწორადაა მითითებული, რომ ორგანიზაციულ მართვაში ხელმძღვანელები არსებით როლს ასრულებენ, რადგან მათ უნარზე, ნიჭსა, გამოცდილებაზე თუ კეთილსინდისიერებაზე არის დამოკიდებული საზოგადოების მიზნობრივად სწორად ფუნქციონირება.⁷⁷ ინგლისურენოვან ლიტერატურაში მითითებულია, რომ დღესდღეობით, კომპანიაში ყველაზე მაღალი მენეჯერული პოზიცია არის აღმასრულებელი დირექტორი (CEO – Chief Executive Officer), რომელიც შედარებულია კომპანიის საიმპერატორო მეფეს (Imperial Czar).⁷⁸ საზღვარგარეთაც და საქართველოშიც, პარტნიორთა/აქციონერთა საერთო კრება ითვლება უმაღლეს მმართველობით ორგანოდ, რომელიც ნიშნავს დირექტორთა საბჭოს, თუმცა, აღმასრულებელი დირექტორსაც (CEO) აქვს ძალიან ფართო უფლებამოსილება და შეუძლია ამ უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს ქვემდგომ დირექტორებზე ან სხვა პირებზე.⁷⁹ საქართველოში მისი შესატყვისი პოზიცია არის **გენერალური დირექტორი**, რომელსაც შეუძლია თავის მხრივ დანიშნოს დირექტორი ფინანსური საკითხებში, შესყიდვების და ლოჯისტიკის საკითხებში და სხვა ნებისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. ხელმძღვანელობით უფლებამოსილება, თავის თავში მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. წინამორბედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის⁸⁰, მე-9 მუხლში (ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა), პირდაპირ იყო მითითებული რა იგულისხმებოდა ასეთ უფლებამოსილებებში. კერძოდ, მისი მე-2 პუნქტის თანახმად, „*ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი*

⁷⁷ იხ. **დვალიძე ი., მახარობლიშვილი გ.**, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2016, გვ. 120.

⁷⁸ იხ. **Allen W.T., Kraakman R., Khanna V. S.**, Commentaries and Cases on the Law of Business Organization, Sixth Edition, Published by Aspen Publishers, New York, 2021, 120.

⁷⁹ იხ. იქვე, 116-117.

⁸⁰ იხ. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი 28/10/1994, (ძალადაკარგულია - 02/08/2021)

უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში“. როგორც ჩანს, ხელმძღვანელი არის გადაწყვეტილების მიმღები პირი, ხოლო წარმომადგენელი, პირი რომელიც მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის საწარმოს სახელით. მაგალითად, შეიძლება წარმომადგენელი აწარმოებდეს მოლაპარაკებას მესამე პირთან გარკვეული სახის ხელშეკრულების გაფორმებაზე, თუმცა საბოლოოდ, ასეთი ხელშეკრულების გაფორმებაზე გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელი, რომელიც შპს-ში და სს-ში როგორც წესი, არის დირექტორი. შესაბამისად, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს გენერალური დირექტორი, ხოლო წარმომადგენლობაზე - მაგალითად, გენერალური დირექტორის მოადგილე ან ფინანსური დირექტორი. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება უფრო ფართო ცნებაა და იგი, ცალკეც, თავის თავში გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცალკე აღარ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განმარტება (რომელიც გულისხმობდა საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში) და მისი 42-ე მუხლის პირველ პუნქტში, მითითებულია: „სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებას მესამე პირთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს“. ხელმძღვანელ ორგანოს კი, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შეიძლება ერთპიროვნულად წარმოადგენდეს, მაგალითად, გენერალური დირექტორი. გენერალურმა დირექტორმა, მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსასვლელად) დელეგირება რომ მოახდინოს სხვა პირზე, ამისთვის საჭიროა მინდობილობის ან შესაბამის შეთანხმების გაფორმება და ასეთი დელეგირების დროსაც კი, თვითონაც მაინც ინარჩუნებს ამ უფლებამოსილებას. ასევე, ასეთ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს, 48-ე მუხლით გათვალისწინებული, გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირი. ასეთი მინდობილობის მქონე პირი რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული და ის ფაქტიურად უფლებამოსილებით უთანაბრდება საზოგადოების დირექტორს. როგორც გამოჩნდა, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, გარკვეულწილად, დაკავშირებულია

ერთმანეთთან და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მოიცავს მას, თუნდაც ცალკე იყოს სხვა პირი დანიშნული წარმომადგენლობით უფლებამოსილებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს პირები, სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს წარმოადგენენ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლში გათვალისწინებულია ხელმძღვანელი პირების მიერ ზრუნვის მოვალეობა, რომელსაც საკორპორაციო სამართალში „ფიდუციურ ვალდებულებას“ უწოდებენ. კერძოდ, მისი პირველი პუნქტის თანახმად, *„ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია“*. ამ მოვალეობის დარღვევით საზოგადოებაზე მიყენებული ზიანისთვის, მისი ქმედების შინაარსიდან გამომდინარე, ხელმძღვანელ პირს შეიძლება დაეკისროს როგორც კერძოსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება **სპეციალურ უფლებამოსილების მქონე პირს**, ის შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელის საზოგადოებასთან გაფორმებული ჩვეულებრივი მინდობილობის საფუძველზე, საზოგადოების სახელით ახორციელებს საქმიანობას მინდობილობაში გაწერილ კონკრეტულ საკითხზე. მაგალითად, ასეთი სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი შეიძლება იყოს საწარმოს იურისტი, რომელიც მინდობილობის საფუძველზე ახორციელებს სასამართლო დავას კონკრეტულ საკითხზე. ასევე შეიძლება იყოს პირი, რომელიც საზოგადოების სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებს მესამე პირთან კონკრეტულ საკითხზე, ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულების გაფორმების, ან სხვა მიზნით.

3.4. საწარმო

საწარმოს ცნების სწორად განმარტება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულების ამსრულებელთა ზუსტად

განსაზღვრის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულია საწარმოს ზოგადი განმარტება, თუმცა სამწუხაროდ, არც მასში და არც მის წინამორბედ კანონში, არ მოიპყრება სახელდებით ჩამოთვლილი კონკრეტული საწარმოები. აღნიშნული წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს პრაქტიკაში, იმასთან დაკავშირებით თუ კონკრეტულად რომელი მეწარმე სუბიექტები იგულისხმება საწარმოში. მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზებული სისტემა*. ხოლო, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარის მიხედვით, საწარმო არის პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა.⁸¹ ხსენებული კანონი, საწარმოს განმარტების შემდეგ, ტერმინ საწარმოს იყენებს მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებთან, ანუ კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებაში. სადავო არაა ის, რომ ცალსახად საწარმოებად მიიჩნევა ასეთი იურიდიული პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას (მოგების მიღების მიზნით მართლზომიერად, არაერთჯერადად, დამოუკიდებელად და ორგანიზებულად) ახორციელებენ სამეწარმეო საზოგადოების ფორმით. როგორც აღინიშნა, ესენი არიან: 1) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2) სააქციო საზოგადოება, 3) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 4) კომანდიტური საზოგადოება და 5) კოოპერატივი. საკითხავი არის ის, თუ რამდენად ითვლება ინდივიდუალური მეწარმე საწარმოდ, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი „ინდემეწარმე“-დაც მოიხსენიებს.

3.5. „ინდემეწარმე“, როგორც კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული დანაშაულის ამსრულებელი

3.5.1. „ინდემეწარმე“ წარმოადგენს თუ არა საწარმოს?

ვიდრე გაირკვევა, „ინდემეწარმე“, ანუ ინდივიდუალური მეწარმე, შეიძლება თუ არა იყოს სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ამსრულებელი, მანამდე უნდა გაირკვეს, არის თუ არა ის **საწარმო**. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლამდე მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონში,

⁸¹ იხ. *ჭანტურია ლ., ნინიძე თ.*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2002, გვ. 12.

2008 წლის 14 მარტამდე, გათვალისწინებული იყო ცნება „ინდივიდუალური საწარმო“ და კითხვა აღარ ჩნდებოდა ასეთი პირი შეიძლება თუ არა ყოფილიყო საწარმოს მფლობელი. მაგრამ, 2008 წლის 14 მარტს განხორციელებული ცვლილებებით, ტერმინი „ინდივიდუალური საწარმო“ შეიცვალა „ინდივიდუალური მეწარმით“. მისი მე-2 მუხლის პირველ პუნქტით, „ინდივიდუალური მეწარმე“ მიჩნეული იყო სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ მეწარმე სუბიექტად, თუმცა არ იყო არანაირი პირდაპირი მითითება იმის შესახებ, იგი იყო თუ არა საწარმო და შესაბამისად ინდივიდუალური მეწარმეს შეიძლება ჰქონოდა თუ არა ასეთი საწარმო. ამასთან, წინამორბედ კანონში არ მოიძებნებოდა საწარმოს განმარტება. დღეს მოქმედი რედაქციის კანონიც, „ინდემწარმეს“ მიიჩნევს სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ მეწარმედ. შესაბამისად ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ „ინდემწარმე“ არის მეწარმე სუბიექტი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის იურიდიული პირი (ამაზეც ორივე რედაქციის კანონი მიუთითებს). თუმცა, ახალმა კანონმა, წინამორბედისგან განსხვავებით, მეწარმის ცნების განმარტებისას, მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მიუთითა, რომ *„მეწარმედ მიიჩნევა ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საწარმო“*. შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონში, კანონმდებელმა პირდაპირ, არაორაზროვნად თქვა, რომ **მეწარმე ფიზიკურ პირსაც („ინდემწარმესაც“) აქვს საწარმო**. მოქმედი რედაქციიდან გამომდინარე, არავის აღარ გაუჩნდება მოსაზრება, რომ „ინდემწარმე“ არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც საწარმო. ძველი რედაქციით არსებული კანონის მოქმედების დროს, ეჭვებს, იმის შესახებ „ინდემწარმე“ არის თუ არა საწარმო, ამძაფრებდა ისიც, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილში, პირდაპირ იყო და ახლაც არის მითითება, რომ *საწარმოს არ მიეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე*. სწორედ, საგადასახადო კოდექსის ეს ჩანაწერი გახდა ძირითადი საფუძველი სასამართლოსთვის, რომ 2016 წელს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, დაუსაბუთებლად, შეეწყვიტა სისხლისამართლებრივი დევნა ბრალდებული პირებისათვის.⁸² კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 205¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ქონების გადამალვა მოჩვენებითი

⁸² იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 აგვისტოს N1/2697-16 განჩინება.

ან/და თვალთმაქცური გარიგებით) ბრალდება წარდგენილი ჰქონდა ათამდე ინდივიდუალურ მეწარმეს. ბრალდების არსი გამოიხატებოდა შემდეგში: აღნიშნულ „ინდემეწარმეებს“, რომლებიც წარმოადგენდნენ საცალო ვაჭრობის ობიექტებს (მარკეტებს), საგადასახადო კონტროლის ღონისძიება, ინვენტარიზაციის შედეგად დაერიცხათ დიდი ოდენობით (მაგ. ერთ-ერთს 181 139.22 ლარი⁸³) ჯარიმები. ვინაიდან ამ პირებს არ სურდათ ამ ჯარიმების ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა, მოჩვენებითი გარიგების გზით, დიდი ოდენობით ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით, რათა საგადასახადო ორგანოს მიერ არ მომხდარიყო ჯარიმის სახით დარიცხული თანხების იძულების წესით ამოღება, ფიქციურად გადაუფორმეს მათ საკუთრებაში არსებულ ქონება მათსავე კონტროლირებად, ფორმალურად, სხვა საწარმოებს. აღნიშნულ საქმეში, წინასასამართლო სხდომაზე, 2016 წლის 16 აგვისტოს, მოსამართლემ ბრალდებულთა მიმართ არ დანიშნა საქმის არსებითი განხილვა და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა განჩინებით.⁸⁴ განჩინება ძირითად შემთხვევაში დააფუძნა სწორედ საქართველოს საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაზე, სადაც მითითებულია, რომ „საწარმოს არ მიეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე“. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტული ბრალდებულები არ წარმოადგენდნენ სსკ-ის 205¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის სუბიექტებს, რადგან მისივე განმარტებით ინდივიდუალური მეწარმე არ წარმოადგენს საწარმოს. ბრალდების მხარე, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და იგი გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საჩივარში⁸⁵ პროკურორი უთითებდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი შემდეგი არგუმენტების გამო:

- სასამართლოს მიერ არ უნდა მომხდარიყო მხოლოდ ვიწრო გაგებით საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე საგადასახადო კოდექსში არსებული

⁸³ იხ. დასახელებული სასამართლოს განჩინება, გვ. 13.

⁸⁴ იხ. იქვე, გვ. 22-26.

⁸⁵ საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის 2016 წლის 19 აგვისტოს სააპელაციო საჩივარი.

ზემოხსენებული ნორმის გამოყენება და განმარტება, რომ საწარმო არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური მეწარმე.

- საგადასახადო კოდექსში არსებული კანონის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმო არ არის ინდივიდუალური მეწარმე, ემსახურება მხოლოდ გადასახადის გადახდის ნაწილში არსებულ თავისებურებებსა და სპეციფიურ დათქმებს, რომელიც განასხვავებს ინდივიდუალურ მეწარმესა და სხვა იურიდიული პირებს.
- მნიშვნელოვანია რა მიზანს ატარებს და რა დატვირთა აქვს სსკ-ის 205¹ მუხლის მოთხოვნას. სასამართლოს ლოგიკით ამ მუხლის სისხლის სამართლის მიზნებისათვის, ინდივიდუალური მეწარმე არ მოიაზრება საწარმოდ. მაშინ გამოდის, რომ ერთსა და იმავე გარემოებაზე, აბსოლუტურად იდენტურ დანაშაულებრივ ქმედებით, ქმნის იძულებით ბერკეტს მხოლოდ იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოს ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებაზე, **ხოლო ინდემწარმის შემთხვევაში, ანალოგიური ქმედების განხორციელებას დანაშაულად არ მიიჩნევს**. პროკურორი უთითებს, რომ ეს სრული სამართლებრივი აბსურდია.
- კანონმდებელი ცალსახად გულისხმობს, რომ საწარმო, თავის მხრივ, წარმოადგენს ინდივიდუალურ მეწარმესაც და შესაბამისად ინდივიდუალური მეწარმის ხელმძღვანელი პირიც იდენტურად უნდა იქნას მხილებული შესაბამის დანაშაულში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტივი იყო კანონმდებელს ცალკე გამოეყო ინდივიდუალური მეწარმე და გაეკეთებინა დაახლოებით მსგავსი ჩანაწერი: „ინდივიდუალურ მეწარმეში, საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ან/და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით“.

შეიძლება ითქვას, რომ პროკურორის მართებული და თანმიმდევრული არგუმენტები სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, დააკმაყოფილა პროკურორის საჩივარი და გააუქმა ქვედა ინსტანციის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება თავისი

განჩინებით.⁸⁶ სააპელაციო სასამართლომ, მართებულად მიუთითა შემდეგი: „ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეც, გაერთიანებულია მეწარმის ზოგადი ცნების ქვეშ. ლოგიკურია, რომ თუ **მეწარმე შეიძლება გავაიგივოთ საწარმოსთან.**“⁸⁷ უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივად, ეს იყო პრეცედენტული გადაწყვეტილება და რამაც ჩამოაყალიბა ერთიანი სასამართლო პრაქტიკა და შემდგომში ასეთ საქმეებზე, სსკ-ის 205¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლად ინდემწარმეც მიიჩნეოდა.⁸⁸ ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის მითითებული**, რომ სხვა მეწარმეებთან ერთად *ინდივიდუალური მეწარმეც მოიაზრება საწარმოდ, ხოლო თავის მხრივ, საწარმოში, მოიაზრება ყველა სამართლებრივი ფორმა, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე.*⁸⁹ შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი გაგებით, საწარმო და მეწარმე სინონიმებია, საწარმო გულისხმობს მეწარმეს, ხოლო მეწარმეში, როგორც აღინიშნა, მოიაზრება საწარმო.

განსაკუთრებით 2021 წელს მიღებული ახალი კანონის შემდეგ, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საწარმო შეიძლება იყოს „ინდემწარმე“, თუმცა უნდა დადგინდეს, ყველა „ინდემწარმე“ არის თუ არა საწარმო? ხსენებული კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *მეწარმედ მიიჩნევა ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საწარმო.* შესაბამისად, თუ საწარმო არ აქვს „ინდემწარმეს“, ის ზოგადად მეწარმედაც ვერ ჩაითვლება. **მაშასადამე,** მეწარმედ (მათ შორის „ინდემწარმედ“) ვერ ჩაითვლება სუბიექტი თუ არ აქვს საწარმო, **ხოლო** სამართლებრივად, მეწარმე და საწარმო გაიგივებულია. ამასთან, როგორც აღინიშნა, საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების **ორგანიზებული სისტემა.** ორგანიზებულ სისტემასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატას, ჯერ კიდევ 2003 წელს, მიღებული აქვს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება,

⁸⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე გელა ბადრიაშვილის 2016 წლის 25 აგვისტოს N1გ/1381.

⁸⁷ იქვე, გვ. 5.

⁸⁸ მაგალითად იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის N1/4801-16 განაჩენი.

⁸⁹ იხ. **დვალაძე ი., მახარობლიშვილი გ.,** სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2016, გვ. 43.

სადაც სასამართლო უთითებს, რომ „ინდივიდუალური საქმიანობა საწარმოს სახეს იღებს იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასაციო და საბუღალტრო საქმე“⁹⁰. შესაბამისად, ზემოაღნიშნული „ინდემწარმეები“ ნამდვილად წარმოადგენდნენ საწარმოებს, რადგან მათ ჰყავდათ მაღაზიაში დასაქმებული პირები, ჰქონდათ სალარო აპარატები და ახდენდნენ საბუღალტრო აღრიცხვას. ასე, რომ სახეზეა სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სისტემა, ანუ საწარმო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ „ინდემწარმე“ წარმოადგენს საწარმოს და ის ნამდვილად შეიძლება იყოს სსკ-ის 205¹ მუხლის ამსრულებელი. თუმცა, ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება „ინდემწარმე“ იყოს სსკ-ის 220-ე მუხლის და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილის ამსრულებელი სუბიექტი.

3.5.2. „ინდემწარმე“ წარმოადგენს თუ არა სსკ-ის 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლით და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით (კომერციული მოსყიდვა) გათვალისწინებული დანაშაულების სუბიექტს?

როგორც ზემოთ გაირკვა, „ინდემწარმე“ (ინდივიდუალური მეწარმე), სხვა მეწარმე სუბიექტების მსგავსად, სამართლებრივი გაგებით წარმოადგენს საწარმოს. ისიც გაირკვა, რომ „ინდემწარმე“ შეიძლება იყოს 205¹ მუხლის ამსრულებელი, თუმცა ახლა უნდა დადგინდეს, რამდენად შეიძლება „ინდემწარმე“ იყოს სსკ-ის 220-ე მუხლით და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი.

სსკ-ის 220-ე მუხლის დისპოზიციის მიხედვით, დასჯადია საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ვინაიდან პირი მოქმედებს ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასეთი მატერიალური ან სხვაგვარი ზიანიც ადგება თავად ამ ორგანიზაციას. პრაქტიკაში, სამეწარმეო იურიდიული პირის ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტის მიმართ სსკ-ის 220-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს, როგორც

⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის N 33/355-03 გადაწყვეტილება.

წესი, საქმეზე დაზარალებულად ცნობა ხდება ამ იურიდიული პირის.⁹¹ პროკურორი, შესაბამისი დადგენილებით, დაზარალებულად ცნობს არა ამ იურიდიული პირის წილების მფლობელ მესაკუთრეებს, არამედ განყენებულად იურიდიულ პირს, რადგან სწორედ ის არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი (და არა მისი დამფუძნებლები ან სხვა თანამშრომლები), გააჩნია თავისი მიზნები და ამოცანები და სწორედ მას ადგება ქონებრივი თუ მორალური (რეპუტაციის შელახვა) ზიანი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებულია ის, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. ამავე სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით“. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში ვერ ხდება ისეთი იურიდიული პირების ხელმძღვანელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, რომლებიც ამავდროულად არის ამ იურიდიული პირის 100 პროცენტის წილის მფლობელი დამფუძნებელი. მაგალითად, შპს-ს დირექტორი ამავდროულად არის ამ შპს-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი მესაკუთრე. სამართალდამცავი ორგანოები პირს ვერ წაუყენებენ ბრალს, თუნდაც მათთვის ცნობილი გახდეს, რომ ამ შპს-ს დირექტორმა საწარმოს სალაროდან გამოიტანა პირობითად 200 000 აშშ დოლარი და გახარჯა პირადი საჭიროების მიხედვით (დაისვენა საზღვარგარეთ), მაშინ როდესაც ამის გამო შეფერხდა საწარმოო სიმძლავრეები და კრედიტორებისთვის დაგვიანებული გადახდებისთვის საწარმოს დაერიცხა მნიშვნელოვანი ოდენობის ჯარიმები და პირგასამტეხლოები. ამ შემთხვევაში, დირექტორის მხრიდან ცალსახად სახეზეა იურიდიული პირისთვის (შპს-თვის) მიყენებული მნიშვნელოვანი, როგორც მატერიალური, ისე მორალური (რეპუტაციის შელახვა კრედიტორებთან) ზიანი, მაგრამ როგორც აღინიშნა მისი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა ვერ ხერხდება (ვერც სსკ-ის 220-ე და ვერც სსკ-ის 182-ე მუხლით), რადგან ეს დირექტორი ამავდროულად არის ამ შპს-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი მესაკუთრე. რატომ ვერ ხერხდება

⁹¹ მაგალითისთვის იხილეთ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის N1/5624-19 განაჩენი.

ასეთი პირის დასჯა, იმიტომ რომ მომჩივანი არავინ იქნება? აქ მთავარია საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი. მართალია, ხსენებულ მაგალითში დირექტორმა საწარმოს მიაყენა ფინანსური (200 000 აშშ დოლარი) და მორალური ზიანი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს საწარმო არის მისი საკუთრება, რადგან წილებს ფლობს ერთპიროვნულად და საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მას უფლება აქვს დააზიანოს მის საკუთრებაში არსებულ საწარმო. იგივეა, რომ პირმა თავის საკუთრებაში არსებული სხვა ქონებას მიაყენოს ზიანი, მაგალითად დააზიანოს თავისი სახლი ან ავტომობილი ან/და თავისი ფული მისცეს სხვას. აქედან გამომდინარე ვერ ხერხდება ასეთ შემთხვევებში საწარმოს დირექტორის სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ თუ ამ საწარმოში თუნდაც მცირე ოდენობით წილებს ფლობს სხვა პიროვნებაც, მაშინ ეს პრობლემა იხსნება და ხდება დირექტორის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

სწორად ესაა პრობლემური საკითხი პრქტიკაში, რის გამოც, ვერ ხდება აღნიშნული მეწარმე იურიდიული პირის ხელმძღვანელის პასუხისგებაში მიცემა, თუნდაც ფორმალურად სახეზე იყოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. ეს პრობლემა უფრო მეტად მწვავეა „ინდემეწარმესთან“ მიმართებაში, რადგან შპს-სგან განსხვავებით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ინდემეწარმე“ საქმიან ურთიერთობაში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი და კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით. ამ უკანასკნელი ჩანაწერიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია „ინდემეწარმემ“ როგორ უნდა განახორციელოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან, ასეთ დროს, ის ზიანს მიაყენებს თავის თავს. ანუ ფიზიკური პირი - „ინდემეწარმე“, თავად არის საწარმო/ორგანიზაცია, მან თავისი კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ უნდა განახორციელოს ქმედება და ამ ქმედებით მნიშვნელოვანი ზიანი უნდა მიაღებს თავად ფიზიკურ პირის ქონებას, რადგან როგორც აღინიშნა, საწარმოს და ფიზიკური პირის ქონება, ამ შემთხვევაში, ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარე, პარადოქსულია „ინდემეწარმე“ ფიზიკური პირის მიერ ამ დანაშაულის ამსრულებლობა, რადგან ეს იგივეა, რაც პირმა თავის ქონებას, თავისი ინტერესების საწინააღმდეგოდვე მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ დანაშაულის ამსრულებელი

სავსებით შესაძლებელია იყო „ინდმეწარმის“ წარმომადგენელი. შესაბამისად, „ინდმეწარმის“ წარმომადგენლობითი ან სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება სხვა პირის მიერ, „ინდმეწარმე“ ფიზიკური პირის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 220-ე მუხლით. „ინდმეწარმეს“ აქვს მაღაზია და მისმა დაქირავებულმა წარმომადგენელმა, მაგალითად, მაღაზიის გამყიდველმა, „ინდმეწარმესთვის“ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის განახორციელა კონკრეტული ქმედება.

იგივე საფუძველით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენელია სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი სუბიექტი იყოს „ინდმეწარმე“. თუ ასეთმა ინდივიდუალურმა მეწარმემ ფული აიღო მომსყიდველისგან, რათა თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევით მომსყიდველის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ეს, პირველ რიგში, ზიანს მიაყენებს საწარმოს, რომელიც თავისია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ „ინდმეწარმეს“ შეუძლია თავის საწარმოს მიაყენოს ზიანი და ამის სანაცვლოდ აიღოს ფული, რადგან ზოგადად მეწარმე მოგების და შემოსავლის მიღებაზე არის ორიენტირებული. თუმცა, 220-ე მუხლის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული იქნება სახეზე, თუ ეს ქმედება განახორციელა მასთან შეუთანხმებლად „ინდმეწარმის“ წარმომადგენელმა სხვა პირმა, თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევით.

ბოლოს, შესაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 220-ე მუხლით და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი სუბიექტი არ შეიძლება იყოს თავად ინდივიდუალური მეწარმე („ინდმეწარმე“), მაგრამ ეს დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნა „ინდმეწარმის“ წარმომადგენელი სხვა პირის მიერ.

3.6. სსკ-ის 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლით და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით (კომერციული მოსყიდვა) გათვალისწინებული დანაშაულების ამსრულებელი სუბიექტები

როგორც ხსენებული მუხლების დისპოზიციიდან ირკვევა, მათი ამსრულებელი სუბიექტები შეიძლება იყვნენ „საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში“ ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირები. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულია ორი, სამუშაო ადგილი, სადაც პირები ახორციელებდნენ ასეთ უფლებამოსილებებს, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ **საწარმოსაც**, ამ მუხლების მიზნებისთვის კანონმდებელი ორგანიზაციად მიიჩნევს. კერძოდ, სსკ-ის 220-ე მუხლის დისპოზიციაში ჩანაწერი გაკეთებულია შემდეგნაირად - „საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში“. ამასთან იქვე გრძელდება „ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ“. როდესაც სიტყვა „საწარმოს“ შემდეგ კანონმდებელი იყენებს სიტყვებს „ან სხვა ორგანიზაციას“, ე.ი. იგი საწარმოსაც ორგანიზაციად მიიჩნევს და შემდეგ როდესაც უთითებს „ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ“, რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციაში გულისხმოს საწარმოსაც. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს კანონმდებლის ნება, რომ საწარმოს მიიჩნევს ორგანიზაციის ერთ-ერთ ფორმად და უბრალოდ აკონკრეტებს ამ ორგანიზაციის ცალკეულ ფორმას. რაც შეეხება ორგანიზაციას, როგორც ზემოთ განიმარტა, **ორგანიზაცია არის** სისტემაში მოყვანილი, ნებისმიერი ორგანიზებული წარმონაქმნი, გაერთიანება, რომელსაც აქვს თავისი მიზანი და გარკვეული სტრუქტურა. შესაბამისად ორგანიზაცია არის გაცილებით ფართო ცნება, ვიდრე საწარმო ან იურიდიული პირი და ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელსაც აქვს გარკვეული სტრუქტურა და მიზანი, თუნდაც არ იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრში ან სხვა ორგანიზაციაში. ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი არარეგისტრირებული კავშირი ან გაერთიანება. მაგალითად, სტუდენტური თვითმმართველობა ანდა სხვა კავშირი, რომლებიც არ რეგისტრირდებიან არსად. სტუდენტების მიერ ასეთი თვითმმართველობის შემქნის უფლება დარეგულირებულია „უმაღლესი განათლების

შესახებ“ საქართველოს კანონით.⁹² ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდზე, პირდაპირ მითითებულია, რომ „სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციას“⁹³. შესაბამისად სტუდენტური თვითმმართველობაც, სსკ-ის 220-ე მუხლის მიზნებისთვის წარმოადგენს ორგანიზაციას და თუ მისმა ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირმა, ამ ორგანიზაციის ინტერესის საწინააღმდეგო ჩაიდინა რაიმე ქმედება, რამაც ამ ორგანიზაციას მიაყენა მნიშვნელოვანი ფინანსური ან სხვაგვარი ზიანი, შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 220-ე მუხლით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ მითითებულია, რომ არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი და მოწყობისა და სტრუქტურის საკითხებს განისაზღვრავენ მის წევრები ურთიერთშეთანხმებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ასეთი კავშირი სასამართლოშიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით. სასამართლო პრაქტიკაშიც არის უკვე დაფიქსირებული ასეთი კავშირის წარმომადგენლობა, როდესაც მაგალითად, ერთ-ერთმა არარეგისტრირებული კავშირმა - „სტუდენტური სოლიდარობა“ - შეიტანა საკონსტიტუციო სარჩელი⁹⁴. შესაბამისად, ორგანიზაციაში იგულისხმება ისეთი არარეგისტრირებული კავშირები (გაერთიანებები), როგორებიცაა სტუდენტური ორგანიზაციები, აქტივისტური მოძრაობები (მაგ.: „თანასწორობის მოძრაობა“, „თეთრი ხმაურის მოძრაობა“ და სხვა), პროფესიული გაერთიანებები და ნებისმიერი სხვა პირთა ერთობა, რომლებსაც ახასიათებს ორგანიზაციის ზემოაღნიშნული ნიშნები. პირობითად 10 ადამიანი, თუნდაც ზეპირად შეთანხმდა, რომ უნდა გაერთიანდნენ, მაგალითად, რაღაც წიგნის პოპულარიზებისთვის. ამისთვის მათ ააგროვეს ფული, გაინაწილეს როლები და დაიწყეს ამ მიზნით საქმიანობა.

⁹² იხ. მუხლი 45, საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 21/12/2004.

⁹³ იხ. <https://www.tsu.ge/ka/self-government> [26.02.2024].

⁹⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №3/3/1321, არარეგისტრირებული კავშირი „სტუდენტური სოლიდარობა“ და ირაკლი კუპრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ბათუმი, 22/09/2023.

პირობითად, ერთმა სოციალური მედიის საშუალებით შეუკვეთა რეკლამა, მეორე დაკავებული იყო სპონსორებთან ურთიერთობით, მესამე ორგანიზებას უწევდა კონკრეტული მიმართულებას და ასე შემდეგ. ასეთი პირთა გაერთიანებაც შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციად და მისი თანამშრომელი სსკ-ის 220-ე მუხლის ამსრულებლად, თუ ამ ორგანიზაციას მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს.

სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (კომერციული მოსყიდვა) ამსრულებელი ნაწილობრივ განსხვავებულია სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლისაგან. სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, ამსრულებელთა წრე უფრო ფართოა და განსხვავებით 220-ე მუხლისაგან, მისი ამსრულებელი შეიძლება იყოს, არა მხოლოდ საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი, არამედ, ნებისმიერი პირი, რომელიც **მუშაობს ამ ორგანიზაციაში**. შესაბამისად, პასიური კომერციული მოსყიდვის ჩასადენად, სუბიექტს არ სჭირდება რაიმე სპეციალური უფლებამოსილება და საკმარისია, ის იყოს ამ ორგანიზაციის, თუნდაც რიგითი თანამშრომელი. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ კომერციული მოსყიდვის დროს, პირი უნდა მოქმედებდეს თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით. სწორედ ეს განასხვავებს მას საჯარო სექტორში ჩადენილი ქრთამის აღებისგან, რადგან ქრთამის აღება შეიძლება ისეთი კანონიერი ქმედებისთვისაც, რომელიც არ არღვევს მისი სამსახურებრივ ვალდებულებას. მაგალითად, პროკურორი, შესაწყვეტ სისხლის სამართლის საქმეზე, პირს სთხოვს ფულს, რის სანაცვლოდაც ჰპირდება ამ საქმის შეწყვეტას, მაშინ როდესაც, ის მაინც აპირებდა ამ საქმის შეწყვეტას. მან ფული აიღო და მართლაც შეწყვიტა საქმე, თუმცა ამ საქმის შეწყვეტა არ წარმოადგენდა თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევას, რადგან ამ საქმეში არ არსებობდა ქმედების შემაღენლობის ნიშნები. კერძო სექტორში, ასეთი ვალდებულება შეიძლება გაწერილი იყოს დასაქმებულთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც. როგორც აღინიშნა სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილის ამსრულებელი შეიძლება იყოს რიგითი თანამშრომელიც. მაგალითად, ორგანიზაციაში დასაქმებულმა მუშამ, პირისაგან აიღო ფული, რის სანაცვლოდაც, მის ხელშეკრულებაში გაწერილი სამსახურებრივი ვალდებულება დაარღვია და სამუშაოები ფულის მიმცემი პირის სასარგებლოდ

არაჯეროვნად ან არასრულყოფილად განახორციელა. თუ სსკ-ის 220-ე მუხლის შემთხვევაში, ქმედება უნდა იყოს ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, კომერციული მოსყიდვისას, **დანაშაულის საგნის მიმღები ამსრულებელი** თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით მოქმედებს მომსყიდველის ან სხვა პირის სასარგებლოდ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვალდებულების დარღვევით მოქმედება, სხვა არაფერია თუ არა ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება.

4. შეჯამება

ამ თავით გათვალისწინებული საკითხების, კერძოდ, კორუფციული დანაშაულების ამსრულებლის განხილვისას, შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს შემდეგ:

- საჯარო სექტორში ჩადენილი კორუფციულ, ანუ სამოხელეო დანაშაულებში, ყველაზე პრობლემური საკითხი, როგორც პრაქტიკაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში არის, მოხელესთან გათანაბრებული პირის სწორად განმარტება.
 - მოხელესთან გათანაბრებული პირი, 332-ე მუხლის შენიშვნაში პირდაპირ მითითებული პირების გარდა, არის ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. ხოლო ზემოთ როგორც გაირკვა, ასეთ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს ყველა ის პირი, რომელზეც, კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ დელეგირებულია საჯარო მმართველობას მიკუთვნებული საკითხები.
 - ასეთი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, ასევე სხვა დამოუკიდებელი კერძო ფიზიკური პირი (მაგ.: კერძო აღმასრულებელი).
 - ასეთი მოხელესთან გათანაბრებული პირები, შეიძლება იყვნენ ასევე ე.წ. „თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი“ ექიმები და ადვოკატები, რომლებიც დასაქმებულები არიან სახელმწიფო ორგანიზაციაში და

სამართლებრივი ბოჭვის ფარგლებში ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.

- ამასთან, ვინაიდან ახალმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმა შემოიღო საჯარო მოსამსახურის და მოხელის ახლებური განმარტება, მეტი სიცხადისთვის, საჭირო გახდა ზემოთ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რათა, კითხვები არ გაჩნდეს მოსამართლეების, პროკურორების და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სხვა პირებს *მოხელის* სტატუსთან დაკავშირებით.
- კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციულ დანაშაულების ამსრულებლებში კი, ყველაზე პრობლემური საკითხი გამოიკვეთა საწარმოს და ორგანიზაციის სწორად განმარტებასთან დაკავშირებით.
- სსკ-ის 220-ე და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის, **ორგანიზაცია არის** სისტემაში მოყვანილი, ნებისმიერი ორგანიზებული წარმონაქმნი, გაერთიანება, რომელსაც აქვს თავისი მიზანი და გარკვეული სტრუქტურა. შესაბამისად, საწარმოც არის ორგანიზაცია და მისი უფლებამოსილი პირი ამ დანაშაულების ამსრულებელი.
- ორგანიზაციის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა. სსკ-ის 220-ე და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვისაც, იგი მოიცავს არა მარტო მეწარმეებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, არამედ არარეგისტრირებულ კავშირს, გაერთიანებას, ან ნებისმიერ პირთა ჯგუფს, რომლებსაც აქვთ გარკვეული სტრუქტურა, მიზანი, ახასიათებთ ორგანიზებულობა და როლების გადანაწილება.
- მეწარმე და საწარმო სამართლებრივად გაიგივებულია ერთმანეთთან, რადგან მეწარმე თავის თავში მოიაზრებს საწარმოს, ხოლო საწარმო - მეწარმეს.
- **ვინაიდან** „ინდემწარმე“ არის მეწარმე, **ამიტომ** იგი წარმოადგენს საწარმოსაც.

- სსკ-ის 220-ე მუხლით და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი არ შეიძლება იყოს თავად „ინდემწარმე“, თუმცა ასეთი ამსრულებელი შეიძლება იყოს „ინდემწარმის“ წარმომადგენელი სხვა პირი.

V თავი. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამიჯვნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება/გაფლანგვისგან

ყველაზე მწვავე და ხშირ პრობლემას, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში, წარმოადგენს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) გათვალისწინებული დანაშაულის სწორად გამიჯვნა სსკ-ის 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისაგან. შესაბამისად, წინამდებარე დისერტაციაში ყველაზე დიდი დრო დაეთმოა ამ დანაშაულების ერთმანეთთან ურთიერთმიმართებას, კერძოდ კი, მათ მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების აღრევა ხდება არა მხოლოდ 182-ე მუხლით გათვალისწინებულ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ მითვისებასთან ან გაფლანგვასთან, არამედ სხვა ისეთ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, რომელიც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ თაღლითობას (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, ამ კარში განხილულ იქნება ასევე საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ცალკეული ნიშნებიც.

1. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება/ გაფლანგვის და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის ცალკეული ნიშნები და მათი განმარტება ქართულ იურიდიული ლიტერატურაში

1.1. სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება ან გაფლანგვა)

„მითვისება ან გაფლანგვის“ დეფინიცია მოცემულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლში, ხოლო ამ ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის დამამძიმებელი გარემოება და გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში. საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მითვისება ან გაფლანგვა არის: „სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა“. აუცილებელია, რომ ეს ნორმა სწორად იქნას განმარტებული და როგორც გ. ინჭირველი აღნიშნავს, ნორმის განმარტებისას საჭიროა იმის დადგენა, თუ რა აზრი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა.⁹⁵ ცნობილია, რომ „განმარტების ხერხები ემსახურება ნორმის ერთგვაროვანი შეფარდების მიზანს“⁹⁶. ამისათვის კი (ნორმის შინაარსის გასარკვევად), საჭიროა, გაანალიზდეს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ცალკეული ნიშნები. როგორც მ. ტურავა აღნიშნავს, ქმედების ობიექტური (გარეგანი) შემადგენლობის ნიშნები არსობრივად აღქმადი საგნები და მოვლენებია. ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები იყოფა დესკრიფციულ (აღწერილობით) და ნორმატიულ (შეფასებით) ნიშნებად, თუმცა ავტორი იქვე მიუთითებს, რომ აღწერილობითი ნიშნებიც გარკვეულ შეფასებას მოითხოვენ.⁹⁷ დისპოზიციიდან ნათლად ჩანს, რომ ამ დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია და ნივთი ან ქონებრივი უფლება ამ ქმედების ჩამდენის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს. აუცილებელია განიმარტოს დანაშაულის ის

⁹⁵ იხ. *ინჭირველი გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003, გვ. 171.

⁹⁶ *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2004, გვ. 148.

⁹⁷ იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბ., 2008, გვ. 92.

ობიექტურ ნიშანი, რომელიც გულისხმობს მართლზომიერ მფლობელობას ან გამგებლობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნიშანი მოითხოვს გარკვეულ შეფასებას, რადგან პრაქტიკაში ხშირად გამხდარა სადავო ეს საკითხი. ამისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა იგულისხმება მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. მართებულადაა აღნიშნული, რომ მართლზომიერი მფლობელობა ან გამგებლობა გამომდინარეობს სამსახურებრივი მოვალეობიდან, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან თუ სპეციალური სახის დავალებიდან.⁹⁸ ეს სამი სახის ურთიერთობა ფაქტობრივად მოიცავს ყველა იმ შემთხვევებს, რომლებითაც შეიძლება ქონება აღმოჩნდეს პირის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში. დაწყებული ისეთი მარტივი სახის ურთიერთობიდან, როგორცაა, ნივთის ზეპირსიტყვიერად თხოვების ან მიბარების შემთხვევებიდან, დამთავრებული სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ქონებასთან ასეთი ურთიერთობისა. აქ მნიშვნელოვანია გაირკვეს რა იგულისხმება „მფლობელობასა“ და „გამგებლობაში“. „მფლობელობის“ შემთხვევაში გასაგებია ეს საკითხი, რადგან ეს დარეგულირებულია სამოქალაქო კანონმდებლობაში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით, „მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვებით“⁹⁹. მართლზომიერი მფლობელობისთვის არაა აუცილებელი ნივთზე მუდმივი ფიზიკური ბატონობა, მთავარია, რომ ის, სამსახურებრივი მოვალეობიდან, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან თუ სპეციალური სახის დავალებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი იყოს პირისთვის მისი სურვილის შემთხვევაში და ამ ნივთთან მიმართებაში ჰქონდეს გარკვეული უფლებამოსილება. მაგალითად, სამსახურებრივი პორტატული კომპიუტერი ე.წ. „ლეპტოპი“ ან მობილური ტელეფონი, რომელიც სარგებლობისთვის გადაცემულია ორგანიზაციის ერთ-ერთ თანამშრომელზე. მას შეუძლია ისარგებლოს ამ ნივთით მისთვის სასურველ დროს, როგორც სამუშაო დროს სამსახურში, ისე მის გარეთ. მას შეიძლება სულ თან არ ჰქონდეს ეს ნივთი, მაგრამ რადგანაც მას ნებისმიერ დროს შეუძლია წვდომა ნივთზე, ითვლება, რომ ეს მის მართლზომიერ მფლობელობაშია.

⁹⁸ იხ. *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა, თბ., 2023, გვ. 87.

⁹⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, (მიღების თარიღი: 26/06/1997).

რაც შეეხება გამგებლობას, „გამგებლობაში“ მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს არა აქვს ნივთზე ფიზიკური ბატონობა/წვდომა, თუმცა მას სამსახურებრივი, სახელშეკრულებო ან სხვა ურთიერთობიდან გამომდინარე, აქვს მისი განკარგვის უფლებამოსილება. მაგალითად, როდესაც ბუღალტერს მინდობილი აქვს საწარმოს საბანკო ანგარიშების მართვა და საბანკო ანგარიშზე არსებული თანხები უკანონოდ სხვა პირის ანგარიშზე გადარიცხავს, ისე რომ ამ ფულთან ფიზიკური ბატონობა არ ჰქონდეს და საერთოდაც, ეს ფული თვალათაც არ ჰქონდეს ნანახი. ეს შეიძლება განახორციელოს ორგანიზაციის დირექტორმაც, რომელსაც ზოგადად აქვს ამ ორგანიზაციის თანხების განკარგვის უფლება. ასევე პირის გამგებლობაში იქნება ქონება, როდესაც მას მინდობილობას მისცემენ უძრავი ქონების განკარგვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად შემთხვევებში მაინც, მართლზომიერ გამგებლობა (როდესაც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა არაა) არის ხოლმე სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც პირს შეუძლია განკარგოს ქონების იურიდიული ბედი, ისე რომ ფიზიკურად ქონებას არ ფლობდეს.

რა არის მითვისება? იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ მითვისება გულისხმობს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულებათა ამოღებას კანონიერი მესაკუთრისგან და მის უკანონო დაუფლებას თავის სასარგებლოდ.¹⁰⁰ ასევე ზ. წულაია აღნიშნავს, რომ მითვისების დროს დამნაშავე მოქმედებს იმის სურვილით, რომ ქონება თავის სარგებლობაში მოაქციოს და ისარგებლოს შემდგომში როგორც თავისი საკუთარი ქონებით.¹⁰¹ თუ მითვისება არის პირის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული ქონების მხოლოდ თავის სასარგებლოდ უკანონო დაუფლება, მაშინ უნდა გაირკვეს რა იგულისხმება გაფლანგვაში. სავარაუდოა, რომ ტერმინი „გაფლანგვა“ საბჭოთა კანონმდებლობის გავლენით მოხვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ისევე როგორც დღევანდელი რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლში. საბჭოთა ლიტერატურაში მითვისება განმარტებულია როგორც ქონების თავისთვის დაკავება/დატოვება (удержание), ხოლო გაფლანგვა როგორც - მოხმარება (პროდუქტის ჭამა) ან გასხვისება (გაჩუქება,

¹⁰⁰ იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., სახელმძღვანელოში: ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა თბ., 2023, გვ. 88.

¹⁰¹ იხ. წულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, (II ტომი), თბ., 2001. გვ. 90-91

გაყიდვა).¹⁰² შეიძლება ითქვას, რომ გაფლანგვა დაახლოვებით იგივენაირადაა განმარტებული როგორც რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში¹⁰³, ასევე ქართულში. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **გაფლანგვა გულისხმობს დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში არსებული ქონების გასაჩუქრებას, ან დახარჯვას ქეიფსა და დროს ტარებაში, ან მისი მეშვეობით ვალის გადახდას.**¹⁰⁴ ცოტა წარმოდგენელია, როგორ შეიძლება ჩაითვალოს თავის სასარგებლოდ ვალის გადახდა გაფლანგვად, როდესაც საწარმოს დირექტორი ან ბუღალტერი თავისი იპოთეკური სესხის დასაფარად ორგანიზაციიდან გადარიცხავს ბანკში თანხას. აქედან გამომდინარე, საკამათოა მისი მართებულობა. იქვე აღნიშნულია, რომ გაფლანგვაც, მითვისების მსგავსად დაუფლებითი დანაშაულია.¹⁰⁵ ამავე სახელმძღვანელოს ყველა სხვა ძველ რედაქციებშიც, ერთნაირად და ერთხმად აღნიშნულია, რომ გაფლანგვაც მითვისების მსგავსად არის დაუფლებითი დანაშაული.¹⁰⁶ ამასთან ლიტერატურაში ასევე მითითებულია, რომ გაფლანგვა დამთავრებულად ითვლება სხვისი ნივთის უკანონო, უსასყიდლო გასხვისების მომენტიდან.¹⁰⁷ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რომ მითვისებაც და გაფლანგვაც დაუფლებით დანაშაულია და ამ ლოგიკით ერთადერთი ძირითადი განსხვავება მათ შორის გამოდის ის, რომ მითვისების დროს უკანონო დაუფლება ხდება თავის სასარგებლოდ, ხოლო გაფლანგვის დროს - სხვა პირის სასარგებლოდ, გასაჩუქრების ან სხვა გზით. **მითვისების და გაფლანგვის ამგვარი გამიჯვნა ხელოვნურია**, რადგან ამ ზღვარის გავლება ფაქტობრივად შეუძლებელი

¹⁰² იხ. *Санталов А.И.*, Курс Советского Уголовного права, часть особенная, Том 3, Л., 1973, с.429.

¹⁰³ იხ. *Борзенков Г.Н.*, სახელმძღვანელოში: *Зубкова В.И., Борзенков Г.Н., Кузнецова Н.Ф.*, Курс Уголовного права, Особенная часть, Том 3, Москва, 2002, с. 442.

¹⁰⁴ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მეორე გამოცემა თბ., 2023, გვ. 89.

¹⁰⁵ იხ. იქვე. გვ. 87.

¹⁰⁶ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 520; *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა თბ., 2016, გვ. 449; *ლეკვეიშვილი მ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეხუთე გამოცემა თბ., 2014, გვ. 435; *ლეკვეიშვილი მ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეოთხე გამოცემა თბ., 2011, გვ. 389; *ლეკვეიშვილი მ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2006, გვ. 352.

¹⁰⁷ *თოდუა ნ.*, კომენტარში: *გამყრელიძე ო. (რედ.), ტურავა მ., მამულაშვილი გ., ებრაღიძე თ., თოდუა ნ., ბაქანიძე რ.*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 165.

იქნება თუ დამნაშავე ამ გზით ქონებას დაეუფლება არა თავის სასარგებლოდ, არამედ სხვის სასარგებლოდ შემდეგ შემთხვევებში: მაგალითად, ორგანიზაციის საბანკო ანგარიშიდან თანხას უკანონოდ გადაურიცხავს მეუღლეს, დეიდაშვილს ან სხვა ახლო ნათესავს ან თუნდაც თავის საყვარელს (ინტიმურ პარტნიორს). რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ეს ყველა ქმედება თავისი არსით არის მითვისება და არასწორია მათი გამიჯვნა იმის მიხედვით, თანხა მეუღლეს გადაურიცხა, ნათესავს, თუ თუნდაც მეგობარს. თეორიაში არსებული ასეთი მოსაზრებების გამო, სასამართლო პრაქტიკაც ამგვარად მიდის და ხელოვნურად იმიჯნება მითვისება და გაფლანგვა. მართებული იქნება გაფლანგვად მიიჩნეოდეს მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც მესაკუთრის ქონებრივი ფონდის შემცირების ხარჯზე არავის ქონებრივი ფონდი არ იზრდება. მაგალითად, რომელიმე ქარხანა-ფაბრიკის ხელმძღვანელმა, უქმე დღეებში განზრახ ჩართული დატოვა გენერატორი, რომელიც მოიხმარს დიდი რაოდენობით ელექტრო ენერგიას ან საწვავს. ასევე, პლანტაციების მფლობელი ფერმერის დაქირავებულმა პირმა, ამ პლანტაციების შეწამვლისას განზრახ გამოიყენა იმაზე 100 ჯერ მეტი რაოდენობის, მეპატრონის კუთვნილი, შხამქიმიკატები, რაც საჭირო იყო მათ შესაწამლად. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს პროფესორი *ი. დვალაძე* და მისი თანაავტორობით გამოცემულ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში უთითებს, რომ გაფლანგვისას მესაკუთრე ზარალდება ქონების იმგვარი არამიზნობრივი და დაუსაბუთებელი ხარჯვით ისე, რომ გამფლანგველი ან მესამე პირი არ მდიდრდება ამ ქონებით, ან არ იზოგება მათი ქონება. იქვე, ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილი აქვს, ერთი კილომეტრი გზისთვის სამყოფი ასფალტის 5 კილომეტრზე გადანაწილება, რაც დადგენილ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა.¹⁰⁸

საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან დაცული სამართლებრივი სიკეთე საკუთრებითი ურთიერთობებია, რა დროსაც დამნაშავე ისახავს მიზნად სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას. შესაბამისად

¹⁰⁸ იხ. *დვალაძე ი.*, სახელმძღვანელოში: *დვალაძე ი., ბარანაული ლ., თუმანიშვილი გ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2023, გვ. 168-169.

გაფლანგვასთან დაკავშირებით ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება №1-3/6/832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849, სადაც იხილება „გაფლანგვის“ ნორმის ბუნდოვანების და არაგანჭვრეტადობის შესახებ საკონსტიტუციო სარჩელები.

მიჩნეულია, რომ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. აქვე უნდა აღინიშნოს ერთ პრობლემატურ საკითხზე (ქმედებაზე), რომელსაც „დროებით სესხებას“ უწოდებენ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირი უკანონოდ სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით, თუმცა გადაწყვეტილი აქვს მომავალში მესაკუთრისთვის მისი ანაზღაურება. ლიტერატურაში მითითებულია, რომ თუ პირს ასეთი განზრახვა აქვს და ეს ქონება (ფული) უკანვე დააბრუნა, სახეზე არაა დაუფლებითი დანაშაული, რადგან პირს არ ამოძრავებდა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.¹⁰⁹ ასეთი ბუნდოვანი განმარტება პრაქტიკაში იწვევს ბევრ პრობლემებს. არაა მითითებული თუ რამდენ ხანში უნდა დააბრუნოს ეს თანხა, რომ დანაშაულად არ ჩაითვალოს. ერთი წლის შემდეგ რომ დააბრუნოს? თუ ერთი თვის მერე დააბრუნა? ან საერთოდ, დაბრუნება აუცილებელია იმისთვის რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს, თუ ასეთი დაბრუნების განზრახვა საკმარისია? მაგალითად, ბუღალტერმა პირადი საჭიროებისათვის აიღო საწარმოდან 100 000 ლარი და აპირებდა დაბრუნებას 6 თვეში, თუმცა სანამ 6 თვე გავიდოდა გამოვლინდა, რომ ფული იყო დანაკლისში და საქმე მივიდა სამართალდამცავ ორგანოებამდე. უნდა მისცენ ბუღალტერი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით, რადგან არ აქვს ფული დაბრუნებული, თუ პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებად საკმარისია მხოლოდ ასეთი განზრახვის დადგენა? აი ამ კითხვებზე ვინაიდან მეცნიერება ვერ იძლევა ამომწურავ პასუხებს, ამიტომაც პრაქტიკაშიც ხშირად პრობლემატურია ეს საკითხები. საინტერესოა ამ საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (Department of Justice U.S) განმარტება. დეპარტამენტმა თავის სახელმძღვანელოში (ე.წ. „მანუალში“) განმარტა, რომ დანაშაულის - მითვისება/გაფლანგვის (EMBEZZLEMENT) ჩადენისას, დამნაშავე უნდა მოქმედებდეს მესაკუთრისთვის ამ ქონების (უფლების) ჩამორთმევის განზრახვით, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ამ დანაშაულისათვის საჭირო განზრახვა არ არის სხვისი ქონების სამუდამოდ ჩამორთმევის განზრახვა. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი აპირებს ქონების დაბრუნებას, მისი ქმედება მაინც უკანონოა და უკანონოდ

¹⁰⁹ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა თბ., 2023, გვ. 88.

დაუფლებული ქონების აღდგენა, არ გამოორიცხავს ამ დანაშაულს.¹¹⁰ კარგი იქნება, თუ ამგვარად იქნებოდა ინტერპრეტირებადი განზრახვა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის შემთხვევაშიც და თუ პირი დააბრუნებს თანხას უბრალოდ სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებად ჩათვლილიყო. თუმცა, 182-ე მუხლის შემთხვევაში, განზრახვის ასე განმარტება შეუძლებელია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ქურდობის მსგავსად (177-ე მუხლი) **მისაკუთრების მიზანი** არაა მითვისების დისპოზიციაში მითითებული, მითვისება ბუნებრივად გულისხმობს მისაკუთრების მიზანს, ხოლო გაფლანგვა - მისაკუთრისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების მიზანს, ამ ქონების განიავების გზით. ამიტომ, თუ მითვისება/გაფლანგვის დროს, პირს არ აქვს მისაკუთრების ან მისაკუთრის ქონებრივი დაზიანების მიზანი და ის მართლაც აპირებს ამ ქონების დაბრუნებას, საერთოდ ირიცხება დანაშაული. აღნიშნულის დაუსჯელად დატოვება კი, რა თქმა უნდა, წაახალისებს პირებს, უნებართვოდ, უკანონოდ აიღონ და თვითნებურად ისარგებლონ გარკვეული პერიოდი მისთვის მინდობილი ქონებით. ამის თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან აღნიშნული რეალურ პრობლემას წარმოადგენს, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით, სსკ-ში ისეთი მუხლის დამატება, რომელითაც ცალკე, დასჯადად გამოცხადდება მინდობილი ქონების დროებით მართლსაწინააღმდეგო **დაუფლება**. ეს უნდა იყოს არა სსკ-ის 182-ე მუხლის მსგავსად მძიმე/განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, არამედ გაცილებით მსუბუქი დანაშაული და სწორედ ამით გამოირჩევა ქონების დროებითი **დაუფლების** საზოგადოებრივი საშიშროება 182-ე მუხლით **გათვალისწინებული დანაშაულის სოციალური საშიშროებისგან**. **შესაძლებელია, თუ მითვისების ამსრულებელის მსგავსი უფლებამოსილების მქონე პირი ქონებას დროებით დაეუფლება, ამგვარი ქმედების დასჯადობისთვის კანონმდებელმა შექმნას ახალი დანაშაული იმ საკანონმდებლო კონსტრუქციით, როგორც ეს არის მოცემული სსკ-ის 388-ე მუხლში (სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება).** მაგალითად, შესაბამისი მუხლის პირველ ნაწილში იყოს 10 დღემდე ვადით ქონების მართლსაწინააღმდეგო **დაუფლება**, მეორე ნაწილში - 10 დღეზე მეტი ხნით, პირობითად 6 თვემდე და ა.შ. ამასთან, თუ **მოკლე დროში** (პირობითად მეორე

¹¹⁰ იხ. Criminal Resource Manual 1001-1099, EMBEZZLEMENT, Department of Justice U.S. (Updated January 21, 2020) <<https://www.justice.gov/archives/jm/criminal-resource-manual-1005-embezzlement>> [26.11.2023].

ან მესამე დღეს) დააბრუნა ქონება, მცირე მნიშვნელობის გამო, შეიძლება ეს პირი გათავისუფლდეს სისიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

ბოლოს, როგორც აღინიშნა, მითვისების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის დამამძიმებელი გარემოება და ეს გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში. ამ დამამძიმებელი გარემოების ამსრულებელი შეიძლება იყოს საჯარო მოხელეც და კერძო პირიც, რომელიც იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულის ამსრულებელს, როგორც წესი, ქონებაზე აქვთ არა ფიზიკური წვდომა, არამედ ხელეწიფებათ მისი ბედის განკარგვა სამართლებრივად და როგორც წესი ეს ქონება არის ხოლმე მათ მართლზომიერ არა მფლობელობაში, არამედ გამგებლობაში. ამ დამამძიმებელი გარემოების დეტალური განხილვა მოხდება ქვემოთ, მისი და საქართველოს სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების განხილვისას.

1.2. სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობა)

საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის თავისებურება თუ მდგომარეობს ამ დანაშაულის ამსრულებელში, რომლის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს დანაშაულის საგანი, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის კი, დამახასიათებელია მისი ჩადენის ხერხი - მოტყუება. კერძოდ, თაღლითობის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოტყუების ხერხით, ანუ ქონების დაუფლება უნდა მოხდეს მოტყუებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, მისი დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: *„თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით“*, ხოლო ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“

ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, ამ ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მართალია, სსკ-ის 182-ე მუხლის მსგავსად, ამ დანაშაულისგან დაცული სამართლებრივი სიკეთეც საკუთრების უფლებაა, თუმცა „თაღლითობის სპეციფიკა იმაშიც პოულობს თავის გამოხატულებას, რომ გარეგნულად ქონების გადაცემა დამნაშავესთვის ხდება ნებაყოფლობით თვით მესაკუთრის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი“¹¹¹. ცნობილია, რომ მოტყუება შეიძლება იყოს აქტიური და პასიური (ცნობების და ფაქტობრივი გარემოებების დამალვა). როგორც წესი, თაღლითობის ჩადენა ხშირად ხდება ხოლმე ყალბი დოკუმენტების გამოყენებით და ამასთან მნიშვნელოვანია, რომ წინასწარი განზრახვით მოხდეს ამ დანაშაულის ჩადენა, ანუ ქმედების განხორციელებას (სხვისი ნივთის დაუფლებას) წინ უძღოდეს მოტყუება. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ ვინაიდან სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება აუცილებლად გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, იგი თავის თავში მოიცავს საქართველოს სსკ-ის 220-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლებს. შესაბამისად, დამატებითი კვალიფიკაცია ამ მუხლებზე მითითებით არაა საჭირო (სპეციალური და ზოგადი ნორმის კონკურენციისას იმარჯვებს სპეციალური ნორმა, ანუ განსახილველი დამამძიმებელი გარემოება).¹¹²

თაღლითობისას სახეზე უნდა იყოს არა მარტივი, პრიმიტიული ტყუილი, არამედ გარკვეული ურთიერთობიდან ან გარემოებებიდან გამომდინარე, დაზარალებულს უნდა გაუჩნდეს დამნაშავეს მიმართ ნდობა და გაცნობიერებულად განახორციელოს მისთვის ქონების ნებაყოფლობით გადაცემა. მაგალითად, ერთმა პირმა მეორეს ქუჩაში სთხოვა, რომ მობილურ ტელეფონზე დაარეკინოს ან ზარი გააშვებინოს. მან გადასცა მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც დამნაშავე გაიქცა და მიიმალა ტელეფონთან ერთად. აქ სახეზეა ძარცვა და არა თაღლითობა, მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრემ ტყუილის საფუძველზე ნებაყოფლობით გადასცა ტელეფონი. აქ იმიტომ არაა

¹¹¹ *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2023, გვ. 64.

¹¹² იხ. *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

თაღლითობა, რომ ძალიან პრიმიტიული ტყუილია და მესაკუთრემ იმიტომ კი არ გადასცა ტელეფონი, რომ დამნაშავეს რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობიდან გამომდინარე ენდობოდა, არამედ საზოგადოებაში არსებული მორალური ნორმებიდან გამომდინარე. აქ ტყუილი დანაშაულის ჩენის ხერხი კი არაა, არამედ ძარცვისთვის დამახასიათებელი ხერხის გამოყენების გაადვილების საშუალებაა. მობილური ტელეფონი გადაეცა მხოლოდ ადგილზე, წმინდა ტექნიკური მოქმედების, კერძოდ, დარეკვის განსახორციელებლად. თაღლითობა კი, თავისი არსით, როგორც წესი, გულისხმობს გარკვეულ წინარე მოქმედებებს, რომელის შედეგადაც პირი მოიპოვებს ნდობას და შემდეგ ეუფლება მოტყუებით მის ქონებას.

პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც თაღლითს, მისი ვითომ, ბიზნესპარტნიორის ნდობის მოსაპოვებლად, დღიურად უქირავებია ძვირადღირებული შეხვედრებისთვის საჭირო საკონფერენციო დარბაზი, ავტომობილი ან ტანსაცმელი. ასევე სესხი აუღია, რათა მისთვის ფეშენებელურ სასტუმროში ან რესტორანში ემასპინძლა და ყალბი ცნობებით დაურწმუნებია, რომ იგი არის გამოცდილი ბიზნესმენი ამა თუ იმ სფეროში და შემდეგ დიდი მოგების დაპირებით, მოტყუებით ფული დააბანდებინა ამ ბიზნესში.¹¹³

ამასთან, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ხშირად რთული ხდება თაღლითობის და სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევის ერთმანეთისგან გამიჯვნა. განსაკუთრებით რთულდება საკითხი თუ ქონებრივ დავაზე გაფორმებულია წერილობითი ხელშეკრულება (მაგ.: სესხის, თხოვნის, ან ნასყიდობის ხელშეკრულება საფასურის მოგვიანებით გადახდის პირობით) და ხელშეკრულების მხარე არ იხდის ან არ აბრუნებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ქონებას. სამწუხაროდ ხშირად, პოლიციაში, როდესაც გაარკვევენ, რომ ქონებრივ

¹¹³ მაგალითისთვის იხ. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პრაქტიკიდან N092060612003 საქმე, რომელზედაც ამნისტიის გამო, სასამართლო განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის სხდომის ოქმის N1/3570-12 ამონაწერის საფუძველზე შეწყდა ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი დევნა; ასევე იხ. N07411115802 საქმე, რომელზეც დადგა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 თებერვლის N1/635-16 განაჩენი. ამ უკანასკნელ საქმეზე, პირს, რომელიც წარსულში (4 წლის წინ) ნასამართლევი იყო თაღლითობისთვის, ბრალად ჰქონდა წაყენებული თაღლითობის 4 ეპიზოდი, აქედან სამში დაზარალებული იყო ბიზნეს სუბიექტების წარმომადგენელი, ხოლო მეოთხეში ამერიკის ვიზის მსურველი პიროვნება.

დავაზე გაფორმებულია ასეთი ხელშეკრულება, დაზარალებულის ყოველგვარი მოკვლევის გარეშე, უბრუნებენ პასუხს წერილობით, რომ განცხადებაში მითითებული ფაქტები არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და წარმოადგენს კერძო სამართლის დავის საკითხს. ცალსახად ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, არასწორია. ამ შემთხვევაში, ლიტერატურაში სწორადაა მითითებული რომ, „გადამწყვეტია გაირკვეს გარიგების დადებისას თუ ჰქონდა პირს გადაწყვეტილი, მოტყუებით ხელთ ჩაეგდო სხვისი ქონება და განეკარგა იგი როგორც საკუთარი (თაღლითობა), თუ გარიგების დადების შემდეგ გამოვლენილი გარემოების გამო ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება (სამოქალაქო სამართალდარღვევა)“¹¹⁴.

როგორც გაირკვა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო მოხელემ თუ კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, შესაძლებელია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არა მარტო მითთვის მისთვის მინდობილი ქონება, არამედ შესაძლებელია იგი მოტყუებით (ნდობის ბოროტად გამოყენებით), თაღლითურადაც დაეუფლოს დამსაქმებელი სამსახურის ქონებას, თუ ეს ქონება არაა მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში.

1.3. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი) და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 220-ე მუხლი)

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი) გათვალისწინებულია სსკ-ის სამოხელეო დანაშაულების თავიში (თავი XXXIX). ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება არის „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.“ ამ დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია (მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი), ხოლო დაცული სამართლებრივი სიკეთე არის საქართველოს კონსტიტუციური

¹¹⁴ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., 2023, გვ. 82.

წყობილებისა და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის ავტორიტეტთან და სწორ ფუნქციონირებასთან.¹¹⁵

აღნიშნული დანაშაული მატერიალური შემადგენლობისაა, რადგან ამ ქმედებამ უნდა გამოიწვიოს ფიზიკური ან იურიდიული პირის, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ეს შედეგი თუ არ დადგა, ანუ ამ ქმედებამ არ გამოიწვია ასეთი ინტერესების არსებითი დარღვევა, მაშინ ეს ქმედება დანაშაულს საერთოდ არ წარმოადგენს.** სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, როდესაც მოხელე მოქმედებს საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, ეს არის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და არა დანაშაული, მაგრამ თუ ამ ქმედებამ გამოიწვია ზემოაღნიშნული კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა, მხოლოდ მაშინ იქცევა ეს ქმედება დანაშაულად. ეს მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად ჩადენილი ქმედება არაა დანაშაული და ამ ქმედებას დანაშაულებრივს ხდის ის სავალდებულო ნიშანი, რაც გულისხმობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების არსებით დარღვევას. აქედან გამომდინარე არაა გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომ სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას, რაზედაც ავტორები მიაწინებენ მისი **გამიზნითი დელიქტის ხასიათზე** ხაზგასმით.¹¹⁶ მართალია, მიზანი (რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად) პირდაპირაა მითითებული ნორმის დისპოზიციაში, თუმცა ამ მიზნით ჩადენილი ქმედება, საკმარისია მისი დანაშაულად კვალიფიკაციისთვის? ასეთი ქმედება დანაშაულად რომ იქცეს, ამისათვის საჭიროა შედეგი (გამოწვეული მნიშვნელოვანი ზიანი), რისთვისაც უნდა შემოწმდეს პირის განზრახვა შედეგის

¹¹⁵ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020, გვ. 356.

¹¹⁶ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა თბ., 2020, გვ. 366; ასევე იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა თბ., 2017, გვ. 320.

მიმართ. ხსენებული მიზანი და შესაბამისად პირველი ხარისხის განზრახვა, მოხელეს აქვს დისციპლინური (ადმინისტრაციული) გადაცდომის ჩადენისთვის და ამ დანაშაულის რეალური სუბიექტური შემადგენლობა რომ გაირკვეს, უნდა დადგინდეს მოხელეს რა დამოკიდებულება (განზრახვა) ჰქონდა იმ შედეგის მიმართ, რომლის დადგომაც ხდის ამ ქმედებას დანაშაულებრივად. მაშასადამე, უნდა გაირკვეს პირი ითვალისწინებდა თუ არა ასეთი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, სურდა ეს შედეგი, თუ არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. შედეგის მიმართ თუ არის თვითიმედოვნება ან დაუდევრობა, მაშინ სახეზე იქნება სამსახურებრივი გულგრილობა (სსკ-ის 342 მუხლი) და არა სსკ-ის 332-ე მუხლი, რადგან ეს უკანასკნელი მუხლი განზრახი დანაშაულია. მაგრამ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით შეიძლება. შედარებისთვის, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია - *სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია*. იგივე ლოგიკით, ამ შემთხვევაში თუ პირი განზრახ (მიზანმიმართულად, რათა მიიღოს სიამოვნება ავტომობილის სწრაფად მართვით) არღვევს ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესს (მაგ., სიჩქარის გადაჭარბება) და ამან გამოიწვია შეჯახება ადამიანზე და მისი გარდაცვალება, მაშინ ესეც განზრახ (თანაც პირველი ხარისხის) დანაშაული, ანუ გამიზვნითი დელიქტი ყოფილა. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა და რომ გაირკვეს დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა, ავტოსაგზაო შემთხვევის დროსაც, უნდა დადგინდეს, მძღოლს დამდგარი შედეგის მიმართ რა დამოკიდებულება ჰქონდა. თუ შედეგის მიმართ არის გაუფრთხილებლობა იქნება 276-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი, ხოლო თუ განზრახვა იქნება მაშინ ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი დანაშაულს ექნება ადგილი. *ო. გამყრელიძე* მართებულად მიიჩნევს, რომ თუ მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესის დარღვევას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ისე რომ იგი არ იყო დარწმუნებული შედეგის თავიდან აცილებაში და გულგრილობას იჩენს მისი დადგომის მიმართ, მან პასუხი უნდა აგოს არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისათვის (სსკ-ის 108-ე მუხლი) და

არა სსკ-ის 276-ე მუხლით.¹¹⁷ სსკ-ის 332-ე მუხლის სუბიექტური შემადგენლობა დეტალურად იქნება განხილული იქნება შემდეგ ქვეთავში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმები შეიძლება გამოიხატოს **სახელმწიფო საკუთრების უსაფუძვლო დახარჯვაში**, მოხელის მიერ უკანონოდ რაიმე სიკეთის მიღებაში სახელმწიფო საკუთრების ხარჯზე, მაგრამ ამ ქონების **ამოღების გარეშე** და იქვე სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მაგალითად, მოყვანილია შემდეგი შემთხვევა: მოხელე საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ **ბიუჯეტის ხარჯზე მოგზაურობს** სხვადასხვა ქვეყნებში.¹¹⁸ ეს მოსაზრება არაა მართებული და ასეთი მაგალითები სსკ-ის 332-ე მუხლის და 182-ე მუხლის ჭრილში დეტალურად იქნება განხილული ამ დანაშაულების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების ქვეთავში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მსგავსად არის აგებული სსკ-ის 220-ე მუხლი და მათ შორის ძირითადი განსხვავება, როგორც ზემოთ აღინიშნა არის ამსრულებელ სუბიექტებში. თუ სსკ-ის 332-ე მუხლის შემთხვევაში ამსრულებელია მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, სსკ-ის 220-ე მუხლის შემთხვევაში არის - საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი. შესაბამისად, მათ შორის ასევე განსხვავებაა სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტში. ამასთან, სსკ-ის 332-ე მუხლის შემთხვევაში, ქმედებამ უნდა გამოიწვიოს *ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა*, ხოლო სსკ-ის 220-ე მუხლში მითითებულია - „რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“. თავისი არსით, ეს ორივე ჩანაწერი ერდი და იგივე შინაარსისაა და ორივე ქმედება, მძიმე შედეგის დადგომის შემთხვევაში, მიიჩნევა დანაშაულად.

¹¹⁷ იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ.120-121

¹¹⁸ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა თბ., 2020, გვ. 368. ასევე იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა თბ., 2017, გვ. 322.

ცნობილია, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების **შედეგები** მრავალგვარი შეიძლება იყოს. ამ ქმედებამ, ქონებრივი ზიანის გარდა, შეიძლება გამოიწვიოს მორალური ზიანი, რეპუტაციის შელახვა, ჯანმრთელობის დაზიანება და ადამიანის სიცოცხლის მოსპობაც კი. თუმცა, სსკ-ის 342-ე მუხლისგან (გულგრილობა) განსხვავებით, **სიცოცხლის მოსპობას და ჯანმრთელობის დაზიანებას არ მოიცავს 332-ე მუხლი** და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში, ქმედება საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას სხვა მუხლით, რადგან მას არ აქვს დამამძიმებელი გარემოება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ან სხვა მძიმე შედეგი. ამასთან, ზოგიერთ ქმედებას, რომელიც პოტენციურად დიდი საფრთხის მატარებელია, სახელმწიფო იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ ეს ქმედება, თავისთავად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ინტერესების არსებით დარღვევად, კონკრეტული მძიმე შედეგის გარეშე. პირობითად, საქართველოს პრემიერ მინისტრმა, საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა, საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე რუსეთის მოქალაქე, რომელიც არ ფლობს ქართულ და ინგლისურ ენას. არსებული მდგომარეობიდან გამოდინარე, ასეთი მინისტრის საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა იმდენად დიდი რეპუტაციული ზიანის მომტანი იქნება, რომ დანიშვნის მომენტიდან უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები არსებითად დარღვეულად. ასევე, მაგალითად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ზედამხედველობაზე უფლებამოსილმა პირმა, მისი მეგობარი, სამშენებლო კომპანიის მფლობელისგან, ისე ჩაიბარა აშენებული ხიდი, რომ თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევით, არ გადაამოწმა ეს სამუშაოები (მეგობრისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, რათა დამატებით პროცედურების შედეგად არ გაჭიანურებულიყო მისთვის თანხების გადახდა). აღმოჩნდა, რომ ეს ხიდი აშენებული იყო სტანდარტების შეუსაბამოდ, მალევე ჩამოინგრა და ნგრევამ გამოიწვია ამ ხიდზე გამვლელი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მიუხედავად, თანამდებობის პირის ქმედება უნდა ჩაითვალოს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად, ასეთი გადაუმოწმებელი ნაგებობის ჩაბარების მომენტიდანვე. ნაგებობის ასეთი გადაუმოწმებელი ჩაბარება, გარდა საკანონმდებლო რეგულაციების დარღვევისა, წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. შესაბამისად, ამით სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები რომ

ირღვევა არსებითად, ჩანს იქიდანაც, რომ სახელმწიფო ყველა საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს ინფრასტრუქტურული ნაგებობებზე შესრულებული სამუშაოების გადამოწმებას მათ საბოლოო მიღებამდე. რაც შეეხება ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, საინტერესოა შეერაცხება თუ არა თანამდებობის პირს ეს შედეგი? როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში თანამდებობის პირების განზრახვა, არაა მიმართული ადამიანის მოკვდინებისკენ და მისი სიცოცხლის მოსპობას იწვევს წინდაუხედაობის ნორმის დარღვევა. შესაბამისად, სახეზეა იდეალური ერთობლიობა და 332-ე მუხლთან ერთად, **თანამდებობის** პირს ბრალი უნდა წარედგინოს ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვისაც (სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი), მიუხედავად იმისა, რომ თავად სამუშაოების შემსრულებელიც, ცალკე ისჯება სსკ-ის 240-ე მუხლი მე-2 ნაწილით (სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა). მოხელის მხრიდან წინდაუხედაობის ნორმის დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ასეთი გადაუმოწმებელი სამუშაოები შეიძლება ყოფილიყო უხარისხო და მის ექსპლუატაციაში გაშვებას, შეიძლება გამოეწვია ეს შედეგი, რადგან ხიდით სარგებლობდნენ ფეხით მოსიარულე ადამიანები. ამასთან, მოხელეს ექსპლუატაციაში გაშვებამდე, ჰქონდა შესაძლებლობა გადაემოწმებინა შესრულებული სამუშაოების სტანდარტები და ხარისხი. 332-ე მუხლთან ერთად, მოხელის ქმედება დამატებით უნდა დაკვალიფიცირდეს, არა 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივ გულგრილობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა), არამედ სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), რათა მას ორჯერ არ შეერაცხოს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი დანაშაული. ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც მაგალითად, შესაბამისი სამინისტროს ხელმძღვანელმა, დევნილებისთვის სახლების მშენებლობის სამუშაოების მწარმოებლის (ხელმძღვანელის) თანამდებობაზე დანიშნა ყოვლად გამოუცდელი და არაკომპეტენტური ნათესავი, რის შედეგადაც მის მიერ აშენებული ნაგებობა ჩამოინგრა და ადამიანს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა.

332-ე მუხლის შემთხვევაში, ასევე შეიძლება სახეზე იყოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევაც. მაგალითად, გამომძიებელს დაეწერა შესასრულებლად მოქალაქის განცხადება,

რომელიც შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. ვინაიდან, ვინც განცხადებაში იმხილებოდა, იყო გამომძიებლის ახლობელი, გამომძიებელმა ამ განცხადებას არ მისცა მსვლელობა, მაშინ როდესაც მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ევალებოდა გამომძიების დაწყება დაუწყონებლივ.¹¹⁹ ამ მაგალითში, რა თქმა უნდა, გამომძიებელმა უმოქმედობით ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება პირდაპირი განზრახვით.

როგორც გაირკვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად გამოწვეული ზიანი შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, თუმცა მისი სსკ-ის 182-ე მუხლთან შედარების თვალსაზრისით, ქვემოთ განხილულ იქნება 332-ე მუხლის მხოლოდ ისეთი შემთხვევები, რომლებმაც ქონებრივი ზიანი გამოიწვია.

ასევე, რამდენიმე სიტყვით უნდა აღინიშნოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სახესხვაობას იმ განსხვავებით, რომ სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, მოხელე მოქმედებს მისთვის მინიჭებული ზოგადი უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისას, მოხელე აშკარად სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, არაა დამახასიათებელი თავისთვის ან სხვისთვის რაიმე ქონებრივი გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზანი. სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად, როგორც წესი, სახეზე არის მოქალაქეთა ინტერესების არსებითი დარღვევა. მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა იძალადა ადამიანზე საგამომძიებო მოქმედების ჩატარების დროს, ან საჯარო მოხელემ სამსახურში მის დაქვემდებარებულ თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პირადი ღირსების შეურაცხყოფა მიაყენა. ასეთ შემთხვევებში, ბუნებრივია, ამავდროულად ილახება სახელწმიფოს პრესტიჟი და ავტორიტეტიც. სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების

¹¹⁹ იხ. მე-100 მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 03/11/2009.

განხორციელების ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა ცოტა წარმოდგენელია ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედების განხორციელება ისე, რომ ქმედებას შედეგად მოჰყვეს ქონების ორგანიზაციის სახსრებიდან ამოღება და თავისთვის ან მესამე პირისათვის უკანონოდ გადაცემა. მაგალითად, მოხელე, რომელიც მუშაობს საჯარო ორგანიზაციაში, არ არის არც ამ ორგანიზაციის ბუღალტერი და არც ხელმძღვანელი, შესაბამისად არ აქვს არანაირი უფლებამოსილება ორგანიზაციის ფულადი თანხების განკარგვის, გასცდა ის თავის უფლებამოსილებას აშკარად და ბუღალტრის მიერ ელექტრონულ მოწყობილობაში გახსნილი ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ჩუმად გადარიცხა თანხა თავის ანგარიშზე. ეს არის სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ იგი აშკარად გასცდა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას? რა თქმა უნდა, ეს ვერ იქნება სამოხელეო დანაშაული, რადგან ამ ქმედებაში იკვეთება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნები, კერძოდ კი, სახეზე იქნება ქურდობის და სსკ-ის 286¹ მუხლის (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით) ერთობლიობა, რადგან 286¹ მუხლის დისპოზიცია, თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციის გამო, ვერ ფარავს და მოიცავს ქონების დაუფლებას.

1.4. მითვისების, გაფლანგვის (სსკ-ის 182-ე მუხლი) და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ-ის 332-ე მუხლი) სუბიექტური შემადგენლობანი

პირველ რიგში, განხილული იქნება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების სუბიექტური შემადგენლობა. იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რადგან სახეზეა გამიზვნითი დელიქტი და პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ითვისებს ან ფლანგავს სხვის ქონებას, რომელიც მას მინდობილი აქვს, ითვისებდეს, რომ თავისი მოქმედებით ზიანა აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს კიდევაც ეს შედეგი.¹²⁰ გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის ჩადენა

¹²⁰ იხ. *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლევკეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა თბ., 2023, გვ. 91.

შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, თუმცა ავტორს შემოთავაზებული აქვს, რომ ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ **პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით**, რადგან ხაზგასმულია სურვილზე და გამიზვნით დელიქტზე. როგორც ცნობილია პირდაპირი განზრახვა იყოფა პირველი ხარისხის და მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვად. საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, *„ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას“*. აღნიშნული მუხლი გვთავაზობს პირდაპირი განზრახვის ორ ფორმას. – პირველი, პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და *სურდა ეს შედეგი* და მეორე - როდესაც *სურვილი არაა გამოკვეთილი*, მაგრამ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. სწორედ ამ ნიშნით, მეცნიერებაში პირდაპირი განზრახვა იყოფა პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვად.¹²¹ მიჩნეულია, რომ განზრახვა სამკომპონენტია, რომელიც მოიცავს: პირის ცოდნას, ნებელობას და მართლწინააღმდეგობის შეგნებას და განზრახვა შედგება ინტელექტუალური (ცოდნა) და ვოლუნტატიური (ნებელობა) ელემენტებისგან. განზრახვის ინტელექტუალური (კოგნიტური) ელემენტი გამოიხატება ქმედების შემადგენლობის ობიექტურ გარემოებათა აქტუალურ ცოდნაში, ხოლო განზრახვის ვოლუნტატიური ელემენტი (ნებელობა) სურვილის არსებობაში.¹²² სწორედ ვოლუნტატიური ელემენტით განასხვავებენ პირველი ხარისხის და მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას. როგორც *მ. ტურავა* უთითებს, პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვისას სახეზეა „ნებელობა, როგორც შედეგის სურვილით“, ხოლო მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვისას, სახეზეა „ნებელობა, როგორც შედეგის სურვილის გარეშე“¹²³. მსჯელობისას ავტორი მართებულად მიიჩნევს, რომ შეიძლება პირს არ სურდა დამდგარი შედეგი, მაგრამ ეს, არათუ მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში, არამედ

¹²¹ იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 129-136.

¹²² იხ. იქვე, გვ. 130-131.

¹²³ იქვე, გვ. 130.

არაპირდაპირ განზრახვაშიც კი, არ ნიშნავს, რომ ნებელობა სახეზე არაა, არამედ იგულისხმება ის, რომ ნებელობის დაბალი ხარისხია და დამნაშავე არ მოქმედებს სურვილის მაღალი ხარისხით, მიზნით დეტერმინირებული ნებელობით.¹²⁴ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა არის სახეზე მაშინ, როდესაც პირს გამიზნულად არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, როცა შედეგი სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა, თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს არ ნიშნავს რომ ნებელობა არაა სახეზე. მაშინ რატომ არ შეიძლება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით? მაგალითად, საწყობის გამგეს ძალიან მოეწონა მისი ორგანიზაციის პატარა სეიფი, რომელიც მის საწყობში ინახება. იგი ყოველთვის ოცნებობდა ასეთი სეიფის ქონაზე და გადაწყვიტა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა ამ სეიფს. მან იცოდა, რომ სეიფში იდო ორგანიზაციის კუთვნილი თანხა 2 000 ლარი. მას არ სურდა ამ ფულის დაუფლება, რადგან არ უნდოდა ორგანიზაციისთვის მიეყენებინა ფულადი ზიანი, თუმცა არც გასაღები ჰქონდა, რომ ეს სეიფი გაეღო და ფული იქ დაეტოვებინა. ვინაიდან დიდი იყო სურვილი ამ სეიფის დაუფლების, მან ეს სეიფი ფულიანად წაიღო სახლში, რომელიც ხელოსნების მეშვეობით გახსნა რამდენიმე კვირის შემდეგ. რა თქმა უნდა, აქ სახეზეა თანხის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისება, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისთვის დამახასიათებელი ნებელობით. ასევე შეიძლება, იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მის მეგობარს გაუფორმა ხელშეკრულება საქონლის შესყიდვა-მოწოდებაზე, მის მიერვე შემოთავაზებული პირობებით და მაღალი ფასით. მართალია, მოხელეს არ სურდა ზედმეტად მაღალი თანხები გადაეხადა ამ საქონელში, თუმცა იცოდა რომე ეს გარდაუვლად მოხდებოდა თუ ამას გააკეთებდა და მეგობრის მხრიდან მრავალი თხოვნის შემდეგ დასთანხმდა ამ ხელშეკრულების გაფორმებას, რადგან არ უნდოდა მისი განაწყენება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც და სეიფში არსებული ფულის შემთხვევაშიც, სახეზეა მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით მითვისება. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეს არ ჰქონდა ამის სურვილი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ

¹²⁴ იქვე, გვ. 132-133.

სახეზე არ იყო ნებელობა. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის არაპირდაპირი განზრახვით ჩადენას, ეს შეუძლებელია და მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით (მისი ორივე ფორმით).

საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის სუბიექტური შემადგენლობის სხვა სუბიექტური ნიშნებია - მოტივი და მიზანი. მართებულად უთითებს *ი. დვალაძე*, როდესაც აღნიშნავს, რომ „მოტივი და მიზანი ხშირად საშუალებას იძლევა ობიექტურად მსგავსი დელიქტები ერთმანეთისგან გავმიჯნოთ“¹²⁵. მოტივი ფსიქოლოგიური კატეგორიაა და „ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს თუ საფუძველს მოტივს უწოდებენ“¹²⁶. მოტივი მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა (ლათ. სიტყვიდან moveo - ვამოძრავებ), რომელიც ადამიანის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება, ხოლო მიზანი, ის აზრობრივი მოდელია, რისი მიღწევაც პირს სურს დანაშაულის ჩადენით, ანუ რისკენაც მიისწრაფვოდა დამნაშავე.¹²⁷ მოტივის და მიზნის სწორად გაგება ხელს შეუწყობს სსკ-ის 182-ე და 332-ე მუხლების ერთმანეთისგან სწორად გამიჯვნას. სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მოტივი, ანუ მამოძრავებელი ძალა, როგორც წესი, არის ანგარება, ხოლო მიზანი, ანუ რისკენაც მიისწრაფვის დამნაშავე არის ის, რომ ამოიღოს თანხები კანონიერი მესაკუთრის ფონდებიდან და უკანონოდ დაეუფლოს მას თვითონ ან სხვა მესამე პირი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ შემთხვევებში სსკ-ს 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მოტივი შეიძლება არ იყოს ანგარება და იყოს მაგალითად, სიძულვილი. ეს იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელზე გაბრაზებული პირი ფლანგავს, ანუ ანიავებს ამ ორგანიზაციის ქონებას ისე რომ ეს ქონება არავის საკუთრებაში არ გადადის (არავინ მდიდრდება). ამის მაგალითები შეიძლება იყოს, ის მაგალითები, რომლებიც ზემოთ იქნა მოყვანილი (გენერატორის უქმე დღეებში განზრახ მუშა მდგომარეობაში დატოვება ან/და პლანტაციების შეწამვლისას განზრახ ზედმეტი შხამქიმაკატების გამოყენებისა).

¹²⁵ *დვალაძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008. გვ. 142

¹²⁶ *უზნაძე დ.*, ზოგადი ფსიქოლოგია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2006, გვ. 207.

¹²⁷ იხ. *დვალაძე ი.*, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

საქართველოს სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობაზე მსჯელობამდე, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული ლიტერატურაში მართებულადაა მითითებული, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება (ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) წარმოადგენს როგორც 332-ე და 333-ე, ისე, 220-ე მუხლის **სპეციალურ შემადგენლობას**, რის გამოც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისება ან გაფლანგვა არ საჭიროებს ამ მუხლებით დამატებით კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით.¹²⁸ გასაგებია, რომ სპეციალურ შემადგენლობას (ნორმას) უპირატესობა ენიჭება და ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ცნობილი გერმანელი მეცნიერი *სავინი* აღნიშნავდა, რომ სპეციალურ და ზოგად დებულებას შორის კოლიზიისას, როგორც წესი, გამოიყენება სპეციალური (კონკრეტული) ნორმა.¹²⁹ ეს საკითხი დარეგულირებულია თავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც და მისი მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით“. მაგრამ ისმის კითხვა, რას ნიშნავს **სპეციალური ნორმა**? ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სპეციალური ნორმა სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს.¹³⁰ ნამდვილად ეს ასეა, რადგან სსკ-ის 182-ე მუხლისგან დაცული სამართლებრივი სიკეთე საკუთრების უფლებაა, კერძოდ, მისი მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი კი, აწესრიგებს იმას, რომ თანამდებობის პირი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონოდ არ დაეუფლოს მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებულ ქონებას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლისგან დაცული სამართლებრივი სიკეთე, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი

¹²⁸ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა თბ., 2023, გვ. 93. ასევე იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა თბ., 2019, გვ.526.

¹²⁹ იხ. *Savigny F.C.*, System des heutigen römischen Rechts, Band 1, Berlin, 1840, S. 233, 276.

¹³⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 08 ოქტომბრის Nას-743-699-2012 გადაწყვეტილება.

ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის ავტორიტეტთან და სწორ ფუნქციონირებასთან. გარდა იმისა, რომ სსკ-ის 182-ე მუხლს და სსკ-ის 332-ე მუხლს განსხვავებული დაცულ სამართლებრივი სიკეთეები აქვთ, დამატებით უნდა ითქვას, რომ მათ შორის განსხვავება ისიცაა, რომ მითვისება/გაფლანგვის შემთხვევაში, სახეზეა მხოლოდ ქონებრივი ზიანი, ხოლო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას - როგორც ზემოთა აღინიშნა, ზიანი შეიძლება იყოს თითქმის ყველანაირი, რეპუტაციის შელახვიდან დაწყებული, ცალკეული პიროვნების ღირსების შელახვით და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების აბსტრაქტულად (განყენებულად), დარღვევით დამთავრებული. ამასთან, სსკ-ის 332-ე მუხლი, ისეთი უზოგადესი ნორმაა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მის თავში გათვალისწინებული სხვა მუხლებიც (რომლებსაც იგივე სამართლებრივი დაცვის ობიექტი აქვთ) კი, მისი სპეციალური ნორმებია. მაგალითად, მოხელის მიერ ქრთამის აღება, რომელიც ფაქტობრივად, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნაირსახეობაა. შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 332-ე მუხლი ისეთი ზოგადი ნორმაა, რომ მასში აღწერილი ქმედება, არამარტო სსკ-ის 182-ე მუხლში, არამედ სსკ-ის სხვა არაერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებშიც შეიძლება იქნას მოძიებული.

სპეციალური ნორმა გულისხმობს, რომ იგი მოიცავს ზოგადი ნორმით მოწესრიგებულ ძირითად ნიშნებს და არა ყველას. ანუ სპეციალურ ნორმაში გამოტანილია ზოგად ნორმაში ნაგულისხმები ერთ-ერთი ქმედება და დაკონკრეტებულია ზოგად ნორმაში მოაზრებული ქმედება. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი **მოიცავს** არა სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქმედებას, არამედ მხოლოდ ისეთ ქმედებას, რომელიც გულისხმობს თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ორგანიზაციის კუთვნილი ქონების მისი ფონდიდან ამოღებას და თავის ან სხვა მესამე პირის ქონების ფონდში გადასვლას, ან მათ სასარგებლოდ უკანონოდ გახარჯვას. შესაბამისად, იმ მაგალითში, როდესაც გამომძიებელმა განზრახ არ დაიწყო გამოძიება თავისი ახლობლის მიმართ, მისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, რა თქმა უნდა, ასეთ სამსახურებრივ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას არ მოიცავს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლი.

რაც შეეხება, სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას, როგორც აღინიშნა, არსებული იურიდიულ ლიტერატურის მიხედვით, სსკ-ის 332-ე მუხლის შემთხვევაში სახეზეა **გამიზნითი დელიქტი** და ამ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობისათვის აუცილებელია სათანადო მიზნის არსებობა (თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღება).¹³¹ შესაბამისად, მიიჩნევა, რომ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, კერძოდ, კი პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით. სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, მართლაც, შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. მაგალითად, როგორც ზემოთ იქნა განხილული, გამომძიებელმა, რომელმაც განცხადების საფუძველზე არ დაიწყო გამოძიება იმისთვის, რომ მისი ახლობელს თავი აერიდებინა მართლმსაჯულებისათვის. რა თქმა უნდა, იგი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, რადგან სურდა კიდევ შედეგი, რომ მისი ახლობლს აეცილებინა თავიდან მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება. მაგრამ, საკითხავი არის, რამდენად არის შესაძლებელი სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელება პირდაპირი განზრახვით, როდესაც ამას მოჰყვა ქონებრივი ზიანი ორგანიზაციის სახსრების ხარჯზე, მოხელის ან სხვ პირის სასარგებლოდ. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, პირდაპირი განზრახვა დამახასიათებელია სსკ-ის 182-ე მუხლისთვის და მისი მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი გულისხმობს სწორედ ამ განზრახვით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ორგანიზაციის ქონებრივი ფონდების თანხების დაუფლებას ან ხარჯვას უკანონოდ, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ. შესაბამისად, რადგანაც სსკ-ის 182-ე მუხლი არის სპეციალური, ხოლო 332-ე ზოგადი ნორმა, სსკ-ის 182-ე მოიცავს 332-ე მუხლში ნაგულისხმებ ერთ-ერთ შემთხვევას. შესაბამისად, სსკ-ის 332-ე მუხლის შემადგენლობიდან გამოირიცხა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, პირდაპირი განზრახვით ორგანიზაციის კუთვნილი თანხების უკანონოდ დაუფლება ან ხარჯვა. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 332-ე მუხლის ზოგად შემადგენლობაში რჩება მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს შედეგის (ქონებრივი ზიანის მიყენების)

¹³¹ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა თბ., 2020, გვ. 366.

მიმართ აქვს არაპირდაპირ განზრახვა. სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვა განმარტებულია შემდეგნაირად: „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“. როგორც ზემოთ აღინიშნა, განზრახვა შედგება ინტელექტუალური (ცოდნა) და ვოლუნტატიური (ნებელობა) ელემენტებისგან. არაპირდაპირი განზრახვის დროს შედარებით სუსტია ნებელობის ელემენტი. არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო დეფინიციაში, მართალია, პირდაპირ არის მითითებული, რომ პირს არ სურდა დამდგარი შედეგი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნებელობის ხარისხი ნულის ტოლია, უბრალოდ იგულისხმება მხოლოდ ის, რომ იგი არ მოქმედებდა სურვილის მაღალი ხარისხით, მიზნით დეტერმინირებული ნებელობით. ის მაინც მოქმედებს შედეგისადმი ნებელობით.¹³² გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული შემდეგი: ევენტუალური განზრახვის დროს, დამნაშავე თვლის, რომ შედეგის ფაქტობრივი რეალიზება შესაძლებელია და ამას იღებს, ეთანხმება („in Kauf nimmt“). ამ დროს დამნაშავეს ცოდნა და სურვილი სუსტია, დარწმუნებით არ თვლის, რომ შედეგი დადგება და პირდაპირი განზრახვისგან განსხვავებით, მას სულაც არ სურს ფაქტის რეალიზება, მაგრამ ამტკიცებს მათ ან ეგუება („findet sich damit ab“).¹³³ მართალია დამნაშავეს შედეგი არ სურს, მაგრამ, როდესაც ამ შედეგს ეთანხმება და ეგუება, გარკვეულწილად იგულისხმება, რომ იწონებს კიდევ მას. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ეს დამოკიდებულება გამოიხატება „შეგნებულად დაშვებაში“ ან „შედეგისადმი გულგრილად დამოკიდებულებაში“. ლ. მალაქელიძე მართებულად აღნიშნავს, რომ თუ დამნაშავე შედეგის დადგომის შესაძლებლობას უშვებს და მას ეგუება ან კიდევ შინაგანად იწონებს, გაუგებარია იმის თქმა, რომ შედეგის მიმართ მას ნებელობა არ

¹³² იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013.გვ. 130-132.

¹³³ იხ. *Eisele in: Baumann J., Weber U., Mitsch W., Eisele*, Strafrecht Allgemeiner Teil, (§11 Subjektiver Tatbestand: Vorsatz und Tatumstandsirrtum), 13. Auflage, 2021, Rn. 19. ამ საკითხზე ასევე იხ. *Kühl K.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2008, 69-71.

აქვს.¹³⁴ თუ როგორ შეიძლება სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით, განხილულ იქნება შემდეგ მაგალითში. მაგალითად, სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თავისი მეგობრის დაჟინებული თხოვნით, მეგობრის საწარმოს, კონკურსის გარეშე გაუფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება ავტომობილების შესყიდვაზე 1 მილიონი ლარის სანაცვლოდ, მაშინ როდესაც ამ ავტომობილების რეალური საბაზრო ღირებულება იყო 600 000 ლარი. ხელშეკრულების ღირებულება შეთავაზებულ იქნა მეგობრის მიერ. თანამდებობის პირს, პროდუქტის საბაზრო ღირებულების დასადგენად, ევალუბოდა ბაზრის მოკვლევა, თუმცა მან ეს არ გააკეთა და ხელშეკრულება გააფორმა მეგობრის შემოთავაზებულ ფასზე. ამ შემთხვევაში, თანამდებობის პირს, რა თქმა უნდა, გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რადგან იცოდა, რომ ფასის დასადგენად საჭირო იყო ბაზრის მოკვლევა, ასევე ფიქრობდა (თუმცა არ იყო დარწმუნებული), რომ ამის გამო შეიძლება გადაეხადა ზედმეტი თანხები ორგანიზაციის ბიუჯეტიდან, ანუ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, ეს არ სურდა, თუმცა, უშვებდა და ფიქრობდა რომ თუ ასე მოხდა არაუშავს, რამდენიმე ასეული ათასი ლარი არ დააქცევს სახელმწიფოს. როგორც ჩანს, ის ამ შედეგს უშვებდა (ეგუებოდა) და მისი დამოკიდებულება იყო გულგრილი ამ შედეგის მიმართ. თუ სწორედ ასეთი იქნება მოხელის ქმედების სუბიექტური შემადგენლობა შედეგის მიმართ, მაშინ სახეზე გვექნება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი), რამაც გამოიწვია სახელმწიფო ორგანიზაციისთვის 400 000 ლარის ზიანის მიყენება. მაგრამ, თუ მოხელემ ეს იმიტომ გააკეთა, რომ მისი მიზანი/სურვილი იყო ორგანიზაციის ბიუჯეტიდან უკანონოდ გადარიცხულიყო მისი მეგობრის საწარმოზე 400 000 ლარი, ან ამ ხელშეკრულების გაფორმებით გარდაუვლად მიიჩნევდა ამ შედეგის დადგომას (ნებელობა, მაინც სახეზეა მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისთვის დამახასიათებელი), მაშინ სახეზე გვექნება პირდაპირი განზრახვა და გამოირიცხება სსკ-ის 332-ე მუხლის შემადგენლობა, რადგან

¹³⁴ იხ. *მდლაკელიძე ლ.*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2012. გვ. 61.

ამ შემთხვევაში სახეზე იქნება სპეციალური ნორმით, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

1.5. სამსახურებრივი მგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების/გაფლანგვის (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (სსკ-ის 332-ე მუხლი) მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულების საერთო ნიშნები.

საერთო ნიშნები:

- ✓ როგორც ზემოთ ითქვა, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულების ამსრულებელი სპეციალურია ორივე შემთხვევაში (თუმცა, სსკ-ის 182-ე მუხლის ამსრულებელი შეიძლება იყოს კერძო პირიც).
- ✓ ორივე მუხლით გათვალისწინებულმა ქმედებამ შეიძლება მიაყენოს კანონიერ მესაკუთრეს ქონებრივი ზიანი (არა ყოველთვის 332-ე მუხლის შემთხვევაში).
- ✓ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ორივე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ნივთი, ან ქონებრივი უფლება, იმყოფება დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში, უფრო ხშირად კი - გამგებლობაში. ქმედების შემადგენლობის ეს ობიექტური ნიშანი პირდაპირ მითითებულია სსკ-ის 182-ე მუხლის დისპოზიციაში. მართალია, ეს ნიშანი პირდაპირ მითითებული არაა სსკ-ის 332-ე მუხლის დისპოზიციაში, მაგრამ, როგორც წესი, მოხელის სამსახურებრივ ქმედებას შეუძლებელია მოჰყვეს ქონებრივი ზიანი, თუ მას სამსახურებრივად რაიმე უფლებამოსილება (გამგებლობა) არ აქვს ამ ქონებაზე. სხვა შემთხვევაში, ცოტა წარმოუდგენელი იქნება სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მოხელის მიერ ისე განხორციელება, რომ ამან გამოიწვიოს ქონების ამოღება ორგანიზაციის ქონებრივი ფონდებიდან და მისი უკანონოდ გადასვლა თავის ან სხვა პირის

უკანონო მფლობელობაში. ანუ თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოხელის ქმედებას მოჰყვება მისი დამსაქმებელი ორგანიზაციის ქონებრივი ფონდიდან თანხის (ქონების) ამოღება და მისი ან მესამე პირის უკანონო მფლობელობაში გადასვლა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქონებაზე გარკვეული უფლებამოსილება (გამგებლობა) ჰქონია და შეუძლია მისი ბედის განკარგვა. თუ ასეთი გამგებლობა მოხელეს ქონებაზე არა აქვს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იგი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში არ მოქმედებს ამ ქონების მიმართ და შესაბამისად, სახეზე არ იქნება, არც სსკ-ის 332-ე მუხლის შემადგენლობა და არც 182-ე მუხლის.

განმასხვავებელი ნიშნები:

- ✓ როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, განსხვავებული აქვთ სისხლისსამართლებრივი **დაცვის ობიექტი**. კერძოდ, სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან დაცული სამართლებრივი სიკეთე საკუთრებაა. მისი მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი კი, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებულ ქონების დაუფლებას, ხოლო სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული აწესრიგებს საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის ავტორიტეტთან და სწორ ფუნქციონირებასთან.
- ✓ მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება არის ის, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არის სსკ-ის 332-ე მუხლის **სპეციალური შემადგენლობა (ნორმა)**, რადგან სპეციალურ(კონკრეტულ) სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს. სსკ-ის 332-ე მუხლი არის ზოგადი ნორმა, რომელიც ზოგადია არამართო სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებაში, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ბევრ მუხლთან მიმართებაში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, 182-ე მუხლი მოიცავს არა სსკ-ის 332-ე მუხლით

გათვალისწინებული ყველა ქმედებას, არამედ მხოლოდ ისეთ ქმედებას, რომელმაც მესაკუთრის ქონებრივი ზიანი გამოიწვია.

- ✓ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულსა და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ დანაშაულს შორის, რომელსაც მოჰყვა ქონებრივი ზიანი, არის **სუბიექტურ შემადგენლობაში**. როგორც არაერთხელ ითქვა, სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, შესაბამისად მისი მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, შესაძლებელია მხოლოდ **პირდაპირი განზრახვით**. ანუ როდესაც პირს, მის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებული ქონების არამიზნობრივად გახარჯვის ან დაუფლების გზით, სურს მესაკუთრის ქონებრივ დაზიანება ან გარდაუვლად მიიჩნევს ამას, მაშინ სახეზეა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. ვინაიდან მიჩნეულია, რომ სსკ-ის 332-ე მუხლი განზრახ დანაშაულია, ხოლო პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ასეთი ქმედება გადადის სსკ-ის 182-ე მუხლის შემადგენლობაში, აქედან გამომდინარე, სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის, რომელიც ითვალისწინებს მესაკუთრის ქონებრივი ფონდის შემცირების ხარჯზე სხვა პირის გამდიდრებას ან მის სასარგებლოდ თანხების დახარჯვას, რჩება განზრახვის მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს **არაპირდაპირ განზრახვას**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამიჯვნისას, უმთავრესი არის შემდეგი: არ შეიძლება სახეზე იყოს სამოხელეო დანაშაული, როდესაც ამა თუ იმ მოხელის გაცნობიერებული ქმედებით, ეს პირი მიზანმიმართულად, უკანონოდ იღებს თვითონ ან სხვა პირი ქონებრივ სარგებელს მესაკუთრის (სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციის) ქონების შემცირების ხარჯზე ან/და ხდება ამ ქონების განიავება ან გახარჯვა ვინმეს სასარგებლოდ. ასეთ ყველა შემთხვევაში, სახეზე იქნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, როდესაც პირი ამას ახორციელებს პირდაპირი განზრახვით.

ამასთან, შეიძლება სახეზე იყოს 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, როდესაც მოხელის განზრახ ქმედებამ, სამომავლოდ გამოიწვია სახელმწიფოს ქონებრივი ზიანი, მიუღებელი, ანუ აცდენილი სარგებლის სახით. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას შემდეგი: პირობითად ამერიკელი ბიზნესმენები, დაინტერესებულები იყვნენ, თბილისში გასაყიდად გამზადებული, სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთის 10 მილიონ აშშ დოლარად შესყიდვაზე, რათა იქ აეშენებინათ დიდი ბიზნეს ობიექტი, რაც ცალკე კიდეც, დამატებით გააჯანსაღებდა საქართველოს ეკონომიკას. აღნიშნულზე მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, რომელსაც სხვა საკითხზე პირადი კონფლიქტი მოუხდა მათთან. ამის გამო, მან მოატყუა ხსენებული ბიზნესმენები, უთხრა რომ საქართველოში მაღალი გადასახადები და ძალიან ცუდი ბიზნეს გარემოა და არ ღირდა ფულის საქართველოში ინვესტირება. მინისტრის მხრიდან ამგვარი მცდარი ინფორმაციის მიწოდება იმას ემსახურებოდა, რომ მათ გადაეფიქრებინათ ხსენებული ნაკვეთის შეძენა და საქართველოში გრძელვადიანი ინვესტიციის განხორციელება, რამაც ნამდვილად გადააფიქრებინათ ბიზნესმენებს აღნიშნულის განხორციელება. შედეგად, ეს მიწის ნაკვეთი გაიყიდა არა 10 მილიონ აშშ დოლარად, არამედ 200 000 დოლარად და არც დიდი ბიზნეს ინვესტიცია აღარ განხორციელებულა. სამართლებრივად შეიძლება შეფასდეს, რომ მოხელემ (ეკონომიკის მინისტრმა) საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, ბოროტად (პირადი მოტივებით) გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, რამაც გამოიწვია სახელმწიფოსთვის **მიუღებელი**, პირდაპირი ქონებრივი ზიანი 9 800 000 აშშ დოლარის ოდენობით, სხვა რომ აღარაფერი ითქვას ეკონომიკისთვის ამ ინვესტიციის დადებით მხარეებზე. მართალია, მოხელის პირდაპირი განზრახვა არ იყო სახელმწიფოს ქონებრივი დაზიანებისკენ მიმართული (მოქმედებდა პირადი მოტივებით, ამ ბიზნესმენების საქართველოს ბაზარზე არ შემოშვების მიზნით), მაგრამ ასეთ დროს ევენტუალური განზრახვისთვის დამახასიათებელი ცოდნა და ნებელობა შედეგის მიმართ მაინც არის და შესაბამისად სახეზე იქნება, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

მნიშვნელოვანია, გაანალიზებულ იქნას ლიტერატურაში განხილული მაგალითები და გამოთქმული მოსაზრებები ამ დანაშაულების გამიჯვნასთან დაკავშირებით.

როგორც ითქვა, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმები შეიძლება გამოიხატოს **სახელმწიფო საკუთრების უსაფუძვლო დახარჯვაში**, მოხელის მიერ უკანონოდ რაიმე სიკეთის მიღებაში სახელმწიფო საკუთრების ხარჯზე, მაგრამ **ამ ქონების ამოღების გარეშე** და სსკ-ის 332-ე მუხლის მაგალითად მოყვანილია, როდესაც მოხელე საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ **ბიუჯეტის ხარჯზე მოგზაურობს** სხვადასხვა ქვეყნებში.¹³⁵ ასევე, ავტორს ამ დანაშაულების განმასხვავებელ ნიშნად მითითებული აქვს შემდეგი: როცა სახეზეა მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოხელე მასზე მინდობილი სხვისი ქონებრივი ფონდიდან უკანონოდ, უსასყიდლოდ იღებს ქონების ნაწილს და უერთებს მას საკუთარ ქონებას, რითაც მისი ქონება იზრდება, ხოლო მესაკუთრის ქონებრივი ფონდი კი, პირიქით, მცირდება, ხოლო როდესაც სახეზეა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, იგივე პირი მასზე მინდობილი სხვისი ქონებრივი ფონდიდან უკანონოდ იღებს ქონების ნაწილს და გადასცემს მას იმ პირს, ვის მიმართაც ამ ორგანიზაციას კანონიერი მატერიალური მოვალეობა აკისრია.¹³⁶ იქვე ავტორი უთითებს, რომ **დამნაშავის ქონების გაზრდა აუცილებელი პირობაა** ქმედების მითვისებად კვალიფიკაციისთვის, ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას (სსკ-ის 332-ე მუხლი) დამნაშავის მიზანია არა ქონების გაზრდა, არამედ მას აქვს **ქონების დაზოგვის მიზანი**.¹³⁷ სახელმძღვანელოში მოყვანილია მაგალითიც: „საქართველოს ერთ-ერთმა მინისტრმა საზღვარგარეთ ვიზიტისას გარდა ოფიციალურად თანმხლები პირებისა, ბიუჯეტის ხარჯზე თან წაიყვანა მისი ოჯახის წევრები. ამასთან საცხოვრებლად აირჩია ყველაზე ძვირადღირებული (ე.წ. „ფეშენებელური“) სასტუმრო, სადაც მას და მისი ოჯახის წევრებს უწევდნენ უმაღლესი კლასის მომსახურებას. ამ მომსახურებაში შედიოდა არა მარტო კვება და ცხოვრება, არამედ ძვირადღირებული მასაჟები, კოსმეტიკური მომსახურება, საუნები და სხვადასხვა პროცედურები, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 300 000 ლარი შესაბამის ვალუტაში. ყველაფერი ეს გადახდილ იქნა

¹³⁵ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა თბ., 2020, გვ. 368.

¹³⁶ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, სახელმძღვანელოში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა თბ., 2023, გვ. 97-98.

¹³⁷ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ. 2023, გვ. 99,

ბიუჯეტის ფონდიდან როგორც მივლინების ხარჯი.¹³⁸ ამ მაგალითზე ავტორი მიუთითებს, რომ მოხელემ სახელმწიფო ქონება განკარგა საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ თავისთვის და ოჯახის წევრებისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, რაც აფუძნებს სსკ-ის 332-ე მუხლის შემადგენლობას, რადგან თანხის მესამე პირის (უცხოეთის სასტუმროს) ანგარიშზე თანხის გადარიცხვით მოხელემ ქონება **დაზოგა** და მისი **ქონება არ გაზრდილა**. ამასთან ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ქმედება არაა გაფლანგვა, რადგან, მართალია, მინისტრმა ეს თანხა უკანონოდ გადარიცხა სასტუმროს ანგარიშზე, მაგრამ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ სხვისი ქონება ამოღებულ უნდა იყოს არა მარტო უკანონოდ, არამედ **ასევე უსასყიდლოდ**. იქვე მითითებულია, რომ უსასყიდლობას მაშინ აქვს ადგილი, როცა მის მიმღებ მესამე პირს იგი არ ეკუთვნის, ანუ სამართლებრივად არ დაუმსახურებია და მისთვის ქონების გადაცემის არანაირი ვალდებულება არ აკისრია. ამ შემთხვევაში კი, სასტუმრომ ეს თანხა მიიღო გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. ავტორი უთითებს, რომ ყველაზე **მთავარი და გადაწყვეტია ის, რომ სახელმწიფომ დახარჯული თანხის სანაცვლოდ მიიღო ის მომსახურება, რაც მისმა მოხელემ შეუკვეთა ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესრულდა ბიუჯეტიდან გადახდილი თანხის შესაბამისი მომსახურება, რაც გამორიცხავს უსასყიდლობას.¹³⁹ აღნიშნულ მსჯელობაში, გაუგებარია რატომაა ეს ქმედება სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და არა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. მთავარ არგუმენტად ავტორი უთითებს, რომ ქონების ამოღება თურმე არ მოხდარა უსასყიდლოდ და სახელმწიფოს ეს თანხები უსასყიდლოდ არ გადაურიცხავს, რადგან მიიღო შესაბამისი მომსახურება. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ აქ **სახეზე არის „უსასყიდლობის“ არასწორი გაგება**. ვინ მიიღო ეს ე.წ. „ფემენბელური“ სასტუმროს მომსახურება? სახელმწიფომ მიიღო თუ მოხელემ და მისმა ოჯახმა? რა თქმა უნდა, სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ გავიდა ზემოხსენებული 300 000 ლარი, რადგან სანაცვლოდ, ამ თანხის ექვივალენტი მომსახურება მიიღო არა სახელმწიფომ, არამედ ეს უკანონოდ მიიღო მოხელემ და

¹³⁸ იქვე, გვ. 98.

¹³⁹ იხ. *ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ. გვ. 99-101.

მისმა ოჯახის წევრებმა. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში სასტუმრომ რამე კანონიერად მიიღო თუ უსასყიდლოდ, ეს საერთოდ არაფერ შუაშია. ქონებას (ამ შემთხვევაში ქონებრივ სარგებელს სასტუმროს მომსახურების სახით) უკანონოდ და უსასყიდლოდ იღებს დამნაშავე, მისი ოჯახის წევრები და არა სასტუმრო. არა აქვს მნიშვნელობა ამ მომსახურებით მოხელის ოჯახის წევრი ისარგებლებდა, მისი მეგობარი, თუ ნაცნობი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოხელე რომელიც პირდაპირი განზრახვით, ანუ შეგნებული ცოდნით და მაღალი ნებელობით, აყენებს ქონებრივ ზიანს იმ ორგანიზაციას, რომლის სახსრებიც მის მართლზომიერ გამგებლობაშია და სახეზე არის ამ ქონების შემცირება (დაუფლება, გახარჯვა) თავისთვის ან სხვა პირის სასარგებლოდ, ეს ყოველთვის არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ხოლო ამ შემთხვევაში კი სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

სახელმძღვანელოში გამოთქმული ზემოაღნიშნული მსჯელობა რომ არამართებულია, დასტურდება იმავე სახელმძღვანელოში, იქვე მითითებულ მეორე მაგალითში: „ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ორგანიზაციის ბიუჯეტის ხარჯზე რესტორანში შვილის ქორწილი გადაიხადა. ადგილი აქვს გაფლანგვას, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით - პირმა, ვის მართლზომიერ გამგებლობაში იყო ორგანიზაციის ქონება, უკანონოდ და უსასყიდლო (სანაცვლოდ ამ ორგანიზაციას არაფერი მიუღია) გადაიხადა რესტორნის მომსახურების ხარჯი (ანუ გაისტუმრა რესტორნის ვალი)“¹⁴⁰. თუ ეს ქმედება (რესტორანში შვილის ქორწილის გადახდა ორგანიზაციის ბიუჯეტის ხარჯზე) სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულია, მაშინ რატომ არაა ეს მუხლი პირველ მაგალითში, სადაც ორგანიზაციის ბიუჯეტის ხარჯზე შვილის ქორწილი კი არ გადაიხადა, არამედ ოჯახის წევრების სასტუმრო მომსახურების ხარჯები გადაიხადა? რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი მაგალითი თავისი არსით იდენტურ ქმედებებს შეიცავს და ორივე სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულს წარმოადგენს. ავტორს მთავარ არგუმენტად რაც ჰქონდა მოყვანილი (სახელმწიფომ დახარჯული თანხის სანაცვლოდ მიიღო ის

¹⁴⁰ იქვე, გვ. 101.

მომსახურება, რაც მისმა მოხელემ შეუკვეთა ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. შესაბამისად შესრულდა ბიუჯეტიდან გადახდილი თანხის შესაბამისი მომსახურება, რაც გამორიცხავს უსასყიდლოებას) პირველ მაგალითში, მაშინ, ამ ლოგიკით, მეორე მაგალითშიც გამოირიცხება „უსასყიდლოება“, რადგან მეორე შემთხვევაშიც სახელმწიფომ დახარჯული თანხის სანაცვლოდ მიიღო ის სარესტორნო მომსახურება, რაც მისმა მოხელემ შეუკვეთა. რა თქმა უნდა, ეს მსჯელობა არასწორია და ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს არაფერი მიუღია. ამ თანხებით უკანონო სარგებელი მიიღეს მოხელემ და მისმა ოჯახის წევრებმა და ორივე შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული და არა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი). ამ მაგალითებზე, მართებულად მსჯელობს *ი. დვალიძე* და მიუთითებს, რომ აქ უსასყიდლოება საერთოდ ამოვარდნილია კონტექსტიდან და კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტია, ის რომ მინისტრმა და მისმა ოჯახის წევრებმა **დაუმსახურებლად** მიიღეს სასტუმროს მომსახურება სახელმწიფოს ქონებით.¹⁴¹ ამასთან, იგი სწორედ განმარტავს, რომ მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, მესამე პირს (ამ შემთხვევაში სასტუმროს) ეკუთვნის თუ არა კანონიერად ეს ქონება და იქვე უთითებს, რომ ასეთი შემთხვევები, უნდა დაკვალიფიცირდეს არა გაფლანგვად, არამედ მითვისებად.¹⁴²

უნდა ითქვას, რომ საქართველოს პროკურატურის პრაქტიკაშიც არაა გაზიარებული იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ზემოაღნიშნული არამართებული შეხედულება და ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეში, საქართველოს უმაღლესი თანამდებობის ყოფილ პირს, ბრალად აქვს წარდგენილი სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რაც მათ შორის გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხებიდან 2 116 805 ლარის ოდენობის თანხის არამიზნობრივად დახარჯვას უცხოეთში სასტუმრო მომსახურებისათვის.¹⁴³ მართალია ამ საქმის სასამართლო განხილვა ჯერ არ დამთავრებულა (მიმდინარე საქმეა) და არ დადგენილა ამ სასტუმროს ხარჯების

¹⁴¹ იხ. *დვალიძე ი.*, სახელმძღვანელოში: *დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2023, გვ. 180.

¹⁴² იხ. იქვე, გვ. 179-180.

¹⁴³ იხ. საქართველოს მთავარი პროკურორის დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, სს N081260213001 საქმეზე, 2015.

არამიზნობრიობა, თუმცა დადასტურების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სწორია ქმედების 182-ე მუხლით კვალიფიკაცია და არა 332-ე მუხლით.

2. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

2.1. მცირე ისტორიული ექსკურსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების სწორად განმარტებისთვის, მნიშვნელოვანია ისტორიული განმარტების გამოყენება. როგორც ცნობილია, ნორმის ისტორიული განმარტება არკვევს კანონმდებლის ისტორიულ მიზანს.¹⁴⁴ აქედან გამომდინარე, სადისერტაციო კვლევისას, არ იქნება მართებული, თუ ამ ნორმებით (სსკ-ის 182-ე მუხლი და სსკ-ის 332-ე და 220-ე) გათვალისწინებული დანაშაულების ურთიერთმიმართება, არ იქნება განხილული, მინიმუმ, დღევანდელი რედაქციით სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე, არსებული, წინამორბედი საბჭოთა კანონმდებლობისა და ლიტერატურის მიხედვით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ საინტერესო და ბევრი ნაშრომი ეთმობა საბჭოთა რუსულ ლიტერატურაში სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის დეტალურ ანალიზს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების **გატაცება** მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) მიხედვით, „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება ან გაფლანგვა, რომელიც მინდობილი ჰქონდა დამნაშავეს ან იმყოფებოდა მის გამგებლობაში, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.“¹⁴⁵ ამ ნორმის საკანონმდებლო აგებულებიდან დგინდება, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის

¹⁴⁴ იხ. **ხუბუა გ.**, სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2004, გვ. 155.

¹⁴⁵ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებულია 1961 წლის 02 იანვარს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ) და მოქმედებდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებამდე (ძალადაკარგულია: 01/06/2000).

კოდექსი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების (დაუფლების) ერთ-ერთ ხერხად - მიიჩნევა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასაც. იდენტურად იყო ეს დანაშაული რეგლამენტირებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლში. საბჭოთა ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქონების დატაცების ამ სამი ხერხის გაერთიანება ეფუძნება *დამნაშავის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას (ურთიერთობას) დატაცებულ ქონებასთან მიმართებაში*.¹⁴⁶

რაც შეეხება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, იგი განთავსებული იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაულების თავში. კერძოდ, 186-ე მუხლში, რასაც ეწოდებოდა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მისი დისპოზიცია გულისხმობდა შემდეგს: „ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ესე იგი თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრახ ჩადენა ან არჩადენა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“. როგორც ჩანს, დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნულ მუხლში, პირდაპირაა მითითება, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების განხორციელება შესაძლებელია უმოქმედობითაც, რაზედაც მიანიშნებს სიტყვა „არჩადენა“. მართალია, ესე პირდაპირ არაა მითითებული დღევანდელ რედაქციაში, მაგრამ თავისი არსით, ეს დანაშაული გულისხმობს მის უმოქმედობით განხორციელებასაც. ამასთან, დღევანდელ რედაქციის სსკ-ის 332-ე მუხლის დისპოზიციაში, თუ მიზანი (გამორჩენის ან უპირატესობის მიღება) პირდაპირ მითითებულია პირველ ნაწილშივე (მარტივ შემადგენლობაში), საქართველოს სსრ-ის სსკ-ის 186-ე მუხლით, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ამ ქმედების ჩადენა, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, მიიჩნეოდა დამამძიმებელ გარემოებად. კერძოდ, ეს დამამძიმებელი გარემოება ფორმულირებული იყო შემდეგნაირად:

¹⁴⁶ იხ. *Санталов А.И.*, Курс Советского Уголовного права, часть особенная, Том 3, Л., 1973, с. 428.

„იგივე მოქმედება, ჩადენილი სისტემატურად ან ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი“.¹⁴⁷ ეს დანაშაულიც, დაახლოვებით იგივენაირად იყო რეგლამენტირებული რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლში.

რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, *ბ. ფურცხვანიძე* უთითებდა, რომ სუბიექტური მხრივ, ეს დანაშაული, როგორც თვით კანონშია (186-ე მუხლში) ნათქვამი, ხასიათდება განზრახი ბრალით.¹⁴⁸ მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, განზრახვა, ბრალის ფორმას კი არა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანს განეკუთვნება, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მეცნიერთა ნაწილი განზრახვას მაინც ბრალში მოიაზრებს.¹⁴⁹

ბ. ფურცხვანიძე იქვე აღნიშნავს: იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ადგილი აქვს ბრალის შერეულ ფორმას, სახელდობრ, თვით მოქმედების (ან უმოქმედობის) მიმართ ბრალი შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახი, **ხოლო შედეგის (არსებითი ზიანის) მიმართ - როგორც განზრახი**, ასევე **გაუფრთხილებელობითი**.¹⁵⁰ ასეთი მოსაზრება ჰქონდათ 40-50-იანი წლების სხვა ავტორებსაც.¹⁵¹ *ა. სახაროვს* მიაჩნდა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება განზრახი დანაშაულია, რადგან თანამდებობის პირი ითვალისწინებს და სურს კიდეც თავისი

¹⁴⁷ იხ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე აბზაცი.

¹⁴⁸ იხ. *ფურცხვანიძე ბ.*, საბჭოთა სისხლის სამართალი, (განსაკუთრებული I ნაწილი), უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1966, გვ. 320.

¹⁴⁹ იხ. *ტყეშელაძე გ.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბ., 2007; ასევე იხ. *ტყეშელაძე გ.*, ბრალი შეფასებითი ცნებაა, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებულში: მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, რედ: რ. შენგელია, თბ., 2003, გვ. 326; *ნაჭყებია გ.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ: ნაჭყებია გ./დვალიძე ი., თბ., 2007, გვ. 25-26; *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, გვ. 378-390; *ნაჭყებია გ.*, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ. 2001, გვ. 290-296; *ნაჭყებია გ.*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009, 26-34; *ნაჭყებია გ.*, ბრალის ხარისხის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009, გვ. 26-33; *ნაჭყებია გ., თოდუა ნ.*, ბრალის ხარისხის ცნება და მნიშვნელობა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-3 გამოცემა, 2018, თბ., გვ. 226-245; *კუტალია ლ-გ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 574-575.

¹⁵⁰ იხ. *ფურცხვანიძე ბ.*, დასახ. ნაშრ. გვ. 321.

¹⁵¹ იხ. *Лейкина Н. С.*, Курс Советского Уголовного Права, часть особенная, Том 4, Л., 1978, с. 257.

ქმედებიდან გამომდინარე დამდგარი შედეგი. მისთვის გაუგებარია, ბრალის ფორმის ამგვარი გახლეჩა და აღნიშნავს, რომ ბრალის ფორმა არ შეიძლება განისაზღვროს (განიმარტოს) განცალკევებით - ქმედებასთან მიმართებაში ცალკე და დამდგარ შედეგთან მიმართებაში ცალკე, რადგან ქმედება ასეთი შედეგის გარეშე იგივეა, რაც შედეგი ასეთი ქმედებასთან მიზეზობრივი კავშირის გარეშე.¹⁵² საბჭოთა რუსულ ლიტერატურაში ამ მოსაზრებას დიდი მხარდაჭერა არ ჰქონდა და უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, შედეგის მიმართ შესაძლებელია ასევე იყოს გაუფრთხილებლობა. კერძოდ, ერთ-ერთი ავტორი თვლიდა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, ბრალის ფორმის განსაზღვრისათვის, აუცილებელია დადგინდეს პირის სუბიექტური დამოკიდებულება როგორც ქმედებასთან, ისე შედეგთან მიმართებაში, რომელი შედეგიც ობიექტური მხარის შემადგენელი ნაწილია.¹⁵³ იგი უთითებს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, ქმედება სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ თავისთავად განზრახია, რადგან ეს პირდაპირა მითითებული მუხლში (რსფსრ-ის 170-ე მუხლი) და პირი აცნობიერებს, რომ სჩადის ქმედებას, რომელიც სახელმწიფო აპარატის გამართულად ფუნქციონირების ინტერესების საწინააღმდეგოა და სურს კიდევ. ამ გაგებით, სადავო არაა, რომ *აქ განზრახი ქმედებაა, თუმცა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სუბიექტური მხარე ამით არ ამოწურულა და ბრალის ფორმაში ასევე უნდა მოიცვას შედეგი - მნიშვნელოვანი ზიანი - სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან პირის კანონით დაცული უფლებების და ინტერესების დარღვევა.*¹⁵⁴

ავტორის განმარტებით, იმდროინდელი სასამართლო პრაქტიკა უჩვენებს, რომ შეიძლება თანამდებობის პირი განზრახ ბოროტად იყენებდეს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თუმცა ყოველთვის არ სურდეს გამოწვეული მნიშვნელოვანი ზიანი. აქედან გამომდინარე მიიჩნევდა შესაძლებლად და აუცილებლადაც კი, სამსახურებრივი უფლებამოსილების

¹⁵² იხ. *Сахаров А. Б.* Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, М., 1956, с. 111-112.

¹⁵³ იხ. *Лейкина Н. С.*, Курс Советского Уголовного Права, часть особенная, Том 4, Л., 1978, с. 258.

¹⁵⁴ იხ. იქვე, გვ. 258.

ბოროტად გამოყენებისათვის პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, როდესაც პირი აქვს გაუფრთხილებლობაც შედეგთან მიმართებაში.¹⁵⁵ ავტორი *სოლოვიოვის* სიტყვებს იშველიებს და აღნიშნავს, რომ არ შეიძლება რეალური ცხოვრებისეული ფაქტების უგულებელყოფა, წმინდა ზოგად თეორიული ბრალის კონსტრუქციის გამო, რომელიც გულისხმობს ბრალის ერთი და იგივე ფორმას ქმედებასთანაც და შედეგთან მიმართებაშიც.¹⁵⁶ იქვე მაგალითად მოჰყავს შემდეგი: „ი-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა რსფსრ-ის სსკ-ის 170-ე მუხლის მეორე ნაწილით. ის იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კოლმეურნეობაში მომუშავე მექანიკოს მისცა დავალება, რომ რკინიგზის სადგურზე ავტომობილით წაეყვანა 26 სტუდენტი. ავტომობილი იყო ტექნიკურად გაუმართავი და არ იყო მოწყობილი მგზავრთა გადასაყვანად. მექანიკოსს არ ჰქონდა ავტომობილის მართვის მოწმობა. ეს ყველაფერი იცოდა ი-მ და მან მაინც უბრძანა მექანიკოსს, რომ წაეყვანა სტუდენტები. გზაში მექანიკოსმა დაარღვია სატრანსპორტო მოძრაობის წესი, ავტომობილი ამოყირავდა და 1 სტუდენტი დაიღუპა, ერთმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, ხოლო 11 სტუდენტმა - მსუბუქი დაზიანება. აღნიშნული მაგალითიდან, ნათლად ჩანს, რომ ი-მ გასცა უკანონო ბრძანება, არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მექანიკოსს, რომელსაც არ ჰქონდა მართვის უფლება და მართავდა გაუმართავ მანქანას, შეიძლება დაერღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესი და მოეხდინა ავარია მძიმე შედეგებით. პასუხისმგებლობა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას დგება მხოლოდ მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევისას და თუ კი დამნაშავე არ ითვალისწინებდა ამ შედეგებს, მაშინ, იქიდან გამომდინარე, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას განზრახ დანაშაულად აღიარებენ, ი-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს. ქმედების უკანონობა და საზოგადოებრივად საშიშროება აშკარაა, ამავდროულად, აშკარაა მიზეზობრივი კავშირი შედეგთან და ის, რომ შედეგთან მიმართებაში სახეზე იყო გაუფრთხილებლობა“¹⁵⁷. აქედან გამომდინარე, ავტორი თვლის, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, თანამდებობის პირი შედეგის მიმართ

¹⁵⁵ იხ. იქვე, გვ. 259.

¹⁵⁶ იხ. იქვე, გვ. 259.

¹⁵⁷ *Лейкина Н. С.*, დასახ. ნაშრ. გვ. 259-260;

შეიძლება მოქმედებდეს გაუფრთხილებლობითაც და განხილულ მაგალითში, იგი სწორედ მიიჩნევს პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ამ დანაშაულისთვის. ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. მენშაგინი და აღნიშნავს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სუბიექტური მხარე ითვალისწინებს ბრალის შერეულ ფორმას: ბრალეული დამოკიდებულება თავად ქმედების მიმართ და შედეგის, გამოწვეული მნიშვნელოვანი ზიანის მიმართ. ბრალეული დამოკიდებულება თავად ქმედების (ან უმოქმედების) მიმართ შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის ფორმით. კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების განზრახ ბოროტად გამოყენებისას, როდესაც თანამდებობის პირი გაცნობიერებულად ითვალისწინებს, რომ მისი ქმედება ეწინააღმდეგება სამსახურებრივ ინტერესებს და მაინც სურს ამ ქმედების ჩადენა. თუმცა ამ დანაშაულისთვის, ასევე აუცილებელია რომ ქმედებამ გამოიწვიოს სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესების მნიშვნელოვნად დაზიანება. დამდგარ მნიშვნელოვანი ზიანთან მიმართებაში კი, თანამდებობის პირის ბრალეულობის ფორმა, გამოიხატება როგორც განზრახვაში (პირდაპირი ან არაპირდაპირი), ისე გაუფრთხილებლობაში (თვითიმედოვნა და დაუდევრობა).¹⁵⁸ იგი მიიჩნევს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება შედეგთან, ანუ გამოწვეულ მნიშვნელოვან ზიანთან მაშინაა, როდესაც თანამდებობის პირი მოქმედებს სამსახურის ინტერესის საწინააღმდეგოდ, არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა, შესაბამისი გარემოებებიდან გამომდინარე, ის ვალდებული იყო და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ან/და ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა თვითიმედოვნებით, უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. ამის მაგალითად ავტორს მოჰყავს შემდეგი: საწარმოს დირექტორმა უკანონოდ გახარჯა (საწარმოს სხვა მიზნებისთვის) ფულადი სახსრები იმ ასიგნებებიდან, რომლითაც სავალდებულოდ გათვალისწინებული იყო მუშების საერთო საცხოვრებლის რემონტის ხარჯი. ამ შემთხვევაში დირექტორი ითვალისწინებდა შედეგის – სახელმწიფო ინტერესების არსებით დარღვევის –

¹⁵⁸ იხ. *Меньшагин В. Д.*, Советское Уголовное Право, особенная часть, М., 1971, с. 288-289

დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ დამატებით მიიღებდა სახსრებს საერთო საცხოვრებლის რემონტისათვის და თავიდან აიცილებდა ამ შედეგს. დირექტორის გათვლები არ აღმოჩნდა სათანადო, ვერ მიიღო დამატებით სახსრები და მუშების საერთო საცხოვრებელი დარჩა ურემონტო და არახელსაყრელ პირობებში.¹⁵⁹ ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. კირიჩენკო და აღნიშნავს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას სახეზეა ბრალის ორი ფორმა, ანუ შერეული ბრალი, რომელიც ქმედების მიმართ განზრახვას გულისხმობს, ხოლო შედეგის მიმართ, როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას.¹⁶⁰ იგი აღნიშნავს, რომ ვერ დაეთანხმება იმ ავტორთა მოსაზრებას, რომ ამ დანაშაულს ახასიათებს ბრალის ერთი ფორმა - განზრახვა. ეს ავტორები (ვის აზრსაც არ ეთანხმება) მიიჩნევენ, რომ დამნაშავე შეიძლება არ ითვალისწინებდეს კონკრეტულად იმ ზიანს, რომელიც გამომდინარეობს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისგან, მაგრამ, ვინაიდან ზოგადად ასეთი შედეგები მოჰყვება ხოლო ანტისაზოგადოებრივი ხასიათის ქმედებას (ბოროტად გამოყენებას), ეს სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული. ანუ მიიჩნევენ, რომ ასეთ შედეგს, ზოგადი ხედვით მოიცავს განზრახვა და ასეთ შემთხვევებში, ადგილი აქვს განუსაზღვრელ/ბუნდოვან და დაუკონკრეტებელ განზრახვას. როგორც აღინიშნა, ავტორი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და უთითებს, რომ უსაფუძვლოდ ხდება ზოგადი (აბსტრაქტული) და კონკრეტული შედეგების გათვალისწინების გაგების ერთმანეთში აღრევა.¹⁶¹ აქედან გამომდინარე თვლის, რომ თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, თანამდებობის პირი კონკრეტული შედეგის დადგომას არ ითვალისწინებდა, შედეგის მიმართ სახეზეა გაუფრთხილებლობა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ავტორები მიიჩნევდნენ, რომ ანგარების მოტივით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ურთიერთმიმართება არის, როგორც **ზოგადი და სპეციალური**, რის გამოც, ასეთი ქმედების ჩადენისას, სახეზე იქნება ქონების დატაცების მუხლი და

¹⁵⁹ იხ. იქვე, გვ. 289

¹⁶⁰ იხ. *Кириченко В.Ф.*, Курс Советского Уголовного Права, часть особенная, Том 6, М., 1971, с. 40.

¹⁶¹ იხ. იქვე, გვ. 41.

არა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.¹⁶² ამასთან ამ ორი დანაშაულის მთავარ განმასხვავებელი ნიშნად, ერთ-ერთი ავტორი უთითებს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ამოღება არ ხდება, განსხვავებით ამ ქონების დატაცების დანაშაულისგან. ამის დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: სამკერვალო სახელოსნოს ხელმძღვანელმა, გამოიყენა ამ სახელოსნოს სამუშაო ძალა (თანამშრომლები) და მათ უსასყიდლოდ ახორციელებინებდა სამკერვალო მომსახურებას თავისი ნათესავებისთვის და ნაცნობებისთვის. ამ მაგალითში, ავტორი მიიჩნევს, რომ სახეზეა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რადგან მან სახელმწიფო ორგანიზაციიდან (სამკერვალოდან) ქონება კი არ ამოიღო, არამედ პირადი ინტერესებისთვის გამოიყენა მხოლოდ ცოცხალი სამუშაო ძალის მომსახურება.¹⁶³

საბჭოთა იურიდიული ლიტერატურის ანალიზისას, წარმოჩინდა, რომ არსებობდა საინტერესო შეხედულებები სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით და როგორც გამოჩნდა, ზოგიერთი ავტორი იმასაც კი მიიჩნევდა, რომ ამ დანაშაულის განხორციელება შეიძლება ისე, რომ შედეგის მიმართ თანამდებობის პირს ჰქონდეს არა მარტო არაპირდაპირი განზრახვა, არამედ გაუფრთხილებლობაც (როგორც თვითიმედოვნება, ისე დაუდევრობა).

2.2. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანულ სისხლის სამართალთან მიმართებაში

იმისათვის, რომ დადგინდეს როგორია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული შესატყვისი დანაშაულების ურთიერთმიმართება სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში, ამისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას შედარებით-სამართლებრივი მეთოდი. შედარებით-

¹⁶² იხ. *Лейкина Н. С.*, Курс Советского Уголовного Права , часть особенная, Том 4, Л., 1978, с. 261; *Кириченко В. Ф.*, Курс Советского Уголовного Права , часть особенная, Том 6, М., 1971, с. 42; *Меньшагин В. Д.*, Советское Уголовное Право, особенная часть, М., 1971, с. 289.

¹⁶³ იხ. *Меньшагин В. Д.*, დასახ. ნაშრ. გვ. 289.

სამართლებრივ მეთოდს უწოდებენ სამართლის განმარტების მეხუთე მეთოდს.¹⁶⁴ პირველ რიგში, მიზანშეწონილია განხილულ იქნას გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ამ საკითხის რეგულირებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის ნაწილობრივ შესატყვისი შემადგენლობა, ფაქტობრივად, ასახული აქვთ კოდექსის ორ პარაგრაფში (მუხლში). გერმანიის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე პარაგრაფით გათვალისწინებულია დანაშაული მითვისება (**Unterschlagung**):

„1) ის, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებს სხვის კუთვნილ მოძრავ ქონებას *თავისთვის ან მესამე პირისთვის*, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს სამი წლისა, თუ ეს დანაშაული სხვა უფრო მკაცრი ნორმით არ ისჯება;

2) პირველი აბზაცით გათვალისწინებული ქმედება, თუ ქონება *მინდობილია* დამნაშავეზე, სასჯელი იქნება ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 5 წლისა.“

ამ პარაგრაფის პირველი აბზაცით გათვალისწინებული ქმედება სუბსიდიური დელიქტია და წარმოადგენს ქურდობის სპეციალურ სახეს, რადგან პირს არა აქვს ეს ქონება მართლზომიერ მფლობელობაში. რის გამოც, იგი ვერ ჯდება მითვისების ტრადიციული გაგების ჩარჩოებში.¹⁶⁵ პარაგრაფის მხოლოდ მეორე აბზაცი (ნაწილი) მოიცავს ნაწილობრივ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, იმიტომ რომ სუბიექტს ამ შემთხვევაშიც წარმოადგენს პირი, რომელსაც **მინდობილი** (ანუ მის მართლზომიერ მფლობელობაში) აქვს ეს ქონება. სწორადაა აღნიშნული, რომ „მინდობილი“ გაგებულ უნდა იქნას როგორც „მართლზომიერი მფლობელობა“, ხოლო „მართლზომიერი გამგებლობა“ სხვა დატვირთვის მატარებელია.¹⁶⁶ ამასთან, პარაგრაფის ეს ნაწილი გულისხმობს როგორც მითვისებას, ისე ქართული გაგებით გაფლანგვასაც, რადგან, როგორც დისპოზიციაშია აღნიშნული, ნივთის მითვისება შესაძლებელია **მესამე პირისთვისაც**. როგორც ზემოთ აღინიშნა,

¹⁶⁴ იხ. **Häberle P.**, Grundrechtsgeltung und Grundrechtsinterpretation im Vefassungsstaat Zugleich zur Rechtsvergleichung als „fünfter“ Auslegungsmethod, in.: Juristische Zeitschrift, 1989.

¹⁶⁵ იხ. **Жалинский А. Е.**, Современное немецкое уголовное право, М., 2004, с. 433-434.

¹⁶⁶ იხ. **დვალაძე ი.**, სახელმძღვანელოში: **დვალაძე ი., ხარაჩაული ლ., თუმანიშვილი გ.**, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2023, გვ. 165.

მესამე პირისათვის ქონების გადაცემის შემთხვევაში, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში არასწორად კვალიფიცირდება ეს ქმედება გაფლანგვად, რაც წარმოშობს დამატებით პრობლემებს. ეს პარაგრაფი (მუხლი) გერმანიაში შეიცვალა 1998 წელს და მას შემდეგ ამ მუხლით ისჯება არამხოლოდ თავისთვის, არამედ სხვისთვის, მესამე პირისთვის მითვისებაც. სხვა პირის, მითვისებაში (ჩართვის) დამატების მიზეზი გახდა, ის რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის თავის დაღწევა არ მომხდარიყო დამნაშავეს მიერ საკუთარი თავისთვის მითვისების უარყოფით.¹⁶⁷ სანამ ცვლილებები განხორციელდებოდა, სწორედ ამიტომ, 1996 წელს, გერმანიის უზენაესმა (ფედერალურმა) სასამართლომ, დამნაშავედ ვერ ცნო მაღალი თანამდებობის პირი, რომლის დავალებითაც თანამშრომლები კერძო პირების ფულად თანხებს ითვისებდნენ არა თავის სასარგებლოდ, არამედ რიცხავდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში.¹⁶⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 246-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცში გათვალისწინებული მითვისების საგანი არის მხოლოდ მოძრავი ქონება და იგი მოიცავს მხოლოდ ისეთი მარტივი გარიგების საფუძველზე მინდობილ ქონებას, როგორიცაა თხოვება, ქირავნობა, მიზარება და სხვა. რაც შეეხება სამსახურებრივი მგომარეობის გამოყენებით ჩადენილ მითვისებას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში, მისი შესატყვისი დანაშაული გათვალისწინებულია გერმანიის სსკ-ის 266-ე პარაგრაფში და ამ დანაშაულს ჰქვია „Untreue“, რაც ქართულად ნიშნავს „ღალატს“. ამ პარაგრაფის პირველი აბზაცი გულისხმობს შემდეგს: „ის, ვინც ბოროტად იყენებს კანონით, საჯარო დავალებით, ან სამართლებრივი გარიგებით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რომელიც გულისხმობს სხვისი ქონების (აქტივის) განკარგვას ან მასზე სავალდებულო ძალის მქონე გარიგების დადებას მესამე პირებთან, ან ვინც არღვევს მის მოვალეობას დაიცვას სხვისი ქონებრივი (ფინანსური) ინტერესები, რომელიც მას ევალება კანონის, საჯარო დავალების, სამართლებრივი გარიგების საფუძველზე, ან ფიდუციური ურთიერთობიდან გამომდინარე და სწორედ ამის გამო ზიანს აყენებს იმ პირის ფინანსურ ინტერესებს, რომლის წინაშეც ისინი იყვნენ პასუხისმგებელნი“.

¹⁶⁷ იხ. *Kühl in: Lackner K., Kühl K., Heger M.*, Strafgesetzbuch Kommentar, 29. Auflage, 2018, § 246, Rn.8.

¹⁶⁸ იხ. BGHSt 41, 187. (გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება).

შემაღგენლობის კონსტრუქციიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია ორი, ალტერნატიული მოქმედებით: უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით და ქონებაზე ზრუნვის მოვალეობის დარღვევით, რაც სხვისი ფინანსური ინტერესების დაცვას გულისხმობს.¹⁶⁹ როგორც გამოჩნდა, საკმაოდ ვრცლად არის რეგლამენტირებული ეს დანაშაული, რომელიც მოიცავს, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულს, როგორც მითვისებას, ისე გაფლანგვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ დანაშაულის განზრახვა, გარდა იმისა, რომ მოიცავს მოსალოდნელი ქონებრივი ზიანის ალბათობის მაღალ ხარისხს, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას პირის მოტივები და ინტერესები და **განზრახვისთვის სავალდებულო არა გამდიდრების მიზანი**.¹⁷⁰ როგორც ჩანს, დამნაშავემ ეს ქმედება შეიძლება ჩაიდინოს ისე, რომ ქონება მის ქონებრივი ფონდში კი არ გადავიდეს, არამედ გაიხარჯოს ისე, რომ ამით არავინ გამდიდრდეს, ისე როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში იყო (გენერატორის და შხამქიმიკატების მაგალითები). ამასთან, განსაკუთრებით ფრთხილი დამოკიდებულება აქვთ ამ მუხლით მეწარმე სუბიექტის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საკითხზე. მიიჩნევენ, რომ მეწარმე „აბსოლუტურად“ გააზრებულად უნდა მოქმედებდეს, იმ შეგნებით, რომ ეს მისი ქმედებები აზიანებს კომპანიის ქონებრივ ინტერესებს. ამასთან აღნიშნულია, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულად კრიტიკულ გამოკვლევას საჭიროებს, რადგან დირექტორატს უნდა მიეცეს მოქმედების ფართო სპექტრი ბიზნესის მართვაში, იქიდან გამომდინარე, რომ ბიზნეს რისკების შეგნებულად აღება სამეწარმეო საქმიანობის ნაწილია.¹⁷¹

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების) შესატყვისი ზოგადი ნორმა, არ არსებობს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში,

¹⁶⁹ იხ. *Bohlender M.*, Principles of German Criminal Law, Oxford and Portland, Oregon, 2009, p. 227.

¹⁷⁰ იხ. *Heger M.*, in: *Lackner K., Kühl K., Heger M.*, Strafgesetzbuch Kommentar, 29. Auflage, 2018, §266, Rn.19.

¹⁷¹ იხ. NStZ 2022, 683(m. Anm. Becker (§266)); ასევე იხ. BGH, Urteil vom 10.02.2022 - 3 StR 329/21.

თუმცა, საჭიროა ითქვას, რომ გერმანიის კოდექსის სამოხელეო დანაშაულების თავში, უფრო დეტალურად არის ჩაშლილი საჯარო მოხელის ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედებები. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე პარაგრაფით დასჯადად არის გამოცხადებული „მართლმსაჯულების დამახინჯება“, რაც გულისხმობს „მოსამართლის, არბიტრის ან სხვა საჯარო მოხელის მიერ, სამართლებრივი (იურიდიული) საქმის კანონის დარღვევით წარმართვას ან ასეთი გადაწყვეტილების მიღებას თავის სასარგებლოდ ან სხვა პირის საზიანოდ“. ასეთი ქმედება საქართველოში რომ განახორციელოს მოსამართლემ, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად. უფრო მეტიც, სხვა მუხლებთან ერთად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პარაგრაფით, მოხელის მიერ ჩადენილი ისეთი სპეციფიური ქმედებაა გათვალისწინებული, რომელიც გულისხმობს „საჯარო მოხელის მიერ, რომელსაც ევალება გადასახადების, მოსაკრებლების, ან სხვა ფისკალური თანხების შეგროვება სახელმწიფო ხაზინისთვის, შეგნებულად იმაზე მეტი გადასახადის დაწესებას ან აგროვებას, ვიდრე ეს გადამხდელს ეკუთვნოდა.“ მართალია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში არაა ისეთი ზოგადი ნორმები, როგორებიცაა საქართველოს სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლები, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ნორმებით გათვალისწინებული ქმედების ფორმები გათვალისწინებული აქვთ სხვა სპეციალურ ნორმებში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა ქმედება, რომელიც განზრახ ქონებრივი ზიანს აყენებს მესაკუთრეს, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნულ 266-ე პარაგრაფით კვალიფიცირდება. ამასთან ეს მუხლი იქნება სახეზე, თუნდაც არ მოხდეს ამ ქონებით ვინმეს გამდიდრება. მაგალითად, გერმანიის ყოფილ კანცლერს - ჰელმუტ კოლის 2000 წელს პროკურატურა ბრალს სდებდა სწორედ ამ პარაგრაფით, რადგან მან პარტიისთვის მიღებული თანხების შესახებ არ მოახდინა დეკლარირება (დამალა ანგარიშში), ამასთან არც თავისთვის გამოიყენა ეს ფული და არც პარტიას და მის წევრებს მოახმარა.¹⁷²

¹⁷² იხ. *Жалинский А. Е.*, Современное немецкое уголовное право, 2004, с. 474

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, გერმანიის სსკ-ი ერთმანეთისგან მიჯნავს მოხელის მიერ ქრთამის აღებას კანონიერი ქმედებისთვის (მისი ვალდებულების შესრულებისთვის) და უკანონო ქმედებისთვის (მისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევის სანაცვლოდ). ისინი ცალ-ცალკე მუხლებში აქვს რეგლამენტირებული და უკანასკნელი ქმედებისთვის გაცილებით მაღალი სასჯელები აქვს დაწესებული. ამასთან, ქრთამის აღებას (მექრთამეობას) უწოდებს - სამსახურებრივი მდგომარეობის დარღვევის სანაცვლოდ სარგებლის მიღებას (§332 “Bestechlichkeit”), ხოლო მისი ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ - უბრალოდ შეღავათის/სარგებლის მიღებას (§331 “Vorteilsannahme”). როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანია მოსამართლეებს არ თვლის საჯარო მოსამსახურეებად, ამიტომ, მექრთამეობის მუხლებშიც, ცალკე, მეორე აბზაცებში არის მითითება სპეციალურად მოსამართლეებზე და არბიტრებზე და მათ მიერ ამ ქმედების ჩადენა, მართებულად არის მიჩნეული დამამძიმებელ გარემოებად.

2.3. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი თანამედროვე, სხვა უცხო ქვეყნების კანონმდებლობასთან მიმართებაში

შედარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული რეგულაციების განხილვა, რადგან საკანონმდებლო აგებულებით, თითქმის იდენტურია სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების შესატყვისი ნორმები რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში. ხსენებული კოდექსის 160-ე მუხლში, გათვალისწინებულია მითვისება ან გაფლანგვა (Присвоение или растрата) და მისი პირველი ნაწილის თანახმად, *„მითვისება ან გაფლანგვა, ესე იგი დამნაშავეისთვის მინდობილი სხვისი ქონების დაუფლება“*. ამ ქმედების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად, აქაც მითითებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილში. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება არის „თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენება სამსახურის

ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუ ეს ქმედება ჩადენილი იყო ანგარებით ან სხვა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და მოჰყვა მოქალაქეების ან ორგანიზაციების უფლებების ან კანონიერი ინტერესების, ანდა კანონით დაცული საზოგადოების ან სახელმწიფო ინტერესების არსებითი დარღვევა“. რუსულ იურიდიულ ლიტერატურაშიც, მართებულადაა მითითებული, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას თუ სახეზეა თანხების და სხვა ქონებრივი რესურსების დატაცების (хищения) ნიშნები, ანუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება თუ ხდება სხვისი ქონების დაუფლებისთვის, ეს ქმედება განიხილება როგორც მითვისება და დაკვალიფიცირდება რუსეთის სსკ-ის 160-ე მუხლით.¹⁷³ იქვე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მაგალითებად მოყვანილია: სააღრიცხვო ჟურნალში მატერიალური ფასეულობის დანაკლისის შენიღბვა, რათა თავიდან აირიდოს მატერიალური პასუხისმგებლობა; სამსახურებრივად დაქვემდებარებული სამუშაო ძალის (მუშა მოსამსახურეების) და ან ტრანსპორტის (მძიმე ტექნიკის) მისი ან მისი ახლობლების სასარგებლოდ წარმართვა და ასევე ე.წ. „დროებითი სესხება“ ფულის ან სხვა ქონების.¹⁷⁴ სწორედ ისეთი მაგალითებია მოყვანილი, როდესაც არ ხდება ორგანიზაციიდან ქონების ამოღება ანდა ხარჯვა თავისი ან მესამე პირის სასარგებლოდ და ზუსტადაც ასეთი ქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოშიც სსკ-ის 332-ე მუხლით და არა ისეთი ქმედებები, როგორიცაა ორგანიზაციის ფულადი თანხებით ქორწილის სუფრის ან სამოგზაურო ხარჯების უკანონოდ დაფინანსება.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია ის, რაც ქართულ ლიტერატურაში არსად მოიძებნება და რაზეც ამ დისერტაციაში ზემოთ ხდებოდა მტკიცება, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შესაძლებელია *არაპირდაპირი განზრახვითაც* (როგორც ზემოთ აღინიშნა ქართულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სსკ-ის 332-ე მუხლი გამიზვნითი დელიქტია და შესაბამისად მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით). კერძოდ, ერთ-ერთ რუსულ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ

¹⁷³ იხ. **Радченко В.И.**, Комментарий К Уголовному Кодексу Российской Федерации, 7-е издание, М., 2007, с.713-714. ასევე იხ. **Зубкова В.И.**, Курс Уголовного Права, Особенная часть, Том 5, Москва, 2002, С. 93.

¹⁷⁴ იხ. იქვე, С. 714.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვას და იქვე უთითებენ, რომ ამ შემთხვევაში განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას სუბიექტს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან გარდაუვლად მიიჩნევს ამ შედეგის დადგომას და სურდა ეს შედეგი ან არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ანდა გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.¹⁷⁵ მართებულია ეს შეფასება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ჩადენა, მართლაც, შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც, ხოლო ისეთ შემთხვევებში, რომელსაც შედეგად მოჰყვება ქონების დაუფლება ან ხარჯვა დამნაშავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით, რადგან თუ სახეზე იქნება პირდაპირი განზრახვა, ეს ქმედება გადის უკვე მისი შემადგენლობიდან და მოხდება სპეციალურ ნორმაში - საქართველოს შემთხვევაში, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში.

როგორც ჩანს, თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში არაა გაზიარებული საბჭოთა რუსულ ლიტერატურაში არსებული ის მოსაზრება, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, შედეგის მიმართ სუბიექტური შემადგენლობის ნიშანს - გაუფრთხილებლობასაც გულისხმობს. ისინი მიიჩნევენ, რომ შედეგის მიმართ, ამ დანაშაულის დროს, სახეზე უნდა იყოს მინიმუმ არაპირდაპირი განზრახვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრება მართებულია და ქართულ საკანონმდებლო სივრცეშიც, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირი შედეგის მიმართ მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით.

ასევე საინტერესოა ინგლისურენოვან იურიდული ლიტერატურაში ამ დანაშაულებზე არსებული მოსაზრებები. ინგლისურენოვან ლიტერატურაში, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაული, მოხსენიებული აქვთ შემდეგი ტერმინებით - “Misappropriation“ ან “Embezzlement“.

¹⁷⁵ იხ. *Ляпунов Ю.И.*, Комментарий К Уголовному Кодексу Российской Федерации, Москва, 1996, с. 662.

უფრო ხშირად კი, იყენებენ ტერმინს - “Embezzlement“-ს. ამ უკანასკნელს, ქართული სიტყვა „გაფლანგვა“ უფრო შეესატყვისება, თუმცა მასში ფუნქციონალურად გაფლანგვის გარდა გულისხმობენ მითვისებასაც¹⁷⁶ და ამ დანაშაულებს არ მიჯნავენ ხელოვნურად ერთმანეთისგან¹⁷⁷, როგორც ეს საქართველოშია მითვისებისა და გაფლანგვის შემთხვევაში. ინგლისურენოვან ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კორუფციის ყველაზე პუპულარული და მარტივი განმარტებაა - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლისთვის (The abuse of public power for private benefit),¹⁷⁸ ხოლო რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, იგი ძირითადად მოიხსენიება შემდეგნაირად: **“Abuse Of Power“**.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საინტერესოდ არის რეგლამენტირებული იტალიის და პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსებში. იტალიაში, სსკ-ის 323-ე მუხლშია გათვალისწინებული სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (“Abuso di ufficio“). მითითებულია, რომ იგი არის, *სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კანონის დარღვევა, ან თავისი/ახლო ნათესავის ინტერესებით მოქმედება, რაც განზრახ იწვევს თავისთვის ან მესამე პირისთვის უკანონო მატერიალური სარგებლის მიღებას ან გაუმართლებელ ზიანს აყენებს სხვა პირებს, თუ ფაქტი (ჩადენილი ქმედება) არ წარმოადგენს სხვა უფრო მძიმე დანაშაულს*. ლიტერატურაში მითითებულია, რომ იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი, ამ და სხვა სამოხელეო დანაშაულების ამსრულებელ სუბიექტად (მოხელედ), მიიჩნევს პირს, რომელიც საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციულ სფეროში ახორციელებს საჯარო (ადმინისტრაციულ) ფუნქციებს.¹⁷⁹ ასევე საინტერესოდ, დაახლოვებით იგივენაირად,

¹⁷⁶ მაგ. იხ. **Haley J.O.**, The Handbook of Comparative Criminal Law (Edited by Kevin Heller, Markus Dubber), Stanford, 2011, p. 409.

¹⁷⁷ “Embezzlement“-ის განმარტებასთან დაკავშირებით ასევე იხ. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - **Moore v. United States**, 160 U.S. 268, 269 (1895), No. 719, U.S.the Supreme Court.

¹⁷⁸ იხ. **Tanzi V.**, Corruption Around the World, International Monetary Fund Staff Paper., – Vol. 45, No. 4, 1998, p. 564.

¹⁷⁹ იხ. **მორგოშია ა.**, იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა - ქონების კონფისკაციის საკითხები, დაბეჭდა შპს „პოლიგრაფში“, თბილისი, 2004, გვ. 2-3.

აქვს ჩამოყალიბებული მისი შესაბამისი მუხლი პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსს. კერძოდ, პორტუგალიის სსკ-ის 382-ე მუხლით გათვალისწინებულია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (“Abuso de poder”), სადაც აღნიშნულია, შემდეგი: „*პირი, რომელიც სხვა მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ბოროტად იყენებს უფლებამოსილებას ან არღვევს ვალდებულებებს, რომელიც გამომდინარეობს მისი ფუნქციებიდან, თავისთვის ან მესამე პირისთვის უკანონო სარგებლის მიღების ან სხვა პირისთვის ზიანის მიყენების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით ან ჯარიმით, თუ სხვა კანონისმიერი დებულებით(დათქმით) მისთვის უფრო მძიმე სასჯელი არ გამოიყენება.*“

თავისი საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე ჩანს, რომ იტალიის და პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსები, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას მიიჩნევენ უზოგადეს, **სუბსიდიურ დელიქტად**, რადგან უთითებენ, რომ ეს ქმედება დაისჯება სხვა მუხლით, თუ იგი ითვალისწინებს უფრო მძიმე სასჯელს. ანუ შეიძლება ითქვას, რომ იტალია და პორტუგალია მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია მოხელის მიერ ყველა შესაძლო კორუფციული თუ არაკორუფციული უკანონო ქმედების რეგლამენტირება კოდექსში და ხსენებული დათქმის შემოტანით, ჩათვალა, რომ თუ მათ ნებისმიერ (დაუკონკრეტებელ) ქმედებაში იკვეთება უკანონო სარგებლის მიღება ან სხვა პირისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მიზანი, ისინი უნდა დაისაჯონ მინიმუმ ამ მუხლებით, თუ სხვა უფრო მძიმე მუხლის დისპოზიციაში ვერ ექცევა ეს ქმედება. ამით კანონმდებელმა დააფიქსირა თავისი მიზანი, რომ დაუსჯელი არ დარჩეს მოხელის არცერთი ასეთი უკანონო (კორუფციული) ქმედება, თუნდაც ეს ქმედება პირდაპირ რეგლამენტირებული არ იყოს სისხლის სამართლის კოდექსში.

მართებული იქნება, თუ ასეთი (იტალიის და პორტუგალიის მაგალითზე) მიდგომა დამკვიდრდება, როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ისე პრაქტიკაში. როდესაც, გერმანიის მსგავსად, მოხელის პოტენციური კორუფციული, თუ სხვა უკანონო ქმედებები მაქსიმალურად დეტალურად არ არის რეგლამენტირებული საქართველოს სსკ-ში, რეალურად, ასეთი ზოგადი მუხლის (332-ე) შემოღება, იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ქართველი კანონმდებლის მიზანია, სწორედ ის იყო, რომ არ დარჩენილიყო დაუსჯელი მოხელის, კოდექსში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ასეთი უკანონო ქმედებები. **ამასთან, ცნობილია, რომ, როგორც**

წესი, სპეციალური ნორმა ზოგადი ნორმისგან განსხვავებული სასჯელი უნდა გაითვალისწინოს, თუმცა ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეინიშნება ხარვეზი. მაგალითად, მოხელემ, უფრო კონკრეტულად კი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან ლიცენზიის/ნებართვის გამცემი სამთავრობო დაწესებულების მაღალჩინოსანმა, თუ პირდაპირი განზრახვით, იმ მოტივით, რომ თავიდან ჩამოიცილოს თავისი, ან თავისი ახლობლის ბიზნეს კონკურენტი, ამ უკანასკნელს დაუსაბუთებლად უარი უთხრა საწარმოს რეგისტრაციაზე ან ლიცენზიის/ ნებართვის გაცემაზე, რამაც მისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი გამოიწვია, ასეთი მოხელეები დაისჯებიან სპეციალური ნორმით (სსკ-ის 190-ე მუხლი), რომლისთვისაც სასჯელის სახით, სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის სახეებთან ერთად, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ ერთ წლამდე ვადით. ამასთან, ამ მუხლს დამამძიმებელი გარემოებები არ აქვს, მაშინ როდესაც, ზოგადი ნორმის (332-ე მუხლი) პირველი ნაწილი, სასჯელის სახით ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მე-2 ნაწილი – 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო მისი მე-3 ნაწილი – 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. არალოგიკურია, მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემაზე, დაუსაბუთებლად, ზემოაღნიშნული მოტივებით საწარმოს განზრახ უარი ეთქვას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის დავალებით/მითითებით¹⁸⁰ და ის დაისაჯოს უფრო ნაკლები სანქციის მქონე მუხლით, ხოლო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ჩამდენი სხვა პირი, პირობითად, რომელიმე სამინისტროს რიგითი სპეციალისტი - უფრო მაღალი სანქციის მქონე მუხლით. აღნიშნული წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს და სხვა სპეციალური ნორმით გათვალისწინებული სასჯელების ზედა ზღვარი, მინიმუმ უნდა გაუთანაბრდეს 332-ე მუხლის სასჯელების ზედა ზღვარს.

¹⁸⁰ ასეთ ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 11/08/2005.

4. ქმედების მითვისებად ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად კვალიფიკაციის პრობლემები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკაში მწელდება ზოგჯერ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის გამიჯვნა საქართველოს სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისგან. ამ პრობლემის გადაწყვეტის პირველ „დარტყმას“, როგორც წესი, იღებენ საგამოძიებო ორგანოები, რადგან როგორც ცნობილია, მართლმსაჯულების პირველ ეტაპზე ხდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიების და პირის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და შემდეგ იგზავნება საქმე სასამართლოში განსახილველად. მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური რეაგირებისათვის ხშირად აგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სახელმწიფო უწყების ან სახელმწიფო საწარმოს შემოწმების შედეგებზე აუდიტის დასკვნებს, რომელებიც სავარაუდოდ შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს. აუდიტის დასკვნაში ხშირად არის მითითებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას, კონტრაქტორ მხარეს გაუფორმა ხელშეკრულება და გადაუხადა საბაზრო ღირებულებაზე ბევრად მეტი თანხები. კერძოდ, სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ათი ავტომობილის შესყიდვაზე, პირდაპირ (გამარტივებული შესყიდვის ფორმით) გააფორმა ხელშეკრულება საწარმოსთან 1 000 000 ლარზე და გადაურიცხა ეს თანხა. 1 ავტომობილში გადაიხადა 100 000 ლარი, მაშინ როდესაც, ასეთი სულ ახალი, ავტომობილის ცენტრიდან გამოყვანა შეიძლებოდა, პირობითად, 50 000 ლარად. ანუ, მოხელემ ზედმეტად გადაიხადა ჯამში ნახევარი მილიონი ლარი. გარდა სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად და ეფექტურად ხარჯვის ზემოთქმული ზოგადი პრინციპისა, ზოგადად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁸¹, კერძოდ კი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N2 ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს, მათ შორის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო

¹⁸¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 20/04/2005.

ღირებულების დადგენა/დაზუსტების მიზნით“, ხოლო მის მე-7 პუნქტში აღნიშნულია, რომ ფასების გათვალისწინება **ხდება შიდა ბაზრის შესწავლის საფუძველზე**, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება განსაზღვრულ თანხას – ფასების არსებული დონის გათვალისწინება შესაძლებელია მოხდეს **საერთაშორისო ბაზრის შესწავლის საფუძველზე**.¹⁸² როგორც ჩანს, კანონმდებლობა, მოხელეს, შესყიდვების პროცედურების დაწყებამდე, ავალებს არამარტო შიდა ბაზრის შესწავლას ღირებულების დადგენის მიზნით, არამედ სთავაზობს საერთაშორისო ბაზრის შესწავლასაც, თუ შესასყიდი საქონლის ღირებულება მაღალია.

სახეზე არის თუ არა დანაშაული, როდესაც ავტომობილის შესყიდვაზე მოხელემ ნახევარი მილიონის ნაცვლად გადაიხადა 1 000 000 ლარი? რა თქმა უნდა, ასეთი ქმედება, ყველა შემთხვევაში, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ გასარკვევია რომელი მუხლით უნდა დაიწყოს საგამოძიებო ორგანომ, ჯერ გამოძიება და შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა. საწყის ეტაპზე, რომელი მუხლით დაიწყება გამოძიება, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გამოძიების ეტაპზე, ნებისმიერ დროს შეიძლება შეცვალოს კვალიფიკაცია პროკურორის დადგენილებით. რომელი დანაშაულია სახეზე? უნდა აღინიშნოს, რომ მოხელისთვის ყველაზე უკეთეს შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - სამსახურებრივი გულგრილობა, ხოლო ყველაზე უარეს შემთხვევაში - სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, დამატებით იმ დამამძიმებელი გარემოებით, რომელიც გულისხმობს დიდი ოდენობით თანხების მითვისებას. რა არის საჭირო, რომ დადგინდეს მოხელის ქმედებაში არის სსკ-ის 182-ე მუხლით, 332-ე მუხლით, თუ 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები? ამისათვის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს **ქმედების სუბიექტური შემადგენლობა**, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს ცოდნასა და ნებელობას. ასეთ შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 342-ე მუხლის შემადგენლობა ფაქტობრივად ირიცხება, რადგან პრაქტიკულად წარმოუდგენელია, მოხელე ბაზრის მოკვლევის გარეშე აფორმებდეს დიდ თანხაზე

¹⁸² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, 10/02/2011.

ხელშეკრულებას და სურვილი თუ არა, არაპირდაპირი განზრახვისთვის დამახასიათებელი ცოდნის ხარისხი მაინც, რომ არ იყოს სახეზე. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება იყოს ეს ქმედება სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულიც, თუ იგი მოქმედებდა თვითიმედოვნებით. ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუკი ვისაც გაუფორმა ხელშეკრულება, იმ საწარმოს ხელმძღვანელს მოხელე იცნობდა როგორც წლების განმავლობაში გამოცდილ, გამორჩეულად პატიოსან მეწარმეს და კარგ საბაზრო ეკონომიკის მცოდნეს, რომელსაც მანამდე წლების განმავლობაში საქმიან ურთიერთობაში ყოველთვის ენდობოდნენ. თუ ასეთმა მეწარმემ თავად შესთავაზე ამ ხელშეკრულების 1 მილიონ ლარად გაფორმება, ხოლო მოხელე ენდო აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ისე რომ არ გადაუმოწმებია და მოუკვლევია ფასი იმ იმედით, რომ ეს ფასი არ იქნებოდა ხელოვნურად გაზრდილი, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მსჯელობა სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. თუმცა, როგორც წესი, ეს ასე არ ხდება და რჩება მხოლოდ სსკ-ის 182-ე მუხლის ან სსკ-ის 332-ე მუხლის ალტერნატივა.

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს **პირდაპირ განზრახვას**. ნებელობა შეიძლება გამოხატული ყოფილიყო პირდაპირ სურვილში, რომ ხელშემკვერელ საწარმოზე უკანონოდ, ზედმეტად გადარიცხულიყო 500 000 ლარი, ან ასეთი შედეგის დადგომას გარდაუვლად მიჩნევაში. შესაბამისად, მოხელემ, თუ ეს შეგნებულად და ნებელობის მაღალი ხარისხით, ანუ პირდაპირი განზრახვით გააკეთა, რა თქმა უნდა, სახეზე იქნება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული – მითვისება. იმ შემთხვევაში, თუ მოხელე შეგნებულად, მაგრამ ნებელობის დაბალი ხარისხით (არ სურდა, მაგრამ უშვებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას), ანუ შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა, მაშინ სახეზე შეიძლება იყოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან ამან შედეგად სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევა გამოიწვია, რაც გამოხატა 500 000 ლარის ქონებრივ ზიანში. მაგალითისთვის, ეს ხელშეკრულება მოხელემ გააფორმა საწარმოს ხელმძღვანელის თხოვნით, რომელიც იყოს მისი მეგობარი, ისე რომ ბაზარი არ მოუკვლევია. რადგან ბაზარი არ ჰქონდა

მოკვლეული, არ იცოდა ზუსტად, 1 მილიონი ლარი რეალური საბაზრო ღირებულება იყო თუ არა, მაგრამ უშვებდა იმასაც, რომ ეს ასე შეიძლება არ ყოფილიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე ან 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების გამიჯვნისას, გადამწყვეტია, გამოძიების სტადიაზევე, ზედმიწევნით დადგინდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები. კერძოდ, ის, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი თუ არაპირდაპირი, ან საერთოდ შედეგის მიმართ ხომ არ იყო თვითიმედოვნება ან დაუდევრობა.

ასევე, ამ ქვეთავის ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების აღრევა ხდება ხოლმე, არამარტო სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებაში, არამედ ასევე - სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მითვისების მსგავსად, მოხელე შეიძლება იყოს თაღლითობის ამსრულებელიც და მათ შორის განსხვავებაა ისაა, რომ თაღლითობის შემთხვევაში ამსრულებელი არაა სპეციალური და პირი მოტყუებით ეუფლება სხვის ქონებას. ამასთან, როდესაც ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შემსრულებელი საწარმოს ხელმძღვანელი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სახელმწიფო ორგანიზაციიდან გადმორიცხული თანხებს, ზოგჯერ პრობლემურია გაირკვეს სახეზეა სსკ-ს 182-ე მუხლით, თუ სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. **ეს დამოკიდებულია ანგარიშსწორების, ანუ ანაზღაურების ფორმაზე.** სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას (მაგალითად გზის სამუშაოს წარმოებისას), როგორც წესი, ყველა შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება აისახება სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ში), რომელზეც ხელმოწერით დასტურდება ორივე მხარის, მიერ დამკვეთისგანაც და შემსრულებლისაგანაც. შესაბამისად, როდესაც დამკვეთმა ორგანიზაციამ, სამუშაოების შემსრულებელ საწარმოს წინმსწრებად (ავანსად), სამუშაოების დაწყებამდე ჩაურიცხა სახელშეკრულებო ღირებულება და ამ თანხების საწარმოს ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ (ანუ მას შემდეგ რაც ეს თანხები აღმოჩნდა მეწარმის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში) მეწარმეს გაუჩნდა ამ თანხების (ან მისი ნაწილის) მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების (არამიზნობრივად გახარჯვის)

სურვილი და ამ ქმედებას განახორციელებს, ეს იქნება **მითვისება** სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ მან შემდგომ, ამ მითვისებული თანხის შენიღბვის მიზნით, მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ში) მიუთითა ყალბი მონაცემები, თითქოს ამ თანხის შესაბამისი ღირებულების და მოცულობის სამუშაო განახორციელა. თუმცა, ასევე ხშირად არის შემთხვევები, როდესაც დამკვეთი ორგანიზაცია, სამუშაოების მწარმოებელ საწარმოს წინასწარ კი არ უხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს, არამედ მას შემდეგ, რაც მეწარმე შეასრულებს გარკვეულ სამუშაოს და ამ შესრულების ამსახველ, ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს (ფორმა N2-ს) წარუდგენს დამკვეთ ორგანიზაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ მეწარმე ზედმეტად მოთხოვნილი თანხების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზნით, მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ში) ყალბად მიუთითებს სამუშაოების გაზრდილი მოცულობას ან ღირებულებას და ამ გზით მიიღებს უკანონოდ, ზედმეტად მოთხოვნილ თანხებს, სახეზე იქნება **თაღლითობა**, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ეს იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში მოხელე დაეუფლა უკვე მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებულ თანხებს მისი არამიზნობრივი გახარჯვით, ხოლო მეორე შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხა უკანონოდ მიიღო მეწარმემ მოტყუების ხერხით, კერძოდ, გაყალბებული მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2-ის) შედგენისა და დამკვეთისთვის წარდგენის გზით.

5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში არ მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილებების განსჯა იმ კუთხით, რამდენად კანონიერია ან დასაბუთებულია ეს გადაწყვეტილება მთლიანად, რადგან კვლევისას არ განხორციელებულა განსახილველი სისხლის სამართლის საქმეების მასალების (მტკიცებულებების) სრულყოფილად შესწავლა და არც სასამართლო განხილვებში მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, განხილვის საგანი იქნება, მხოლოდ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებებში, სამართლებრივი მსჯელობისას წარმოთქმული და დაფიქსირებული ცალკეული მოსაზრებების იურიდიული ანალიზი და მათი შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრულია. როგორც ზემოთ აღინიშნა, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმის შემადგენლობა სპეციალურია სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლებთან მიმართებაში და იგი მოიცავს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასაც, ამიტომ იგივე ქმედება დამატებით სსკ-ის 332-ე ან 220-ე მუხლით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს, თუ ცალკე სხვა ქმედება (სხვა ეპიზოდი) არ შეიცავს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნიშნებს.

ჯერ კიდევ 2008 წელს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სწორად განმარტა, რომ როდესაც პირის ქმედება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით კვალიფიცირდება, მისი ქმედების დამატებით სსკ-ის 332-ე მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია. სსკ-ის 332-ე მუხლის შემადგენლობას, მოცემულ შემთხვევაში, მთლიანად მოიცავს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი. საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით იქვე დამატებით განმარტავს, რომ როდესაც ზოგად შემადგენლობასთან ერთად პირის ქმედებაში არსებობს საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სპეციალური ნორმით განსაზღვრული შემადგენლობაც, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ ნორმით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისათვის, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით, მოცემულ შემთხვევაში - სსკ-ის 182-ე მუხლით.¹⁸³ აღნიშნული მსჯელობა აბსოლუტურად მართებულია და დაახლოვებით იგივე შინაარსი გამოთქვა უზენაესმა სასამართლომ იმავე წელს სხვა სისხლის სამართლის საქმეზეც.¹⁸⁴

2014 წელს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, სწორედ ამ არგუმენტით ამორიცხა კვალიფიკაციიდან სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“

¹⁸³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის N1818-აპ განჩინება.

¹⁸⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის N1172-აპ განჩინება.

ქვეპუნქტთან ერთად, ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსნისთვის, დამატებით წარდგენილი სსკ-ის 332-ე მუხლი.¹⁸⁵ ამ საქმეზე აღნიშნული პოზიცია გაიზიარა და უცვლელად დატოვა კვალიფიკაცია ქუთაისის სააპელაციო სასამართლომაც და უზენაესმა სასამართლომაც.¹⁸⁶ შეიძლება ითქვას, რომ იგივე მიმართებაა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს შორის, რომელიც გულისხმობს კერძო სფეროში ჩადენილ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. თუმცა, ქვემოთ სასამართლო გადაწყვეტილებების დეტალურად განხილვისას, გამოჩნდება, რომ ბოლო პერიოდში სასამართლოები, არა ამგვარად, არამედ ამის საწინააღმდეგოდ კი განმარტავენ ხსენებული მუხლების ურთიერთმიმართებას. პრაქტიკის განხილვისას, ასევე გამოჩნდება სასამართლოს დამოკიდებულება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, სსკ-ის 220-ე მუხლთან მიმართებასთან დაკავშირებითაც.

სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზისას, დეტალურად იქნება განხილული სისხლის სამართლის საქმეები, ყველა ინსტანციის სასამართლო განხილვების ჩათვლით და დისერტაციაში, მათ თანმიმდევრულად მიენიჭებათ ნუმერაცია.

5.1. სასამართლოს გადაწყვეტილებები სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულთან ურთიერთმიმართებაზე

სისხლის სამართლის საქმე N1:

2022-2023 წლებში, გამოტანილ იქნა სასამართლოს ძალიან საინტერესო განაჩენები, რომელებიც, ფაქტიურად, თავდაყირა აყენებს, იმ მართებულ მოსაზრებას, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისება/გაფლანგვა), წარმოადგენს სპეციალურ შემადგენლობას, როგორც სსკ-ის 220-ე, ისე სსკ-ის 332-ე მუხლთან მიმართებაში. ახლა განხილულ იქნება სწორედ ის საქმე, რომელზედაც

¹⁸⁵ იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის N1/585-13 განაჩენი, გვ. 54

¹⁸⁶ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის N1/ზ-287 განაჩენი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის N528აპ-14 განჩინება.

გამოტანილ იქნა ხსენებული გადაწყვეტილებები. კერძოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელზედაც ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს (მის გენერალურ დირექტორს და ფინანსურ დირექტორს) სხვა დანაშაულებთან ერთად, ბრალად წარდგენილი ჰქონდათ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობდა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას. დისერტაციაში ზემოთ განვითარებული მოსაზრებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, გაფლანგვის ნაცვლად უფრო მართებული იქნებოდა მითვისება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქონებრივი უფლების საფუძველზე, თავად დამნაშავე კი არა, არამედ სხვა მესამე პირი გამდიდრდა, თუმცა აქ მთავარი პრობლემა სხვა რამეში მდგომარეობს. ამ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით¹⁸⁷ დგინდება, რომ ბრალდების მხარე, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ედავებოდა, რომ მათ, თავიანთი ორგანიზაციის ინტერესების აშკარა უგულვებელყოფით და მის წინააღმდეგ, წინასწარი შეთანხმებით, განიზრახეს, 2015 წელს ერთ-ერთ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, ამ საწარმოს სასარგებლოდ, რომელიც 30%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელის უახლოესი მეგობრის და ნდობით აღჭურვილი პირის მიერ. კერძოდ, ისინი შეუთანხმდნენ კონტრაქტორი საწარმოს ხელმძღვანელებს და მისაღები შემოსავლებიდან, მხოლოდ მინიმალური ოდენობის თანხებს ითხოვდნენ. დაზარალებული ორგანიზაციის დირექტორებმა, ხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში, მოითხოვეს 6 763 509 ლარით ნაკლები ანაზღაურება, რითაც მართლსაწინააღმდეგოს გაფლანგეს ამ საწარმოზე, ამ თანხის, 6 763 509 ლარის მოთხოვნის, ანუ ქონებრივი უფლება.¹⁸⁸

¹⁸⁷ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის N1/5624-19 განაჩენი.

¹⁸⁸ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის N1/5624-19 განაჩენი, გვ. 4.

თუ საჯარო სამსახურში მოხელის ქცევის ეკონომიურობის და ეფექტურობის პრინციპს ადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონები, კერძო სფეროში, ეს ვალდებულება გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში. შესაბამისად, გენერალურ დირექტორი და ფინანსურ დირექტორი, როგორც სამეწარმეო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ვალდებულნი იყვნენ სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაძლოდონ მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე უნდა ეზრუნათ, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.¹⁸⁹ თუმცა, მიუხედავად ამ ვალდებულებისა, როგორც განსახილველ საქმეში ჩანს, ამ პირთა ქმედებით გაიფლანგა ქონებრივი უფლება, კონკრეტულად კი - 6 763 509 ლარის მოთხოვნის უფლება და შესაბამისად ეს თანხა უკანონოდ დარჩა ხელშემკვრელ საწარმოში. აღნიშნულ საქმეზე, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დამნაშავე პირების ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, თითქოსდა მათ არ ჰქონდათ გააზრებული რა ქმედებას სჩადიოდნენ, არასარწმუნო და არადამაჯერებელია და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამ პირების მიერ ჩადენილია განზრახი დანაშაულებრივი ქმედება, რაც მიმართული იყო კომპანიის ინტერესების საზიანოდ, რადგან ეს განხორციელდა მიზანმიმართულად მათი ნდობით აღჭურვილი პირების სასარგებლოდ.¹⁹⁰ როგორც ჩანს სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა, რადგან აღნიშნა, რომ ეს ქმედება განხორციელდა მიზანმიმართულად. თუმცა, სასამართლოს აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება ბრალდების მხარის პოზიციას კვალიფიკაციის ნაწილში და მიაჩნია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორი შეფასებიდან გამომდინარე, ბრალდებულების ქმედება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლზე, რაც გულისხმობს

¹⁸⁹ იხ. მუხლი 50, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 02/08/2021.

¹⁹⁰ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის N1/5624-19 განაჩენი, გვ. 118-119.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ე.ი. საწარმოში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი (რამდენიმე მილიონი ლარის) ზიანი გამოიწვია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იქვე აღნიშნულია შემდეგი: სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შემადგენლობა (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა), გარკვეულწილად, აზრობრივად და შინაარსობრივად მოიცავს საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებსაც და ამასთან, სახეზეა ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციაა, რაც უნდა გადაწყდეს სპეციალური ნორმის, საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლის სასარგებლოდ.¹⁹¹ ბოლოს, პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, სასამართლოს არ დაუდგენია რაიმე არსებითად განსხვავებული ფაქტობრივი გარემოება, არამედ მოახდინა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, შესაბამისად მისი სწორი მისადაგება (კვალიფიკაცია) დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობასთან და სწორედ ზემოაღნიშნული არგუმენტებით გადააკვალიფიცირა დამნაშავე პირთა ქმედება სსკ-ის 182-ე მუხლიდან სსკ-ის 220-ე მუხლზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლების მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განაჩენი, გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივარში უთითებდა, რომ დაუსაბუთებელია ბრალდებულების მიერ ქონებრივი უფლების გაფლანგვის ეპიზოდში ქმედების გადაკვალიფიცირება სსკ-ის 220-ე მუხლზე. საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ქმედების დანაშაულად შეფასება ფაქტობრივად დაიწყო ქმედების ჩამდენი სუბიექტიდან და არა უშუალოდ ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ქმედების

¹⁹¹ იბ. იქვე, გვ 119-120

არასწორად კვალიფიცირება. აპელანტს დაუსაბუთებლად მიაჩნდა სასამართლოს განმარტება სსკ-ის 220-ე მუხლზე, როგორც სპეციალურ შემადგენლობაზე და უთითებდა, რომ სსკ-ის 182-ე მუხლი ისედაც მოიცავს შემადგენლობის ისეთ ელემენტს, როგორც არის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება (მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევდა, რომ პირიქით საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმა არის სპეციალური სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმასთან მიმართებით და აღნიშნავდა, რომ როგორც წესი, სპეციალურ ნორმას უფრო მძიმე სასჯელი ახასიათებს. ამასთან, იქვე უთითებს, რომ გაფლანგვისას ადგილი აქვს მესამე პირის **უკანონო და უსასყიდლო გამდიდრებას** იმ ქონების ხარჯზე, რომელიც იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში და საქმეში დამნაშავე პირებმა, სწორედაც დაუმსახურებლად, უკანონოდ და უსასყიდლო გადასცეს კონტრაქტორ საწარმოს 6 763 509 ლარის ქონებრივი უფლება. სწორედ ამ არგუმენტებით ითხოვდა ბრალდების მხარე სააპელაციო სასამართლოში, რომ ეს პირები ცნობილი ყოფილიყვნენ დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

მიუხედავად ბრალდების მხარის საჩივრისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ¹⁹² აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოტივაციას ამ პირთა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს გასაჩივრებული განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედება¹⁹³.

ახლა უნდა გაირკვეს ის არგუმენტები, რისთვისაც მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ ეს ქმედება სსკ-ის 220-ე მუხლით და არა სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ:

¹⁹² იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 02 ნოემბრის N 18/1203-22 განაჩენი.

¹⁹³ იხ. იქვე, გვ.147.

„უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგვისაგან გამიჯვნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში სახეზეა სპეციალური სუბიექტი, რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში აქვს გადაცემული სხვისი ქონება ან ქონებრივი უფლება; ორივე შემთხვევაში სუბიექტი ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და ორივე შემთხვევაში მიზანი არის გამორჩენის მიღება სხვა პირის სასარგებლოდ. თუმცა, გაფლანგვისას ადგილი აქვს მესამე პირის უკანონო და უსასყიდლო გამდიდრებას იმ ქონების ხარჯზე, რაც იმყოფება გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში, ხოლო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ხდება როდესაც მესამე პირის სასიკეთოდ, დანაშაულის ჩამდენი პირი ქმედებას ახორციელებს უკანონოდ, თუმცა მესამე პირი უსაფუძვლოდ არ მდიდრდება და სხვის ქონებას არ იღებს უსასყიდლოდ“¹⁹⁴.

როგორც ჩანს, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ის არგუმენტი კი არ გაიმეორა, რომ სსკ-ის 220-ე მუხლი არის სპეციალური ნორმა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ნორმასთან მიმართებით, არამედ აღნიშნა, რომ მათ შორის განსხვავება უსასყიდლობაშია, ანუ მიიჩნია, რომ სსკ-ის 220-ე მუხლის შემთხვევაში, მესამე პირი უსაფუძვლოდ და უსასყიდლოდ არ მდიდრდება. სასამართლო უთითებს, რომ: სააპელაციო პალატა ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარეს ამ ქმედების გაფლანგვით კვალიფიკაციის ნაწილში იმ საფუძვლით, რომ თითქოსდა დამნაშავე პირებმა კომპანიას უსასყიდლოდ და დაუმსახურებლად გადასცეს მათი ორგანიზაციის კუთვნილი ქონებრივი უფლება. უტყუარადაა დადგენილი, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით კონტრაქტორ საწარმოს უნდა მიეღო შესაბამისი საშუალებლო ანაზღაურება. ამდენად საწარმოს ნაკისრი ვალდებულება, დაკავშირებული სარეკლამო მომსახურებასთან, რაც ნამდვილად შესრულდა, არ იყო უსასყიდლო.¹⁹⁵

სწორედ აღნიშნული არგუმენტებით, სააპელაციო სასამართლო ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დამნაშავე პირთა ქმედების სსკ-

¹⁹⁴ იქვე, გვ.158-159.

¹⁹⁵ იხ. იქვე. გვ. 172.

ის 220-ე მუხლით კვალიფიკაციის ნაწილში. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, ფაქტობრივად, საბოლოოდ კანონიერ ძალაში შეიყვანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რადგან მან თავის გადაწყვეტილებით, საერთოდ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივრები.¹⁹⁶

N1 საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი:

თავიდანვე, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მცდარია და საფუძველს მოკლებულია ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში მოყვანილი ის მსჯელობა, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შემადგენლობა, გარკვეულწილად, აზრობრივად და შინაარსობრივად მოიცავს საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლის დანაშაულის ნიშნებსაც და ამასთან, სახეზეა ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენცია, რაც უნდა გადაწყდეს სპეციალური ნორმის, საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლის სასარგებლოდ. ის რომ სსკ-ის 220-ე მუხლში სპეციალური ნორმაა, ხოლო სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში – ზოგადი, ეწინააღმდეგება არა მარტო იურიდიულ ლიტერატურაში სწორად გამოთქმულ მოსაზრებებს, არამედ თავად, წინა წლებში მიღებულ ზემოაღნიშნულ სასამართლოს გადაწყვეტილებებსაც. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია რაიმე არსებითად განსხვავებული ფაქტობრივი გარემოება, არამედ მოახდინა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება. შესაბამისად, **ექვემოთ არ დაუყენებია ამ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.** მეტიც, პირიქით დაადასტურა კიდევ პირდაპირი განზრახვის არსებობა და აღნიშნა, რომ ეს ქმედება მიმართული იყო კომპანიის ინტერესების საზიანოდ, რადგან ეს განხორციელდა მიზანმიმართულად სხვა პირების სასარგებლოდ. მართალია, მოსამართლემ სწორად აღნიშნა, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შემადგენლობა აზრობრივად და შინაარსობრივად მოიცავს საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლის დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ იქვე არასწორად მიუთითა, რომ სსკ-ის 220 მუხლი სპეციალური ნორმაა, ხოლო სსკ-ის 182-ე მუხლი - ზოგადი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ არასწორი არგუმენტით, რომ სსკ-ის 220-ე მუხლში სპეციალური ნორმაა

¹⁹⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის N 1316აპ.-22 განჩინება.

სსკ-ის 182-ე მუხლში მოცემულ ნორმასთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა დამნაშავე პირთა სსკ-ის 182-ე მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება სსკ-ის 220-ე მუხლზე.

ახლა რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის გადაწყვეტილებას. უნდა ითქვას, რომ მან გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სსკ-ის 220-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების ნაწილში, თუმცა მას პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, არ უთქვამს, ის მცდარი მოსაზრება, რომ სსკ-ის 220-ე მუხლი არის სპეციალური ნორმა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ნორმასთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლოს არგუმენტი, ქმედების სსკ-ის 220-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით იყო შემდეგი: *უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგვის ერთმანეთისგან გამიჯვნის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის რომ, გაფლანგვისას ადგილი აქვს მესამე პირის უკანონო და უსასყიდლო გამდიდრებას იმ ქონების ხარჯზე, რაც იმყოფება გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში, ხოლო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ხდება, როდესაც მესამე პირის სასიკეთოდ, დანაშაულის ჩამდენი პირი ქმედებას ახორციელებს უკანონოდ, თუმცა მესამე პირი უსაფუძვლოდ არ მდიდრდება და სხვის ქონებას არ იღებს უსასყიდლოდ.*¹⁹⁷ როგორც ჩანს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მათ შორის განსხვავება უსასყიდლოებაშია და 220-ე მუხლის შემთხვევაში, მესამე პირი უსაფუძვლოდ და უსასყიდლოდ არ მდიდრდება. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ *უტყუარად დადგენილია, რომ ეს არ იყო უსასყიდლოდ, რადგან კონტრაქტორმა საწარმომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი რეკლამის მიტანასთან დაკავშირებული ვალდებულება შეასრულა.*¹⁹⁸

¹⁹⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 02 ნოემბრის N 18/1203-22 განაჩენი, გვ.158-159.

¹⁹⁸ იხ. იქვე. გვ. 172.

რამდენადაა სწორი სააპელაციო სასამართლოს ეს მსჯელობა და რამდენად მიზანშეწონილია ამ არგუმენტით ქმედების საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის ნაცვლად საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით კვალიფიცირება? როგორც ზემოთ, იურიდულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებზე მსჯელობისას აღინიშნა, აშკარად, აქაც სიტყვა „უსასყიდლოდ“ სწორად გაგებაშია პრობლემა, რადგან სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ *უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას მესამე პირი უსაფუძვლოდ არ მდიდრდება და სხვის ქონებას არ იღებს უსასყიდლოდ*. ამ მსჯელობიდან გამომდინარე ისმის კითხვა: **თუ მესამე პირი უსაფუძვლოდ არ მდიდრდება და სხვის ქონებას არ იღებს უსასყიდლოდ, მაშინ ეს ქმედება საერთოდ დანაშაულია?** უსაფუძვლო გამდიდრება თუ არაა სახეზე, ე.ი. რაღაც საფუძველი ყოფილა მისი გამდიდრების, ანუ ქონებრივი ფონდის გაზრდის. ესეთი საფუძველი შეიძლება იყოს წერილობითი კონტრაქტი, ზეპირი შეთანხმება, ან სხვა ნებისმიერი კანონიერი გარიგება. ამასთან, თუ პირი **ქონებას უსასყიდლოდ არ იღებს**, ეს გულისხმობს, რომ პირმა ამ ქონების ღირებულების ექვივალენტი ფულადი თანხა ან სხვა ქონება გადაიხადა, ანდა სანაცვლოდ ამ ქონების ღირებულების შესაბამისი ფიზიკური შრომა ან სხვა მომსახურება გასწია.

ამ ორი განმარტების შეჯამების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ თუ პირი უსაფუძვლოდ არ მდიდრდება და ქონებას არ იღებს უსასყიდლოდ, გამოდის რომ სახეზე ყოფილა კანონიერი სამართლებრივი კონტრაქტი (საფუძველი), რომლის საფუძველზეც პირს ეკუთვნის ქონების მიღება, თანაც უსასყიდლოდ კი არა, არამედ ისე, რომ სანაცვლოდ ისიც შესაბამისი ღირებულების თანხას ან სხვა ქონებას იხდის (ან მომსახურებას უწევს). აქედან გამომდინარე, *თუ პირი უსაფუძვლოდ არ მდიდრდება, (ანუ არსებოს რომელიღაც კანონიერი კონტრაქტი) და თანაც ქონებას უსასყიდლოდ არ იღებს (ამ ქონების სანაცვლოდ იხდის შესაბამის საზღაურს), მაშინ გამოდის, რომ მას კანონიერად ეკუთვნის ეს ქონება და რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში დანაშაული საერთოდ არ იქნება სახეზე*. შეუძლებელია მოხელემ, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მესამე პირს ქონება, ან ქონებრივი უფლება მისცეს, არა უსაფუძვლოდ, არამედ შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე (რომლითაც მესამე პირს ეკუთვნის ეს ქონება) და თანაც ამ მესამე პირმა შესაბამისი

ღირებულების სასყიდელი გადაიხადოს და ეს ყოველივე იყოს არამართო სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული, არამედ ზოგადად, საერთოდ სხვა ნებისმიერი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული? აქედან გამომდინარე, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავე პირებმა უსასყიდლოდ და უსაფუძვლოდ გადასცეს კონტრაქტორ საწარმოს 6 763 509 ლარის ქონებრივი უფლება, რადგან მას ეს არ ეკუთვნოდა, არც კანონიერი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და თანაც, 6 763 509 ლარის ქონებრივი უფლების სანაცვლოდ, დაზარალებულ ორგანიზაციას არაფერი არ მიუღია. ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, არამართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაც, იმ გარემოებების გათვალისწინებით რაც განაჩენებში იყო მითითებული და მართებული იქნებოდა, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიღებდა ამ საქმეს წარმოებაში და ქმედებას კვლავ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დააკვალიფიცირებდა.

5.2. სასამართლოს გადაწყვეტილებები სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ურთიერთმიმართებაზე

ამ თავში, ასევე გარკვეული ადგილი დაეთმოდა სასამართლო პრაქტიკის ანალიზს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმათა კონკურენციას. ამ საკითხზე მნიშვნელოვანია, ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში ყოფილ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სისხლის სამართლის საქმე N2:

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის¹⁹⁹ მიხედვით, სახელმწიფოს 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს (შემდგომში - სახაზინო საწარმო/ორგანიზაცია) თანამშრომლებს, სამუშაოების შემსრულებელი საწარმოს წარმომადგენლებთან ერთად, ბრალი ედებადათ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის

¹⁹⁹ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 01 დეკემბრის N 1/2569 -15 განაჩენი.

„ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში, რაც გულისხმობდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებას და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას და გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2013 წელს, სახაზინო საწარმომ გამოაცხადა ტენდერი კონკრეტული ინფრასტრუქტურული ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, რომლის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა დაახლოებით 10 მილიონი ლარი. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ერთ-ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომელმაც წარმოადგინა პრეტენდენტთა შორის მინიმალური ღირებულების სატენდერო წინადადება და მისმა ოდენობამ შეადგინა 6 857 000 ლარი. სწორედ ამ ღირებულებით გაფორმდა ხელშეკრულება გამარჯვებულ შპს-ს და სახაზინო საწარმოს შორის და ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო ორმხრივად დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2-ს) საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, რაც შემსყიდველისთვის წარმოადგენდა მიმწოდებელთან ანგარიშსწორების ოფიციალურ საფუძველს. ხელშეკრულებისა და ტექნიკური დავალების თანახმად, ზემოაღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლება გადაეცათ შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სამ პირს, რომლებიც სარგებლობდნენ ხსენებული სახაზინო საწარმოს წარმომადგენელთა სტატუსით. კერძოდ კი, მათ ევალებოდათ სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური შემოწმება, აღრიცხვა, დაფიქსირება და ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტის შემოწმება, შესრულებული სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შემოწმება. ხსენებული ტექნიკური ზედამხედველები, დანაშაულებრივად შეკავშირდნენ სამუშაოების შემსრულებელი საწარმოს წარმომადგენლებთან და გადაწყვიტეს მოტყუებით დაუფლებოდნენ სახაზინო საწარმოს, მითითებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად განკუთვნილ, დიდი ოდენობით ფულად თანხას. ამ მიზნით,

ორგანიზებული ჯგუფის წევრთა მიერ შემუშავებულ იქნა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის თანახმად ფორმდებოდა და ხელმოწერით მოწმდებოდა მიღება-ჩაბარებისა და შესრულებულ სამუშაოთა აქტები (ფორმა N2), რომლებიც შეიცავდნენ ყალბ, ხელოვნურად გაზრდილ მონაცემებს შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესახებ, რასაც სახაზინო საწარმოს წარმომადგენელთა სტატუსით, ასევე ხელმოწერით ადასტურებდა ზემოაღნიშნული სამი ტექნიკური ზედამხედველი. ვინაიდან ხსენებულ პირთა მიერ შედგენილი და ხელმოწერით დადასტურებული მიღება-ჩაბარებისა და შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა N2) წარმომადგენდა ანგარიშსწორების საფუძველს, ამიტომ სახაზინო საწარმომ, სამუშაოების შემსრულებელ საწარმოს, ეტაპობრივად, სრულად აუნაზღაურა ყალბ ოფიციალურ დოკუმენტებში (ფორმა N2) მითითებული თანხა, რომლის ნაწილსაც მოტყუებით დაეუფლნენ ორგანიზებული ჯგუფის წევრები. დაახლოებით 1 წლის განმავლობაში, ორგანიზებული ჯგუფის წევრთა მიერ, სულ გაფორმდა და სახაზინო საწარმოს წარედგინა ყალბი მონაცემების შემცველი 19 ცალი ფორმა N2, რომელთა თანახმად, შესრულებული სამუშაოების ღირებულებად დაფიქსირებულ იქნა 6 628 920 ლარი, რაც შემსყიდველის მიერ სრულად იქნა ანაზღაურებული. რეალურად კი, სამუშაოების მწარმოებელ საწარმოს მიერ, რეაბილიტაციის ფარგლებში შესრულებულ იქნა არა 6 628 920 ლარის ღირებულების, არამედ 3 874 729 ლარის ღირებულების სამუშაოები. ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, ხელოვნურად გაზარდეს შესრულებული სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება, რითაც მოტყუებით დაუფლნენ სახაზინო საწარმოს კუთვნილ 2 754 191 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნულმა ტექნიკურმა ზედამხედველებმა, ჩაიდინეს არა თაღლითობა, არამედ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 220-ე მუხლი), ე. ი. საწარმოში სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ამ პირთა ქმედება თაღლითობიდან (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან) გადააკვალიფიცირა სსკ-ის 220-ე მუხლზე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება). აღნიშნულ გადაწყვეტილება გასაჩივრდა

სააპელაციო სასამართლოში და ბრალდების მხარე ითხოვდა, რომ ამ პირთა დამნაშავედ ცნობა მომხდარიყო არა სსკ-ის 220-ე მუხლით, არამედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამ მუხლის სხვა დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად. აპელანტს მიაჩნდა, რომ ყალბი მიღება-ჩაბარებისა და შესრულებულ სამუშაოთა აქტების (ფორმა N2) დამზადება არ შეიძლება შეფასდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად (სსკ-ის 220-ე მუხლი), რადგან მათ ამით ჩაიდინეს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი დანაშაული, რომლის მიზანი იყო სახაზინო საწარმოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლება. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში აღნიშნავს, რომ:

„პალატა მხედველობაში იღებს, რომ თაღლითობის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ელემენტს წარმოადგენს მათლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონების დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. მართლწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი და მისი ქონების დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება ხდება უკანონოდ. თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა კი პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, რა დროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი მოტყუებით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა. ამასთან, ქმედების განხორციელებისას დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს ანგარების მოტივი. ამდენად, თუ უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით ვერ დასტურდება ქონების დაუფლებისას პირის მოტყუების ფაქტი, ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი, ურომლისადაც თაღლითობით კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.“²⁰⁰

სასამართლო იქვე აღნიშნავს, რომ „მოცემულ შემთხვევაში, პალატის აზრით, სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ ტექნიკურ ზედამხედველებს განზრახული ჰქონდათ მოტყუებით

²⁰⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 სექტემბრის N 1/ზ-147-17 განაჩენი, გვ. 10-11.

დაუფლებოდნენ სახაზინო საწარმოს კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს“.²⁰¹ ამ საქმეზე, აპელანტი დაცვის მხარე კი, საერთოდაც, ამ პირთა ქმედების სსკ-ის 220-ე მუხლიდან სსკ-ის 220¹ მუხლზე (გულგრილობა სამეწარმეო სფეროში) გადაკვალიფიცირებას ითხოვდა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზეა არა სსკ-ის 220¹ მუხლით, არამედ სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ვინაიდან მსჯავრდებულებს შეეძლოთ გაცეცხობიერებინათ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, რადგან მათ, სტაჟისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, ჰქონდათ ამის რეალური შესაძლებლობა.²⁰² ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო დატოვა ძალაში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, ამ პირთა ქმედების სსკ-ის 220-ე მუხლით კვალიფიკაციის ნაწილში, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეზე საერთოდ დაუშვებლად ცნო როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის საჩივრები²⁰³, რითაც კანონიერ ძალაში შევიდა მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილებების შეფასებისას, მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ მართებულია სააპელაციო სასამართლოს განაჩენი იმ ნაწილში, სადაც იგი აქცენტს აკეთებს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაზე და აღნიშნავს, რომ მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ამ პირებს **განზრახული** ჰქონდათ მოტყუებით დაუფლებოდნენ სხვის ფულად თანხებს. ფაქტობრივად სასამართლომ თქვა, რომ მათ თაღლითობის, ანუ ქონების მოტყუებით დაუფლების განზრახვა არ ჰქონდათ, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა, თუ სასამართლო არა ზოგადად განზრახვაზე, არამედ პირდაპირ განზრახვაზე გააკეთებდა აქცენტს. შესაბამისად, უფრო მართებულია ითქვას, რომ ვინაიდან საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ მსჯავრდებული პირები პირდაპირი განზრახვით, სხვი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით მოქმედებდნენ და ამასთან, არც გაუფრთხილებლობაა შედეგის მიმართ (რადგან მათ შეეძლოთ ასეთი შედეგის გათვალისწინება), ამიტომ სახეზეა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. ბოლოს, აქ უნდა ითქვას,

²⁰¹ იქვე, გვ. 11.

²⁰² იხ. იქვე, გვ. 29.

²⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის N649აპ-18 განჩინება.

რომ გაუგებარია ეს ქმედება სსკ-ის 220-ე მუხლის ნაცვლად, რატომ სსკ-ის 332-ე მუხლით არ დააკვალიფიცირა სასამართლომ, რადგან დაზარალებული ორგანიზაცია იყო სახელმწიფო საწარმო და ეს პირები, ცალსახად საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდნენ.

5.3. სასამართლოს გადაწყვეტილებები სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებით გათვალისწინებულ ნორმათა კონკურენციისას

სისხლის სამართლის საქმე N3:

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელზე 5 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, სხვა დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით²⁰⁴ დგინდება, რომ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა მის მოადგილესთან, შესყიდვების სამსახურის უფროსთან და კიდევ მის ერთ დაქვემდებარებულ პირთან ერთად, წინასაარჩევნოდ, პარტიული ხარჯების დაფარვის მიზნით, 100 000 000 ლარი გადარიცხეს, ხსენებული მუნიციპალიტეტის დაფუძნებულ ორგანიზაციაზე (არაკომერციული იურიდიული პირის ანგარიშზე), საიდანაც, მათი დავალებით, ამ ორგანიზაციის მაშინდელი ხელმძღვანელის მეშვეობით, ჯამში 48 900 822 ლარის ოდენობის საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივად გაიხარჯა პარტიული ინტერესებისათვის (მათ შორის დაფინანსდა პარტიის პერსონალი (აქტივი)). დადგენილი იყო, რომ მუნიციპალიტეტის დაფუძნებული ორგანიზაციის მიზანი იყო შენობების რეაბილიტაცია-გამაგრება და ამ ორგანიზაციის მენეჯმენტი, გამოყოფილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობაზე, ანგარიშვალდებული იყო მუნიციპალიტეტის წინაშე. ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნო, მხოლოდ და მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაციის

²⁰⁴ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის N1/1459-14 განაჩენი.

უფროსი, რომლის ორგანიზაციიდანც არამიზნობრივად გაიხარჯა ეს თანხები. სასამართლოს მსჯელობიდან დგინდება, რომ ვინაიდან ეს თანხა ამ ორგანიზაციის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ განიკარგა არამიზნობრივად, მხოლოდ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა და სხვა პირების, მათ შორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის, ქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ პირთა ქმედებაში „არ არის გაფლანგვის, როგორც დანაშაულის ძირითადი ნიშანი - სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებობა“²⁰⁵. ამის დასაბუთებას ეცადა იმით, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით, საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და აქედან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის მართლზომიერ გამგებლობაში არ იყო ეს თანხები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მთლიანად იზიარებს ბრალდების მხარის გაცხადებულ ფაქტობრივ გარემოებებს და ქმედების სუბიექტურ შემადგენლობის ნიშნებს - მოტივს და მიზანს და ასკვნის, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელიც და სხვა პირებიც მოქმედებდნენ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნით და შესაბამისად ამ მიზნით დახარჯულმა თანხებმა სახელმწიფო ინტერესებს მიაყენა არსებითი დაზიანება. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის და სხვა პირების ქმედება მხოლოდ იმიტომ გადააკვალიფიცირა სსკ-ის 182-ე მუხლიდან სსკ-ის 333-ე მუხლზე, რადგან მიიჩნია, რომ ეს ფული არ იყო მათ მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. ამ საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა ეს მსჯელობა და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი²⁰⁶, ისე, რომ არც მას დაუყენებია ეჭვებმ დამნაშავე პირთა ქმედების სუბიექტური შემადგენლობა. ამ საქმეზე ძალიან საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტობრივად პრეცედენტული მნიშვნელობისაა. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ აღნიშნა, რომ მართლზომიერი მფლობელობა და გამგებლობა *კუმულაციურად გულისხმობს*

²⁰⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის N1/1459-14 განაჩენი, გვ. 60.

²⁰⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის N18/684-18 განაჩენი.

გაფლანგვის ჩამდენი პირის ფაქტობრივ შესაძლებლობას, სხვადასხვა მართლზომიერი ან არამართლზომიერი განზრახვით განახორციელოს ქმედებები ამ ქონების განკარგვით, სარგებლობით, გასხვისებით²⁰⁷. პალატა იქვე უთითებს, რომ:

„გაფლანგვის დანაშაულისათვის ერთ-ერთ სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების დაწყებისა და დასრულების დრო. პირის მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სხვისი ქონების გასხვისების ნებისმიერი არამართლზომიერ ფორმა, მათ შორის - წინასწარ განზრახვით არამიზნობრივი განკარგვა - დასრულებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს განკარგვის პროცესის დაწყებიდან სრულ გასხვისებამდე“²⁰⁸.

პალატამ საქმეზე მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ფაქტობრივად, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 100 000 მილიონი ლარი გადაურიცხეს მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციას, ისე რომ არ დასაბუთებულა საბიუჯეტო თანხების გადარიცხვის მიზნობრიობა და ორგანიზაციას არ წარმოუდგენია წესდებით გათვალისწინებული რაიმე ძვირადღირებული პროექტების განხორციელების საჭიროება. რის შემდეგაც, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით ხარჯავდნენ ამ ფულს პარტიული მიზნებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, არაკომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ გაფლანგვაში, დამნაშავედ ცნო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელიც და სხვა დანარჩენი პირებიც.²⁰⁹

ამ გადაწყვეტილებასთან ერთად, დაიწერა ამავე პალატის ერთ-ერთი მოსამართლის განსხვავებული აზრი, სადაც იგი მიიჩნევს, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი, მისი ქვემდგომი მოხელეებისთვის კანონსაწინააღმდეგო დავალების მიცემით, გასცდა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, სახეზეა არა

²⁰⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის N57აპ.-19 განაჩენი, გვ.43

²⁰⁸ იქვე, გვ.43-44.

²⁰⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის N57აპ.-19 განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.

საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, არამედ სსკ-ის 333-ე მუხლი.²¹⁰

N3 საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი:

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული ორივე დანაშაულისთვის დამახასიათებელია და შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად სავალდებულო ნიშანია ის, რომ ქონება უნდა იყოს მოხელის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ორივე დანაშაული გამოირიცხება. როგორც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს განაჩენებიდან ჩანს, მათ ამ საქმეში სადავო გახადეს მხოლოდ, სწორედ ეს ობიექტური შემადგენლობის ნიშანი - მართლზომიერი მფლობელობა/გამგებლობა და ვინაიდან ცნობილია, რომ ეს ნიშანი სჭირდება სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულსაც, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის და სხვა პირთა ქმედება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გადააკვალიფიცირეს, არა სსკ-ის 332-ე მუხლზე, არამედ სსკ-ის 333-ე მუხლზე, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. თუმცა, უნდა გაირკვეს, რეალურად სახეზე იყო თუ არა მართლზომიერი გამგებლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის შემთხვევაში. უმნიშვნელოვანესია უზენაესი სასამართლოს ის განმარტება, რომ მართლზომიერი გამგებლობა კუმულაციურად გულისხმობს მოხელის **ფაქტობრივ შესაძლებლობას** განკარგოს ეს ქონება. აქედან გამომდინარე ცალსახაა, რომ ასეთი ფაქტობრივი შესაძლებლობა ჰქონდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, რადგან სწორედ მან გადაურიცხა ეს თანხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მისთვის დაქვემდებარებულ არაკომერციულ ორგანიზაციას და სწორედ მისი დავალებით გახარჯეს ეს თანხები არამიზნობრივად (პარტიული ინტერესებისთვის). ასევე სწორად აღნიშნავს უზენაესი სასამართლო, რომ ამ შემთხვევაში სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შემადგენლობის განხორციელება ჯერ კიდევ მაშინ იწყება, როდესაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა თავიდანვე, წინასწარი განზრახვით

²¹⁰ მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის განსხვავებული აზრი, 2020 წლის 10 თებერვლის N57აპ.-19 განაჩენზე.

არამიზნობრივი (პარტიისთვის) განკარგვისთვის გადაურიცხა თანხა მის დაქვემდებარებულ არაკომერციულ ორგანიზაციას, საიდანაც საბოლოოდ გაიხარჯა ამ მიზნების შესაბამისად. თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის ინიციატივით გადარიცხა ეს თანხა მის დაქვემდებარებულ არაკომერციულ ორგანიზაციაში, იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს თანხები გახარჯულიყო არამიზნობრივად და თანაც, ეს შესრულდება ზედმიწევნით მისივე მითითებების შესაბამისად, მაშინ მცდარად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი დასჯა სსკ-ის 182-ე მუხლით და ეს დანაშაული არ შეერაცხოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, რომლის დავალების და მითითების საფუძველზეც განხორციელა მან ეს ქმედება. უზენაესმა სასამართლო მართებულად მიიჩნია ეს ქონება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის მართლზომიერ გამგებლობაში და ისიც, სწორად, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში სცნო დამნაშავედ.

ახლა განხილულ იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, მას შემდეგ, რაც მან ეს თანხა გადარიცხა არაკომერციულ ორგანიზაციაში, პირობითად აღარ აქვს ეს ფული მართლზომიერ გამგებლობაში. თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არ აქვს ეს ქონება, რა თქმა უნდა, ავტომატურად გამოირიცხება სსკ-ის 182-ე მუხლის ამსრულებლობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, სახეზე იქნება სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის უნდა გაეცეს, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავარი არგუმენტი არის ის, რომ *არ შეიძლება სახეზე იყოს სამოხელეო დანაშაული, როდესაც ამა თუ იმ მოხელის (თანამდებობის პირის) გაცნობიერებული ქმედებით, ეს თანამდებობის პირი უკანონოდ იღებს თვითონ ან სხვა პირი ქონებრივ სარგებელს, მესაკუთრის (სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციის) ქონების შემცირების ხარჯზე ანდა ხდება ამ ქონების განიავება ან გახარჯვა.*

სამოხელეო დანაშაული გამოირიცხება, თუკი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი თავის დაქვემდებარებაში მყოფი არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელს ავალებს, რომ მან თანხები გადარიცხოს (გახარჯოს) არამიზნობრივად

პარტიული აქტივობებისათვის და ეს ქმედება მისი სურვილის შესაბამისად განხორციელდა მართლაც. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება სამოხელეო დანაშაული, რადგან სახეზეა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული პირდაპირი განზრახვით და თუ ეს თანხები არ იყო მის მართლზომიერ გამგებლობაში, მაშინ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულში თანამონაწილეობით, ორგანიზატორის ან წამქეზებლის ფორმით, იმიტომ, რომ სწორედ მან დაიყოლია არაკომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამ თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე და ეს მისი შემუშავებული სქემის მიხედვით განხორციელდა. ამასთან, პირობითად, საქმეში ირიცხება ქონების საბოლოოდ განმკარგველი პირისთვისაც (არაკომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვისაც) ქონების მართლზომიერი მფლობელობა და გამგებლობა. არც ასეთ შემთხვევაში არ იქნება სამოხელეო დანაშაული, რადგან, როგორც უკვე ითქვა, როდესაც მოხელეების მიზანია სახელმწიფოს ქონებრივი ფონდებიდან თანხების უკანონოდ ამოღება (დაუფლება) და მათი შემდგომი პარტიული ან სხვა ნებისმიერი პირადი მოტივებით არამიზნობრივი გამოყენება, ყველა შემთხვევაში სახეზე იქნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. მართალია, აქვერ იქნება მითვისება, თუმცა, დაუფლების ხერხის გათვალისწინებით, მოხდება ქმედების კვალიფიკაცია. თუ ისინი ფარულად დაეუფლებიან ამ ქონებას სახეზე იქნება ქურდობა (სსკ-ის 177-ე მუხლი), ხოლო თუ მოტყუებით - თაღლითობა (სსკ-ის 180-ე მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არაა მართებული, როდესაც მისი ქმედება სსკ-ის 182-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა 333-ე მუხლზე, ისე რომ სუბიექტური შემადგენლობა სადავოდ არ გაუხდია. სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული იმ შემთხვევაში შეიძლება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 332-ე და არა 333-ე მუხლზე, როდესაც სადავო ხდება ეს ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი თუ არა, *ანუ როდესაც საქმეზე არსებული მტკიცებულებებით, უტყუარად არ დასტურდება პირის პირდაპირი განზრახვა*. შესაბამისად, თუ შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვა გამოირიცხა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, შეიძლება

ეს ქმედება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 332-ე მუხლზე, თუ სახეზე იქნება არაპირდაპირი განზრახვით გამოწვეული ქონებრივი ზიანი.

ამასთან, ასევე არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული აზრი, რადგან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი, ქვემდგომი მოხელეებისთვის კანონსაწინააღმდეგო დავალების მიცემით კი არ გასცდა თავისი სამსახურებრივი ზოგადი უფლებამოსილების ფარგლებს, არამედ მან ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და ეს ფაქტი (მისი დავალება რომ შეასრულეს) მიუთითებს, რომ მას ფაქტობრივი შესაძლებლობა ჰქონია ამ ქონების განკარგვის და შესაბამისად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც განაზოცრციელა კიდეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

სისხლის სამართლის საქმე N4:

საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია ერთ-ერთ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით²¹¹ დგინდება, რომ ერთ-ერთი სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სამმართველოს უფროსთან და კიდეც სამ საჯარო მოხელესთან ერთად, ბრალი ედებათ სახელმწიფოს დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვაში. კერძოდ, მათ განიზრახეს, ერთ-ერთი კომპანიის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვა, რაც გამოიხატა შემდეგში: შესყიდვების სამსახურის დებულების მიხედვით, შესყიდვის დროს მათ ევალუბოდათ ბაზრის კვლევა სავარაუდო ფასთა (ღირებულებათა) განსაზღვრისთვის და შესაბამისი მიმწოდებლის მოძიებისთვის. აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, დანაშაულებრივი განზრახვის დასაფარად და სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების ხარჯვის გასამართლებლად, მათ დაარღვიეს შესაბამისი შესყიდვის პროცედურები,

²¹¹ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 მაისის N1/1373-15 განაჩენი.

რეალურად არ ჩაატარეს ბაზრის კვლევა (სავარაუდო ფასთა განსაზღვრა), მათ შეგნებულად არ გაარკვიეს სხვა უწყებებში მსგავსი ქონების შეძენის პირობები და ღირებულებები, რადგანაც მათ იცოდნენ, რომ ამ პროდუქტის ღირებულება ბევრად ნაკლები იყო და ისე შეარჩიეს ეს კომპანია გამარჯვებულად. ქმედების განხორციელებისას მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმდროინდელი 73²-ე მუხლის (ეფექტურობის პრინციპი) და შესაბამისი დებულების უგულვებელყოფით, შეადგინეს მოხსენებითი ბარათი და მინისტრის მოადგილესთან იშუამდგომლეს ვითომდა გამარჯვებულ კომპანიასთან - ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. შესაბამისად ამ პირებმა წინასწარი შეთანხმებით, შექმნეს ისეთი დოკუმენტები, რაც საფუძვლად დაედო სახელმწიფო უწყებასა და ხსენებულ კომპანიას შორის სახელმწიფოსთვის საზიანო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც ღირებულებად მითითებული იყო არარეალურად მაღალი თანხა. აღნიშნული ქმედებით, ამ პირებმა გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დაახლოვებით 4 მილიონი ლარი. თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სრულად არის დადასტურებული საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებათა ერთობლიობით და ყველა ბრალდებული დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგვის ჩადენაში. სასამართლო უთითებს, რომ ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია დადგინდეს, რომ ქონება იმყოფებოდას გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, რომელი ქონებაც შემდგომ მესაკუთრისგან დამნაშავეს საშუალებით გადადის სხვის პირის უკანონო მფლობელობაში. ამასთან აღნიშნავს, რომ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას, ანუ დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ფლანგავს სხვის ქონებას, რომელიც მიწოდებული აქვს მას, ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს მესაკუთრეს და სურვილიც აქვს ამ შედეგის დადგომის. სასამართლოსთვის გაუგებარია რა ალტერნატიული მიზანი უნდა არსებობდეს შეისყიდო მიწოდებული საქონელი/მომსახურებაა საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ძვირად, თუ არა ამის გააზრებული განზრახვა. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ თითქოს სახეზე არ იყო მაკვალიფიცირებული ნიშანი - გაფლანგული ქონების მართლზომიერი მფლობელობა და განმარტა, რომ *სწორედ ეს*

პირები იყვნენ პასუხისმგებლები ამ კონკრეტულ შესყიდვაში და სწორედ მათი აქტიური ქმედების შედეგად დაიგეგმა, გაგრძელდა და განხორციელდა საბოლოო შესყიდვა. შესაბამისად სწორედ მათ მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს მიაღება 4 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის თანხის ზიანი. ბრალდებულებმა უწყების (სამინისტროს) ხელმძღვანელის მოადგილეს მიაწოდეს არასწორი და არასრული ინფორმაცია და სწორედ აღნიშნული არასწორი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი გახდა ამ ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი, რომლითაც გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხები. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ სწორედ ბრალდებულების მოქმედებები განაპირობებდა შესაბამისი თანხების ბიუჯეტიდან გამოყოფას და მათ ხარჯვას, რაც სწორედ რომ თანხების გამგებლობას გულისხმობს. მათი გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო თანხების გამოყოფა და შესყიდვა, მათ კი, არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს უწყების ხელმძღვანელის მოადგილეს.²¹² რაც შეეხება დანაშაულის მიზანს, სასამართლო აღნიშნავს, რომ გაფლანგვის მიზანს წარმოადგენს ნივთის მესაკუთრისგან სხვა პირის საკუთრებაში გადასვლა, ხოლო „მოტივთან“ დაკავშირებით, სასამართლო იშველიებს *ო. გამყრელიძის* მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „არის დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, რომელთა კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ ახდენს ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორიც არის მოტივი, ბუნებრივია, ასეთი დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესში მოტივი ვერ იქონიებს ზეგავლენას, რადგან განსხვავებული მოტივების არსებობის პირობებშიც კი არ იცვლება დანაშაულის შინაარსი“ და იქვე უთითებს, „*მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სწორედ დანაშაულის ისეთ შემადგენლობასთან, რომლის კვალიფიკაციაზე მოტივი გავლენას ვერ ახდენს.*“²¹³ მიუხედავად ამისა, სასამართლო მაინც ხაზს უსვამს დამნაშავეებისა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის, ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირზე.

²¹² იბ. იქვე, გვ. 145-146.

²¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 მაისის N1/1373-15 განაჩენი, გვ. 147.

ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ²¹⁴ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ბრალდებულების ქმედება, გაფლანგვის ნაცვლად (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი), გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილზე. მან ისე გააუქმა სსკ-ის 182-ე მუხლის კვალიფიკაცია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებზე და საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებები, ექვემდებარება დაუყენებია. პირიქით, თავადაც აღნიშნა, რომ გაუგებარია რა ალტერნატიული მიზანი უნდა არსებობდეს, რათა კონტრაქტის გაფორმება მოხდეს საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ძვირად.²¹⁵ როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის განაჩენში ცვლილება შეიტანა და დანაშაულებრივი ქმედება სსკ-ის 182-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 332-ე მუხლზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ბრალდებულის სასარგებლოდ განაჩენში ცვლილების შეტანისას (კვალიფიკაციის შეცვლისას), იმ გარემოებასთან ერთად, რომ დაცვის მხარეს ჰქონოდა ადეკვატური დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად, დიდ ყურადღებას აქცევს ასევე იმ გარემოებას, თუ რამდენად შეიცვალა დანაშაულის არსი და მისი „მაფუძნებელი“ ნიშნები.²¹⁶ შესაბამისად, ამის სამტკიცებლად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი „მოიცავს დანაშაულის შემადგენლობის იმ ძირითად ნიშნებს, რომელსაც სსკ-ის 182-ე მუხლი სხვა სახელს არქმევს.“²¹⁷

ერთადერთი მიზეზი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კვალიფიკაცია, აქაც, არის ის, რომ ბრალდებულებს ეს თანხა არ ჰქონდათ არც მართლზომიერ მფლობელობაში და არც გამგებლობაში. სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ მფლობელობა „ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას უკავშირდება, ანუ პირს ფაქტობრივი,

²¹⁴ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის N1/ზ-622-16 განაჩენი.

²¹⁵ იხ. იქვე, გვ. 54.

²¹⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები (ECHR): *Dallos v. Hungary*, [2001] ECHR, (application no. 29082/95), § 47-53; *Sipavicius v. Lithuania*, [2002] ECHR, (application no. 49093/99), § 23-34; *Juna Nuutinen v. Finland*, [2007] ECHR, (application no. 45830/99), § 26-33; *De Salvador v. Spain*, [1996] ECHR, (application no. 21525/93), § 33.

²¹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის N1/ზ-622-16 განაჩენი, გვ. 63

ხელშესახები კავშირი აქვს ნივთთან, ხოლო „გამგებლობის“ შემთხვევა, დიამეტრულად განსხვავებული შემთხვევაა. იგი აღნიშნავს, რომ კომპანიას ეს თანხა გადაერიცხა საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და წარმოუდგენელია განსასჯელებს რომ ჰქონოდათ მფლობელობა სახელმწიფო ხაზინის სახსრებზე. ამავდროულად მიიჩნია, რომ ეს ფულადი თანხები, არც მათ გამგებლობაში არ იყო, რადგან გამგებლობის დროს, პირი, მართალია, არ ფლობს ნივთს ფაქტიურად, თუმცა აქვს კონტროლი მასზე და მათ სახელმწიფო ხაზინის სახსრებზე არ გააჩნდათ ამგვარი კონტროლის - გამგებლობის - უფლებამოსილება.²¹⁸ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და განსახილველად არ დაუშვა (მიიღო) საკასაციო საჩივრები.²¹⁹

N4 საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი:

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, არამართებულია და პრინციპულად მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ეს პირიქითაა, სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი **მოიცავს** სსკ-ის 332-ე მუხლის იმ შემთხვევების ნიშნებს, როდესაც ქმედებას მოჰყვა მესაკუთრის ქონებრივი ზიანი და ეს ქონება უკანონოდ გადაეცა ან არამიზნობრივად გაიხარჯა სხვა პირის სასარგებლოდ. ნორმათა კონკურენციისას, *ი. დვალიძე* მართებულად უთითებს, რომ, როდესაც ქმედება ორი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს მოიცავს, ერთ ქმედების ორჯერ შეფასების თავიდან ასაცილებლად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნორმას, სადაც მოცემული რომელიმე ქმედების **ნიშანი მეტი კონკრეტულობით გამოირჩევა**,²²⁰ ამასთან იქვე მითითებულია, რომ თუ ქმედება (დელიქტი) უფრო მძიმე ნორმის მიერ არის შეთვისებული და ამოწურული, გამოყენებულ უნდა იქნას უფრო მძიმე ნორმა, რომელიც შთანთქამს მსუბუქ ნორმას.²²¹ შესაბამისად, საქმეში აღწერილ, პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედების შემადგენლობას, ვერ მოიცავს სსკ-ის 332-ე მუხლი, ეს ქმედება სცდება მისი ზოგადი ნორმის შემადგენლობას, რადგან ამ ქმედებას აკონკრეტებს და

²¹⁸ იქვე. გვ. 64-65.

²¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის N139აპ-17 განაჩენი.

²²⁰ იხ. *დვალიძე ი.*, კომენტარში: დვალიძე ი. და სხვები (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი, ტომი 1, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი, 2021, გვ. 240.

²²¹ იხ. იქვე, გვ. 247-248.

სპეციალურს ხდის სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი. მართალია, ამ ორი ნორმის მიმართება, არაა მთლად, მთელისა და ნაწილის მიმართების სახეობა, რადგან 332-ე მუხლით გათვალისწინებულია ისეთი ქმედებაც, რომელიც არაქონებრივ ზიანს იწვევს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ თუ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მესაკუთრისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების პირდაპირი განზრახვით ხდება, მაშინ უფრო მძიმე მუხლი (182) შთანთქმავს 332-ე მუხლს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითვისების დამამძიმებელი გარემოება (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), ლოგიკურად გულისხმობს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რადგან მას იყენებს დანაშაულებრივი მიზნებით, ქონების უკანონოდ დასაუფლებლად, შესაბამისად, ეს ქმედება ცალკე 332-ე მუხლით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს. იმ შემთხვევაში, თუ 182-ე მუხლს არ ექნებოდა ხსენებული დამამძიმებელი გარემოება, მაშინ მართებული იქნებოდა მოხელის ქმედების დამატებით კვალიფიკაცია 332-ე მუხლით.

როგორც აღინიშნა, განსახილველ საქმეშიც, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გაფლანგვის კვალიფიკაცია, არის ის, რომ ბრალდებულებს ეს თანხა არ ჰქონდათ არც მართლზომიერ მფლობელობაში და არც გამგებლობაში. „გამგებლობაში“ მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს არა აქვს ნივთზე ფიზიკური ბატონობა/წვდომა, თუმცა მას სამსახურებრივი, სახელშეკრულებო ან სხვა ურთიერთობიდან გამომდინარე, აქვს მისი განკარგვის უფლებამოსილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში, მართებულადაა აღნიშნული, რომ მართლზომიერი გამგებლობა კუმულაციურად გულისხმობს გაფლანგვის ჩამდენი პირის ფაქტობრივ შესაძლებლობას, განახორციელოს ქმედებები ამ ქონების განკარგვით, სარგებლობით, გასხვისებით.²²² როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს, სწორედ ბრალდებულების აქტიური ქმედების შედეგად დაიგეგმა, გაგრძელდა და განხორციელდა საბოლოო შესყიდვა და სწორედ მათ მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად მიაღწა 4 მილიონ ლარზე მეტი თანხის ზიანი სახელმწიფოს. შესაბამისად, შეიძლება მიჩნეულ

²²²იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის N57აპ.-19 განაჩენი.

იქნას, რომ მათ (ბრალდებულებს) ფაქტობრივად, ნამდვილად ჰქონიათ შესაძლებლობა, განეკარგათ ეს თანხა, მიუხედავად იმისა საბოლოო ჯამში ხელშეკრულება ვინ გააფორმა ან/და ვინ გადარიცხა ეს თანხა. ანუ, პირის სამსახურებრივ ქმედებას თუ შედეგად მოჰყვება ქონების ბედის განკარგვა, მის მართლზომიერ გამგებლობაში ყოფილა ეს ქონება. ამის საილუსტრაციოდ, შეიძლება მოყვანილ იქნას შემდეგი მაგალითი: ერთ-ერთ სამინისტროს აქვს შესყიდვების დეპარტამენტი, რომლის თანამშრომლებსაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით. ამ თანამშრომლებს სამინისტროს დებულებით, ევალებათ, რომ შესაბამისი სპეციფიკური საქონლის/მომსახურების შესყიდვისას ჩაატარონ შესაბამისი ბაზრის მოკვლევა შესასყიდი საქონლის/მომსახურების საბაზრო ღირებულების, ანუ ფასის დადგენის მიზნით და შედეგად მოამზადონ შესაბამისი დასკვნა, იმაზე, თუ რომელ საწარმოსთან, რა ღირებულებით უნდა გაფორმდეს შესყიდვის ხელშეკრულება. ამავდროულად, სამინისტროს შესაბამის დებულებებში აღნიშნულია, რომ ამ დასკვნის გარეშე, გამორიცხულია ხელშეკრულების გაფორმება და შესაბამისად თანხების გადარიცხვაც. აქედან გამომდინარე, მინისტრი ან მისი მოადგილე ხელს **ფორმალურად** აწერს ხელშეკრულებას, სწორედ ასეთი დასკვნის შედეგებიდან გამომდინარე და მათ მიერ მომზადებული პირობების შესაბამისად და ხელმოწერის საფუძველზე ირიცხება თანხები კონკრეტულ საწარმოს ანგარიშზე. ხაზი იმიტომ გაესვა სიტყვა „ფორმალურს“, რომ, როგორც წესი, ამა თუ იმ სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი პირები კონტრაქტებს ხელს აწერენ, ისე რომ, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ შესწავლილი ეს საკითხი სიღრმისეულად და ენდობიან მათი დეპარტამენტების მიერ მომზადებულ დასკვნებს, ხელშეკრულების პირობებს და სხვა დებულებებს. ფაქტობრივად, შეუძლებელია მინისტრმა შეისწავლოს ყველა გასაფორმებელი ხელშეკრულების ან იურიდიული შედეგის დამდგენი სხვა აქტების დეტალები საქმეების სიმრავლის გამო, მითუმეტეს, მაშინ როდესაც საქმე ეხება სპეციფიკური საქონლის ან მომსახურების შესყიდვას. ამ დანიშნულებით, მათ უწყებაში აქვთ შესაბამისი პროფილის დეპარტამენტები, სამმართველოები თუ სამსახურები. მაშინ, ეს უკანასკნელი სამსახურები რა საჭირო იქნებოდა, თუ ყველაფერი ისევ მინისტრმა უნდა მოიკვლიოს და შეაფასოს. მაგალითისთვის, ასეთი დეპარტამენტის

სპეციალიზირებულმა თანამშრომლებმა, განიზრახეს მათი უწყებიდან, ხელოვნურად გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხები გადარიცხულიყო მათი ნაცნობის, მეგობრის, ან თუნდაც უცნობი პირის საწარმოს ანგარიშზე. მათი სურვილი და შესაბამისად მიზანი იყო, რომ ეს ადამიანი უბრალოდ დაესაჩუქრებინათ სოლიდური თანხით. ამ მიზნით, შეადგინეს ყალბი დასკვნა, რომ მეგობრის საწარმოსთან გაფორმებულიყო ხელშეკრულება 1 მილიონ ლარზე, მაშინ როდესაც ზუსტად იცოდნენ, რომ ამ ხელშეკრულების საგნის საბაზრო ღირებულება არ აღემატება ნახევარ მილიონ ლარს. ხსენებული დასკვნის მომზადების შემდეგ, მის საფუძველზე ავტომატურად მოხდა უწყების ხელმძღვანელის მიერ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და თანხის გადარიცხვა. უწყების ხელმძღვანელი ენდობოდა ამ დეპარტამენტის თანამშრომლებს, მათ კომპეტენციას და გამოცდილებას და თანაც, თვითონ არც ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ გადაემოწმებინა დასკვნის სისწორე. შედეგად, ბიუჯეტიდან ზედმეტად გადარიცხა ნახევარი მილიონი ლარი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ხსენებული დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომლებმაც ეს დასკვნა მოამზადეს, ჰქონდათ თუ არა ამ საბიუჯეტო თანხების განკარგვის ფაქტობრივი შესაძლებლობა? რა თქმა უნდა, ჰქონდათ, რადგან მათ ფაქტობრივად შეძლეს ამ თანხების განკარგვა. შესაბამისად, ეს კი გულისხმობს იმას, რომ ქონება იყო მათ მართლზომიერ გამგებლობაში და მათი მხრიდან სახეზეა ჩადენილი საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ კი მითვისება და არა გაფლანგვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედების ჩამდენი პირისთვის ქონების მართლზომიერ გამგებლობაში არსებობა, სავალდებულო ნიშანია როგორც სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისთვის, ასევე სსკ-ის 332-ე მუხლისათვის. თუ ეს ნიშანი არაა სახეზე, არ იქნება არც სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და არც სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. შესაბამისად, არაა მართებული სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ დანაშაულის სსკ-ის 182-ე მუხლიდან სსკ-ის 332-ე მუხლზე მხოლოდ იმ მიზეზით გადაკვალიფიცირება, რომ სახეზე არაა მართლზომიერი გამგებლობა.

არაერთხელ ითქვა უკვე, რომ ამ დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნისას ამოსავალი წერტილი არის ამ დანაშაულების სუბიექტურ შემადგენლობაში და სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დამახასიათებელი პირდაპირი განზრახვა. გასაგები იქნებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, რომ ქმედება სსკ-ის 332-ე მუხლზე იმიტომ გადაეკვალიფიცირებინა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების ან გაფლანგვის პირდაპირი განზრახვა. თუმცა, ამის მიზეზად, მან მიუთითა მართლზომიერი გამგებლობის არარსებობა, ისე რომ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, ეჭვქვეშ არ დაუყენებია პირველი ინსტანციის სასამართლო მსჯელობა **სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებზე**. პირიქით, იგი ფაქტობრივად დაეთანხმა, რომ სახეზე იყო პირდაპირი განზრახვა. თუნდაც ბრალდებულ პირებს არ ჰქონოდათ ეს თანხები მართლზომიერ გამგებლობაში, ასეთ შემთხვევაში, ამ ქმედებაში რომ არ იქნება სსკ-ის 182-ე მუხლის ნიშნები გასაგებია, მაგრამ მაინც, ასევე არ იქნება სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან თუ პირები მოქმედებდნენ იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უკანონოდ გაემდიდრებინათ მათი ნაცნობი ან მეგობარი და ეს გააკეთეს კიდეც, სახეზე აუცილებლად იქნება სხვა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

6. შეჯამება

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამიჯვნასთან დაკავშირებით, შეჯამების სახით, კიდეც ერთხელ უნდა აღინიშნოს შემდეგი, უაღრესად მნიშვნელოვანი, საკითხები:

- ✓ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების **ერთმანეთისგან გამიჯვნის დროს**, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას**. კერძოდ, უნდა დადგინდეს განსახილველი

ქმედება განზრახვის რომელი ფორმითაა ჩადენილი. თუ სახეზეა პირდაპირი განზრახვა, მათ შორის შედეგის მიმართ, მაშინ ეს იქნება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო თუ არაპირდაპირი განზრახვა - საქართველოს სსკ-ის 332-ე ან/და 220-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. თუ ზუსტად ვერ დგინდება განზრახვის რომელი ფორმით მოქმედებდა დამნაშავე, პირდაპირი თუ არაპირდაპირით, მაშინ, ამ შემთხვევაში კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და მისი მსჯავრდება უნდა მოხდეს უფრო მსუბუქი დანაშაულით (სსკ-ის 332-ე ან/და 220-ე მუხლით).

- ✓ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის და სსკ-ის 332-ე ან/და 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის **გამიჯვნისას, უმთავრესი არგუმენტი** და ამოსავალი წერტილი არის ის, რომ თუ ქმედება საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული, მაშინ სახეზე იქნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არა სამოხელეო დანაშაული. საკუთრების წინააღმდეგაა მიმართული ქმედება, როდესაც დამნაშავეს აქვს მაღალი ნებელობა, რომ უკანონოდ დაეუფლოს ან უკანონოდ გახარჯოს კანონიერი მესაკუთრის ქონება (ვის სასარგებლოდ არ აქვს მნიშვნელობა) და ამით მიაყენოს მას მატერიალური ზიანი. აქედან გამომდინარე, როგორც აღინიშნა, *არ შეიძლება სახეზე იყოს სამოხელეო დანაშაული, როდესაც ესა თუ ის მოხელე (თანამდებობის პირის), პირდაპირი განზრახვით უკანონოდ იღებს თვითონ ან სხვა პირი ქონებრივ სარგებელს, ან/და მესაკუთრისთვის (სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციის) ქონებრივი ზიანის მიყენების მიზნით (ქონების შემცირების ხარჯზე) ხდება ამ ქონების ხარჯვა/განიავება.* ამგვარ ყველა შემთხვევაში სახეზე იქნება ქონებრივი, ანუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
- ✓ ორმაგი კვალიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მითვისების სამსახურებრივი მგომარეობის გამოყენებით ჩადენა, თავის თავში გულისხმობს საქართველოს სსკ-ის 332-ე და 220-ე

მუხლით გათვალისწინებულ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასაც. ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ბოროტად არ გამოიყენოს სამსახურებრივი უფლებამოსილება და ისე დაეუფლოს, მართლსაწინააღმდეგოდ, სამსახურებრივად მინდობილ ქონებას. ამიტომ, ვინაიდან სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ფარავს საქართველოს სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, ამ უკანასკნელი მუხლებით ქმედების დამატებით კვალიფიკაცია აღარაა საჭირო. შესაბამისად, სწორედაა მეცნიერებაში მიჩნეული, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არის **სპეციალური ნორმა**, ხოლო სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლები - **ზოგადი ნორმები**. ეს ნიშნავს იმას, რომ სპეციალური ნორმა მოიცავს ქმედების ძირითად ნიშნებს და არ საჭიროებს ზოგადი მუხლით კვალიფიკაციას და არა პირიქით, რადგან ეს სპეციალური ნორმა გასულია სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობისაგან.

შეჯამების ბოლოს, სსკ-ის 332-ე მუხლზე უნდა ითქვას, რომ იგი თავისი არსით სუბსიდიურ დელიქტს მიემსგავსება. როგორც ლიტერატურაშია მითითებული, სუბსიდიური ნორმა მხოლოდ დამხმარე სახით, ალტერნატიულად („Hilfsweise“) გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა ნორმა არ არის გამოყენებული.²²³ ამასთან, როგორც წესი, ასეთ ნორმებში პირდაპირ მითითებულია ხოლმე, რომ ეს ქმედება დაისჯება სხვა მუხლით, თუ იგი ითვალისწინებს უფრო მძიმე სასჯელს.

²²³ იხ. **დვალიძე ი.**, კომენტარში: დვალიძე ი. და სხვები (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი, ტომი 1, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი, 2021, გვ. 245. ასევე იხ. იქვე წყაროდ მითითებული: **Wessels J., Beulke W., Satzger H.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, 2017, S. 453.

VI თავი. ქრთამის ალების გამიჯვნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისაგან

1. ქრთამის ალების ცნება ძველ ქართულ და მსოფლიო სამართლის ისტორიაში

ტერმინ „კორუფციაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოსყიდვა. თანამდებობის პირის მოსყიდვას კი, სისხლის სამართალში მექრთამეობა, კერძოდ კი, ქრთამის ალება და ქრთამის მიცემა ეწოდება. ცნობილია, რომ მექრთამეობა, რთული სოციალური მოვლენაა და იგი კაცობრიობას თან სდევს უძველესი დროიდან. მოსყიდვისთვის სასჯელი გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ ხამურაბის კანონებში (4 ათასი წლის წინ) და ამისთვის სასჯელს, თავად ეგვიპტის ფარაონები ადგენდნენ.²²⁴ მექრთამეობა, კორუფციის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა და იგი თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში განიხილება ანგარებით სამსახურებრივ დანაშაულად, როგორც სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახეობა.²²⁵

სულხან-საბა ორბელიანის მიერ „ქრთამი“ განმარტებულია, როგორც „საცოდავი ძღვენი“²²⁶. ამ სიტყვებში იგულისხმებოდა ცოდვის ჩადენისთვის მიძღვნილი ძღვენი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მართებულად უთითებენ, სიტყვა „ქრთამი“, ადრეულ საუკუნეებში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც საკანონმდებლო დოკუმენტებში, ისე სასაუბრო ენასა და ლიტერატურაში.²²⁷ მაგალითად, ერთ-ერთ ძველ ქართულ ძეგლში აღნიშნულია შემდეგი: „ვევედრე ჩემს ხელმწიფეს, მეფე სოლომონს და როგორც შემეძლო, ქრთამიც ისე მივართვი“²²⁸. ასევე, „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის“ მიხედვითაც, ქრთამი წარმოადგენს როგორც დანაშაულს, ასევე საზღაურს შესრულებული სამუშაოსთვის და მითითებულია, რომ

²²⁴ იხ. **დლონტი გ.**, სახელმძღვანელოში: **დლონტი გ.**, და სხვები, კორუფცია საქართველოში/კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თინათინ წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2011, გვ. 10.

²²⁵ იხ. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, მთავარი რედაქტორი **დლონტი გ.**, თბილისი, 2008, გვ.260.

²²⁶ იხ. **ორბელიანი ს.ს.**, ლექსიკონი ქართული, ტ. 2, გამომცემლობა „მერანი“, 1993, გვ. 233.

²²⁷ იხ. **აბრამიშვილი ლ.**, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ. 2008, გვ. 12.

²²⁸ იხ. **დოლიძე ი. (რედ.)**, ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1970, გვ. 1093.

„პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისთვის ბატონი მას აქრთამებს გინა სამამულო და გინა სასაქონლო რამეს“²²⁹. როგორც ჩანს, ძველად საქართველოში, ქრთამი მხოლოდ დანაშაულის („საცოდავი ძღვენის“) აღმნიშვნელი კი არ იყო, არამედ იგი კარგ საქციელს და დამსახურებულ საჩუქარსაც (საპატიო ძღვენსაც) ნიშნავდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ადრე, მექრთამეობა, როგორც წესი, ასოცირდებოდა ხოლმე, მხოლოდ მოსამართლის, მსაჯულის ან სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე პირის მიერ ქრთამის აღებასთან, რადგან იმ დროს სწორედ ისინი წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან საჯარო მოხელეებს, რომელთაც მტყუან-მართალის გარჩევა და ფაქტიურად ადამიანის ბედის გადაწყვეტა შეეძლოთ. ძველ ქართული სამართლიდან, ჩვენამდე მოღწეულ, ყველაზე ადრეულ სამართლის ძეგლს წარმოადგენს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები, რომელშიც აღნიშნულია, რომ *„ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მართსა საჩივარსა მართლად მოიხსენიებდეთ, თქვენთა გულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნოთ, არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმასა და მოყვასთა, არას ქრთამის ქადაგებისთვის, არა! არამედ მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ!“*²³⁰ ამ ჩანაწერით, ავტორი ამბობს, რომ მოსამართლე საქმის განხილვისას მიუკერძოებელი უნდა იყოს, ქრთამი არ უნდა აიღოს და „მართალი სამართალი“ დაადგინოს. ამასთან, დავით ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მოსამართლედ დამტკიცებამდე, შერჩეულმა პირმა ღვთის წინაშე ეკლესიაში უნდა დაიფიცოს, გარდა იმისა, რომ მეფის ერთგული იქნება, თავის მოვალეობას შეასრულებს პატიოსნად ქრთამის აღების („თვინიერ ქრთამისა“) და მიკერძოების გარეშე.²³¹

რაც შეეხება საზღვარგარეთის სამართლის ისტორიას, ანტიკურ ახლო აღმოსავლეთში ქრთამის ახლანდელი გაგება არ არსებობდა და თუ ვინმეს სურდა ძღვემოსილ უცნობ ადამიანთან შეხვედრა, ისე რომ ის არ დახვედროდა მტრული რეაქციით,

²²⁹ სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დადგინა **დოლიძე ი.-მ.**, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981, გვ. 400

²³⁰ იხ. **ბაგრატ კურაპალატი**, სამართლის წიგნის ფრაგმენტი, ივ. ჯავახიშვილის აზრით ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი ბაგრატ III მმართველობის დროსაა (975-1014 წწ.) შედგენილი. ასევე იხ. **ბოსტოლანაშვილი დ.**, ქართული სამართლის ისტორია, 2015. <https://samartliskonspektebi.files.wordpress.com/2019/06/3480f7_4659c42a81b9471591b9611ae08c8432.pdf> [15.12.2023].

²³¹ იხ. **ფურცელაძე დ.**, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1964, გვ. 50.

წარმოუდგენელი იყო, მასთან ხელცარიელი მისულიყო. მიზანი იყო ურთიერთსარგებელი და ერთი აძლევდა მეორეს რაღაცის მოლოდინით. ძველ ებრაულ ბიბლიაში, არაფერი გამობდა ძღვენის მიცემას, პირიქით შექებულიც კია ასეთი პირი და არსად არ არის მაგალითი, რომ ქრთამის აღებისთვის ვინმე დაეჭირათ და დაესაჯათ/გაესამართლებინათ.²³² შესაბამისად, რაბინული სამართლით ქრთამის აღება არ იყო დაკავშირებული დანაშაულთან და მოსამართლისთვის მიძღვნილი ძღვენი წარმოადგენდა გასამრჯელოს, მის მიერ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, თუმცა, მოგვიანებით წინ წამოიწია ქრთამის აღების დანაშაულებრივი ბუნება.²³³

ძველ საბერძნეთში, ქრთამის ამღებ მოსამართლეს თმებს კრეჭდნენ და დამამცირებლად ვირზე შესმულს ხალხში ატარებდნენ.²³⁴ ხამურაბის კანონების მიხედვით, მექრთამე მოსამართლეს ათავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობიდან, ისე რომ ამ თანამდებობას ვეღარ დაიბრუნებდნენ.²³⁵ რაც შეეხება ძველ რომს, იქ ასეთ მოსამართლეებს სიკვდილით დასჯას უსჯიდნენ.²³⁶

მსოფლიოს ისტორიაზე თვალის გადავლებით, დარწმუნდება ყველა, რომ მექრთამეობა დიდი ხანია მძიმე დანაშაულად ითვლება. თანდათან გააცნობიერეს სახელმწიფოებმა, რომ მექრთამეობა ძირს უთხრის სახელმწიფოს განვითარებას და თითქმის ყველა სახელმწიფომ ეს ქმედება, დეკლარირებულად დანაშაულად გამოაცხადეს. თუმცა, სხვა საქმეა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა. მაგალითად, ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით მექრთამეობა დანაშაულად იქნა მიჩნეული მე-18 საუკუნეში, მაგრამ მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, კანონმდებლები იყვნენ კორუმპირებულები, რადგან კონგრესმენების მიერ ქრთამის აღებისთვის დაწესებული იყო მხოლოდ პოლიტიკური სასჯელი. ისინი პოლიტიკურ ფასს იხდიდნენ ამისთვის, რადგან არ იყო ამისთვის სისხლის სამართლის სასჯელი გათვალისწინებული და

²³² იხ. *John T. Noonan Jr.*, Bribery, Notre Dame Journal of Law, Ethics & Public Policy, Vol. 2, 1986, p. 741-743.

²³³ იხ. *აბრამიშვილი ლ.*, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ. 2008, გვ. 55.

²³⁴ იხ. *მაცაბერიძე ზ.*, კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები, გამომცემლობა „ბაკმი“, თბ. 2009, გვ. 44.

²³⁵ იხ. იქვე, გვ. 44.

²³⁶ იხ. იქვე, გვ. 44.

ყველაზე ცუდ შემთხვევაში, სასჯელი იყო თანამდებობიდან გადაყენება.²³⁷ როგორც ჩანს, მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, საჭიროა არამარტო საკანონმდებლო ჩარჩოები და მმართველი ხელისუფლების პოლიტიკური ნება, არამედ მათი ეფექტური აღსრულება და პრაქტიკაში კორუფციასთან ბრძოლა.

2. ქრთამის აღების საკანონმდებლო რეგულაცია და მისი მახასიათებელი ცალკეული ნიშნები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ სამოხელეო დანაშაულის თავში, დანაშაული ქრთამის აღება, ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. საქართველოს სახელმწიფოს ამ დანაშაულის მიმართ აქვს უმკაცრესი სისხლის სამართლის პოლიტიკა და ქრთამის აღების შემთხვევაში, მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა, როგორც არ უნდა ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოსთან ან მოინანიოს ეს დანაშაული, შეიძლება ითქვას, რომ მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება რეალური სასჯელის გარეშე (მთლიანად პირობითით) შეუძლებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული საგამონაკლისო შემთხვევებისა. ამავდროულად, ასეთი კორუმპირებული მოხელის მიერ ჩადენილი ქმედების გამოვლენას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო, რადგან დამნაშავე, ქრთამის მიმცემ, პირს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.²³⁸

მექრთამეობა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ კორუფციულ დანაშაულს წარმოადგენს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანახმად, მექრთამეობა (ქრთამის აღება), სახელმწიფო ღალატთან ერთად, წარმოადგენს იმ დანაშაულს, რომელიც ამართლებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენებას.²³⁹ მაშინ როდესაც, საქართველოში უმაღლესი თანამდებობის პირების იმპიჩმენტისას, ასე კონკრეტულად მექრთამეობაზე არაა პირდაპირი ხაზგასმა და საქართველოს

²³⁷ იხ. *John T. Noonan Jr.*, Bribery, Notre Dame Journal of Law, Ethics & Public Policy, Vol. 2, 1986, p. 748.

²³⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის შენიშვნა.

²³⁹ იხ. *John T. Noonan Jr.*, Bribery, Notre Dame Journal of Law, Ethics & Public Policy, Vol. 2, 1986, p. 748.

კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი პირების იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის საფუძვლად მითითებულია - კონსტიტუციის დარღვევა ან ქმედებაში, ზოგადად, ნებისმიერ დანაშაულის ნიშნების არსებობა.²⁴⁰ ამასთან, დიდ ბრიტანეთში, ცალკეა მექრთამეობაზე ნორმატიული დოკუმენტი (აქტი), რომლის სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში, დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი იუსტიციის სახელმწიფო მდივანი *კენეტ კლარკი* აღნიშნავს, რომ მექრთამეობა კლავს სიცოცხლეებს (Bribery blights lives) და თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპი კნინდება/ მცირდება თითოეული შეთავაზებული ან მიღებული ქრთამის გამო.²⁴¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი თანამდებობის პირების მიერ ქრთამის აღება, გარკვეულწილად, ლეგალიზებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც შეფუთულია ლობიზმის საფარით. ინსტიტუციურ კორუფციაზე მსჯელობისას, ერთ-ერთი ავტორი, მართებულად მიუთითებს, რომ ლობიზმის დროს კორუფციის რუტინაში ფაქტობრივად ჩართულია ხელისუფლება, როდესაც კანონმდებელი (კონგრესმენი) საკანონმდებლო განხილვისას, ამ კანონმდებლობით დაინტერესებული პირისაგან, ითხოვს სარგებელს. ასეთ დროს სახეზეა ინსტიტუციური კორუფცია, რა განზრახვაც არ უნდა ჰქონდეთ მათ.²⁴²

დანაშაული ქრთამის აღება გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლში და მისი პირველი ნაწილით იგი რეგლამენტირებულია შემდეგნაირად:

„მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე

²⁴⁰ იხ. 48-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციის, პარლამენტის უწყებანი, 24/08/1995. ასევე იხ. ძველი საქართველოს ორგანული კანონი „იმპიჩმენტის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 11/11/1997, (მაღადაკარგულია 24/09/2013) და საქართველოს კანონი „იმპიჩმენტის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 24/09/2013, (მაღადაკარგულია 05/09/2018).

²⁴¹ იხ. **Kenneth Clarke** (Secretary of State for Justice, UK), Foreword in Guidance – The Bribery Act 2010, U.K. 2011.

²⁴² იხ. **Thompson D. F.**, Two Concepts of Corruption, Edmond J. Safra Research Lab Working Papers, No. 16, Harvard University, 2013, pp. 11-13. ამ საკითხზე ასევე იხ. **Newhouse M. E.**, Institutional Corruption: A Fiduciary Theory, Cornell Journal of Law and Public Policy, Volume 23, Issue 3. 2014, pp. 566-575; **Giovannoni F.**, Lobbying Versus Corruption, CESifo (Center for Economic Studies and the Ifo Institute for Economic Research) DICE Report, Journal for Institutional Comparisons, Volume 9, NO. 1, Munich, 2011, p. 12-16; **Begovic, B.**, Corruption, Lobbying and State Capture, CDLS Working Paper no. 0106, 2005.

შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლებამოსიანების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა“.

ამ დანაშაულისგან დაცულის სამართლებრივი სიკეთე არის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პრესტიჟი და ავტორიტეტი, ასევე მათი ნორმალური, კანონის შესაბამისი ფუნქციონირება.²⁴³ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულის საგანი არის ფართოდ წარმოდგენილი და ის შეიძლება იყოს არა მარტო ფული ან სხვა ქონება, არამედ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობაც. თუმცა, საბჭოთა კავშირის დროს, ქრთამის აღების მოტივად მხოლოდ ანგარება იყო მიჩნეული. საბჭოთა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული იყო, რომ მექრთამეობა ანგარებითი ხასიათის მოქმედებაა და მატერიალური გამორჩენის მიღებას გულისხმობს. ისეთი არამატერიალური ხასიათის სამსახურის გაწევა, როგორცაა მაგალითად, თანამდებობის პირისთვის ხელსაყრელი დასკვნის თუ რეკომენდაციის მიცემა, მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერა და ა.შ., არ უნდა ჩაითვალოს ქრთამის საგნად.²⁴⁴

ეს დანაშაული მიჩნეულია ფორმალურ, უფრო მეტიც, ვერბალურ დანაშაულად, რადგან მოხელის ან მასთანა გათანაბრებული პირის მიერ ვერბალურად (სიტყვიერად) ასეთი მოთხოვნის წაყენების ან/და შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან, ეს დანაშაული იურიდიულად დამთავრებულად ითვლება, მიუხედავად იმისა მან მოთხოვნილი ან დაპირებული დანაშაულის საგანი მიიღო თუ არა. ასეთი მიდგომა საზვარგარეთის ქვეყნებშიც, მაგალითად, დიდ ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში არსებოს მექრთამეობის აქტში (U.K. Bribery Act), სადაც ქრთამის აღების ასევე საკმაოდ

²⁴³ იხ. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2020, გვ. 390.

²⁴⁴ იხ. *მაყაშვილი ვ., ტყეშელაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 43-51.

ფართო განმარტებაა. იგი გულისხმობს ფინანსურ სარგებელზე ან სხვა უპირატესობაზე შეთავაზების მიღებას, რომელიც ჯერ არ გადაცემულა (“not just given”), რის სანაცვლოდაც იგი მესამე პირის სასარგებლოდ გამოიყენებს თავის თანამდებობას ბოროტად.²⁴⁵ მართალია, სწორია ასეთი მსჯელობა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრაქტიკაში განსხვავებული სიტუაციაა. კერძოდ, თუ ქრთამის საგნის ფაქტობრივი აღება (მიღება) არ მოხდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, როგორც წესი, სამართლადამცავი ორგანოები ვერ უყენებენ მას ბრალს ამ დანაშაულისთვის. ამას, იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ მოცემული თეორიული მსჯელობა არაა მართებული იმის შესახებ, რომ ეს დანაშაული დამთავრებულია მოთხოვნის მომენტიდან ან შეთავაზების მიღებიდან, არამედ იმიტომ, რომ შემდგომ მტკიცებაა ამის სასამართლოში რთული, რომ მას რეალურად განზრახული ჰქონდა ქრთამის აღება.

ქრთამის აღება შეიძლება ითქვას, რომ გამოირჩევა ლატენტური ბუნებით და მისი გამოაშკარავება ყოველთვის რთულია სამართლადამცავი ორგანოებისათვის, რადგან ქრთამის ამღები და ქრთამის მიმცემი პირი, როგორც წესი, არანაირ კვალს არ ტოვებენ და ამ დანაშაულის შესახებ მხოლოდ მათ იციან. აქედან გამომდინარე, ძალოვანი უწყებები ყოველთვის ცდილობენ, რომ მოხელის მიე ქრთამის ფაქტობრივი აღების ფაქტი, ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში (ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება²⁴⁶) გადაღებულ იქნას და საქმეზე დამაგრდეს ასევე, დამნაშავე პირის პირადი ან სხვაგვარი ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცება, მათ შორის, ოპერატიული მიზნებისთვის ბიუჯეტიდან სპეციალურად გამოტანილი ფული.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ის, რომ მექრთამეობა, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია არა მარტო საჯარო სფეროში, არამედ კერძო სექტორშიც. ქრთამის აღებას კერძო სექტორში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეწოდება კომერციული მოსყიდვა და ის გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ამ მუხლის

²⁴⁵ იხ. *Loughman B. P., Sibery R. A.*, Bribery and Corruption: Navigating the Global Risks, Wiley (Wiley Corporate F&A). 1 edition, 2011, p. 33. ასევე იხ. U.K. The Bribery Act, 2010.

²⁴⁶ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

საკანონმდებლო აგებულება დაახლოვებით იგივეა და მათი განასხვავება მდგომარეობს ამსრულებელ სუბიექტში და შესაბამისად, სს დაცვის ობიექტში. ამასთან საჯარო სფეროში ქრთამის აღება თუ ისჯება კანონიერი ქმედებისთვისაც, სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით დასჯადაა გამოცხადებული კომერციული მოსყიდვა მხოლოდ მაშინ, თუ საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით ან წარმომადგენლობით უფლებამოსილების მეორე პირი, მომსყიდველის ინტერესებისთვის, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით ახორციელებს ქმედებას ან უმოქმედობას.

მართებულად უთითებენ, რომ კორუფციული დანაშაული – მექრთამეობა – აუცილებლად საჭიროებს მინიმუმ ორ მხარეს, ხოლო სხვა ტიპის თანამდებობრივი დანაშაულები საჯარო მოხელემ შეიძლება ერთპიროვნულად განახორციელოს, მათ შორის თაღლითობა და მითვისება.²⁴⁷ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მექრთამეობა ერთიანი და ორმხრივ დანაშაულია²⁴⁸ და ქრთამის აღება აუცილებლად გულისხმობს ქრთამის მიმცემი სუბიექტის არსებობას, რომლის ქმედება ცალკე საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლით ისჯება.

3. ქრთამის აღების გამიჯვნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების, გაფლაგვისა და თაღლითობისგან

მექრთამეობის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისაგან გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში გათვალისწინებული დაუფლებითი დანაშაულებიდან, ეს დამამძიმებელი გარემოება - „სამსახურებრივი

²⁴⁷ იხ. *Gray C.W./Kaufmann D.*, Article Corruption and Development, Finance & Development / March 1998, 7.

<<https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1998/03/pdf/gray.pdf>> [16/03/2023].

²⁴⁸ იხ. *მაყაშვილი ვ., ტყეშელაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964, გვ. 35.

მდგომარეობის გამოყენებით“ - აქვს მხოლოდ ორ მუხლს. კერძოდ, იგი გათვალისწინებულია სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში და სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში. შესაბამისად, ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ამ დამამძიმებელი გარემოებებით ჩადენა, შეიძლება განახორციელოს, როგორც სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტმა (საწარმოს ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი), ისე სსკ-ის 338-ე მუხლის სუბიექტმა (მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი). როგორც გაირკვა, სსკ-ის 338-ე, 221-ე მუხლის და სსკ-ის 182-ე, 180-ე მუხლის ამსრულებლები შეიძლება იყვნენ იდენტურნი. არაა სადავო, რომ ამ უკანასკნელი დანაშაულების, დანაშაულების მოტივი, როგორ წესი, არის ანგარება და არც ის, რომ მათი ჩადენა ხდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მაშინ რა არის მათ შორის უმთავრესი განსხვავება? ვიდრე ამ კითხვას პასუხი გაეცემა, მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კორუფციული დანაშაულების ჩადენა, როგორც წესი, ქრთამის აღებისგან განსხვავებით, ხდება ერთპიროვნულად, თუმცა, როდესაც ამ დანაშაულებრივი (სსკ-ის 182-ე და 180-ე) ქმედების განხორციელების დროს ჩნდება მეორე მხარეც, რომელიც საჯარო ან კერძო თანამდებობის პირს ეხმარება მითვისების ან თაღლითობის ჩადენაში, სწორედ ამ დროს წარმოიშობა ქრთამის აღების სხვა დანაშაულებისგან გამიჯვნის პრობლემა მთელი სიმწვავეით.

როგორც წესი, როდესაც პრაქტიკაში წარმოიჭრება პრობლემა, იმის შესახებ თუ რა მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს განსახილველი მომიჯნავე დელიქტები, პირველ რიგში, აუცილებელი ხდება ნორმების სწორად განმარტება. როგორც აღინიშნა, ნორმის განმარტება გულისხმობს მისი შინაარსისა და დანიშნულების გარკვევას, ე.ი. იმის დადგენას, თუ რა შინაარსი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა.²⁴⁹ თუმცა, ამ შემთხვევაში, როდესაც პრაქტიკაში ვერ ხდება სწორად გამიჯვნა ქრთამის აღების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, პრობლემას ნორმის არასწორად განმარტება ნაკლებად წარმოადგენს. ხსენებული დანაშაულების იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებისას, შეიძლება ითქვას, ყველაფერი

²⁴⁹ იხ. *ინჟირველი გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003, გვ. 171.

წესრიგშია. პრაქტიკაში ამ დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნისას, ხშირად ქმედების კვალიფიკაცია სწორად ვერ ხერხდება იმიტომ, რომ არ ხდება ფაქტობრივი გარემოებების და პრაქტიკული ნიუანსების ზედმიწევნით დადგენა/გამოკვლევა. რის გამოც, ეს პრობლემა წარმოიშობა არა მხოლოდ სსკ-ის 338-ე მუხლის სსკ-ის 182-ე მუხლისგან გამიჯვნისას, არამედ სსკ-ის 180-ე მუხლისგან გამიჯვნის დროსაც, როდესაც თაღლითობა, ანუ ქონების მოტყუებით დაუფლება თანამდებობის პირის მიერ ხდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ რა არის ამ დანაშაულებს შორის უმთავრესი განსხვავება, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში, მათ შორის *განსხვავება არის ის, რომ სსკ-ის 338-ე მუხლის შემთხვევაში თანამდებობის პირი ქონებას ან სხვა რაიმე ქონებრივ სიკეთეს იღებს (ანუ მდიდრდება) სხვა პირისგან, ვისთვისაც სანაცვლოდ ახორციელებს კონკრეტულ მოქმედებას (ან უმოქმედობას), რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურთან, ხოლო სსკ-ის 182/180-ე მუხლის შემთხვევაში, თანამდებობის პირი მდიდრდება არა მესამე პირის მიერ გადაცემული ქონებით, არამედ, იმ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ქონების ხარჯზე, რომელშიც ეს თანამდებობის პირი არის დასაქმებული*. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, პრაქტიკაში, გამოძიების ეტაპზე დადგინდეს ის ფაქტობრივი გარემოებები და დეტალები, რომელიც მიაჩნდება, თუ ვისგან აიღო ფული კონკრეტულ შემთხვევაში თანამდებობის პირმა.

4. ქმედების კვალიფიკაციის პრაქტიკული პრობლემები ქრთამის აღების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ნორმათა კონკურენციისას

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, ქრთამის აღების, გამიჯვნის პრობლემა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან, ყველაზე მწვავედ მაშინ დგება, როდესაც მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში დახმარებას უწევს სხვა, მესამე პირი. აღნიშნული პრობლემა, პრაქტიკაში ყველაზე ხშირად წარმოჩინდება ხოლმე შემდეგ შემთხვევებში: სახელმწიფო უწყების

ხელმძღვანელი, საქონლის, მომსახურების ანდა სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე²⁵⁰ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კონტრაქტორ მეწარმეს ურიცხავს მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებულ, უწყების კუთვნილ ფულად თანხებს იმაზე მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს საჭიროა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. ამასთან, უწყების ხელმძღვანელი, წინასწარ შეთანხმებულია კონტრაქტორ მეწარმესთან, რომ თანხების ჩარიცხვის შემდეგ, ზედმეტად ჩარიცხულ თანხას, ის უკან დაუბრუნებს მოხელეს. აღნიშნულ უკან დაბრუნებულ თანხას, ინგლისურად ეწოდება “kickback“, ხოლო რუსულად - “откат“. მისი შესატყვისი ერთი ქართული სიტყვა არ არსებობს და თავად ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონის მიხედვითაც, “kickback“-ის ქართულ თარგმანში მითითებულია - „ატკატი“²⁵¹. სწორედ რუსული ენიდან დამკვიდრდა ეს ტერმინი და ასეთი ტიპის დანაშაულებს ე.წ. „ატკატის“ დანაშაულებსაც უწოდებენ. ქართულ ენაზე მისი შესატყვისი შეიძლება იყოს სიტყვათა შემდეგი კომბინაცია: **„თანხის უკანონოდ უკან გადმოქაჩვა“**. კორუფციის, ონლაინ ლექსიკონის თანახმად, ე.წ. „ატკატი“, არის *„თანხა, რომელსაც თანამდებობის პირი იღებს კომპანიისგან ან პირისგან, რომელსაც წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ ან უსამართლოდ გადასცა საბიუჯეტო თანხები“*²⁵².

როგორც აღინიშნა, მსგავსი ტიპის დანაშაულებს, ძირითადად, ადგილი აქვს, როდესაც სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ტენდერით ან პირდაპირ, ტენდერის გარეშე (გამარტივებული შესყიდვის გზით), ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვა და ამ დროს, თანამდებობის პირი ცდილობს მიიღოს უკანონოდ რაიმე ფულადი ან სხვა ქონებრივი სარგებელი. პრაქტიკაში უხვად შეხვდებით ისეთი შემთხვევებს, როცა ასეთი ტიპის დანაშაულებს, არასწორად აკვალიფიცირებენ მექრთამეობით (ქრთამის აღებით - სსკ-ის 338-ე მუხლით, ხოლო კერძო სექტორში - კომერციული მოსყიდვით - სსკ-ის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით). ეს, რა თქმა უნდა, არაა მართებული, რადგან ე.წ. „ატკატის“ ზემოაღნიშნული განმარტებიდანაც ჩანს, რომ სინამდვილეში

²⁵⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს როგორც ნებისმიერი საქონლის და მომსახურებისა, ისე სამშენებლო სამუშაოების.

²⁵¹ იხ. ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, დელტას მთარგმნელობითი ჯგუფის ლექსიკოგრაფიული ცენტრი, 2021, გვ. 72.

²⁵² კორუფციის ლექსიკონი <<https://csogeorgia.org/ge/newsPost/27763>> [17.03.2023].

თანამდებობის პირი (რომლის მართლზომიერ გამგებლობაშიც არის სახელმწიფო უწყების საბიუჯეტო თანხები) წინასწარი გარიგებით, მოქმედების იმ მიზნით, რომ პირისგან ან საწარმოსგან უკან მიიღოს უკანონოდ ის თანხები, რომელიც თავადვე უკანონოდ ან უსამართლოდ გადასცა თავისივე ორგანიზაციის საბიუჯეტო თანხებიდან. პრაქტიკაში ხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი (პირობითად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი), უწყებისთვის საჭირო შესასყიდი საქონლის ან მომსახურების შესყიდვაზე, შესყიდვის ხელშეკრულებას გაუფორმებს მასთან წინასწარ გარიგებული საწარმოს ხელმძღვანელს და ამ კონტრაქტის საფუძველზე სახელმწიფო ორგანიზაციიდან გადაურიცხავს პირობითად 150 000 ლარს, მაშინ როდესაც ამ ვალდებულების შესრულებისთვის სრულებით საკმარისი იყო 100 000 ლარი (ამ თანხაში საწარმოს მოგების პროცენტული მარჟაც გათვალისწინებულია). ეს განხორციელდა ისე, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი წინასწარ შეთანხმებული იყო მეწარმესთან, რომ თანხების ჩარიცხვის შემდეგ ზედმეტად გადარიცხულ თანხას, 50 000 ლარს, მეწარმე უკან მიუტანდა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს ნაღდი ფულის სახით, ან ჩაურიცხავდა მისთვის ხელსაყრელ საბანკო ანგარიშზე. ასეთ შემთხვევებში, კმაყოფილია მეწარმე სუბიექტიც, რადგანაც 100 000 ლარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად სრულიად საკმარისი იყო და ხარჯების გაწევის შემდეგ, ამ თანხიდან მოგებაც დარჩება. ასევე კმაყოფილია უწყების ხელმძღვანელიც, რადგან მან უკანონოდ მიიღო 50 000 ლარი. ამ დროს, რა თქმა უნდა, არც მოხელეს და არც მეწარმეს არ აქვს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის და ამ დანაშაულზე ინფორმაციის მიწოდების სურვილი.

სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ასეთი დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენის შემდეგ, ამ პირების ქმედებას აკვალიფიცირებენ, როგორც მექრთამეობას. შემდეგ ინერციით, სასამართლოსაც ამ მუხლებით გამოაქვს განაჩენი, როდესაც უტყუარად, მტკიცებულებით დასტურდება ფულის ფიზიკური გადაცემა მოხელისთვის, ისე რომ, სასამართლოს არა აქვს ფაქტობრივი გარემოებების დეტალურად მოკვლევის საშუალება შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ დაცვის მხარემ

(ბრალდებულმა ან მისმა ადვოკატმა) არ წამოჭრა ეს საკითხი. ხშირად, როგორც წესი, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში იწერება ხოლმე, რომ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა მეწარმისგან, მისთვის უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ (სადაც იგულისხმება მეწარმის სასარგებლოდ ხელშეკრულების ტენდერის/კონკურსის გარეშე გაფორმება), ქრთამის სახით მოსთხოვა და აიღო ფულადი თანხა. ამ ქმედების ასე კვალიფიკაცია არაა მართებული, რადგან *ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტი, რომ ეს თანხა თავად მოხელემ ამოიღო უკანონოდ ორგანიზაციის ქონებრივი ფონდიდან* და სინამდვილეში, ასეთ შემთხვევაში, მოხელე მეწარმისგან კი არ იღებს ფულად თანხას, არამედ ეს თანხა, თავად ზედმეტად გადაურიცხა მეწარმეს, სწორედ იმ მიზნით, რომ შემდგომ მას უკან მიეტანა. შესაბამისად, ეს 50 000 ლარი არის ე.წ. „ატკატი“ და არა ქრთამის აღების საგანი. ამ შემთხვევაში, სახეზე იქნება მოხელის მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული ფულადი თანხების (50 000 ლარის) მართლსაწინააღმდეგო მითვისება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ხოლო მეწარმემ, ქრთამის სახით კი არ მისცა ეს თანხა მოხელეს, არამედ, ის ფაქტობრივად, ტექნიკურად დაეხმარა მოხელეს ამ თანხის მითვისებაში. აქედან გამომდინარე, მეწარმის ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირდეს არა ქრთამის მიცემად, არამედ მითვისებაში (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში) დახმარებად. ამასთან, თუკი ხელშეკრულება გაფორმებული იქნებოდა საბაზრო ფასად, 150 000 ლარზე კი არა, არამედ 100 000 ლარად (საიდანაც მეწარმეს სამუშაოების შესრულების შემდეგ კანონიერი მოგება უნდა დარჩენოდა პირობითად 10 000 ლარი) და მოხელე მოსთხოვდა, რომ შემდგომ, თუ მეწარმე მისი კუთვნილი მოგებიდან ნახევარს, ანუ 5 000 ლარს არ მისცემდა, ხელშეკრულებას გაუწყვეტდა ცალმხრივად და არ ჩაურიცხავდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულად თანხებს, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მექრთამეობას, რადგან მეწარმემ მოხელეს ქრთამის სახით მისცა თავისი კუთვნილი მოგებიდან 5 000 ლარი და არა ის თანხა, რომელიც წინა შემთხვევაში, თავიდანვე ზედმეტად, უკანონოდ იყო გადმორიცხული სახელმწიფო ორგანიზაციიდან და ქმედების მიზანი იყო, რომ ამ ფულს უკანონოდ დაუფლებოდა საჯარო მოხელე.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია, ასეთი ე.წ. „ატკატის“ ტიპის დანაშაული განხორციელდეს პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმებით. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვისთვის გამოცხადებული ტენდერის პირობები მოხელემ მოარგო ერთ მეწარმეს, ისე რომ სხვა მეწარმეს არ შესძლებოდა არა თუ გამარჯვება, ამ ტენდერში მონაწილეობაც კი. შემდგომ, მოხელემ ამ მეწარმეს, წინასწარი შეთანხმებით ჩაურიცხა ხელშეკრულების შესრულებისთვის საჭირო თანხებზე გაცილებით მეტი თანხები, იმ მიზნით რომ ბოლოს ეს თანხები უკან მიეღო მეწარმისგან. ამ შემთხვევაშიც სახეზე იქნება მითვისება და არა ქრთამის აღება, რადგან, მართალია, მოხელემ მეწარმეს სახელმწიფო ტენდერის პირობები ისე მოარგო, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისი ტენდერში ერთპიროვნულად, უკონკურენტო გამარჯვება, მაგრამ ამის სანაცვლოდ მეწარმემ თავისი თანხა კი არ მისცა ქრთამის სახით, არამედ საპასუხოდ, ის დაეხმარა მითვისების დანაშაულის განხორციელებაში, რაც გამოიხატა ზედმეტად გადმორიცხული ფულადი თანხების უკან დაბრუნებაში. იბადება შეკითხვა, იმასთან დაკავშირებით, რომ აქვს თუ არა მნიშვნელობა ვისგან მომდინარეობს შეთავაზება, მეწარმე სუბიექტის მხრიდან თუ საჯარო მოხელის მხრიდან? ამას მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ იმისთვის, რომ დადგინდეს მეწარმეს სუბიექტის დანაშაულში თანამონაწილეობის სახე (დამხმარეა, ორგანიზატორი, თუ წამქეზებელი). **აქ გადამწყვეტია, ის, თუ ვის ხარჯზე მდიდრდება საჯარო მოხელე.** შესაბამისად, სწორედ ამაშია მსგავსი პრობლემების გადაჭრის გზა, თუმცა ამ დეტალებს ხშირად არც ძალოვანი უწყებები და არც სასამართლოები არ აქცევენ ყურადღებას, რაც იწვევს ქმედების არასწორ კვალიფიკაციას.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ თუ სახელმწიფო ან კერძოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიზანია, მის მიერ მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული ზედმეტად გადარიცხული საბიუჯეტო თანხის პირადი სარგებლის სახით უკან მიღება მეწარმისგან, ეს ქმედება უნდა დაკვალიფიკირდეს მითვისებად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სსკ-ის 182 მუხლის, მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე თავის პირად თანხას აძლევს შემსყიდველი სახელმწიფო ან კერძოს ორგანიზაციის ხელმძღვანელს, იმის სანაცვლოდ რომ მის ინტერესებისთვის განახორციელოს გარკვეული ქმედება ან უმოქმედობა (თუნდაც ტენდერის პირობების მასზე მორგება,

ან უკონკურსოდ გამარჯვებულად გამოცხადება და სხვა) - იქნება ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება ან კომერციული მოსყიდვა.

5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და სასამართლოებს, როგორც აღინიშნა, ხშირად მხედველობიდან რჩებათ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ თავში დასახელებული დანაშაულების ერთმანეთისგან გასამიჯნად. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, 2022 წლის ივლისში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ერთ-ერთი სახელმწიფო კომპანიის თანამდებობის პირი, საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობდა მეწარმისგან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას.²⁵³ სასამართლომ, ეს პირი ისე ცნო ქრთამის აღებაში დამნაშავედ, რომ საერთოდ არ უმსჯელია იმ გარემოებებზე, რომლებსაც შეიძლება წარმოეჩინა, რომ უფრო მართებული ყოფილიყო ამ პირის ქმედების კვალიფიკაცია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულად. თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ განაჩენით დადგენილია, რომ სახელმწიფო საწარმოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რომელიც ამავედროულად იკავებდა ამ ორგანიზაციის შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას, ქრთამის სახით, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სახელმწიფო ტენდერით შესასყიდი ტექნიკის ჩამონათვალი და მათი სპეციფიკაციები, წინასწარ მოარგო მასთან გარიგებაში შესულ საწარმოს და შედეგად ეს საწარმო გამოაცხადა გამარჯვებულად.²⁵⁴ განაჩენით ასევე დადგენილად მიჩნეულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასარიცხი/გადარიცხული თანხები, მიწოდებული საქონლის (ტექნიკის) თვითღირებულებას თითქმის ორჯერ აღემატება. ანუ, ხსენებულმა მოხელესთან გათანაბრებულმა პირმა, არამართო მოარგო ტენდერის პირობები

²⁵³ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ივლისის N1/3631-22 განაჩენი.

²⁵⁴ იხ. იქვე, გვ. 3-4

საწარმოს და გამარჯვებულად გამოაცხადა, არამედ მასთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე ურიცხავდა საქონლის საბაზრო ღირებულებაზე ბევრად მეტ თანხებს. ამ და კიდევ სხვა ასეთი მეორე ტენდერის შემთხვევაში, ასეთმა თანხობრივმა სხვაობამ ჯამში შეადგინა 594 545 ლარი. განაჩენში მითითებულია, რომ ხსენებულმა თანამდებობის პირმა, ამ ორი ტენდერის ფარგლებში, მეწარმისგან ქრთამის სახით ჯამში აიღო 215 025 ლარი, რის გამოც იგი დამნაშავედ ცნო სასამართლომ ხსენებული მუხლით (სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით).

ზემოაღნიშნულ, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, რომ დამნაშავე იყო საწარმოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც მთელ რიგ საკითხებისას წყვეტდა, მათ შორის, ტენდერის გამოცხადების საკითხს, შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალს, ღირებულებებს და იმას თუ ვინ გახდებოდა გამარჯვებული. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ სახელმწიფო საწარმოს თანხები, რომელიც გადაერიცხა მეწარმეს იყო მის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში. აქედან გამომდინარე, თუ დადგინდებოდა საქმეზე ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თანამდებობის პირის მიერ, წინასწარი განზრახვით, მეწარმეს გადაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელ საქონლის ღირებულებაზე ხელოვნურად მაღალი თანხები იმ მიზნით და სურვილით, რომ ამ თანხების ნაწილი, შემდგომ, უკან დაუბრუნდებოდა, მაშინ ზემოთ აღნიშნული თანხა 215 025 ლარი, იქნებოდა არა ქრთამის საგანი, არამედ ე.წ. „ატკატი“ და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული, ორგანიზაციის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისებად, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 11 წლამდე, მაშინ როდესაც განაჩენით გათვალისწინებული მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას - ვადით 11-დან 15 წლამდე.

იმ შემთხვევაში კი, თუ სადავო გახდებოდა ამ თანხების თანამდებობის პირის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებობა, რაც დამახასიათებელია მითვისებისთვის, მაშინ უფრო მართებული იქნებოდა ქმედების კვალიფიკაცია - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით ორგანიზაციის კუთვნილი თანხების, ჯგუფურად (მეწარმესთან ერთად) მოტყუებით დაუფლებით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულა თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე. ცნობილია, რომ თაღლითობას, მითვისებისაგან განსხვავებით, არ სჭირდება სპეციალური ამსრულებელი (ანუ არაა აუცილებელი უკანონოდ დაუფლებული ქონება ყოფილიყო დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში) და დაუფლების ხერხი არის მოტყუება. რა თქმა უნდა, მეწარმე და სახელმწიფო ორგანიზაციის თანამდებობის პირი (რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არ აქვს ეს ქონება) წინასწარ თუ შეთანხმდნენ ხელოვნურად გაზრდილ თანხებზე ხელშეკრულების გაფორმებაზე, იმ მიზნით, რომ ორგანიზაციიდან შემდგომ ზედმეტად გადარიცხულ თანხებს ისინი ერთად დაეუფლებოდნენ (გაეყოთ), ამ პირთა მოქმედებებით, მოტყუებული და დაზარალებული იქნებოდა იურიდიული პირი - სახელმწიფო ორგანიზაცია და სახეზე იქნებოდა თაღლითობა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ქრთამის აღებაში, სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დამნაშავედ ცნო ერთ-ერთი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი²⁵⁵. აღნიშნული განაჩენით დადგენილია, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მას ევალებოდა ერთ-ერთი საბავშვო ბაღის სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე ზედამხედველობა და კონტროლი. ამასთანვე აღნიშნულია, რომ ხსენებულმა საჯარო მოხელემ სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელს შესთავაზა, რომ მანამდე სხვა კომპანიის მიერ უკვე შესრულებულ თაბაშირ-მუყაოს ჭერის მოწყობის სამუშაოებს (2 330 ლარის ღირებულების) შეიყვანდა მისი საწარმოს შესრულებული

²⁵⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 თებერვლის N1/4929-16 განაჩენი.

სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა N2-ში), ვითომდა ეს სამუშაოებიც ამ კომპანიამ შეასრულა, რაშიც ქრთამის სახით მეწარმეს უნდა გადაეცა მისთვის, ხსენებული, თითქოსდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ნახევარი, როდესაც შესაბამისი თანხა ამ აქტის საფუძველზე ჩაერიცხებოდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან. ეს პირები შეთანხმდნენ და როდესაც მეწარმეს, ხსენებული მთავარი სპეციალისტის მიერ შედგენილი, ამ ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზედმეტად ჩაერიცხა იმ სამუშაოების თანხა, რომელიც რეალურად მას არ შეუსრულებია, ამ თანხის ნახევარი, შეთანხმებისამებრ, იმავე დღეს გადასცა ხსენებულ საჯარო მოხელეს, რითაც გაიყვეს ეს თანხა.²⁵⁶ მართალია, განაჩენში მითითებულია, რომ საჯარო მოხელე და მეწარმე შეთანხმდნენ და ქრთამის სახით მოითხოვა ერთმა და მეორემ გადასცა ქრთამის სახით თანხა, მაგრამ არის კი რეალურად ეს ქრთამის აღება და შესაბამისად ქრთამის მიცემა? ეს შეკითხვა ჩნდება იქედან გამომდინარე, რადგან ეს ფული, რომელიც მათ გაიყვეს, მოხელის ქმედებიდან გამომდინარე, უკანონოდ, ზედმეტად გადაიხადა რეალურად მუნიციპალიტეტმა. აქ შეიძლება ითქვას, რომ მითვისება გამორიცხულია, რადგან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არ იყო მუნიციპალიტეტის კუთვნილი საბიუჯეტო თანხები, ვინაიდან მას ჰქონდა სამუშაოების ზედამხედველობის და კონტროლის ტექნიკური ფუნქცია, რომელიც შემდგომ კიდევ სამუშაოების საბოლოოდ დასრულების შემდეგ ექვემდებარება დამატებით ექსპერტიზას. აქედან გამომდინარე, ეს მოხელე ვერ იქნება მითვისების ამსრულებელი და ამ შემთხვევაში მართებული იქნებოდა მოხელის ქმედება დაკვალიფიცირებულიყო არა ქრთამის აღებით, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობით, რადგან სწორედ მათ მიერ შედგენილი ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (რაშიც ხელოვნურად იყო გაზრდილი სამუშაოების მოცულობა და ღირებულება), მოტყუვდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და ზედმეტად გადაურიცხა ფული მეწარმეს, რომელსაც უკანონოდ, ჯგუფურად დაუფლნენ მეწარმე და ამავე მუნიციპალიტეტის თანამშრომელი. შესაბამისად, მართებული იქნებოდა,

²⁵⁶ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 თებერვლის N1/4929-16 განაჩენი, გვ. 2

თუ საჯარო მოხელის ქმედება დაკვალიფიცირდებოდა ჯგუფური თაღლითობით მეწარმესთან ერთად.

მსგავსი პრობლემა წარმოიშობა კერძო სექტორში კორუფციული დანაშაულების ჩადენის დროსაც. როგორც ითქვა, კერძო სექტორში „მექრთამეობა“ გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლით და მას „ქრთამის აღების და მიცემის“ ნაცვლად, ეწოდება „კომერციული მოსყიდვა“. 2019 წელს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ, ერთ-ერთი საწარმოს განყოფილების უფროსი და მისი თანამშრომელი, თავისი განაჩენით დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობდა კომერციულ მოსყიდვას, ჩადენილი ჯგუფურად.²⁵⁷ სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ამ პირებს ევალებოდათ საწარმოს მანქანა-მექანიზმების შესაკეთებლად საჭირო მასალების შესაძენად დეტალური ნუსხის შედგენა და მომარაგება. საწარმოს მიერ გამოცხადებულ იქნა ტენდერი ტექნიკის მიმდინარე შეკეთებასა და ტექნიკური მომსახურებაზე. ამ პირებმა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებს, ტენდერის ფარგლებში გაწეული მომსახურების რეალური ღირებულების დაფარვის (შენიღბვის) მიზნით, სანაცვლოდ მოსთხოვეს სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5 440 ლარის გადაცემა. კერძოდ, ამ თანხის გადაცემის პირობით, დამნაშავე პირებმა დაამზადეს ყალბი შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც აღნიშნეს, რომ თითქოსდა ტენდერში მონაწილე კომპანიამ, რეალურთან შედარებით, დაახლოვებით, 8 000 ლარით მეტი ღირებულების სამუშაოები შეასრულა. ამის სანაცვლოდ მათ აიღეს მოთხოვნილი 5 440 ლარი.²⁵⁸ ამ საქმეშიც სახეზეა იგივე პრობლემა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. კერძოდ, თუ დამნაშავე პირების ქმედების (შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში თანხების ხელოვნურად გაზრდა) შედეგად, სამუშაოების შემსრულებელ საწარმოს ზედმეტად გადაერიცხა 8 000 ლარი, ამ თანხით დაზარალდა და მოტყუვდა ტენდერის გამომცხადებელი საწარმო და ამ ფულს, ფაქტიურად მოტყუებით, ანუ თაღლითურად დაეუფლნენ დამნაშავეები და სამუშაოების მწარმოებელი კომპანია. შესაბამისას, მათ ქრთამის სახით კი არ აიღეს 5 440 ლარი, არამედ ეს თანხა ფაქტიურად წარმოადგენს ე.წ.

²⁵⁷ იხ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 02 სექტემბრის N1-387-19 განაჩენი.

²⁵⁸ იხ. იქვე, დასახ. განაჩენი, გვ. 3.

„ატკატს“ ზედმეტად გადარიცხული თანხიდან - 8000 ლარიდან, რომელიც წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ და უსამართლოდ გადაირიცხა დამნაშავეების მიერ შედგენილი ყალბი აქტების საფუძველზე საწარმოს ბიუჯეტიდან. აქედან გამომდინარე, დამნაშავეები და სამუშაოების შემსრულებელი პირები, ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლნენ ორგანიზაციის კუთვნილ 8 000 ლარს, საიდანაც 5 440 ლარი ე.წ. „ატკატის“ სახით მიიღო ერთმა მხარემ, ხოლო დანარჩენი უკანონოდ დარჩა სამუშაოების შემსრულებელ საწარმოს. შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით გასამართლებული პირების ქმედების კვალიფიკაცია უფრო მართებული იქნებოდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რომელიც უფრო მეტ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე განაჩენში მითითებული - კომერციული მოსყიდვის მუხლი.²⁵⁹

6. შეჯამება

ამ თავში განხილული პრაქტიკული პრობლემები და სასამართლო გადაწყვეტილებები, ნათლად წარმოაჩენს, რომ ხშირად, არც ისე ადვილია იმის გადაწყვეტა, კონკრეტული კორუფციული ქმედება დაკვალიფიცირდეს მექრთამეობად, თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ შესაბამის დანაშაულად, რადგან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ამსრულებელიც შეიძლება იყოს მექრთამეობის ამსრულებელი (მოხელე, ან მასთან გათანაბრებული პირი). თუმცა, ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუნდაც იმ სისხლისსამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, არავინ არ უნდა აგოს პასუხი იმ ქმედებისთვის, რომლის მას არ ჩაუდენია, მაშინ როდესაც, პირის მიერ რეალურად ჩადენილი ქმედება მსუბუქ სასჯელებს ითვალისწინებს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.²⁶⁰

²⁵⁹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 221-ე მუხლი.

²⁶⁰ იხ. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის ბოლო წინადადება, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

როგორც არაერთხელ ითქვა, საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაული - ქრთამის აღება - გაცილებით მაღალ სასჯელებს ითვალისწინებს, ვიდრე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი დანაშაულები. გარდა ამისა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ნიშნავს ნორმის ზუსტ შესაბამისობას ქმედებასთან და ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მუხლებთან მიმართებაში მოქმედებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადები. იქიდან გამომდინარე, რომ კორუფცია სახელმწიფოების განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ამიტომ, მართალია, ძალოვანი უწყების თანამშრომლებმა უნდა გაატარონ მკაცრი ღონისძიებები და პოლიტიკა კორუფციულ დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ, რა თქმა უნდა, საჭიროა მოხდეს ხოლმე ფაქტობრივი გარემოებების და დეტალების უფრო ღრმა გამოკვლევა, რათა სწორად მოხდეს ქმედების კვალიფიკაცია და ზედმეტად არ დაისაჯოს პირი იმ მძიმე დანაშაულისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია.

ბოლოს, შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკოსმა იურისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ქრთამის აღებასა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის განსხვავება არის შემდეგი: *საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში მოხელე ქონებას ან სხვა რაიმე ქონებრივ სიკეთეს იღებს (მდიდრდება) სხვა მესამე პირისგან, ვისთვისაც სანაცვლოდ ახორციელებს კონკრეტულ მოქმედებას (ან უმოქმედობას), ხოლო საქართველოს სსკ-ის 182-ე ან/და 180-ე მუხლების შემთხვევაში, პირი მდიდრდება არა სხვა პირის მიერ გადაცემული ქონებით, არამედ იმ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ქონების ხარჯზე, რომლის წარმომადგენელიც თავად იყო.* შესაბამისად, ქრთამის აღებისას (სსკ-ის 338-ე მუხლი), მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, პირად ქონებრივ თუ არაქონებრივ სარგებლს იღებს სხვა, მესამე პირის ხარჯზე, ხოლო მითვისების/თაღლითობის შემთხვევაში - დამსაქმებელი სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციის ხარჯზე. აღნიშნული გარემოებების გასარკვევად, საქმის წარმოების მიმდინარეობისას, გამოძიების ეტაპზევე, საჭიროა დადგინდეს თუ ვის თანხას

დაეუფლა საჯარო მოხელე, ეს იყო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო ორგანიზაციის კუთვნილი თანხის დაუფლება, თუ კერძო პირის მიერ მისთვის, რაღაცის სანაცვლოდ, პირადი ქონებრივი სახსრებიდან გადაცემული თანხა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად მიახლოვებულად აღდგეს რეალური სურათი, რათა გაირკვეს კორუფციული გარიგების და შეთანხმების ნიუანსები, რაზედაც წინასწარ შეთანხმდნენ საჯარო მოხელე და კერძო პირი.

დასკვნა

როგორც საქართველოს, ისევე ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებისათვის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა აქტუალურ პრობლემად რჩება, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, კორუფციას აქვს დამანგრეველი და ძირის გამომთხრელი ეფექტი დემოკრატიაში და კანონის უზენაესობაზე, ასევე ხალხის კეთილდღეობაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისას, უნდა იმოქმედონ ისე, რომ არც მართლმსაჯულების განხორციელების კანონიერი ინტერესი და არც მოქალაქეთა უფლებები დაირღვეს.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნა როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით ისეთი აქტუალური საკითხი, როგორებიცაა: კორუფციის ზოგადი განმარტება, კორუფციული დანაშაულების ამსრულებელები, კორუფციული დანაშაულების გამიჯვნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან (რომლებიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), ზოგადი და სპეციალური ნორმის ურთიერთმიმართება და აღნიშნული საკითხების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში კვლევისას, ძირითადი აქცენტები გაკეთებულ იქნა გასამიჯნი დანაშაულების მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ საკითხს, თეორიულთან ერთად, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგან, ხშირად, სწორედ ამ თეორიული ნიუანსების გაუთვალისწინებლობა იწვევს პრაქტიკაში იმ პრობლემებს, რაც გულისხმობს ქმედების დანაშაულად არასწორად კვალიფიკაციას.

ზემოაღნიშნული კორუფციული დანაშაულების კვლევისას, წარმოჩინდა ბევრი ისეთი პრობლემური საკითხი, რომელებზეც არ მოიპოვებოდა პასუხები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. იდენტიფიცირებულია პრობლემები, როგორც მოხელის და მოხელესთან გათანაბრებული პირის, ისე საწარმოს და ორგანიზაციის სწორად განმარტებასთან დაკავშირებით. ასევე, ერთმანეთისგან გამიჯვნის თვალსაზრისით გაანალიზებულია როგორც მითვისება და სამსახურებრივი

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ისე ქრთამის აღება და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. დისერტაციაში აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის შედეგად, შემოთავაზებულ იქნა ამ პრობლემის გადაჭრის გზები, მათ შორის საკანონმდებლო წინადადებები და გაკეთდა არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე არაერთი დასკვნა:

1) კორუფციული დანაშაულების ამსრულებლბებთან დაკავშირებით დადგინდა შემდეგი:

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ საჯარო მოსამსახურის სტატუსის და შესაბამისად მოხელის ახლებური განმარტების გამო, კითხვები გაჩნდა მოსამართლეების და პროკურორების მოხელის სტატუსთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მაინც შესაძლებელია მათი მოხელედ მიჩნევა, არაორაზროვნების და ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად, სადისერტაციო ნაშრომით შემოთავაზებულია წინადადება სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შესახებ. კერძოდ, საქართველოს 332-ე მუხლის შენიშვნას დაემატოს კიდევ ერთი ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ამ თავის მიზნებისათვის, მოხელე ასევე გულისხმობს მოსამართლეს, პროკურორს, პროკურატურის გამომძიებელს და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სხვა პირებს.“

- მოხელესთან გათანაბრებული პირი, 332-ე მუხლის შენიშვნაში პირდაპირ მითითებული პირების გარდა, არის ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს ყველა ის პირი, რომელზეც, კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ დელეგირებულია საჯარო მმართველობას მიკუთვნებული ადმინისტრაციული ამოცანების შესრულების ფუნქცია. ასეთი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი, კერძო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, თუ დამოუკიდებელი ფიზიკური პირი (მაგ.: კერძო აღმასრულებელი). გერმანულ სისხლის სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის, თუ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მსგავსად, საქართველოშიც,

მოხელესთან გათანაბრებულ პირებად უნდა იქნან მიჩნეულნი, არამართო ე.წ. „თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი“ პირები (ადვოკატები, ექიმები), რომლებიც დასაქმებულები არიან სახელმწიფო ორგანიზაციაში, არამედ კერძო ინჟინრებიც, არქიტექტორებიც თუ აუდიტორებიც, რომლებიც სახელმწიფოს დავალებით/შეკვეთით, სამართლებრივი ბოჭვის ფარგლებში ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.

- სსკ-ის 220-ე და 221-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის, ორგანიზაცია არის სისტემაში მოყვანილი, ნებისმიერი ორგანიზებული წარმონაქმნი, გაერთიანება, რომელსაც აქვს თავისი მიზანი და გარკვეული სტრუქტურა. შესაბამისად, ორგანიზაციას აქვს ფართო განმარტება და თავის თავში მოიცავს არამართო საწარმოებს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ინდივიდუალურ მეწარმეებს, არამედ ნებისმიერ არარეგისტრირებულ კავშირებს, გაერთიანებებს და მოძრაობებს. ამასთან, სამართლებრივი გაგებით, მეწარმე და საწარმო გაიგივებულია ერთმანეთთან, რადგან მეწარმე თავის თავში მოიაზრებს საწარმოს, ხოლო საწარმო - მეწარმეს. სამართლებრივად, ეს ტერმინები ფაქტობრივად სინონიმებია. შესაბამისად, ვინაიდან „ინდემწარმე“ მეწარმეა, იგი წარმოადგენს საწარმოსაც. სამართლებრივი ფორმის ხასიათიდან გამომდინარე თვით „ინდემწარმე“ არა მაგრამ, ამ დანაშაულების ამსრულებელი შეიძლება იყოს „ინდემწარმის“ წარმომადგენელი სხვა პირი.

2) მითვისებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამიჯვნასთან დაკავშირებით დადგინდა შემდეგი:

- სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (როდესაც ადგილი აქვს ქონებრივ ზიანს) ერთმანეთისგან გამიჯვნის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაზე. თუ მესაკუთრისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება ხდება პირდაპირი განზრახვით, მაშინ სახეზე იქნება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო, თუ არაპირდაპირი განზრახვით - სსკ-ის 332-ე ან/და 220-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების ბოროტად

გამოყენება. თუ ზუსტად ვერ დგინდება განზრახვის ფორმა, კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და მისი ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს უფრო მსუბუქი დანაშაულით (სსკ-ის 332-ე ან/და 220-ე მუხლით).

- სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის სსკ-ის 332-ე ან/და 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან **გამიჯვნისას, უმთავრესი არგუმენტი** და ამოსავალი წერტილი არის ის, რომ თუ ქმედება საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული, მაშინ სახეზე იქნება არა სამოხელეო, არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. *საკუთრების წინააღმდეგაა მიმართული ქმედება, როდესაც დამნაშავეს აქვს მაღალი ნებელობა (ანუ პირდაპირი განზრახვა), რომ უკანონოდ დაეუფლოს ან უკანონოდ გახარჯოს კანონიერი მესაკუთრის ქონება (ვის სასარგებლოდ არ აქვს მნიშვნელობა) და ამით მიაყენოს მას მატერიალური ზიანი.* ასეთ შემთხვევებში, სახეზე იქნება ქონებრივი, ანუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. *შესაბამისად, შეუძლებელია სახეზე იყოს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, როდესაც ესა თუ ის მოხელე (თანამდებობის პირი), პირდაპირი განზრახვით, უკანონოდ იღებს თვითონ ან სხვა პირი ქონებრივ სარგებელს, ანდა ხდება ამ ქონების არამიზნობრივად ხარჯვა/განიავება მესაკუთრის (სახელმწიფო ორგანიზაციის) ქონების შემცირების ხარჯზე.*
- მითვისების სამსახურებრივი მგომარეობის გამოყენებით ჩადენა, თავის თავში გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასაც, ამიტომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლით დამატებით კვალიფიკაცია აღარაა საჭირო. შესაბამისად, სწორედაა მიჩნეული, რომ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს **სპეციალურ ნორმას**, ხოლო სსკ-ის 332-ე და 220-ე მუხლები - **ზოგად ნორმებს**. ცნობილია, რომ, როგორც წესი, სპეციალური ნორმა უფრო მძიმე **ან მსუბუქ** სასჯელებს ითვალისწინებს, ვიდრე ზოგადი ნორმა. მიუხედავად ამისა, მაგალითად, სსკ-ის 190-ე მუხლი (რომელიც არის 332-ე მუხლის სპეციალური ნორმა) გაცილებით მსუბუქ სასჯელებს ითვალისწინებს, ვიდრე 332-ე მუხლი. აღნიშნული შეიძლება

ჩაითვალოს საკანონმდებლო ხარვეზად და რეკომენდირებულია, რომ ამ და სხვა სპეციალური ნორმით გათვალისწინებული სასჯელების ზედა ზღვარი, მინიმუმ გაუთანაბრდეს ზოგადი, 332-ე მუხლის სასჯელების ზედა ზღვარს.

ამასთან, 182-ე მუხლთან მიმართებით, პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემურ საკითხზე, ე.წ. „**დროებით სესხებასთან**“ დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის განმარტების (დროებით მითვისებაზე) მსგავსად, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის შემთხვევაში, განზრახვის ასე ინტერპრეტირება შეუძლებელია. აღნიშნული იმიტომაცა შეუძლებელი, რომ მართალია ქურდობის მსგავსად (177-ე მუხლი) **მისაკუთრების მიზანი** არაა მითვისების დისპოზიციაში მითითებული, თუმცა მითვისება, თავის თავში, ლოგიკურად გულისხმობს მისაკუთრების მიზანს, ხოლო გაფლანგვა - მესაკუთრისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების მიზანს, ამ ქონების განთავსების გზით. ვინაიდან ქართული იურიდიული ლიტერატურა არ იძლევა მკაფიო, ცალსახა და ამომწურავ პასუხებს ამ საკითხზე, ამიტომ, თუ პირს არ აქვს მისაკუთრების ან მესაკუთრის ქონებრივი დაზიანების მიზანი და ის მართლაც აპირებს ამ ქონების დაბრუნებას, **ასეთი ქმედება დანაშაულად არ კვალიფიცირდება.** აღნიშნულის დაუსჯელად დატოვება კი, რა თქმა უნდა, წაახალისებს პირებს, უნებართვოდ, უკანონოდ აიღონ და თვითნებურად ისარგებლონ გარკვეული პერიოდი მისთვის მინდობილი ქონებით. ამის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით, სსკ-182-ე მუხლში ნაწილის, ან საერთოდ, სსკ-ში ახალი მუხლის დამატება, რომელითაც ცალკე, დასჯადად გამოცხადდება მინდობილი ქონების დროებით მართლსაწინააღმდეგო **დაუფლება**, რომლიც იქნება სსკ-ის 182-ე მუხლთან შედარებით მსუბუქი დანაშაული. **შესაძლებელია, თუ მითვისების ამსრულებელის მსგავსი უფლებამოსილების მქონე პირი ქონებას დროებით დაეუფლება, ამგვარი ქმედების დასჯადობისთვის კანონმდებელმა შექმნას ახალი დანაშაული იმ საკანონმდებლო კონსტრუქციით როგორც ეს არის მოცემული სსკ-ის 388-ე მუხლში (სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება).** მაგალითად, შესაბამისი მუხლის პირველ ნაწილში იყოს 10 დღემდე ვადით ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მეორე ნაწილში - 10 დღეზე მეტი ხნით, პირობითად 6 თვემდე და ა.შ.

სსკ-ის 332-ე მუხლი, სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილისგან განსხვავებით, არ მოიცავს, არც ადამიანის სიცოცხლის მოსპობას და არც ჯანმრთელობის დაზიანებას, ამიტომ თუ ამ ქმედებამ, ასეთი შედეგის დადგომაც გამოიწვია, საჭირო ხდება, ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია. თუმცა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის ორჯერ შერაცხვის თავიდან აცილების მიზნით, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში სახეზე იქნება სსკ-ის 332-ე და 116-ე (და არა 342-ე მუხლის მეორე ნაწილი) მუხლების ერთობლიობა.

3) ქრთამის ალების საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან გამიჯვნის პრაქტიკული პრობლემებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი:

➤ როგორც გამოჩნდა, ეს პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც საჯარო მოხელეს, მისი დამსაქმებელი კერძო თუ საჯარო ორგანიზაციის კუთვნილი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაში, ეხმარება სხვა, მესამე პირი. ეს კი ძირითადად ხდება ე.წ. „თანხის უკანონოდ უკან გადმოქაჩვის“ დანაშაულებში. საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის გათვალისწინებული ქრთამის ალების სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ურთიერთმიმართების და ამ დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი, პრაქტიკულთან ერთად, მნიშვნელოვანია თეორიული თვალსაზრისითაც. ამ საკითხზე ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ქრთამის ალების საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან გამიჯვნისას, *გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დადინდეს თუ ვიგსან იღებს მოხელე ქონებრივ სარგებელს, ვის ხარჯზე იღებს, კერძოდ, მესამე პირისგან თუ იმ საჯარო ან კერძო ორგანიზაციისგან, რომელშიც თვითონ არის დასაქმებული.* საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში მოხელე ქონებას ან სხვა რაიმე ქონებრივ სიკეთეს იღებს სხვა მესამე პირისგან, ვისთვისაც სანაცვლოდ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას (ან უმოქმედობას), ხოლო საქართველოს სსკ-ის 182-ე ან/და 180-ე მუხლების შემთხვევაში, პირი მდიდრდება არა სხვა პირის მიერ გადაცემული ქონებით, არამედ იმ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ქონების ხარჯზე, რომლის წარმომადგენელიც თავად არის.

- შესაბამისად, დისერტაციაში გაცემულია რეკომენდაცია, რომ ასეთ შემთხვევებში სამართალდამცავმა ორგანოებმა, გამოძიების ეტაპზევე, მაქსიმალურად მიახლოვებულად აღადგინონ რეალური სურათი, რათა გაირკვეს კორუფციული გარიგების და შეთანხების ნიუანსები, რაზედაც წინასწარ მოილაპარაკეს საჯარო მოხელემ და კერძო პირმა.

ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გაკეთებული დასკვნები, საშუალებას მისცემს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლებს, სწორად გამიჯნონ ერთმანეთისაგან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ისეთი კორუფციული დანაშაულებისაგან, როგორებიცაა ქრთამის აღება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ქართულენოვანი ნორმატიული მასალა

საქართველოს კანონები:

1. საქართველოს კონსტიტუცია, პარლამენტის უწყებანი, 24/08/1995.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 03/11/2009.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, (მიღების თარიღი: 26/06/1997).
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 17/09/2010.
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 25/06/1999.
7. საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17/10/1997.
8. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, (დოკუმენტის ნომერი 4346), 27/10/2015.
9. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 13/12/2018.
10. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 04/12/2009.
11. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 19/02/2014.
12. საქართველოს კანონი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 03/11/2009.
13. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 20/04/2005.
14. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 02/08/2021.
15. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 21/12/2004.

16. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 16/04/1999.
17. საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 19/06/2007.
18. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 20/06/2001.
19. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 04/12/2009.
20. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 14/08/2003.
21. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 16/12/2005.
22. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 25/07/2006.
23. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 23/10/2008.
24. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 19/12/2008.
25. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 24/09/2010.
26. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 28/10/2011.
27. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 18/03/2015.

28. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, პარლამენტის უწყებანი, 01/07/2020.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები:

29. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია, რომი, 1950.

30. ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“, სტრასბურგი, 27/01/1999.

31. ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია“, სტრასბურგი, 04/11/1999.

32. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, ნიუ იორკი, 15/11/2000.

33. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“, ნიუ იორკი, 31/10/2003.

34. ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, 30/08/2014.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

35. საქართველოს გენერალური პროკურორის N3 ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარებობის განსაზღვრის შესახებ“, 23/08/2019.

36. სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის N1 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“, 08/03/2023.

37. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის N8 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“, 01/08/2015.

38. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, 10/02/2011.
39. საქართველოს ფინანსთა მინისტრის N994 ბრძანება, „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, 31/12/2010.
40. საქართველოს მთავრობის დადგენილება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, 11/08/2005.

ძალადაკარგული ნორმატიული აქტები:

41. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, (დოკუმენტის ნომერი 1022), 31/10/1997, (ძალადაკარგულია - 27/10/2015).
42. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 28/10/1997, (ძალადაკარგულია: 01/01/2022).
43. საქართველოს ორგანული კანონი „იმპიჩმენტის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 11/11/1997 (ძალადაკარგულია: 24/09/2013).
44. საქართველოს კანონი „იმპიჩმენტის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 24/09/2013, (ძალადაკარგულია: 05/09/2018).
45. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ), 02/01/1961 (ძალადაკარგულია: 01/06/2000).
46. საქართველოს პრეზიდენტის N550 ბრძანებულება „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, 24/06/2005, (ძალადაკარგულია -04/06/2010).

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. *აბრამიშვილი ლ.*, ქრთამი ძველ ქართულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2008.
2. *ალექსიძე ლ., გაგუა ი., დანელია მ., კობახიძე ე., რუხაძე ნ.*, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, რედ.: გაგუა ი., გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2015.
3. *ბაგრატ კურაპალატი*, სამართლის წიგნის ფრაგმენტი, ივ. ჯავახიშვილის აზრით ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი ბაგრატ III მმართველობის დროსაა (975-1014 წწ.) შედგენილი.
4. *ბოსტოლანაშვილი დ.*, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი 2015.
5. *ბრეგვაძე ლ.*, ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რედ. ელიზბარაშვილი ნ., „მერიდიანი“, თბილისი, 2009.
6. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005.
7. *გამყრელიძე ო. (რედ.), ტურავა მ., მამულაშვილი გ., ებრაელიძე თ., თოდუა ნ., ბაქანიძე რ.*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, გამ. „მერიდიანი“, თბ., 2004.
8. *დევალიძე ი.*, „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 20008;
9. *დევალიძე ი.*, მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ცნება ქართულ სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი, კონფერენციის მასალები: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, რედ.: ბაჩანა ჯიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
10. *დევალიძე ი.*, სახელმძღვანელოში: *დევალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2023.

11. *დვალიძე ი., მახარობლიშვილი გ.*, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2016.
12. *დვალიძე ი.*, კომენტარში: დვალიძე ი. და სხვები (ავტორთა კოლექტივი), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი, ტომი 1, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი, 2021.
13. *დოლიძე ი. (რედ.)*, ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1970.
14. *ინწკირველი გ.* სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
15. *კასისკე პ.*, სახელმწიფო მოხელის ცნება გერმანულ ეკონომიკურ სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი, კონფერენციის მასალები: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, რედ.: ბაჩანა ჯიმკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
16. *კიკილაშვილი გ.*, ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2016.
17. *კუტალია ლ-გ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
18. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, მერვე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2023.
19. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა თბ., 2020.
20. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა თბ., 2017.
21. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019.
22. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016.

23. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014.
24. *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011.
25. *მაღლაკელიძე ლ.*, „განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2012.
26. *მაყაშვილი ვ., ტყეშელაძე გ.*, პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.
27. *მაცაბერიძე ზ.*, კორუფციასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები, გამომცემლობა „ბაკმი“, თბ. 2009.
28. *მორგოშია ა.*, იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა - ქონების კონფისკაციის საკითხები, დაბეჭდა შპს „პოლიგრაფში“, თბილისი, 2004.
29. *ნაჭყებია გ.* ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, გამომც. „ინოვაცია“, თბ. 2010;
30. *ნაჭყებია გ.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ: ნაჭყებია გ./დვალაძე ი., თბ., 2007,
31. *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. 2011.
32. *ნაჭყებია გ.*, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ. 2001.
33. *ნაჭყებია გ.*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009.
34. *ნაჭყებია გ.*, ბრალის ხარისხის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, N2, 2009.
35. *ნაჭყებია გ., თოდუა ნ.*, ბრალის ხარისხის ცნება და მნიშვნელობა, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-3 გამოცემა, 2018.
36. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, ტ. 2, გამომცემლობა „მერანი“, 1993.
37. *ტურავა მ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომცემლობა „ბონაკაუზა“, თბილისი, 2008;
38. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

39. **ტურავა პ.**, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებების და დამატებების მოკლე მიმოხილვა, გამომცემლობა GTZ (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება), თბილისი, 2005.
40. **ტურავა პ., წკეპლაძე ნ.**, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე (გადამუშავებული გამოცემა), გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013.
41. **ტურავა პ.**, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020.
42. **ტყეშელაძე გ.**, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბ., 2007.
43. **ტყეშელაძე გ.**, ბრალი შეფასებითი ცნებაა, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებულში: მიმდვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, რედ: რ. შენგელია, თბ., 2003.
44. **უზნაძე დ.**, ზოგადი ფსიქოლოგია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ. 2006.
45. **ფურცხვანიძე ბ.**, საბჭოთა სისხლის სამართალი, (განსაკუთრებული I ნაწილი), უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1966.
46. **ფურცელაძე დ.**, სმართალი ბატონიშვილის დავითისა, გამომცემლობა „მეცნიერბა“, თბ. 1964.
47. **ღლონტი გ.**, კომენტარში: **ღლონტი გ.**, და სხვები, კორუფცია საქართველოში/ კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თინათინ წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2011.
48. **წულაია ზ.**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.(II ტომი) გამომც. „ინტელექტი“ თბ., 2001.
49. **ჭაბაშვილი მ.**, უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონი, მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.
50. **ჭანტურია ლ., ნინიძე თ.**, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2002.
51. **ხუბუა გ.**, სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2004.

52. *ჰილგენდორფ ე.*, შესავალი მედიცინის სამართალში, მე-2 გამოცემა, თარგმანი გერმანულიდან *მჭედლიშვილი-ჭედრიხ ქ.*, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2019.
53. ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, დელტას მთარგმნელობითი ჯგუფის ლექსიკოგრაფიული ცენტრი, 2021.
54. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006
55. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დადგინა *დოლიძე ი.-მ.*, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1981.
56. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, მთავარი რედაქტორი *ღლონტი გ.*, თბილისი, 2008.

ქართულენოვანი სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №3/3/1321, არარეგისტრირებული კავშირი „სტუდენტური სოლიდარობა“ და ირაკლი კუპრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ბათუმი, 22/09/2023.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის N 1316აპ.-22 განჩინება.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 02 ნოემბრის N 1ბ/1203-22 განაჩენი.
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ივლისის N1/3631-22 განაჩენი.
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის N1/5624-19 განაჩენი.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის №57აპ.-19 განაჩენი.
7. მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის განსხვავებული აზრი, 2020 წლის 10 თებერვლის N57აპ.-19 განაჩენზე.
8. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 02 სექტემბრის N1-387-19 განაჩენი.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის N649აპ-18 განჩინება.
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის N1ბ/684-18 განაჩენი.
11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 სექტემბრის N 1/ბ-147-17 განაჩენი.
12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის N1/1459-14 განაჩენი.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის N139აპ-17 განაჩენი.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 თებერვლის N1/4929-16 განაჩენი.
15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 იანვრის N1/ზ-622-16 განაჩენი.
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 01 დეკემბრის N 1/2569 -15 განაჩენი.
17. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის N1/4801-16 განაჩენი.
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება №N1-3/6/832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849.
19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე გელა ბადრაშვილის 2016 წლის 25 აგვისტოს N1გ/1381გაჩინება.
20. საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის 2016 წლის 19 აგვისტოს სააპელაციო საჩივარი.
21. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 აგვისტოს N1/2697-16 განჩინება.
22. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 მაისის N1/1373-15 განაჩენი.
23. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 თებერვლის N1/635-16 განაჩენი.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის N528აპ-14 განჩინება.
25. საქართველოს მთავარი პროკურორის (გ. ბადაშვილის) დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, სს N081260213001 საქმეზე, 2015.
26. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის N1/ზ-287 განაჩენი.
27. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის N1/585-13 განაჩენი.
28. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის სხდომის ოქმის N1/3570-12 ამონაწერი.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 08 ოქტომბრის Nას-743-699-2012 გადაწყვეტილება.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის N1818-აპ განჩინება.
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის N1172-აპ განჩინება.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის N3კ/355-03 გადაწყვეტილება.

უცხოენოვანი ნორმატიული მასალა

1. Additional Protocol To The Criminal Law Convention on Corruption, Strasbourg, 15/05/2003
2. Foreword in United Nations Convention Against Corruption (New York, 2004)
3. U.K. The Bribery Act, 2010.
4. Strafgesetzbuch - StGB, (German Criminal Code), 1870.
5. Codice Penale Italiano, 1930.
6. Código Penal Português, 1982.
7. The Constitution of the United States, 1788.
8. Уголовный Кодекс Российской Федерации, 1996.

უცხოენოვანი ლიტერატურა

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

1. *Allen W.T., Kraakman R., Khanna V. S.*, Commentaries and Cases on the Law of Business Organization, Sixth Edition, Published by Aspen Publishers, New York, 2021.
2. *Begovic, B.*, Corruption, Lobbying and State Capture, CDLS Working Paper no. 0106, 2005.
3. *Bohlander M.*, Principles of German Criminal Law, Oxford and Portland, Oregon, 2009;
4. *Giovannoni F.*, Lobbying Versus Corruption, CESifo (Center for Economic Studies and the Ifo Institute for Economic Research) DICE Report, Journal for Institutional Comparisons, Volume 9, NO. 1, Munich, 2011.
5. *Gray C.W./Kaufmann D.*, Corruption and Development, Finance & Development / March 1998.
6. *Glaeser E. L. / Sacerdote B.*, Why is There More Crime in Cities? – Journal of Political Economy, Vol. 107, No. S6, 1999.
7. *Haley J. O.*, The Handbook of Comparative Criminal Law (Edited by Kevin Heller, Markus Dubber), Stanford, 2011.
8. *John T. Noonan Jr.*, Bribery, Notre Dame Journal of Law, Ethics & Public Policy, Vol. 2, 1986.
9. *Hansmann H., Kraakman R.*, The Essential Role of Organization Law, Yale Law Journal, 2000.

10. **Loughman B. P., Sibery R. A.**, Bribery and Corruption: Navigating the Global Risks, Wiley (Wiley Corporate F&A). 1 edition, 2011.
11. **Menes R.**, Corruption in Cities: Graft and Politics in American Cities at the Turn of the Twentieth Century – The National Bureau of Economic Research, Working Paper No. 9990. Cambridge, 2003.
12. **Newhouse M. E.**, Institutional Corruption: A Fiduciary Theory, Cornell Journal of Law and Public Policy, Volume 23, Issue 3. 2014.
13. **Schroth P. W.**, Corruption and Accountability of the Civil Service in the United States. The American Journal of Comparative Law, vol. 54, 2006.
14. **Tanzi V.**, Corruption Around the World, IMF Staff Papers, Vol. 45, No. 4, 1998.
15. **Thompson D. F.**, Two Concepts of Corruption, Edmond J. Safra Research Lab Working Papers, No. 16, Harvard University, 2013.
16. Guidance – The Bribery Act 2010, Ministry of Justice, U.K. 2011.
17. Criminal Resource Manual 1001-1099, EMBEZZLEMENT, Department of Justice U.S. (Updated January 21, 2020).

გერმანულენოვანი ლიტერატურა:

1. **Baumann J., Weber U., Mitsch W., Eisele**, Strafrecht Allgemeiner Teil, (§11 Subjektiver Tatbestand: Vorsatz und Tatumstandsirrtum), 13. Auflage, 2021, Rn. 19.
2. **Hilgendorf E.**, Strafgesetzbuch Leipziger Kommentar, 13 neu bearbeitete Auflage, Walter de Gruyter GmbH, Leipzig, 2020, § 11, Rn. 33,53.
3. **Kühl K.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2008
4. **Kühl K.**, in: **Lackner K., Kühl K., Heger M.**, Strafgesetzbuch (StGB) Kommentar, 29. Auflage, 2018, § 246, Rn. 1-15
5. **Heger M.**, in: **Lackner K., Kühl K., Heger M.**, Strafgesetzbuch (StGB) Kommentar, 29. Auflage, 2018, §266, Rn. 1-24
6. **Heinrich B.**, Der Amtsträgerbegriff im Strafrecht, Duncker & Humblot, Berlin, 2001.
7. **Häberle, P.**, Grundrechtsgeltung und Grundrechtsinterpretation im Vefassungsstaat Zugleich zur Rechtsvergleichung als “fünfter” Auslegungsmethod, in.: Juristische Zeitschrift, 1989.
8. **Savigny F.C.**, System des heutigen römischen Rechts, Band 1, Berlin, 1840.

9. *Wessels J., Beulke W., Satzger H.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 2017, S. 453.
10. OLG Karlsruhe NJW 1983, 352, 353.
11. HansOLG Hamburg StV 2001, 277, 278.
12. OLG München NJW 1979, 608 f.
13. OLG Frankfurt NJW 1994, 2242.
14. NStZ 2022, 683 (m. Anm. Becker (§266)).

რუსლენოვანი ლიტერატურა:

1. *Борзенков Г.Н.*, სახელმძღვანელოში: *Зубкова В.И., Борзенков Г.Н., Кузнецова Н.Ф.*, Курс Уголовного права, Особенная часть, Том 3, 2002.
2. *Зубкова В.И.*, Курс Уголовного Права, Особенная часть, Том 5, Москва, 2002.
3. *Санталов А.И.*, Курс Советского Уголовного права, часть особенная, Том 3, Л., 1973.
4. *Сахаров А. Б.*, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, М., 1956.
5. *Кириченко В.Ф.*, Курс Советского Уголовного Права, часть особенная, Том 6, М., 1971.
6. *Лейкина Н. С.*, Курс Советского Уголовного Права , часть особенная, Том 4, Л., 1978.
7. *Ляпунов Ю.И.*, Комментарий К Уголовному Кодексу Российской Федерации, Москва, 1996.
8. *Меньшагин В. Д.*, Советское Уголовное Право, особенная часть, М., 1971.
9. *Радченко В.И.*, Комментарий К Уголовному Кодексу Российской Федерации, 7-е издание, М., 2007.
10. *Жалинский А. Е.*, Современное немецкое уголовное право, М., 2004.

ელექტრონული ბმულები

1. <https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026_E.pdf > [15.03.2023]
2. <<https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1998/03/pdf/gray.pdf>> [16/03/2023].
3. კორუფციის ლექსიკონი <<https://csogeorgia.org/ge/newsPost/27763>> [17.03.2023].

4. <<https://gba.ge/pdf/6192593da83f1.pdf/%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90,%2014.11.2021.pdf>> [27.03.2024].
5. <<https://www.tsu.ge/ka/self-government>> [26.02.2024].
6. <<https://www.justice.gov/archives/jm/criminal-resource-manual-1005-embezzlement>> [26.11.2023].
7. <https://samartliskonspeqtebi.files.wordpress.com/2019/06/3480f7_4659c42a81b9471591b9611ae08c8432.pdf> [15.12.2023].

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. *Barberà, Messegue and Jabardo v. Spain*, [1988] ECHR, (application no. 10590/83) § 77.
2. *Lavents v. Latvia*, [2002] ECHR, (application no. 58442/00), § 125.
3. *Melich and Beck v. Czech Republic*, [2008] ECHR, (application no. 35450/04), § 49.
4. *Dallos v. Hungary*, [2001] ECHR, (application no. 29082/95), § 47-53.
5. *Sipavicius v. Lithuania*, [2002] ECHR, (application no. 49093/99), § 23-34.
6. *Juna Nuutinen v. Finland*, [2007] ECHR, (application no. 45830/99), § 26-33.
7. *De Salvador v. Spain*, [1996] ECHR, (application no. 21525/93), § 33.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

8. BGHSt 41, 187.
9. BGHSt 43, 370.
10. BGHSt 50, 299.
11. BGHSt 45, 16.
12. BGHSt 38, 199.

13. BGH, Urt. v. 10.2.2022 - 3 StR 329/21.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება:

14. *Moore v. United States*, 160 U.S. 268, 269 (1895), No. 719, U.S.the Supreme Court